ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ

ᲛᲖᲔ

№34 (428) 21/VIII-27/VIII.2008 ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲘᲗ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲝᲗᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ

„ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲧᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲕᲐᲠ“...

ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐ

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲬᲧᲐᲕᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐ

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲛᲘ

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

ᲯᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№34 (428)
21 - 27 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 2008 Წ.
ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲘᲠᲘ

ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲝᲛᲨᲘ

„მერხზე, რომელსაც ილია უნდა მისჯდომოდა და „დედა ენა“ გადაეფურცლა, ახლა ნათიას სძინავს. მას ჩანთაც დაეწვა, ფერადი ფანქრებიც და სახლიც. ფერად სიზმრებსაც ბინდისფერი ენაცვლება“.

28

„ᲛᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ“

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲒᲐᲠᲐ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲘᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐᲛ ᲑᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲣᲐᲮᲚᲙᲐᲠᲝᲓ ᲓᲐᲙᲒᲝᲕᲐ, ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲝᲕᲐ, ᲓᲐᲐᲛᲝᲑᲚᲐ. ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐ 7 ᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲩᲘᲪ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲝᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲐᲙᲕᲘᲡᲐᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲛᲐ – 27 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲔᲚᲘᲙ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝᲓ ᲓᲐᲘᲭᲠᲐ.

17

ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲐ ᲒᲕᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ

ᲒᲖᲘᲡ ᲬᲜᲘᲚᲔᲑᲘ

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲜᲗᲘ ᲯᲔᲠ ᲛᲘᲪᲕᲚᲝᲡ ᲕᲚᲓᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲡ, ᲯᲘᲚᲓᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲜᲗᲘᲡ ᲮᲣᲛᲠᲘᲡᲮᲕᲔᲠ ᲚᲘᲪᲕᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲪᲕᲚᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲖᲝᲛᲨᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲜᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲪᲕᲚᲘᲡ.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘ
ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ 5
■ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲦᲔ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲖᲔ
ᲛᲔᲓᲘᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲮᲐᲖᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ 6
■ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ
10-ᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲑᲚᲙᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ – ᲡᲮᲔᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲐᲠᲔᲑᲘ 10
■ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ
✓ᲖᲑᲘ�გᲜᲔᲕ ᲑᲠᲔᲖᲘᲜᲡᲙᲘ: „ᲠᲣᲡᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲣᲡᲐᲠᲝᲗ“ 11
✓ᲓᲔᲕᲘᲓ ᲛᲘᲚᲘᲑᲐᲜᲓᲘ: „ᲞᲝᲡᲢᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ“ 26
✓ᲡᲢᲠᲝᲑ ᲢᲔᲚᲑᲝᲢᲘ: „ᲛᲐᲐᲞᲘᲔ, ᲡᲔᲠᲒᲔᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲞᲘᲠᲔᲑᲗ“ 27
■ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ „ᲓᲘᲕᲘᲓᲘᲔᲜᲓᲔᲑᲘ“ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ 12
■ ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ
ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲐᲜᲣ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲣᲡᲛᲔᲜᲗ ᲠᲐᲓᲘᲝ „ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲡ“ – „FM103,9“ 14
■ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ᲠᲝᲒᲝᲠ „ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲔᲜ“ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲠᲣᲡᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲘ 16
■ ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲘ
„ᲒᲐᲛᲬᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲕᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ“ 17
■ ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲐᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ 20
■ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ
ᲡᲐᲛᲐᲠ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲩᲔᲩᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲯᲐᲚᲐᲗᲘ – ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲨᲐᲛᲐᲜᲝᲕᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ 20
■ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ
ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲘᲗ ᲣᲨᲕᲔᲚᲔᲡ ᲗᲐᲕᲡ 22



ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘᲡ ᲪᲐᲯᲔ ᲤᲠᲔᲜᲓᲐ ᲘᲡ ᲮᲔᲕᲐᲠᲘ

– ᲛᲐᲨᲘᲜ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔ ᲥᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘ.

– ᲑᲠᲛᲐᲓ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲕᲒᲖᲐᲕᲜᲘ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲮᲐᲚᲮᲘᲪ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘᲪ, – ᲘᲣᲐᲠᲐ ᲠᲐᲯᲐᲛ.

– ᲕᲘᲡᲐᲪ ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲤᲔᲮᲘᲡ ᲓᲐᲡᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲔᲡ!.. – ᲘᲠᲝᲜᲘᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐ ᲰᲐᲡᲐᲜᲛᲐ. – ᲘᲡᲔ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲔ ᲮᲓᲔᲑᲐ: ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲙᲕᲐᲚᲐᲕᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲡ ᲛᲘᲣᲧᲕᲔᲑᲐ.

– ᲛᲖᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲗᲮᲝᲕ. ᲮᲐᲚᲮᲡᲐᲪ ᲒᲐᲒᲐᲧᲝᲚᲔᲑ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲐᲒᲐᲒᲐᲜ.

■ კარვების ქალაქი
ქორდელი ძროხები რუსთავში და უცნაურად ახდენილი ოცნება 23
■ დევნილები
ბავშვები ომში 28
■ თინეიჯერული პონტები
✓ ომისგან დათრგუნვილი მოზარდების გულისტკივილი 32
✓ „ნუთუ, ეს ომი არასდროს დამთავრდება?“ 33
■ ჯანმრთელობა
✓ დაბალი წნევა 36
✓ თავადვე უშველე საკუთარ თავს 37
■ ჟურნალი ჟურნალში
✓ ცხოვრება 39
✓ გზავნილები 55
■ კონფლიქტის სათავეებთან
პირველი მსხვერპლი, ფუჭი ბომბები და რუსული „ღამურის“ ორმაგი თამაში 71
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია. მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი
„ჯორჯ, მოი ტიბე სოვეტ...“ 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ მარადიული ახალგაზრდობა რომ შეინარჩუნოთ... 80
✓ რა ასაკის უნდა იყოს თქვენი რჩეული მამაკაცი 81
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 82
■ სახალხო დიპლომატია
„მეტი გამჭვირვალეობაა საჭირო და მსჯელობა იმაზე, თუ რა მოგვივიდა“ 87
■ ემიგრანტები
რუსული აგრესია ქართველი ემიგრანტების წინააღმდეგ 89
■ „გზის“ არქივიდან
ხელცარიელები უნდა წავიდეთ აქედანო, — უთქვამს ქაქუცას... 91
■ კრიმინალი
✓ შეურაცხადი რძალი დედამთილის მოკვლას ჯაყვით შეეცადა 94
✓ „ნეზავისიმაია გაზეტას“ რედაქტორი გაასამართლეს 96
■ კადრს მიღმა
ერთ ღამეში დანერილი პატრიოტული სიმღერა და ერთ მუშტად შეკრული 44 ქართველი მომღერალი 98
■ აქცენტი
როცა ქარს მიღმა ომია... 99
■ სპორტი 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ პროგნოზი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

რუსული „ღამურის“ ორმაგი თამაში

„მან არ მიუთითა დოკუმენტზე სამშვიდობო კონტინგენტის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ვადა და რუსების აქ ყოფნა განუსაზღვრელი ვადით დაუშვა. ეს სწორედ ის დოკუმენტია, რომელსაც ახლა ცხვირწინ გვიფრიალებენ ოსები და რუსები“.

71

ქორდელი ძროხები რუსთავში და უცნაურად ახდენილი ოცნება

„დე, მამაზე დარდობ? რატომ მომატყუე, საშიში არაფერიაო?! მომეცი 1 ლარი, სადმე ტელეფონში თანხის ჩასარიცხ აპარატს ვნახავ, მამას დავურეკავ და შევეხვეწები, რომ თვითონაც წამოვიდეს...“

23

მედია ფრონტის ხაზზე

კონფლიქტის ზონაში მომხდარ ამბებს ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები საომარი ოპერაციების დაწყების დღიდან აქტიურად აშუქებენ.

6

მორიელის ნიშანი

პირადი მცველი საბაზანოში შევიდა, თაკოს თვალები არ გაუხელია, ისევ ისე იჯდა და თმაში ბალზამს იზელდა. მხოლოდ ღიმილზე ეტყობოდა, რომ მისი შემოსვლა გაიგო. ქალი ელოდა, რას მოიმოქმედებდა მამაკაცი.

მოულოდნელად მისი ხელები ჰაერში აღმოჩნდა. ირაკლიმ თავისი ძლიერი ხელებით დაუჭირა მაჯები და მის ბალზამიან თითებს ტუჩებით მიეალერსა.

74

ძლევამოსილი ომიანი ხახე

ძარცვა

26014

ნგრევა

ლოთობა

ცოტაც უნდა მოვითმინოთ...

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონფლიქტის ზონაში მომხდარ ამბებს ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები საომარი ოპერაციების დაწყების დღიდან აქტიურად აშუქებენ. სამწუხაროდ, გორში გაკეთებული რეპორტაჟი, არაერთი ჟურნალისტისთვის, უკანასკნელი აღმოჩნდა. ფრონტის ხაზზე მედია თავისი „შეიარაღებით“ დღემდე „ომობს“. მთელმა მსოფლიომ იხილა, პირდაპირი ჩართვის დროს როგორ დაჭრეს ქართველი ჟურნალისტი, თამარ ურუშაძე; როგორ ცდილობდა ოსი ჯარისკაცი, იარაღის მუქარით კამერა წაერთმია ოპერატორ ბაქარ შარაშენიძისთვის. მან კი, მიუხედავად ცეცხლის გახსნისა, კამერა არათუ დათმო, არც გამორთო და ყველაფერი ქართველ მაყურებლამდე მიიტანა. პირადად მე, დიდხანს მემახსოვრება ცხელი წერტილებიდან გაკეთებული, თენგიზ გოგოტიშვილის სიუჟეტები და მასთან ჩაწერილი ინტერვიუ აფეთქებების თანხლებით, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

მედია ფრონტის ხაზზე და აფეთქებების თანხლებით ჩაწერილი ინტერვიუ

თამუნა კვინიკაძე

„მედია ფრონტის ხაზზე“ — ამ თემაზე მუშაობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტ თამარ ურუშაძესთან შეხვედრით დავიწყე. დღეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, მაგრამ ექიმები ფიზიკურ გადაღლას არ ურჩევენ. 6 წელია, რაც ის ჟურნალისტად მუშაობს. პროფესიული საქმიანობის ყველაზე „ცხელ“ დღეებს კი ასე იხსენებს:

— გორში პირველად იმ დღეს ჩავედი, როცა ქართულმა ჯარმა ქალაქი დატოვა. ჟურნალისტები იქ დარჩენას ბოლო წუთამდე ვფიქრობდით, მაგრამ რუსებმა გვაიძულეს, რომ გამოვსულიყავით. ჩემთან ერთად რატი მუჯირი (საზოგადოებრივი მაუწყებელი), გიორგი კეპულაძე („რუსთავი 2“) და რამდენიმე უცხოელი ჟურნალისტი იყვნენ. როცა ქალაქიდან გამოსასვლელ გზას დავადექით, ჩვენგან 20 მეტრის მოშორებით 2 ტანკი, 2 ჯავშანმანქანა და 1 მსუბუქი ავტომანქანა ერთმანეთის მიყოლებით აფეთქდა. წინ ცეცხლის მეტი არაფერი ჩანდა. ჩვენს უკან, ტერიტორიას თვითმფრინავებიდან ბომბავდნენ. სად უნდა წავსულიყავით? ჩემს მძღოლს ვუთხარი, მანქანიდან ჩავიდეთ და ტყისკენ გავიქცეთ-მეთქი. — შეიძლება, ტყეში უარესი დაგვემართოსო, — მითხრა და დიდი რისკის ფასად ცეცხლში შევიდა. შესვლისთანავე კიდევ ერთი აფეთქება მოხდა. სავარაუდოდ, ალმოდებულ ტანკში ტყვია-წამალი აფეთქდა. როგორც იქნა, ცეცხლს თავი დავაღწიეთ. აფეთქებას სასწაულით გადავურჩით.

— უცხოელი ჟურნალისტებიც გამოგყვნენ?

— პირველი რატი მუჯირის მანქანა მიდიოდა, შემდეგ ჩემი, ბოლოს „რუსთავი 2“-ის. როგორც ვიცი, ჩვენმა უცხოელმა კოლეგებმა გამოსვლა ვერ შეძლეს. ამის შემდეგ საინფორმაციო პროგრამების რედაქცია და ჩვენი რეჟისორი ტატო ხაბაზიშვილი კონფლიქტის ზონაში ჟურნალისტი გოგონების შესვლის წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც გორი დავტოვე, ამ ქალაქის მიმართ ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ იქ ჩემი ინიციატივით წავედი. მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა, რა ხდებოდა გორში მას შემდეგ, რაც იქ რუსების ჯარი შევიდა. ჩემმა მეორე ვიზიტმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. მთელი ღამე იქ გავატარეთ, ჟურნალისტების გარდა გორში ბატონი კახა ლომაიაც იმყოფებოდა.

— შენი პირდაპირ ეთერში დაჭრა იქ მესამედ ჩასვლის დროს მოხდა?

— დიახ. იმ დღეს თბილისიდან დილის 6 საათზე წავედით. გორში რუსი სამხედრო ფორმირებების დახმარებით შევედით. მათი პოლკოვნიკი ყველგან დაგვყვებოდა, ქალაქი დაგვათვალიერებინა.

— ყველაფრის გადაღების უფლებას გაძლევდათ?

— არა. ჩვენ გადაგვაღებინეს გორის ჰოსპიტალი, ქალაქის ცენტრი და შორიდან დაგვათვალიერებინა ეს სადგური.



ტყვია მაჯის მხრიდან არის შესული და საბედნიეროდ, ძვალს არ შეხებია. მხოლოდ მყესი დამიზიანდა

— მოსახლეობასთან გასაუბრების და მათი ჩაწერის საშუალება რამდენად გქონდათ?

— მოსახლეობის ჩაწერას არ გვიშლიდნენ. თავად გორში ისეთი მძიმე მდგომარეობა არ იყო, როგორიც სოფლებში. იქ უკე მაროდიორები დაძრწოდნენ. იმ დღეს, როცა გორიდან უკან ვბრუნდებოდით, ქალაქის გამოსასვლელში გაგვაჩერეს. 1 საათი ვიდექით და არც თბილისისკენ გვიშვებდნენ, არც გორისკენ.

— რას გეუბნებოდნენ?

— წინ სროლაა და თქვენი გასვლა საშიშიაო. მერე როგორც იქნა, გამოვედით. 5-საათიან „მოამბეში“ ჩართვა მქონდა. რაც ჩართვის დროს მოხდა, კარგად იცით.

— რამდენიმე წამი კადრში აღარ ჩანდი.

— იმიტომ, რომ დავეცი. როცა წამოვდექი, მერე მეორე მხარეს გადავყირავდი. პირდაპირი ეთერი მაინც არ გაგვიწყვეტია. სახეზე სიმწრის ღიმილი მქონდა, ჭრილობა კი ძალიან მტკიოდა.

— ჩართვაში თქვით, რომ სავარაუდოდ, ეს სნაიპერის ნასროლი იყო...

— დიახ, გამჭოლი ჭრილობა მაქვს. ტყვია მაჯის მხრიდან არის შესული და საბედნიეროდ, ძვალს არ შეხებია. მხოლოდ მყესი დამიზიანდა. ალბათ, ჩემი მოკვლა არ უნდოდათ. ვფიქრობ, რუსებმა გართობის მიზნით მესროლეს. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს იქვე, ტყეში დამალული რუსი სნაიპერისგან ნასროლი ტყვია იყო. საბედნიეროდ, იქ სხვა ტელევიზიების ჟურნალისტებიც იმყოფებოდნენ. არ დაიბნნენ, „რუსთავი 2“-ის ოპერატორმა ბაქარ შარაშენიძემ ჭრილობა დამიმუშავა. „როიტერის“ ჟურნალისტებს სპეციალური სტერილური მასალა ჰქონდათ, რომლითაც ჭრილობა შემიხვიეს.

— ამ კადრის ნახვა ყველასთვის ამაღელვებელი იყო. ალბათ, იმ წუთში შენი ოჯახის წევრებიც

გიყურებდნენ.

— მგონი, რუსული ჯარის ისე არ მეშინოდა, როგორც მამაჩემის. მამა პროფესიით ექიმია. სამაჩაბლოში თვითონაც იბრძოდა და დაჭრილებს უწევდა დახმარებას. მან კარგად იცის, რა ხდება ომის დროს. სულ მირჩევდა, რომ კონფლიქტის ზონაში არ წავსულიყავი.

— 2 შვილის დედა ხარ. ეს სიუჟეტი ბავშვებმაც ნახეს?

— ჩემი შვილები სურამში არიან. უმცროსი წლინახევრისაა, უფროსი — 8 წლის. როგორც მითხრეს, ამ სიუჟეტს უყურებდა, მაგრამ ვერ ვუცნივარ. რომ დამირეკა, მკითხა — ხელი როგორ გაქვსო? შეიძლება მიცნო და რომ არ ვინერვიულო, მე არ მეუბნებიან.

— რას ამბობენ ის უცხოელი ჟურნალისტები, რომლებიც თქვენთან ერთად კონფლიქტის ზონაში მუშაობდნენ?



მიხვდა, რომ რაც იქ მოხდა, გადალებული მქონდა და იერიში ჩემზე მოიგანა. მიყვირიდა, კამერა მომეცით და თან რევოლვერს მიმიზნებდა

— მათი უმეტესობა აღნიშნავს, რომ ის, რაც გორში ხდება, სხვა კონფლიქტის ზონაში არ უნახავთ. ზოგი ჯარისკაცი ცდილობს, თავი კულტურულად მოგაჩვენოს. ზოგი კი კამერაზე ხელს გიკრავს, გეუხეშება, გიყვირის. მათი უმეტესობა ძალიან აგრესიულია. ჟურნალისტებს თავს მიზანმიმართულად ესხმიან. ამ ომმა არაერთი ჩვენი კოლეგის სიცოცხლე შეიწირა. არიან დაჭრილებიც. მინდა, გარდაცვლილების ოჯახებს სამძიმარი ვუთხრა, დაჭრილებს კი მალე გამოჯანმრთელება ვუსურვო.

გიორგი ბაბილოძე *საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორია. ის ჟურნალისტ ლიკა ხურციძესთან ერთად გორის სოფლებში მანამდე ჩავიდა, სანამ ვითარება დაიძაბებოდა, მაგრამ შემდეგ შექმნილი მდგომარეობის გამო, იმ დღესვე თბილისში დაბრუნება ვეღარ შეძლო და „ბომბების წვიმას“ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, თავი სარდაფში შეაფარა.*

— მე და ჟურნალისტი ლიკა ხურციძე გორში სროლების შედეგად დაზიანებული სახლების გადასაღებად და მოსახლეობასთან ინტერვიუების ჩასაწერად წავედით. მაშინ ვითარება ჯერ არ იყო დაძაბული. ვფიქრობდით, რომ იმ დღესვე უკან დავბრუნდებოდით და 8-საათიანი „მოამბისთვის“ სიუჟეტის მომზადებას მოვასწრებდით. თავდაპირველად, სოფელ ავნევში შევედით, შემდეგ ნულში გადავედით, რამდენიმე დაზიანებული სახლი გადავიღეთ და ბოლოს, ერთად შეკრებილი მოსახლეობისკენ გადავინაცვლეთ. ჩაწერა დაწყებული არ გვქონდა, რომ ჩვენგან 20 მეტრის დაშორებით პირველი ჭურვი ჩამოვარდა და ერთ-ერთ სახლს მოხვდა. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. სოფლის მასობრივი დაბომბვა დაიწყო. ასე რამდენიმე საათს გაგრძელდა.

— იმ დროს ქართული ჯარი სად იყო?

— ჩვენს ჯარს თავისი პოზიციები ეკავა. სეპარატისტებს კი იერიში იერიშზე მოჰქონდათ. მოსახლეობა ამბობდა, ასეთი მასობრივი დაბომბვა ჯერ არ ყოფილაო. უამრავი სახლი მიწასთან გასწორდა. ჩვენ სარდაფებში ვიყავით შეფარებულები და რომ იტყვიან, თავი არ აგვაწევინეს. თბილისში დაბრუნებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. „მოამბეში“ სატელეფონო ჩართვაც კი ვერ მოვახერხეთ — „მაგთის“ ანძა აფეთქებული იყო.

— სოფლიდან როგორ გამოხვედით?

— გამთენიისას, დაახლოებით 4 საათზე, ქართული ჯარი შემოვიდა. მოსახლეობამ მათ დანახვაზე შვებით ამოისუნთქა. სიტუაცია განმუხტეს. მათი დახმარებით დილის 8 საათზე სოფელი დავტოვეთ. ქალების და ბავშვების ევაკუაცია დაიწყო. რომ არა ისინი, შეიძლება, დღეს ჩემთან ეს ინტერვიუც ვერ ჩაგეწერათ. რაც იმ ღამეს ვნახე და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად გადავიტანე, ბარბაროსობაც აღარ ჰქვია, უფრო მეტია. მშვიდობიანი მოსახლეობის ასე უმოწყალოდ ხოცვას მე არ ვიცი, რა უნდა ეწოდოს...

P.S.-*ის ავტორი და წამყვანი* **დავით კიკალიშვილი** *გადაცემისთვის სიუჟეტის მოსამზადებლად გორში მაშინ ჩავიდა, როცა დაძაბულობამ პიკს მიაღწია. შესაბამისად, მას იქ კიდევ უფრო შემზარავი სურათი დახვდა.*

— გორში როგორი სურათი დაგხვდა?

— შემზარავი. რუსეთის ავიაცია ახალი გადაფრენილი იყო, დაბომბილი ქალაქი კვამლსა და ცეცხლის ალში იყო გახვეული. ერთი ბომბი საბავშვო ბაღის შენობას დასცემოდა. ირგვლივ ყველაფერს ცეცხლი ეკიდა. სახანძრო მანქანებიც კი ვეღარ ერეოდნენ. ბამბეულის კომბინატის დასახლება საერთოდ მიწასთან იყო გასწორებული. იქ ვნახე ადამიანი, რომლის ოჯახის წევრები ნანგრევებში მოყოლილიყვნენ და რადგან ცხედრები ვერ გამოჰქონდა, იმ ადგილს არ შორდებოდა და ღამეებს იმ ნანგრევებთან ათევდა. ჩვენ ეს სიუჟეტშიც ვაჩვენეთ, მაგრამ მაყურებლისთვის სიმართლე ბოლომდე არ გვითქვამს.

— ასეთი რა ნახე?

— ის, რაც იქ ვნახე, არასდროს დამავიწყდება. იმ კაცს მეუღლის და შვილების მოწყვეტილი კიდურები შეეგროვებინა და მოზრდილ ქვაზე დაესვენებინა. ველოდები, იქნებ ვინმე ცხედრების ამოღებაში დამეხმაროსო. ვნახეთ ხანდაზმული, აკანკალებული ადამიანები, რომლებსაც იმის ძალა არ შესწევდათ, რომ გაქცეულიყვნენ. უბნები კუთხე-კუთხე დავიარეთ, ეს ქალაქი ნანგრევებად არის ქცეული. რისი გადაღებაც შევძელით, მაყურებელმა უკვე ნახა.

— გადაღებას არ გიშლიდნენ?

— ჩვენ გორში რუსების შესვლამდე შევედით. ისინი ქალაქისკენ ნელ-ნელა მოდიოდნენ და გარშემო, სიმაღლეებზე პოზიციებს იკავებდნენ. იქ სულ რამდენიმე საათი დავყავით. რომ გამოვდიოდით, მაშინ უკვე სახანძრო მანქანებსაც კი აღარ უშვებდნენ.

— რას გეუბნებოდნენ იქ მყოფი უცხოელი კოლეგები?

— ისინი ცდილობდნენ, ეჩვენებინათ ყველაფერი, რაც კონფლიქტის ზონაში ხდებოდა. მინდა, რომ მათ ამისთვის მადლობა ვუთხრა. ჩვენი პრობლემები ქვეყნის გარეთ გაიტანეს. მსოფლიოში საზოგადოებრივი აზრი შექმნეს. პირადად შევხვდი ამერიკელ, ბერძენ ჟურნალისტებს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე საათის წინ მათ ჰოლანდიელი კოლეგა მოუკლეს, არ შეშინდნენ და მუშაობა უფრო მეტი შემართებით განაგრძეს. განსაკუთრებით მინდა „სიენნის“ ჯგუფი გამოვყო. ისინი მართლა გმირები არიან. ერაყის საშინელებაც ნანახი აქვთ და ავღანეთიც. გაწაფულები არიან.

— გორში წასვლა შენი სურვილი იყო?

— მიუხედავად იმისა, რომ P.S. მიმყავს, მე რეპორტიორი ვარ. აქ საქმის გაკეთებას ყველა თავისებურად ცდილობს. ერთად ვმუშაობთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივიღოთ და შემდეგ ჩვენს მაყურებელს მივაწოდოთ.

ბაძარ შარაშენიძე *ის ოპერატორია, რომელიც ოსმა სამხედრომ იარაღით ვერ შეაშინა. სიუჟეტში მისი სახ-*

ელი და გვარი იმიტომ არ თქვეს, რომ არ უნდოდა, მომხდარის გამო მისი ოჯახის წევრებს ენერვიულათ. ბაქარი 7 წლის მანძილზე „რუსთავი 2“-ში მუშაობდა. 7 თვეა, რაც წამოვიდა და დამოუკიდებელი ოპერატორია, მაგრამ როცა ქვეყანას გაუჭირდა, ტელევიზიაში ძველ გუნდს მიაკითხა და უთხრა, ჩემი კამერით თქვენ გვერდით მიგულეთო. პარალელურად, მას ბრიტანელ და არაბ ჟურნალისტებთანაც მოუწია თანამშრომლობამ.

— როცა ქვეყანაში ასეთი ამბები ხდებოდა, სახლში რა გამაჩერებდა. „რუსთავი 2“-ში მივედი და ნინო შუბლაძეს ვუთხარი, თუ დაგჭირდებით, კონფლიქტის ზონაში წავალ-მეთქი. იქ ყოფნის დიდი სურვილი მქონდა. მინდოდა, ჩემი კამერით „მეომა“, საინტერესო კადრები მომეძიებინა. ეს არა მარტო ჩემი, ყველა ოპერატორის სურვილი იყო. კონფლიქტის დაწყებისთანავე ბრიტანელი ჟურნალისტები დამიკავშირდნენ. მითხრეს, ოპერატორი გვჭირდებაო. საქართველოში მათი 2 ჯგუფი იყო. სამწუხაროდ, იმ გუნდთან მოვხვდი, რომელიც თბილისში მუშაობდა. მათთან მხოლოდ 1 დღე ვიყავი. იმ საღამოსვე თენგო გოგოტიშვილმა დამირეკა. ძალზე სახიფათო ადგილებში მივდივარ, წამომყვებიო? იმწუთშივე დავთანხმდი. თავდაპირველად, ზუგდიდში ჩასვლას ვგეგმავდით, მაგრამ ბოლოს გორში წასვლა გადაწყდა. ეს კონფლიქტის დაწყების მესამე დღეს მოხდა. ქალაქის მთლიანად დათვალიერების საშუალება არ მოგვეცა. სხვა ჟურნალისტებთან ერთად გორის შესასვლელში გაგვაჩერეს. იქ უამრავი ხალხი ტრიალებდა. დევნილი ადამიანები შემზარავ ამბებს ჰყვებოდნენ. შეშლილი, შეშინებული სახეები ჰქონდათ. ჰყვებოდნენ, თუ როგორ უწვავდნენ სახლებს, აუპატიურებდნენ, უკლავდნენ ახლობლებს, ძარცვავდნენ და მშველელი არსაიდან ჩანდა. ხანდაზმულ ადამიანებს შვილიშვილები სახიფათო ადგილიდან გამოჰყავდათ და თვითონ ისევ უკან ბრუნდებოდნენ — სხვაგან სიკვდილს, ჩვენს სახლში მოგვკლან, გვირჩევნიაო. რუსი ჯარისკაცები არც თავისი ქვეყნის მოქალაქეებს ინდობდნენ. დევნილები ამბობდნენ, ჩვენს მიცვალებულებს ქვის ფილები დავაფარეთ, რომ ძაღლებმა არ შეჭამონო.



ემუშაობთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივიღოთ და შემდეგ ჩვენს მაყურებელს მივაწოდოთ

— ბაქარ, ტელევიზიით უკვე ვიხილეთ კადრი, თუ როგორ გიმიზნებს იარაღს ოსი სამხედრო. რას იღებდი ამ დროს, იქ რა ხდებოდა?

— მე და თენგო გოგოტიშვილი გორის შესასვლელთან ვიდექით. ქალაქში არ გვიშვებდნენ, მაგრამ არც უკან ვბრუნდებოდით — იქნებ ვინმე გამოვიდეს და ჩავწეროთ, იქ რა ხდება, ამბავი გამოიტანოსო, — მეუბნებოდა თენგო. ინფორმაციის მოლოდინში რამდენიმე საათმა გაიარა. შევამჩნიეთ, რომ იმ მხარეს, სადაც სხვა ჟურნალისტები იდგნენ, ჩოჩქოლი ატყდა. როცა ასეთ სიტუაციას ვაწყდებით, პირველი ოპერატორი მიდის, შემდეგ — ჟურნალისტი. მეც ინსტინქტურად, ჩართული კამერით იმ ადგილისკენ დავიძარი. დავინახე, რომ ვიღაც მანქანაში ჯდებოდა და გარბოდა; ვიღაცა ყვიროდა... ერთი სიტყვით, სრული ქაოსი იყო. ერთი ავტომანქანის მძღოლს თავზე ავტომატიანი ოსი სამხედრო ედგა, საფეთქელთან იარაღს ადებდა, ხმამაღლა უყვიროდა და გასაღებს ართმევდა. ეს ყველაფერი გადავიღე. მერე იმ ოსმა სამხედრომ გვერდით ჩამიარა და კამერა გავაყოლე. მიხვდა, რომ რაც იქ მოხდა, გადაღებული მქონდა და იერიში ჩემზე მოიტანა. მიყვიროდა, კამერა მომეცი და თან რევოლვერს მიმიზნებდა. იმ ადამიანს თვალებში რომ ჩავხედე, მივხვდი, მესროდა. მიუხედავად ამისა, კამერა არ გავთიშე. მომვარდა და წართმევა ძალით სცადა. რომ არაფერი გამოუვიდა, ფეხებში მესროლა. ტყვია ვერ ვიგრძენი და ნაბიჯს ავუჩქარე. ბოლოს, შევბრუნდი და ზურგით დავდექი. რაც მოსახდენია, მოხდეს-მეთქი. მეორედ ზურგში მესროლა.

— ჯავშანჟილეტი გეცვა?

— არა. როგორც ჩანს, მას „ხალასტოი“ ტყვიები ჰქონდა და იმიტომ მესროდა, რომ პანიკა შეექმნა. არაფერი მომსვლია, ფეხი კი ერთ ადგილზე დღესაც მტკივა. მე რომ დამცილდა, ერთი მძღოლი მანქანიდან იარაღის მუქარით გადმოიყვანა. იმ დღეს ჟურნალისტების სამი მანქანა გაიტაცეს („იმედის“, კანადელი ჟურნალისტების და მესამე ვის ეკუთვნოდა, არ მახსოვს) — „ნივა“, ჯიპი და „მერსედესი“. ცოტა ხანში „მერსედესი“ და „ნივა“ დააბრუნეს, ჯიპი კი მიისაკუთრეს. „მერსედესი“ ომში არ სჭირდებოდათ, „ნივაზე“ კი ისეთი სიგნალიზაცია იყო, ვერ დაქოქეს და საჭე მოსტეხეს.

— რას ამბობენ ის ბრიტანელი და არაბი ჟურნალისტები, რომლებთან ერთადაც შენ იმუშავე?

— რუსები ყველა ქვეყნის ჟურნალისტს აგრესიულად ექცევიან. მათი უმეტესობისთვის გორი პირველი კონფლიქტის ზონა არ არის, სადაც უმუშავიათ, მაგრამ მომხდარით გაოგნებულები არიან. ბევრი ტელევიზიისთვის ამ რეგიონში ჟურნალისტის გამოგზავნა პრესტიჟის საქმეა. ჩემზე მუქარისა და 2 გასროლის ფაქტის კადრები „სიენნმა“ გადაიწერა. როცა მასალას „რუსთავი 2“-დან „აგორებდნენ“, იქ მყოფ ჩემს მეგობარს უთქვამს, ეს ამბავი თავს ჩემს ახლობლეს გადახდაო. — ძალიან მაგარი მასალააო, — უთქვამთ ამერიკელებს და ბოლოს დაუმატებიათ — ეტყობა, ეგ შენი მეგობარი მაგარი გიჟიაო. ბევრჯერ მკითხეს, ამ დროს შეგეშინდაო? რა თქმა უნდა, შემეშინდა. ვიცოდი, რომ ის მესროდა და იმ წუთში, რაც ირგვლივ იყო, ყველაფერი დამენანა. ალბათ, არც ერთი ოპერატორი კამერას არ მისცემდა. თავს გმირად ვგრძნობდი და ვფიქრობდი: თუ მომკლავენ, არაფერია-მეთქი. მერე, როცა ყველაფერი ჩაწყნარდა და მასალა „რუსთავი 2“-ს „გადმოვუგორეთ“, ვთხოვე, სიუჟეტში ჩემი სახელი და გვარი არ ეხსენებინათ. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ არ მინდოდა, დედაჩემს ენერვიულა. კადრში თავად არ ვჩანვარ, მაგრამ ჩანს ჩემი ნაბიჯები. მეგობრებს მაინც ვუცნივარ. — მივხვდით, შენ იყავიო, მაგრამ რა მოხდა გასროლის შემდეგ, ეს ვეღარ გაიგეს. „მაგთის“ ანძა აფეთქებული იყო და ვერ დამიკავშირდნენ. როცა სახლში დავბრუნდი, დედამ მითხრა: — ის, ვისაც ესროლეს, შენ იყავი, ამას დედის ინსტინქტით მივხვდიო.

— შენ თამარ ურუშაძის პირდაპირ ეთერში დაჭრის ფაქტსაც შეესწარი.

— მაშინ უფრო შემეშინდა. ალბათ, სნაიპერებს ხუმრობის საათი ჰქონდათ. არ ვიცოდით, საიდან ისროდნენ. შეიძლება, მე მიმიზნებდნენ და ზუსტად იმ დროს გავიწიე.

— იქვე, ახლოს იყავი?

— თამუნასგან ნახევარი მეტრიც კი არ მაშორებდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორს ვეხმარებოდი — განათებას ვუყენებდი. გასროლა ჩემს ზურგს უკან მოხდა. ტყვია ძალიან მცირე მანძილით ამცდა და თამუნას მოხვდა.

— ბაქარ, ქართველ ჯარისკაცებთან გასაუბრების საშუალება თუ მოგეცა?

— რამდენიმე მათგანთან გულახდილი



კარგად აღზრდილი კაცი ვარ, ზრდილობიანად ვუთხარი — მე რასაც ვილაპარაკებ, თქვენს ეთერში არ გაუშვებენ-მეთქი

საუბარი მქონდა: ხეობაში ისეთი პოზიციები გვეკავა, საჰაერო თავდასხმა რომ არა, სახმელეთო შემოტევებს მოვიგერიებდით, რუსები ტანკებით ვერაფერს დაგვაკლებდნენო. ჩვენმა ბიჭებმა ძალიან მაგრად იომეს. ცნობილი 58-ე არმიის სარდალ გენერალს მძიმე ჭრილობა მიაყენეს. დღესაც უმძიმეს მდგომარეობაშია. ასევე ვრცელდება ინფორმაცია კულახმეტოვის დაჭრის შესახებ. მას თავის კონტუზია აქვს და ცალი ფეხის ამპუტაცია დასჭირდაო, ამბობენ. როცა ქართველ ჯარისკაცებს ვუყურებდი, ძალიან ამაყი ვიყავი. ნამდვილი ვაჟკაცები არიან, მოწესრიგებულები. იცი, რომ მის უკან ყოფნა შეიძლება. ის აუცილებლად დაგიცავს. ქართველი ვაჟკაცების შემდეგ გასაცოდავებულ რუს ჯარისკაცებს რომ შეხედავ, გაიფიქრებ, ამან ომი როგორ უნდა მოიგოსო? ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ გაგვძარცვონ. ტანსაცმელს და ფეხსაცმელს მიცვალებულებსაც კი ხდიან. მე და თენგომ რუსი ჯარისკაცი გადავიღეთ. წინა ჯიბეში ოქროს ჩანგალი ედო. ის ოქრო ფორმას (როგორც ჯოჯოხეთს, ისე) ანათებდა.

თენგიზ გოგოტიშვილი *კონფლიქტის დაწყების დღიდან ყველაზე „ცხელ წერტილებში“ ტრიალებს, ყოველთვის რისკზე მიდის და ხიფათს არასდროს ერიდება. ის ამჟამად სამეგრელოშია, მოვლენების განვითარების კვალდაკვალ ახალ სიუჟეტებს გვთავაზობს და „რუსული ვაჟკაცობის“ ამბებს მოგვითხრობს. ინტერვიუსთვის მას ტელეფონით დავუკავშირდით.*

— თენგო, როგორ ხარ?

— ისე, როგორც ყველა ქართველი.

— ახლა სად იმყოფები?

— სამეგრელოში ვარ, ქართული დაზვერვის პოზიციებზე.

— რა მდგომარეობაა რეგიონში?

კითხვა ბოლომდე დამთავრებული არც მქონდა, როცა აფეთქების ხმა გავიგონე.

— აი, ჩემ მაგივრად რუსებმა გიპასუხეს.

— ეს ყველაფერი შენთან ახლოს ხდება?

— ისე, რა! ძალიან ცუდი განცდაა, მაგრამ ამ დროს ყველაზე მობილიზებული ვარ.

— რუსები ჟურნალისტებს როგორ ექცევიან, აგრესიულები არიან?

— რუსი ყველგან რუსია — გორშიც, სენაკშიც და მოსკოვშიც (*კიდევ ერთი აფეთქების ხმა გაისმა*).

— გადაღებას და გადაადგილებას გიშლიან?

— ვერ ვიტყვი, რომ ქუჩაში დამდევენ. მოსახლეობასაც ვხვდები და ვესაუბრები. დღეს ჩხოროწყუში ოჯახებში შევიდნენ. ნადავლი მანქანებში ჩატენეს და წავიდნენ. ეს ჯარისკაცები აქ ამისთვის არიან მოსულები და თავი მაროდიორობით გააქვთ. მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ გამდიდრდნენ. ქართველ სერჟანტს რუსი პოლკოვნიკის ტოლი ხელფასი აქვს.

— რუს გენერლებს თუ ელაპარაკები?

— მათთან გასაუბრების საშუალება რამდენჯერმე მომეცა. ისინი მედვედევის სიტყვებს იმეორებენ — ეს არ არის აგრესია და ოკუპაცია, ჩვენ სამშვიდობო ოპერაციებს ვასრულებთ; თქვენს სამხედრო ქონებას იმიტომ ვანადგურებთ, რომ ეს ჩვენი სამხედრო ნადავლიაო. რუსია და შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვს, რა უნდა ელაპრაკო, მაინც ვერაფერს გააგებინებ. ხომ იცი, ქუჩაში დიდი ბიჭი რომ პატარა ბიჭს დაჩაგრავს, თავს სწორედ ასე ვგრძნობ. მერე ხომ იცი, როგორც ხდება. პატარა ბიჭს კუნთებდაბერილი მამა მოჰყავს და იმ დიდ ბიჭს ცხვირ-პირს უერთიანებს. ჩვენ ახლა ასეთი ძლიერი მფარველი გვჭირდება. თავისი ნებით ესენი აქედან გამთრევები არ არიან. აფეთქებები კვლავ ისმის. რუსები საკუთარ სიძლიერეს გვიმტკიცებენ.

— თენგო, შენთან ერთად უცხოელი ჟურნალისტებიც არიან?

— ალაგ-ალაგ გამოჩნდებიან ხოლმე. დღეს რუსული არხის „რენტივის“ ჟურნალისტები დამიკავშირდენ და ინტერვიუ მთხოვეს. მე კარგად აღზრდილი კაცი ვარ, ზრდილობიანად ვუთხარი — მე რასაც ვილაპარაკებ, თქვენს ეთერში არ გაუშვებენ-მეთქი. ტელეფონი ისე გამითიშეს, არც დამმშვიდობებიან.

— საინტერესო სიუჟეტებით გამოირჩევი. შედიხარ რუსების მიერ გაძარცულ ობიექტებში და დიდ რისკზე მიდიხარ...

— აქ ყოფნა თავიდან ბოლომდე რისკია. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა ოპერატორს, ვისთან ერთადაც კონფლიქტის ზონაში მიმუშავია. ესენი არიან: ლევან აბულაძე, ბაქარ შარაშენიძე, სანდრო პაპუნაშვილი. როცა ამ სახელებს და გვარებს დაწერ, გთხოვ, ერთი სიტყვა — გმირები მიაწერე. ეს გადაჭარბებული ნათქვამი არ არის. არსად შესვლაზე უარს არ ამბობენ, მე ხომ თავზე ხელაღებული ჟურნალისტი ვარ.

— შენ და ყველა შენს კოლეგას, რომლებიც კონფლიქტის ზონაში მუშაობენ, მშვიდობით დაბრუნებას გისურვებთ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
AiB
INTERBUSINESSACADEMY

ᲘᲜᲢᲔᲠᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 2008-2009 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ, ᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ I ᲙᲣᲠᲡᲖᲔ.

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ 1992 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ, ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲘ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 102 ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ.

ᲛᲘᲡ; �თᲑᲘᲚᲘᲡᲘ.ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ: 66 Დ
ᲢᲔᲚ: 605 423, 615 423

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ

10-დღიანი ტყვეობის დასასრული

13 სამხედრო მოსამსახურისა და 2 სამოქალაქო პირის 10-დღიანი ტყვეობა დასრულდა. ჯარისკაცები იგოეთიდან ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს. გათავისუფლებული ტყვეები ჰყვებიან, რომ რუსებს მათი ნაწილი ცხინვალში, ნაწილი კი ვლადიკავკაზში ჰყავდათ დამწყვდეული. მართალია, ტყვეობაში გატარებულ დღეებზე დეტალურად ლაპარაკს თავს არიდებენ, მაგრამ მათ სხეულებზე არსებული იარები ყველაფერზე უთქმელადაც მეტყველებს.

სხეულსა და სულში დარჩენილი იარები

თამუნა კვინიკაძე

კლინიკის მისაღებთან მისულს, უამრავი ადამიანი დამხვდა: ყოფილი ტყვეების ოჯახის წევრები, ახლობლები, თანამებრძოლები. კართან, რომელზეც გათავისუფლებული სამხედროების სიაა გამოკრული, ქალბატონი იდგა, ტიროდა და — „შვილო, გიორგი, ცოცხალი ხარ!“ — აკანკალებული ხმით იმეორებდა. მივუახლოვდი და სიას გადავხედე: „გიორგი რამაზაშვილი, 21 წლის, თეთრიწყარო“...

— **ქალბატონო, თქვენ გიორგის დედა ბრძანდებით?**

თანხმობის ნიშნად, თავი დამიქნია და ცრემლები მოიწმინდა. მისი დამშვიდება ვცადე: რაც მთავარია, თქვენი შვილი ცოცხალია, ნუღარ ნერვიულობთ-მეთქი.

— დღეს გავიგე, რომ ცოცხალია. იცი, რა დღეები გამოვიარე?!. როგორც კი ომი დაიწყო, გიორგი პირველ დღესვე წაიყვანეს. ის სამხედროა, სწავლებას გადიოდა, ერაყში წასასვლელად ამზადებდნენ. ომში წინა ხაზზე გაიყვანეს.

— **მასთან კონტაქტი არ გქონდათ?**

— არაფერი ვიცოდი. როცა დაჭრილების თბილისში გადმოყვანა დაიწყეს, საავადმყოფოებში დავდიოდი და სიებში ვეძებდი. ვერსად რომ ვერ ვნახე, ცოცხალი აღარც მეგონა. ახლა გათავისუფლებული ტყვეების სიას ვკითხულობდი. ჩემი შვილი მათ შორის, ასაკით ყველაზე პატარაა.

— **გიორგი უკვე ნახეთ? მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორია?**

— წამიერად შევხედე. მძიმედ არ არის. მადლობა ღმერთს, რომ მისი თავი მეორედ მაჩუქა.

ქალბატონ ქეთინოს შვილის მალე გამოჯანმრთელება ვუსურვე, დავემშვიდობე და კიდევ ერთი ტყვის — ზაზა კავთიაშვილის ახლობლებისკენ გადავინაცვლე.

ლეილა კავთიაშვილი, *ზაზას მამიდა:*

— ზაზა კონტრაქტით მე-4 ბრიგადაში მსახურობს. როგორც კი ომი დაიწყო, წინა ხაზზე მისი 41-ე ბატალიონი შეიყვანეს. 4-5 დღის მანძილზე ოჯახის წევრებს არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა. შემდეგ მის მეუღლეს დაუკავშირდნენ და ზაზას ტელეფონი დაუბრუნეს. იმედი დავკარგეთ, გვეგონა, ცოცხალი აღარ იყო. გლოვის დღეები გვქონდა. დაახლოებით 4 დღის წინ მის მეუღლეს კვლავ დაუკავშირდნენ და უთხრეს, ზაზა ცოცხალია, ტყვედ არის ჩავარდნილიო. შემდეგ კიდევ დარეკეს, ამჯერად მეუღლე თავად ზაზას ალაპარაკეს, — ტყვედ ვარ, დაჭრილი, თქვენ თვითონ მიხვდით, სად ვიქნებიო... შემდეგ ტელეფონის ის ნომერი, რომლიდანაც გველაპარაკებოდნენ, გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ ვლადიკავკაზშია რეგისტრირებული. 2 დღის წინ ზაზა მეუღლეს რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული ნომრიდან კვლავ დაალაპარაკეს. ამ ხნის მანძილზე არ გავჩერებულვართ. ზაზას ტყვედ ჩავარდნის შესახებ ინფორმაცია მისი ნაწილის ხელმძღვანელობასა და „წითელ ჯვარს“ შევატყობინეთ. დღეს კი დაგვიკავშირდნენ და გვითხრეს, რომ იგოეთთან ტყვეთა გაცვლა ხდებოდა.

— **ზაზა უკვე ნახეთ?**

— ვნახე, ვაკოცე, კარგად ვარო, — გამამხნევა. ექთანმა ამბავი გამოიტანა, არმატურით უცემიათ, რის გამოც ხელი მოტეხილი აქვს, ფეხში კი ტყვიით არის დაჭრილიო.

— **როგორ ექცეოდნენ, ოჯახის წევრებისთვის არაფერი უთქვამს?**

— არა, ჩვენ წუთიერად ვნახეთ, საუბრის დრო არ იყო, მაგრამ ვიცით, რომ ძალიან ცუდად ექცეოდნენ, სცემდნენ, აწამებდნენ. პირველად ოსებს ჰყოლიათ, შემდეგ — რუსებისთვის გადაუციათ. თურმე ოსები გაცილებით სასტიკად ექცეოდნენ, ვიდრე რუსები. მე პირიქით მეგონა, გამიკვირდა. მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი გადარჩა! ზაზა დედისერთაა...

— **შვილები ჰყავს?**

— 8 წლის ბიჭი ჰყავს. მეუღლე ფეხმძიმედ არის. სულ გვეშინოდა, ნერვიულობის ნიადაგზე არაფერი დამართოდა. დღე-დღეზე მეორე შვილს ველოდებით. ვიცით, რომ ისიც ბიჭია.

როგორც ექიმები ამბობენ, 13 გათავისუფლებული ტყვიდან 3 პაციენტს მძიმე დაზიანებები აღენიშნება. აქვთ ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები, ძვლის დაზიანებით. უმეტესობას თავისა და გულმკერდის არეში ბლაგვი საგნით მიყენებული ტრამვა, ხელის თითების მოტეხილობა და დამწვრობა აღენიშნება.

გათავისუფლებულ ტყვეებს მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ. მათთან ინტერვიუსა და მათ შესახებ უფრო ვრცელ მასალას „გზის“ მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ. ■



ტყვეობა დასრულდა

წესით, „ცივი ომის“ დასრულებას უნდა მოჰყოლოდა ახალი ხანის დადგომა, რომელიც გამორიცხავს დიდი სახელმწიფოს მიერ მეზობელი პატარა ქვეყნისთვის იმის თავს მოხვევას, თუ როგორ უნდა მოაწყოს საკუთარი ცხოვრება. სწორედ ამიტომაა საქართველოში რუსეთის შეჭრა ესოდენ ტრაგიკული და სავალალო შედეგების მომტანი.

ზბიგნევ ბჟეზინსკი:

„რუსეთს თავი არ უნდა დავუხაროთ“

მოსკოვის ხისტი მცდელობა, საკუთარი ნება მოახვიოს თავს და დაიმორჩილოს პატარა, დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყანა, სტალინის ეპოქას გვაგონებს. საქართველოზე რუსეთის თავდასხმა პრაქტიკულად, იგივეა, რაც სტალინის დროინდელმა საბჭოთა კავშირმა 1939 წელს ფინეთის წინააღმდეგ მოიმოქმედა.

დღეს მთავარი საკითხია — შეძლებს თუ არა საერთაშორისო თანამეგობრობა, დაანახვოს კრემლს, რომ საკუთარი მოყირჭებული იმპერიალისტური ზრახვების განსახორციელებლად, ძალის ასეთი უხეში გამოყენებისთვის საზღაურის გადახდა მოელის.

ეს კონფლიქტი წლების მანძილზე ღვივდებოდა. რუსეთი მიზანმიმართულად უწყობს ხელს საქართველოს დანაწევრებას. მოსკოვი საქართველოს სამ რეგიონში — აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში აქეზებდა სეპარატისტებს. ის მხარს უჭერდა და უჭერს ამ ტერიტორიებზე არსებულ ამბოხებულ მთავრობებს, აიარაღებს მათ ჯარებს და რუსეთის მოქალაქეობაც უწყალობა სეპარატისტებს.

ამ ყველაფრის საპასუხოდ, საერთაშორისო თანამეგობრობას დღემდე ბევრი არაფერი მოუმოქმედებია.

საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესია გამონაკლისს როდი წარმოადგენს. ფაქტია — პუტინსა და მის თანამზრახველებს არ სურთ შეურიგდნენ პოსტსაბჭოური მსოფლიოს რეალიებს. პუტინმა სრულიად გულახდილად აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა „მეოცე საუკუნის უმსხვილესი გეოსტრატეგიული კატასტროფა იყო“(!). პუტინის რეჟიმის თვალსაზრისით, დამოუკიდებელი დემოკრატიული ქვეყნები არა მარტო ისტორიულ ანომალიას, არამედ რეალურ პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენენ.

რუსეთი კვლავაც მიიჩნევს, რომ აუცილებელია არსებობდეს რაღაც ზენაციონალური წარმონაქმნი, რომელიც ყოფილ საბჭოთა ტერიტორიას უნდა მოიცავდეს და კრემლის მიერ იმართებოდეს. ეს დამოკიდებულება გარკვეულწილად ასახავს იმ ნაციონალისტურ განწყობილებას, რომლითაც გაჟღენთილია დღევანდელი რუსეთის პოლიტიკური ელიტა. ვლადიმირ პუტინი — პრეზიდენტყოფილი და ამჟამად პრემიერ-მინისტრი — საფუძვლიანად მოაჯდა ამ „ცხენის უნაგირს“, ამ განწყობილების პოლიტიკურ სპეკულირებას ეწევა და მთელი ქვეყნის მასშტაბით მის მყარად დანერგვას ცდილობს. შედეგად, რუსეთში იმაზეც კი დაიწყეს ლაპარაკი — ხომ არ დაგვებრუნებინა კუბაზე ჩვენი სამხედრო შენაერთები იმისათვის, რათა შური გვეძია აშშ-ზე, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მის მიერ დემოკრატიის ხელშეწყობისთვისო?..

დასავლეთისა და განსაკუთრებით, აშშ-ისთვის, კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის, როგორც მორალური, ასევე გეოსტრატეგიული გამოწვევა გახლავთ. მორალური ასპექტი ზედაპირზეა: პატარა ქვეყანა, რომელმაც ორსაუკუნოვანი რუსული ბატონობის შემდეგ მოიპოვა დამოუკიდებლობა, საერთაშორისო მხარდაჭერის ღირსია, თანაც ეს მხარდაჭერა არ შეიძლება, მხოლოდ თანაგრძნობით შემოიფარგლებოდეს... რაც შეეხება გეოსტრატეგიულ ასპექტს: დამოუკიდებელი საქართველო წარმოადგენს საკვანძო რგოლს, მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის მიწოდების უზრუნველყოფის ჯაჭვში.

დასავლეთმა მკაფიოდ და ქმედითად უნდა უპასუხოს რუსეთის აგრესიას. სიტყვა „ქმედითად“ არ ნიშნავს ძალის გამოყენებისკენ მოწოდებას. ახალი „ცივი ომის“ დაწყებასაც არა აქვს აზრი. მაგრამ დასავლეთმა და პირველ რიგში, შეერთებულმა შტატებმა კვლავაც უნდა გააგრძელოს მსოფლიო თანამეგობრობის მობილიზება, რუსეთის ნაბიჯების დასაგმობად.

იმაზე ლაპარაკი, თუ კონკრეტულად რა ზომები უნდა მიიღოს დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ, ცოტა ნაადრევადაც კი მეჩვენება. მაგრამ აუცილებელია მივაღწიოთ იმას, რომ რუსეთმა შეიგნოს: ის სრული საერთაშორისო გაკილვის ზღურბლზე დგას.

განსაკუთრებულად შემაშფოთებელი ეს, ამ ქვეყნის ახალი ბიზნესელიტისთვის უნდა იყოს, რომელიც დიდადაა დამოკიდებული გლობალურ საფინანსო სისტემაზე. გავლენიან რუს ოლიგარქებს დასავლეთის ბანკებში ანგარიშებზე მილიარდობით დოლარი აქვთ შენახული და „ცივი ომის“ დაწყების შემთხვევაში, ბევრი რამ აქვთ დასაკარგი, რადგან დასავლეთთან დაპირისპირების შედეგად შეიძლება, ეს ქონება უბრალოდ გაუყინონ...

ამჟამინდელი ქართული კრიზისი რუსეთისთვის დიდი გამოცდის ჟამია. თუ პუტინი კვლავაც გააგრძელებს აღებული კურსით სვლას და დასახულ მიზნებს საქართველოში მიაღწევს, ის უკრაინასა და სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებს მიადგება და მაშინ, მათი დამოუკიდებლობა მხოლოდ დროის საკითხი იქნება... ეს რომ არ მოხდეს, დასავლეთმა უნდა გასცეს მშვიდი, მაგრამ მტკიცე და სტრატეგიულად მკაფიო პასუხი, რომელსაც ასე ჩამოვაყალიბებდი: ჩვენი მიზანია — დემოკრატიული რუსეთი, რომელიც სუვერენიტეტის, კანონისა და დემოკრატიის პრინციპებზეა დამყარებული, გლობალური სისტემის კონსტრუქციულ მონაწილეს წარმოადგენს. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ მსოფლიო დაანახვებს მოსკოვს: ჩვენს პოსტიმპერიულ ხანაში ვერანაირი ნაციონალიზმი ვერ იქცევა ახალი იმპერიის შენების საფუძვლად, როგორც უნდა ეცადონ.

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 26

საქართველოს ოკუპაციით დაგროვილი „დივიდენდები“ და კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივა

„ასეთი გაერთიანებული მსოფლიო თანამეგობრობა არავის უნახავს“

ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთხელ მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. მას შემდეგ, რაც აგრესორმა რუსეთმა ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა, მას მთელი მსოფლიო დაუპირისპირდა. საფრანგეთის პრეზიდენტის ექსპუნქტიანი გეგმის მიხედვით, რომელსაც სამი ქვეყნის პრეზიდენტმა — ნიკოლა სარკოზიმ, მიხეილ სააკაშვილმა და მათთან ერთად, დმიტრი მედვედევმაც მოაწერა ხელი, რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებს 18 აგვისტოდან უნდა დაეწყოთ საქართველოდან გასვლა, მაგრამ რუსეთი არც ამჯერად ასრულებს პირობას. აკადემიკოსი ლევან ალექსიძე მიიჩნევს, რომ ბოლოს და ბოლოს, მას ნაკისრი ვალდებულების შესრულება მაინც მოუწევს... კონკრეტულად რა მოიგო და რა წააგო რუსეთმა, საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიული ქმედებებით?.. — სწორედ ესაა მთავარი კითხვა, რომლითაც საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტს მივმართეთ.

ლალი პაპასკირი

— ბატონო ლევან, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებაში რუსეთი საქართველოს ადანაშაულებს, საქართველო კი — რუსეთს. თქვენი აზრით, ვის აძლევდა ხელს საომარი მოქმედებები?

— პირველ რიგში, ვწუხვარ იმის გამო, რაც საქართველოში მოხდა და ქედს ვიხრი იმ გმირი ბიჭების სულების წინაშე, რომლებმაც ისეთი მედგარი წინააღდეგობა გაუწიეს აგრესორს, რომ რუსი ექსპერტები გაოცდნენ. მათი თქმით, ქართველი სამხედროები საოცარი პროფესიონალიზმით იცავდნენ თავს რუსეთის ჯარისგან. ამ ბრძოლამ დაანახვა და ათქმევინა რუსებს, — მათთან შედარებით, ჩვენ გამოუცდელი ჯარი გვყოლიაო. ეს იცით, რას ნიშნავს?!. ჩვენი დანაკარგი არის მინიმალური. ჩვენმა ბიჭებმა სტრატეგიული თვითმფრინავი ჩამოაგდეს! ასეთი ტიპის თვითმფრინავის ჩამოგდება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ გვქონია ისეთი იარაღი, რომელმაც ეს შეძლო. ამიტომაც წამოვიდნენ ისინი კალიასავთ ჩვენ წინააღმდეგ. ამიტომ ვამაყობ ჩვენი ჯარით, ჩემი ხალხით და იმ ერთიანობით, რომელიც ბოლო დღეებში ქართველმა საზოგადოებამ გამოიჩინა... რაც შეეხება ომის დაწყების მიზეზს: რუსეთი ამისთვის დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა. ამის შესახებ აქტიურად იწერებოდა რუსულ პრესაშიც. „ნოვაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ პოლიტიკური მიმომხილველის ინტერვიუში ნათქვამია, რომ ომი ჯერ კიდევ აპრილში უნდა დაწყებულიყო. ახლა თუ არ წამოეგებოდნენ პროვოკაციას, მორიგი სამხედრო ოპერაცია ზემო აფხაზეთში იგეგმებოდა. კონკრეტულად ცხინვალში რა მოხდა, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის ქმედებები ნაუცბათევსა და მოუმზადებელს არ ჰგავდა. ფაქტია, რომ რუსეთმა თითქმის მთელი საქართველო ერთ დღეში დაიპყრო. რამდენიმე დღეში ქვეყანაში 1000 ტანკი შემოვიდა. ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს იყო სპონტანური ქმედება. შესაძლოა, ჩვენ რუსეთის პროვოკაციას წამოვეგეთ და ამან მოვლენები დააჩქარა, თუმცა ფაქტია, რომ დღეს თუ არა — ხვალ, ეს მაინც მოხდებოდა. მართალი გითხრათ, რუსეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებების დაწყებას უფრო ადრეც ველოდი. ბუქარესტის სამიტზე საქართველოს „მაპის“ მიღებაზე უარი უთხრეს, მაგრამ დასძინეს, — დეკემბერში ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებითო. ეს აშკარა მინიშნება იყო, რომ საქართველოს, ნატოში გაწევრების რეალური შანსი ჰქონდა. რუსეთს აგრეთვე აღიზიანებდა ჩვენი პროდასავლური კურსი. მას ეგონა, ნატოსა და ევროკავშირს შორის განხეთქილებაა და საქართველოს თუ ახლა დავესხმებით თავს, არავინ არაფერს გვეტყვისო. თანაც, რუსეთმა დაჩქარა მოვლენები, რითაც საერთაშორისო საზოგადოება ფაქტის წინაშე დააყენა — აი, მე რა შემიძლიაო!.. ჩემი აზრით, რუსეთის ორივე სურვილი პოლიტიკურად ჩაიშალა. თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი გაერთიანებული მსოფლიო თანამეგობრობა ჯერ არავის უნახავს და პირველად მოვისმინე ამერიკისგან ასეთი უმკაცრესი ტონი. უპრეცედენტო მხარდაჭერაზე მიანიშნებს 17 ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი, რომელმაც საქართველოს დასახმარებლად ტვირთი უნდა შემოიტანოს, ასევე — სამხედრო გემები, რომლებიც დღეს თუ ხვალ მოადგებიან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს. გარდა ამისა, მსოფლიოსა და მათ შორის რუსეთზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროკავშირის თავმჯდომარე სახელმწიფოს მეთაურის — საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის პოზიციამ და გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის სიტყვებმა: რუსეთის ქმედებები „არაპროპორციული“ იყოო. ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისგება მოუწევთ.

— იმ უმძიმესი ორი დღის განმავლობაში, როცა რუსეთი საქართველოზე საჰაერო იერიშებს ახორციელებდა, ევროპა პრაქტიკულად დუმდა, რაც ძვირად დაგვიჯდა. რით ახსნით ამ პასიურობას?

— ეს არის ის, რაც საქართველოს პრეზიდენტმა მათ ბრალდებად წაუყენა. ევროპას ეგონა, რომ რუსეთი რეალურ მოქმედებებზე არ გადავიდოდა. რუსეთ-საქართველოს ომამდე, საქართველოში საფრანგეთის ელჩმა განაცხადა: ჩვენ ახლა ძალიან ბევრი საქმე გვაქვს და რუსეთმა თავის საქმეს თვითონ მიხედოსო. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთმა თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა, ისინი დარწმუნდნენ, რომ სულ მალე ეს მონსტრი მათაც მიუბრუნდება.

— თქვენმა კოლეგებმა რუსეთის პოლიტიკური ანატომიის უცოდინარობაში ქართველი პოლიტიკოსებიც დაადანაშაულეს...

— ვერ დავეთანხმები ამ მოსაზრებას. რუსებთან ურთიერთობა ჯერ კიდევ 1989 წლის აპრილიდან მაქვს. დღემდე აქტიურად ვმუშაობ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხზე. აფხაზებიც და ოსებიც, ჯერ კიდევ მაშინ, რუსების ენით ლაპარაკობდნენ. რუსეთი სეპარატისტულ რეგიონებში იმავე პოლიტიკას ატარებდა, რომელსაც დღეს ატარებს. აფხაზეთის ომში რუსული რეგულარული ჯარები და საჰაერო თავდაცვა იბრძოდა. 10 მეომარს შორის, აფხაზი მხოლოდ ორი იყო, დანარჩენი — ბასაევის ხალხი, კაზაკები და „ბომჟები“ იყვნენ. იგივე ხდებოდა ოსეთშიც. იქ რუსეთის შინაგანი ჯარები იდგნენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ რუსეთი ასეთ პოლიტიკას 1921 წლიდან აწარმოებდა. მაშინ მოწინავე ქვეყნების დუმილით ისარგებლა და საქართველოს სამხედრო ინტერვენცია და ქვეყნის ანექსირება მოახდინა. იმ პოლიტიკოსების მოსაზრებას ვერ დავეთანხმები,

ვინც რუსეთთან დიპლომატიური ენით საუბარს (შედეგი ექნება თუ არა) მაინც წარმატებულ პოლიტიკად მიიჩნევს. რუსეთს რაც უფრო „დაუწვები“, მით უფრო თავზე წამოგაჯდება. ეს მათი თეზისია, რომელიც საკუთარ თავზე გამოცადე. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ რუსეთი ჩვენში დემოკრატიული გზით მოსული ხელისუფლების შეცვლას ცდილობდა. მათ ეს არ გაუვიდათ და არც უნდა გაუვიდეთ, რადგან ქართველი ხალხი არ დაუშვებს, მის ოჯახში უფროსს ვიღაც სხვა უნიშნავდეს. შეიძლება, ჩვენს პოლიტიკოსებს ზოგჯერ მართლა ზედმეტი მოსდიოდათ, მაგრამ პუტინს არანაკლებ შეურაცხმყოფელი გამოსვლები ჰქონია. დიახ, ვეთანხმები იმ აზრს, რომ მეტი თავშეკავება გვმართებდა, მაგრამ ომს პირადი შეურაცხყოფის გამო არ იწყებენ. დიახ, საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ იმის უფლება არავის უნდა მივცეთ, როცა მოუნდება, თავში ხელი წამოგვიტყაპუნოს. ეს ეროვნული ღირსების საქმეა. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ჩვენს ხელისუფლებას მცდარი ნაბიჯი არ გადაუდგამს. როცა ორგანიზმს ჩირქიანი ჭრილობა აწუხებს და ის თანდათან უფრო ფართოვდება, უნდა გაიჭრას, რადგან შეიძლება, მთელი ორგანიზმი მოწამლოს. მსხვერპლი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გაიღო, უკვალოდ არ გამქრალა. მსოფლიომ დაინახა, თუ რას წარმოადგენს რუსეთი და ის, რომ საქართველოზე განხორციებული აგრესია წინასწარ იყო მომზადებული. ეს ინტერვენციის ტემპებითა და გეგმებით გამოჩნდა. მიუხედავად ამისა, რუსეთმა მაინც წააგო. მარტო ის ეყოფათ სირცხვილად, თუ როგორ ხამებივით იქცეოდნენ მისი ჯარისკაცები ქართველების ყაზარმაში. ამით რუსული ჯარის მორალური და მატერიალური სახე გამოჩნდა. ეს რას ნიშნავს, იცით? დიდ სახელმწიფოებში ის ომს ვერასდროს მოიგებს, ამიტომაც მიიწევს პატარა ქვეყნებისკენ. მათ ისიც ეყოფათ მორალურ მარცხად, რომ ჩვენმა ბიჭებმა რუსეთის 65-კაციანი ელიტური სპეცრაზმი გაანადგურეს ისე, რომ მათთან ბრძოლისას ქართულ სპეცრაზმს ერთი კაციც არ დაუკარგავს. ცხინვალის ომი ჩვენ მოგებული გვქონდა. ამას მიხვდა რუსეთი და იმიტომაც გადმოვიდა საჰაერო იერიშზე. ახლა კი ოსი ხალხის გენოციდში გვადანაშაულებს. როცა ქვეყანაში საბრძოლო მოქმედებები რომელიმე ქალაქში მიმდინარეობს, იქ მშვიდობიანი ხალხი ყოველთვის იჭყლიტება და ეს ტრაგედიაა, მაგრამ ის, რასაც ახლა რუსები ქართულ სოფლებში სჩადიან, ეთნიკური წმენდა და გენოციდია.

— საერთაშორისო საზოგადოების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, საოკუპაციო ჯარები საქართველოში რჩებიან. თუ რუსეთმა ხელშეკრულება კიდევ ერთხელ დაარღვია, რას უნდა ველოდეთ მსოფლიო თანამეგობრობისგან?

— კვირის ბოლომდე ისინი გავლენ, მათ სხვა გზა არ აქვთ. წინააღდეგ შემთხვევაში, საერთაშორისო თანამეგობრობა მათ წინააღმდეგ ძალიან სერიოზულ მექანიზმებს გამოიყენებს. ამერიკას, ნატოს ქვეყნებთან

თუ რუსეთმა დადებული შეთანხმება დაარღვია, ის პირადად ნიკოლა სარკოზის ავტორიტეტს შელახავს

შეხვედრაზე, საქართველოს ინტერესების დაცვამ მოუწია, რადგან საქართველოს დამარცხება მის დამარცხებას ნიშნავს. სამხრეთ კავკასიის რეგიონში ამერიკის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი — საქართველოა და ეს ამერიკამ კარგად იცის. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა ევროპისთვის სასიცოცხლო ზონაა. რუსეთი თუ მიუშვეს, ის ევროპას ენერგომატარებლებს გადაუკეტავს. შუა აზიასა და ევროპას კი ერთმანეთთან საქართველო აკავშირებს. ამიტომაც უმიზნებდნენ მილებს... კიდევ ერთი და ყველაზე მთავარი: რუსეთი ვერ ეგუება იმას, რომ კავკასიაში ამერიკის გავლენა იზრდება. მას საბჭოთა კავშირის აღდგენა და მიმდებარე ტერიტორიების ხელახლა დამონება უნდა, რათა შემდეგ იმ ქვეყნებში თავისი მარიონეტული ხელისუფლება დასვას. თუმცა, მე თუ რაიმე პროგნოზის გაკეთება შემიძლია, დარწმუნებული ვარ, რომ ამის უფლებას რუსეთს ევროპა აღარ მისცემს. თუ რუსეთმა დადებული შეთანხმება დაარღვია, ის პირადად ნიკოლა სარკოზის ავტორიტეტს შელახავს, რადგან საფრანგეთის პრეზიდენტმა შუამავლობა იკისრა. მესმის, ჩვენ მიჩვეული ვართ რუსეთისგან შეთანხმების დაღვევას, მაგრამ თუ ამჯერადაც იმავეს გაიმეორებს, მსოფლიოსგან საკადრის პასუხს მიიღებს... მას საქართველოში თავისი რომ გაეტანა, შესაძლოა, პოლონეთისა და უკრაინისთვისაც შეეტია, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა უფრო დიდი სახელმწიფოა, მსოფლიოს ზემოქმედების ბევრად მეტი მექანიზმი აქვს, საკმაოდ კარგი ჯარი ჰყავს და არც სამხედრო ტექნიკა დაეწუნება. მაგრამ რუსეთმა საქართველოში უკვე მოიტეხა კისერი. ჩვენი ქვეყანა „სასინჯ ქვად“ იქცა. მსოფლიომ დაინახა, რომ დღევანდელი რუსეთი ჰიტლერის პოლიტიკის გამგრძელებელია. მაპატიეთ, მაგრამ იმ დემოკრატიულ რუსეთს რა ვუთხარი, სადაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ჰიმნს უკრავენ!.. ასე და ამრიგად, რუსეთს თავისი საოკუპაციო ჯარები პირველი მოთხოვნისთანავე რომ გაეყვანა, ყველა და მათ შორის რუსეთის საზოგადოებაც მიიჩნევდა, რომ საქართველოში ომი წააგეს. რაც შეეხება ზემო აფხაზეთს, სადაც ამჟამად აფხაზები იმყოფებიან, როცა რუსეთი გადის, ის ვალდებულია, სეპარატისტებიც გაიყვანოს. კოდორის ხეობა რუსეთის ჯარმა აიღო, ამის შემდეგ შევიდნენ იქ აფხაზები. ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოში არსებული ვითარება უნდა დაუბრუნდეს 6 აგვისტოს მდგომარეობას. მათ გორში ყოფნაც ძალიან უნდათ, მაგრამ უსაფრთხოების ზონის შექმნის შემდეგ, მხოლოდ იმ ტერიტორიის გაკონტროლება შეეძლებათ.

— რაც შეეხება ე.წ. კონფლიქტური ზონების ინტერნაციონალიზაციას: რამდენი ქვეყნის თანხმობა და სურვილია ამისთვის საჭირო?

— 5-6 სახელმწიფოს თანხმობა საკმარისია და ამას ბევრი დრო არ დასჭირდება. ამ ქვეყნებმა მშვიდობიანი ჯარი უნდა გამოგზავნონ... თავის დროზე, ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსი სამშვიდობოების შეყვანაზე ქართულ მხარეს ძალით

გაერთიანებული ტელეკომი

„გაერთიანებული ტელეკომის“ აქცია

კომპანიის ინიციატივით შექმნილია დევნილთა დახმარების ფონდის ნომერი 101-101, სადაც ფიქსირებული ქსელის, მათ შორის, უკაბელო ტელეფონით მოსარგებლე ყველა აბონენტს შესაძლებლობა აქვს, ამ ნომერზე დარეკვის შემთხვევაში, თავისი სატელეფონო ანგარიშიდან გადაურიცხოს 3 ლარი სრულად, რუსეთის საოკუპაციო ჯარების მოქმედების შედეგად დაზარალებულებს.

მოაწერინეს ხელი. ახლა კი, როცა დასავლური მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, რუსები იქ თავიანთ მოქალაქეებს იცავენო, — ისინი ცრუობენ. რუსეთმა 90-იანი წლების მოვლენების შემდეგ დაურიგა მათ პასპორტები, უფრო ადრე ის ადამიანები საქართველოს მოქალაქეები იყვნენ. ასეთივე მცოცავი აგრესიით მოქმედებდა ჰიტლერი ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში... ასევე მცდარია აზრი, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაყოფის შესახებ. ოსი ხალხის კულტურისა და ისტორიის პატრიარქი აბაევი 90-იან წლებში წერდა: არავითარი გაყოფილი ხალხი არ არსებობს, ეს არის ხალხი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა და ცხოვრობდა; ის, ვინც ამაზე ლაპარაკობს, ოსი ხალხის მტერიაო... თავიდან ცხინვალში მხოლოდ ორი ოსური ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ შემდეგ მას დუშეთის, რაჭისა და გორის მაზრებიდან მიუერთეს ტერიტორიები და ასე შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ოლქი. მე ოსი ხალხის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ როგორც ჩანს, არ იციან, თუ როგორ ცხოვრობდნენ ქართველებთან ერთად... ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი უკმაყოფილო იყო: 600 სკოლა გვაქვს და არსად ოსური ენა არ ისწავლება, მაშინ, როცა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა ასეთი პრივილეგიებით სარგებლობსო!.. ასევე იყო აფხაზეთში. ისიც კარგად ვიცი, ახლა როგორ ცხოვრობენ: უკვე უმცირესობაში არიან, რადგან ნორმალურმა აფხაზებმა ჯერ კიდევ ომამდე დატოვეს იქაურობა... ის, რაც დღეს ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ხდება, არის თვითგენოციდი. დრო მოვა და ამას ბაღაფში მიხვდება, მაგრამ არა მგონია, დეგენერატი კოკოითი რამეს მიხვდეს. მას თავისი ერის ტკივილი არ სტკივა.

— თქვენი აზრით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები რუსეთის გარშემო?

— რუსეთს ჯერ ზარალის დათვლა მოუწევს... ეკონომიკის თვალსაზრისით, ასეთი სიტუაცია შეიქმნა: დოლარის კურსი დაეცა, რუსეთს კი ყველაფერი დოლარში აქვს ნაყიდი. გარდა ამისა, დაიწია ნავთობის ფასმა და ის კიდევ უფრო გაიაფდება. საფრთხის წინაშეა რუსი მილიარდერების კაპიტალი. რაც შეეხება პოლიტიკას, — შესაძლოა, ის გარიცხონ ევროსაბჭოდან, ეუთოდან და „დიდი რვიანიდან“, თუმცა, ჩემი აზრით, ჯობია დატოვონ. კი თქვა, — ლათინურ ამერიკასთან, ჩინეთთან და ინდოეთთან კარგი ურთიერთობა მაქვსო, — მაგრამ ლანითურ ამერიკაში ჩავესი უჭერს მხარეს, დანარჩენები პროამერიკულად არიან განწყობილნი. ჩინეთში კი ნახეს, რომ რუსეთი სეპარატისტების მთავარი წამქეზებელია; ეს მაშინ, როცა ტიბეტის ცალკე გასვლის საფრხე არსებობს. არც იაპონიას მოეწონება მათი „კარგი ურთიერთობა“. გარდა ამისა, ყველამ დაინახა, თუ რა უვარგისი ჯარი ჰყავს რუსეთს. რაც მთავარია, საქართველოს ეკონომიკა რამდენიმე წელიწადში აღდგება, მაგრამ რუსეთის ავტორიტეტის აღდგენას ნახევარ საუკუნეზე მეტი დასჭირდება. ■

ომის დროს ეთერში გაჭრილი პირველი რადიო

„კვირის პალიტრის“ მედიასახლს, ცოტა ხნის წინ, ახალი სეგმენტი — რადიო შეემატა, რომელიც ახალი სეზონისთვის თავდაუზოგავად მუშაობდა, ახალ პროექტებს ამზადებდა, მაგრამ ქვეყანაში შექმნილმა საომარმა ვითარებამ, რადიოს ხელმძღვანელობის გეგმები სრულიად შეცვალა... 17 აგვისტოს რადიო „პალიტრამ“ თავისი ხმა შეუერთა ქვეყანაში არსებულ სიტუაციას და შეიძლება ითქვას, რომ ფრონტის ხაზზე გაიჭრა.

ჩვენ გავესაუბრეთ რადიოს საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელს ბაია ცანავას:

ანუ თქვენ უსმენთ რადიო „პალიტრას“ — „FM 103,9“

ლალი ფაცია

— საერთოდ, ჩვენს მედიასახლში რადიოს შექმნის იდეა რამდენიმე თვის წინ გაჩნდა. კარგად მოგეხსენებათ, რომ მას ბეჭდურ და ელექტრონულ მედიასაქმიანობაში დიდი გამოცდილება აქვს, მაგრამ აქ რადიოს ანუ სრულიად ახალი სეგმენტის ამუშავება მართლაც სიახლეა. ცნობილი ფაქტია, რომ ნებისმიერი მედიასაშუალება ყოველი ახალი სეზონისთვის საგანგებოდ ემზადება და ცდილობს, მომხმარებელს ახალი პროექტები შესთავაზოს. ჩვენც ასე გვქონდა გადაწყვეტილი, რომ რადიო სექტემბრის შუა რიცხვებში ახალი, საინტერესო პროექტებით გავიდოდა ეთერში.

— რა პროექტებს ამზადებდით?

— საინფორმაციო გამოშვებასთან ერთად, ვამზადებდით სხვადასხვა საავტორო გადაცემას, ტოქშოუს (სპორტული, მუსიკალური, კულტურული, იუმორისტული), მაგრამ იმის გამო, რომ ქვეყანაში საომარი მდგომარეობაა, გადავწყვიტეთ, ეთერში საგანგებო რეჟიმში გავსულიყავით. მივიჩნიეთ, რომ ამ ეტაპზე საზოგადოებაში ინფორმაციაზე სერიოზული მოთხოვნაა. მოსახლეობას ოპერატიულად აინტერესებს ცხელ-ცხელი ინფორმაცია. ვინაიდან გაგვაჩნია შესაბამისი ბაზა, ყველანაირი საშუალება ანუ ხელი მიგვიწვდება ოპერატიულ და სანდო ინფორმაციაზე, გუნდის შემოქმედებით დახვწას აღარ დავველოდეთ და საინფორმაციო გამოშვებით საგანგებოდ გავედით ეთერში.

— როდესაც შესაბამის საინფორმაციო ბაზაზე ლაპარაკობთ, ალბათ, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ გულისხმობთ, არა? მისი ხელმძღვანელიც თქვენ ბრძანდებით...

— დიახ, ჩვენს სააგენტოს საინფორმაციო ბაზარზე არსებობის დიდი ხნის გამოცდილება აქვს და რადიოს ასამუშავებლად სწორედ მისი „ნიუს-რუმი“ იქნა გამოყენებული. რადიოს საინფორმაციო სამსახური მის ინფორმაციებს ეყრდნობა.

— რითი იქნება რადიო „პალიტრა“ გამორჩეული?

— იმედი მაქვს, რომ ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა მალე დაისადგურებს და იმ ტიპის გადაცემებზეც გაჩნდება მოთხოვნა, რომლებსაც სამომავლოდ ვგეგმავდით. მჯერა იმის, რომ ჩვენში ისევ მოუნდებათ ადამიანებს ასეთი ტიპის გადაცემების მოსმენა.

— ამ ეტაპზე რით არის რადიო „პალიტრის“ ეთერი დატვირთული?

— ახლა ჩვენს ეთერში მხოლოდ საინფორმაციო გამოშვება და მუსიკა გადის. საინფორმაციო გამოშვება განსხვავებული ფორმატის გახლავთ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას ცოტა ტოქშოუს ელფერიც დაჰკრავს. ეთერში მუდმივად ვრთავთ ექსპერტებს, პოლიტოლოგებს, რომლებიც მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელ შეფასებებს, კომენტარებს აკეთებენ. არის აზრთა გაცვლა-გამოცვლა. თავიდან გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ინფორმაცია საათში ერთხელ გასულიყო. ახლა კი ვაახლებთ ეთერს მაშინ, როცა გვაქვს ახალი და ოპერატიული ინფორმაცია.

— საინფორმაციო სამსახურის გუნდი როგორ დაკომპლექტდა?

— ახალი არაა, რომ საინფორმაციო გამოშვებას სჭირდება საინფორმაციო გამოშვების წამყვანები. სწორედ ასეთი გამოცდილი და კომპეტენტური ადამიანები გვყავს. მათ წლების განმავლობაში სხვადასხვა მედიასაშუალებაში, რადიოსადგურებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. რაც შეეხება ჟურნალისტებს, რადიო საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ჟურნალისტებისგან არის დაკომპლექტებული, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მსმენელს აწვდიან უახლეს, ოპერატიულ, სანდო ინფორმაციებს.

— რამდენად ხართ ტექნიკურად მომზადებული, რომ რეგიონებიდან ეს ჩართვები განხორციელდეს?

— ყველანაირი ტექნიკური საკითხი, რომ ჩართვები განხორციელდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, მოგვარებულია. ასე რომ, მზად ვართ.

— რამდენიმე დღის გასხსნილ რადიოზე უხერხულია ამ შეკითხვის დასმა, მაგრამ მაინც როგორი ინფორმაცია გაქვთ, შეიძინა თუ არა უკვე მსმენელი?

— ჩემდა გასაკვირად, სასიამოვნო ზარები მივიღეთ. ეტყობა, მსმენელმა ერთმანეთს გააგებინა, რომ რადიოსივრცეში ახალი რადიო გაჩნდა. გვირეკავენ ჩვენი კოლეგები, პოლიტი-

ამ ეტაპზე, ინფორმაციაზე მოთხოვნამ ყველანაირი რეკორდი მოხსნა

კოსები, რიგითი მოქალაქეები, რაც ძალიან სასიხარულოა. დიდი ხანია, საინფორმაციო სამსახურში ვმუშაობ და უნდა ვთქვა, რომ ამ ეტაპზე, ინფორმაციაზე მოთხოვნამ ყველანაირი რეკორდი მოხსნა. მაყურებელი, მსმენელი, მკითხველი ისე როგორც არასდროს, დაეწაფა ინფორმაციის მიღებას და ამას ცდილობს ყველანაირი საშუალებით. საოცარი ინტერესია საზოგადოებაში გაჩენილი. ამ ომმა საოცარი მასშტაბები შეიძინა. ამასთან, მოსახლეობისთვის მოულოდნელიც აღმოჩნდა. ამიტომ ადამიანები მოიცვა პანიკამ, შიშმა, გაურკვევლობამ, მოლოდინმა. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს მედიის მიმართ ნდობის ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იყო. ჩვენთან, საინფორმაციო სამსახურში („ინტერპრესნიუსი") გარკვეული ტექნოლოგია არსებობს, რომ ვებგვერდის მნახველების რაოდენობა დაადგინო. დღეს მან რეკორდულ ციფრს მიაღწია, მნახველების რიცხვი ასიათასობით იზრდება. იმდენი მნახველია, რომ ვებგვერდი ვეღარ უძლებს დატვირთვას. ამიტომ „ინტერპრესნიუსის" ვებგვერდი რამდენიმე ვებგვერდზე გადავიტანეთ, რომ მაქსიმალურად შეუფერხებლად ემუშავა.

— რას წერს მკითხველი? რას ითხოვს ის?

— მედიასაშუალებებს, ყველა შემთხვევაში, ამ ეტაპზე, არა მარტო ინფორმაციის გამავრცელებლის ფუნქცია გვაქვს, არამედ, თითქოს შუამავლის როლიც გვაკისრია ხელისუფლებას, მის სტრუქტურებსა და დაზარალებულ მოსახლეობას შორის. ასე რომ, ეს ფუნქციაც შევითავსეთ. გარდა ამისა, პირადად ჩვენი სააგენტო ინფორმაციას აგროვებდა დაზარალებულების შესახებ, რომელსაც ვანვდიდით შესაბამის სტრუქტურებს. ჩვენ ვაგროვებდით იმავე ჰააგის სასამართლოსთვის ფაქტებს. ოკუპანტების წინააღმდეგ ქართულმა მხარემ ჰააგის სასამართლოში სისხლის სამართლის სარჩელი შეიტანა. ამიტომ, ის ადამიანები, ვინც ჩვენთან რეკავდნენ, გვატყობინებდნენ, თუ სად გაიტაცეს, ვისზე მოხდა ძალადობის ფაქტი, ვის მიაყენეს შეურაცხყოფა ან ფიზიკურად გაუსწორდნენ. თითოეული ადამიანის მონაცემს სპეციალური სტრუქტურებისთვის გადასაცემად დღემდე ვაგროვებთ, მასალები რომ ერთვოდეს იმ სარჩელს, რომელსაც საერთაშორისო სასამართლო განიხილავს. ვეხმარებოდით იძულებით გადაადგილებულ პირებს დაკარგული ახლობლების პოვნაში. იყო შემთხვევები, როცა ისინი პოულობდნენ ერთმანეთს.

— საინტერესოა, ასეთი სერიოზული საინფორმაციო სააგენტოს ხელმძღვანელი, როგორ ართმევთ თავს კიდევ ორ საპასუხისმგებლო თანამდებობას, ეს გახლავთ რადიოს საინფორმაციო სამსახურის უფროსობა და ყოველკვირეული გაზეთის „ყველა სიახლე" მთავარი რედაქტორობა?

— ამ კითხვას საკუთარ თავსაც ვუსვამ ხოლმე... მაგრამ საქმის სიყვარული ადამიანს ყველაფერს შეაძლებინებს.

— მინდა, რადიო „პალიტრას" წარმატებები გისურვოთ.

— გმადლობთ. ჟურნალისტებს ექსტრემალური სიტუაციები გვიყვარს, მაგრამ არა ისეთი, როგორც ახლაა. იმედი მაქვს, ყველაფერი ჩაწყნარდება და თავის კალაპოტს დაუბრუნდება.

ამის შემდეგ რადიო „პალიტრის" დირექტორს **გიგა შამათავას** *გავესაუბრე:*

— ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავი ვალდებულად მივიჩნიეთ, რომ ამ დროისთვის გავსულიყავით ეთერში და ეს მოხდა 17 აგვისტოს. ნამდვილად არ ველოდით, რომ ასე უცებ მოვახერხებდით ყველაფერს, იქიდან გამომდინარე, რომ მთლიანად ჩვენი რადიო გადადიოდა ახალ ტექნიკაზე, რომელიც ევროპულ ქვეყნებში შევიძინეთ. მაგრამ დღეს რადიო მუშაობს უახლესი აპარატურით. ძალიან დიდი შრომა დასჭირდა ამ ყველაფერს. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ანძის თანამშრომლებს, რომლებმაც იმ დროში, როცა ყოველ წუთს ქალაქში ხმა ვრცელდებოდა, რომ რუსები ანძის დაბომბვას აპირებდნენ, ჩვენ მათთან ერთად ვა-

ტარებდით იმ სამუშაოებს, რომლებმაც უზრუნველყო დღესდღეობით ჩვენი ეთერში მუშაობა.

— თქვენი სიხშირე („FM 103,9“) სად ვრცელდება?

— ქალაქ თბილისსა და მის შემოგარენში: რუსთავში, წავკისში, წყნეთში, საგურამოში, ნატახტარსა და საგარეჯოში. შემდგომში ვაპირებთ მთელი საქართველოს დაფარვას. ამაზე უკვე მიმდინარეობს სამუშაოები. ვიმედოვნებთ, რომ ქვეყანაში ყველაფერი დალაგდება და ჩვენ ნორმალურად ფუნქციონირებას შევძლებთ.

— ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში დაწყებული მუშაობა რას ნიშნავს თქვენთვის?

— ნამდვილად არ ველოდით, თუ ასე სწრაფად გავიდოდით ეთერში, თუმცა ამას აქვს თავის დადებითი მხარეც. ვაპირებთ, ჩავატაროთ არაერთი საინტერესო აქცია იმ ადამიანებისთვის, ვინც იძულებით არის გადაადგილებული. ეს ჩვენი მოვალეობაცაა.

— რაც შეეხება თქვენს ეთერში გასულ მუსიკას, ის რა კატეგორიის მსმენელზეა გათვლილი?

— ყველა ასაკის ადამიანზე — 21-დან 70 წლის ასაკამდე. ეს რადიო თინეიჯერებზე არ არის გათვლილი. ძირითადად აქცენტი გვაქვს გაკეთებული იმ ოქროს ჰიტებზე, რომლებიც არსებობს მუსიკალურ ბაზაში. მას თანამედროვე ჰიტებიც ერთვის.

— როგორ გგონიათ, რადიო „პალიტრა“ კონკურენციას გაუწევს თუ არა ისეთ რადიოსიხშირეებს, როგორიცაა: „ფორტუნა“, „რადიო იმედი“, რომელებიც აგრეთვე ამ მიმართულებთ მუშაობენ?

— ამაზე წინასწარ ლაპარაკი არ მინდა. ჩვენ აქამდე ტრაბახის გარეშე მოვედით და ახლაც ასე ვაპირებთ მუშაობას. საკუთარ თავზე წინასწარ ლაპარაკი არ ღირს. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, მომავალში რას და როგორ გავაკეთებთ. ვეცდებით, ჩვენი გეგმები და მიზნები 5-იანზე შევასრულოთ. მერე ეს კონკურენციად ჩაითვლება თუ პირველობად, ამას მომავალი გვიჩვენებს. ჯერჯერობით, სულ რამდენიმე დღეა, რაც ვმაუწყებლობთ.

— გისურვებთ გეგმებისა და მიზნების განხორციელებას.

— გმადლობთ. ■

როგორ „ზრუნავენ“ ზუგდიდელებზე რუსი სამხედროები

სანამ მსოფლიო გაურჩებულ რუსეთს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას აიძულებს, სამეგრელოს რეგიონში მოთარეშე ოკუპანტები ადგილობრივ მოსახლეობას „ეთნიკური წარმოშობისა“ და „ეროვნულობის“ შესახებ აგიტაციას უტარებენ. უფრო მარტივად კი რუსი მოძალადეები ხალხს პირდაპირ ეუბნებიან, — თქვენ ქართველები კი არა, მეგრელები ხართ და ჩვენ აქ თქვენს გასათავისუფლებლად ჩამოვედითო... ამასაც არ სჯერდებიან და საქართველოს სახელმწიფოს საწინააღმდეგო პროკლამაციებსაც ავრცელებენ.

ლალი პაპასკირი

„სრული პასუხისმგებლობით გიცხადებთ, რომ ჩვენ ჩამოვედით თქვენი დედების, შვილების, ქმრების, მამებისა და ძმების სიცოცხლის დასაცავად. ჩვენ ვართ გარანტი, ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე მშვიდობიანი ცხოვრებისა და ცხინვალში მომხდარი ტრაგედიის მსგავსი უბედურების თავიდან აცილებისა. სააკაშვილმა ორჯერ მეტი დაანგრია, ვიდრე ააშენა და ის ქვეყანაში სიტუაციას ვერ აკონტროლებს. სააკაშვილის ხელით და ქართველი სამხედროების სიცოცხლის ფასად ხდება კრიზისიდან ამერიკისა და მისი პრეზიდენტის ბუშის გამოყვანა. სწორედ ის გახდა პანიკის მიზეზი 11 აგვისტოს სამხედროებს შორის, როცა მათ თბილისისკენ მიმავალ საკუთარ ტანკებს ესროლეს, უკან დახევისას კი ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მაროდიორობა დაიწყეს. მიხეილ სააკაშვილს ხელს არ აძლევს სიმართლის თქმა და ქართული საინფორმაციო საშუალებებით ადგილობრივი მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავს“.

სანამ რუსი სამხედროები თუ აგიტატორები ტექსტის შინაარსზე ფიქრობდნენ, ჯარისკაცებმა ადგილობრივ მოსახლეობას ჩამოუარეს. განსაკუთრებით ცუდ დღეში, ტრასასთან ახლოს მცხოვრებნი არიან. რუსები თავიდან იმ ოჯახებს სტუმრობდნენ, საიდანაც საჭმლის სუნი გამოდიოდა...

ნანული, *61 წლის:*

— სამსახურში მივდიოდი, მასწავლებლებს თათბირი გვქონდა. გზაში მიმავალს, ტანკი ცხვირწინ გამიჩერდა. სად მიდიხარ, დეიდაო? — სკოლაში-მეთქი. — მანახვე, შენი სკოლა სად არისო... უკვე სკოლის ჭიშკართან ვიყავი მისული და მოტყუებას აზრი არ ჰქონდა. ის ტანკიდან გადმოხტა, რაღაც ქაღალდები ააფრიალა, სკოლის ეზოში შეირბინა და კედელზე გააკრა.

— ტექსტი რუსულად იყო შედგენილი?

— დიახ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოსწავლეები, საბედნიეროდ, მისი თარგმნით თავს არ შეიწუხებენ... მერე მეც მომიბრუნდა და მითხრა, — ეს სახლში წაიღე, წაიკითხე და მიხვდები, ვინც ვართ; მტრებივით ნუ გვექცევით, ჩვენ თქვენი გადამრჩენელები ვართო. — რისგან უნდა გადაგვარჩინოთ-მეთქი? — თქვენი ავადმყოფი პრეზიდენტისგანო... თქვენ ქართველები არა ხართ, გატყუებენ, დამონებული ჰყავხართ და ეროვნულობას გართმევენო. ჩვენ დავალებული გვაქვს, დაგეხმაროთ, ისევე, როგორც აფხაზებსა და ოსებსო... რა ეტყობათ, შვილო, დახმარების? განახევრებულია ხალხი-მეთქი. — ეს თქვენი მოღალატე პრეზიდენტის დამსახურებაა, ჯარი იმისთვის უნდა, რომ საკუთარი ხალხი დაახოცვინოს; სააკაშვილმა აფხაზებსა და ოსებს ბოლო მოუღო, ახლა მეგრელების ჯერია, მაგრამ ჩვენ ამის ნებას არ მივცემთ, რადგან მერე თქვენს მიწაზე ამერიკელ სამხედროებს დაასახლებს და საქართველოც თანდათან წარსულს ჩაჰბარდება; ჩვენ კი გვინდა, მეგრელებსა და აფხაზებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში დაგეხმაროთო... ამ დროს მეორემ გადმოსძახა: ერთი ჰკითხე იმ ქალს, საჭმელი რა აქვს სახლშიო?.. ასე დადიან კარდაკარ, სახლში მურაბა და კომპოტი აღარ დაგვიტოვეს. ამას წინათ, ერთ-ერთ ქუჩაზე პურის საცხობს მიადგნენ და რაც კი პური იყო, სულ გაზიდეს. ჩემს სახლში საათი ჩამოხსნეს, ერთმა მითხრა: სექტემბერში ჩემს შეყვარებულს დაბადების დღე აქვს, როცა დავბრუნდები, მივართმევო. ძნელია ამათი არადაამიანური საქციელის ყურება. ამას წინათ დათვრნენ და შუა ტრასაზე ჯავშანტრანსპორტიორით გამოცვივდნენ. სამ ჯარისკაცს მეზობლის ღობესთან მიეძინა. შინ ძაღლი მყავს, კავკასიური ნაგაზი და ისე დაგლეჯა სამივე, ცხვირ-პირიდან სისხლი თქრიალით სდიოდათ. ძაღლის მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ვერ იპოვეს. სახლში ყველაფერი დამილეწეს... ათასგვარ საზიზღრობას ამბობენ და აკეთებენ. პრეზიდენტის რეზიდენცია ბოტანიკურ ბაღში იყო გაშენებული. ის რომ გადაწვეს, უნიკალური ხეებიც გაანადგურეს. ბაღი თითქმის გაპარტახებულია... ■



„გამწარებული და განადგურებული დედა ვარ, მაგრამ მეამაყება ჩემი შვილის გმირობა"

ეთო ყორღანაშვილი

შვილის დაკარგვით გამოწვეული მწარე სევდისა და ტკივილის მიუხედავად, დაღუპულის მწუხარებისაგან ცრემლგამშრალი დედა, ქალბატონი ნინო ჩემთან საუბარს მაინც დათანხმდა.

— ჩემს სამივე ვაჟიშვილს თავისი პროფესია აქვს: უფროსი სოფლის მეურნეობის სპეციალისტია, შუათანა — ეკონომისტი, უმცროსი კი — ისტორიკოსი იყო... ბესიკი ჯერ კიდევ მესამე კლასის მოსწავლე გახლდათ, როცა საქართველოს ისტორიის კითხვა დაიწყო. ყველა მნიშვნელოვანი თარიღი, მოვლენა, ბრძოლა როდის დაიწყო და რა შედეგით დასრულდა, ბრწყინვალედ იცოდა. 16 წლის ასაკში უკვე სტუდენტი იყო. უმაღლეს სასწავლებელში სკოლაში მიღებული ცოდნით ჩაა-

ჩვენი პატარა, მრავალჭირნახული საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებულმა აგრესიამ ბევრი ადამიანი უსახლკაროდ დატოვა, დააქვრივა, დააობლა...
წლის და 7 თვის დაჩიც მამის გარეშე უნდა გაიზარდოს, რადგან სამშობლოს დაცვისას, მისი მამა — 27 წლის ბესიკ კაპანაძე სასიკვდილოდ დაიჭრა...

16 წლის ასაკში უკვე სტუდენტი იყო

ბარა, რეპეტიტორებთან მომზადება არ დასჭირვებია... ჩემმა ვერც ერთმა ვაჟმა თავისი სპეციალობით ვერ იმუშავა და სამივემ სამხედრო სამსახური აირჩია. უფროს ბიჭს — მორისს ერაყიდან დაბრუნების მერე სამხედრო შემოწმება ჩაუტარდა და რადგან ნაღმზე აფეთქების შემდეგ, თეძოს ძვალი დაზიანებული ჰქონდა, სამხედრო სამსახური ვეღარ განაგრძო...

— ბესიკი სად მუშაობდა?

— ქვემო ქართლის განსაკუთრებულ საქმეთა სამმართველოში. მეუღლესთან და პატარა შვილთან ერთად, სიდედრ-სიმამრის სახლში ცხოვრობდა. ახლა ბინის ყიდვას და ცოლ-შვილთან ერთად, საცხოვრებლად ცალკე გასვლას აპირებდა, მაგრამ აღარ დასცალდა — განგებამ მწარე ხვედრი არგუნა. 4 წლის წინ, ცხინვალში ომი რომ იყო, ბესიკი მაშინაც იბრძოდა. სიკვდილს ძლივს გადაურჩა. მთელი ლიახვის ხეობის მოსახლეობა მის სახელს გაიძახოდა და მის გმირობაზე ლაპარაკობდა... ძალიან მამაცი და კეთილი გახლდათ. მეგობრების სული და გული იყო — ყველა უყვარდა და ყველას უყვარდა. ახლაც, ცხინვალში ბრძოლისას, საკუთარ თავზე მეტად, მეგობრებზე ზრუნავდა, თანამებრძოლებს ამხნევებდა, მათ დაცვას ცდილობდა... სამშობლოს დასაცავად 7 აგვისტოს წავიდა. რა მომასვენებდა? მთელი ღამის განმავლობაში 3-4-ჯერ დავურეკე. ძალიან ვნერვიულობდი. ბესიკი იქიდან მამხნევებდა: დედა, ნუ გეშინია, ჩემი იმედი ხომ გაქვსო? ბოლოს, 9-ის 10 წუთზე დავურეკე: ტელეფონში საშინელი ღრიანცელი, ხმაური, სროლისა და აფეთქების ხმა ისმოდა. შევძრწუნდი. ვკითხე: — შვილო, ეს რა ხმები მესმის, ცხინვალში ხომ არ შეხვედი-მეთქი? — არა, დედი, ტყვიავისკენ ვარ, ნუ გეშინიაო, — დამამშვიდა, თურმე ცხინვალში იბრძოდა... ჩემზე ზრუნავდა და მიფრთხილდებოდა. ამიტომაც დამიმალა სიმართლე... შემეშინდა, ჩემთან საუბრისას ყურადღება არ მოედუნებინა და რამე არ მოსვლოდა. სასწრაფოდ დავემშვიდობე — თავს გაუფრთხილდი, დედა გენაცვალოს-მეთქი. გამამხნევა და გაიცინა, ალბათ, ეს მისი უკანასკნელი სიცილი იყო... ერთი საათის მერე ჩემი შვილი დაიღუპა.

— ეს როგორ მოხდა?

— მისმა მეგობარმა, ლევანმა მითხრა: ჩემთვის გამიზნული ტყვია მოხვდაო. ლევანი და ბესიკი ერთად იბრძოდნენ, როცა მოწინააღმდეგის ტყვიები მათკენ ზუზუნით წამოსულა, ჩემს შვილს მეგობრისთვის უთქვამს: შენ გამოუცდელი ბიჭი ხარ, აბა, ყოჩაღად, არ შეგეშინდეს და აქაურობას გაეცალეო! ბესიკმა თანამებრძოლს ხელი ჰკრა და უსაფრთხო ადგილზე — ღობის იქით, წყალში გადაისროლა. როცა ლევანი „კანაოდან“ ამოვიდა და ღობეზე გადმოფოფხდა, ბესიკი უკვე მტრის ტყვიას დაეჩოქებინა... დაჭრილს ბიჭები მისცვივდნენ, ფეხზე წამოაყენეს, მაგრამ ჩემმა შვილმა ერთი სიტყვაც ვეღარ თქვა, მხოლოდ სისხლი წამოუვიდა პირიდან. გორის ჰოსპიტალში მიიყვანეს, მაგრამ ვეღარაფერი უშველეს.


ქვემო ქართლის განსაკუთრებულ საქმეთა სამმართველოში მუშაობდა

— შვილის დაღუპვის ამბავი როდის გაიგეთ?

— 8 აგვისტოს დაიღუპა, მაგრამ მცდარი ინფორმაცია მოგვაწოდეს — დაიჭრაო. ბევრი ძებნის მიუხედავად, ჰოსპიტალში მისულმა ოჯახის წევრებმა ბესიკი დაჭრილებს შორის ვერ აღმოვაჩინეთ. შემდეგ გვითხრეს: შეიძლება, მსუბუქადაა დაჭრილი და თბილისში გადაიყვანესო. თბილისში ჩამოვედით და ქალაქში არსებული ყველა საავადმყოფო მოვიარეთ, მაგრამ ამაოდ — მის კვალს ვერსად მივაგენით. როგორც ფილმ „ჯარისკაცის მამაშია“ აღწერილი, ისეთ დღეში ვიყავი — შვილს ვეძებდი და მისი პოვნის იმედს არ ვკარგავდი. ისევ გორში მივბრუნდით. ბესიკის უფროსი ძმა და მამა ჰოსპიტალში ჩემ გარეშე მივიდნენ — გადაწყვეტილი ჰქონდათ, მორგში ენახათ ჩემი შვილი... ჰოსპიტალში აუწყეს, კაპანაძე ბესიკი არა, მაგრამ ზვიადი თბილისში გავგზავნეთ, დამტვრეული იყოო. ზვიადი ბესიკის ძმაა...

— ისიც იბრძოდა?

— დიახ, ისიც ცხინვალში იბრძოდა. ბესიკის დაღუპვამდე, 10 წუთით ადრე ერთმანეთს შეხვედრიან. ზვიადს ძმისთვის უთქვამს: — ცოტა ფრთხილად იყავი, აქ ძალიან ცუდი ამბები ხდებაო. ბესიკს უპასუხია: — რას უნდა მოვერიდო, როცა შენ აქ ხარო? შემდეგ ერთმანეთს დაშორებიან. ქართველები ტყვიაწამლის გარეშე რუსების ალყაში მოექცნენ, ზვიადს დაურეკეს და ისიც, რამდენიმე ბიჭთან ერთად, იარაღით დატვირთული მანქანით, თანამებრძოლების დასახმარებლად გაემართა, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია. მტერმა ცეცხლი გაუხსნა და მანქანა სამჯერ გადატრიალდა. რუსებმა ალბათ, იფიქრეს — ცოცხალი ვერავინ გადარჩებოდაო და სროლა შეწყვიტეს. ზვიადი და მისი მეგობრები გონს რომ მოვიდნენ, მანქანიდან გადმოსვლა გაჭირვებით მოახერხეს. მათ შორის, 6 ბიჭი დამტვრეულ-დასახიჩრებული იყო. ისინი ადგილზევე დატოვეს,

ტელეფონში საშინელი ღრიანცელი, ხმაური, სროლისა და აფეთქების ხმა ისმოდა. შევძრწუნდი. ვკითხე: — შვილო, ეს რა ხმები მესმის, ცხინვალში ხომ არ შეხვედი-მეთქი? — არა, დედი, ტყვიავისკენ ვარ, ნუ გეშინიაო, — დამამშვიდა, თურმე ცხინვალში იბრძოდა...

რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, მაგრამ მათთვის მაშველი მანქანის შეგზავნა მაინც მოახერხეს. სამწუხაროდ, იმ 6 ბიჭიდან, არც ერთი აღარ დახვდათ — არავინ იცის, მძევლებად აიყვანეს, თუ დახოცეს, არსად ჩანან...

— ზვიადი მძიმედ დაშავდა?

— სხვებთან შედარებით — არა. ფეხი დაუეჟილი ჰქონდა, ცხვირი გატეხილი, სულ გაშავებული იყო, მაგრამ რაც მთავარია, სიარული შეეძლო. მისთვის ფეხს რომ ეღალატა, ვერ გადარჩებოდა. გორის ჰოსპიტალში მიიყვანეს, იქიდან კი — თბილისში. რომ გაიგო, ბესიკს ვერც მკვდარს და ვერც ცოცხალს ვერ ვპოულობდით, საავადმყოფოში რაღა გააჩერებდა? ექიმების წინააღმდეგობის მიუხედავად, ძმის მოსაძებნად მაინც წავიდა და საკუთარ დაბადების დღეზე, 8 აგვისტოს გორის ჰოსპიტალის მორგში თავის ძმას მიაგნო...

ბესიკის დაღუპვამდე, 10 წუთით ადრე ერთმანეთს შეხვედრიან. ზვიადს ძმისთვის უთქვამს: — ცოტა ფრთხილად იყავი, აქ ძალიან ცუდი ამბები ხდებაო

გიორგი *(ბესიკის მეგობარი):*

— როცა კაცი საბრძოლველად მიდის, ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს; იმ აზრს უნდა შეეგუოს, რომ შესაძლოა, არ გაუმართლოს... ყველა ქართველმა და ყველა ვაჟკაცმა უნდა ინატროს ისეთი გმირული სიკვდილი, როგორითაც ბესიკმა დაასრულა სიცოცხლე.

— აი, ეს პატარა გოგო ბესიკის მეუღლეა, — *მიმითითა ქალბატონმა ნინომ ოთახში შემოსულ სასიამოვნო გარეგნობის გოგონაზე,* — დღეს მისი დაბადების დღეა, დღეს დავკრძალეთ მისი ქმარი... 25 აგვისტოს ბესიკის დაბადების დღე უნდა ყოფილიყო... განგებამ რაღაც საოცარი „სიურპრიზები“ მოგვიწყო, შვილო.



ბესიკის ცოლ-შვილი

მაია, *22 წლის, მეუღლე:*

— ბესიკი ჩემი დეიდაშვილის დაბადების დღეზე გავიცანი. ჩვენი გაცნობიდან 1 კვირაში ერაყში წავიდა. წასვლისას, რომ ვაცილებდი, მითხრა: როცა ჩამოვალ, ცოლად შეგირთავო. მისი სიტყვები სერიოზულად არ მიმიღია, რადგან ერთმანეთთან მხოლოდ ერთკვირიანი ნაცნობობა გვაკავშირებდა. ერაყში ყოფნისას არ მეკონტაქტებოდა — არც მწერდა, არც მირეკავდა. როცა საქართველოში დაბრუნდა, გამიმხილა, რომ ძალიან ვუყვარდი, მაგრამ არ დავუჯერე. შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ მის სიყვარულში დავრწმუნდი და მეც ძალიან შემიყვარდა. ერთ თვეში ვიქორწინეთ... ბესიკმა თავისი სიკვდილით ძალიან დაგვწყვიტა გული. უკვე ყველას ძალიან გვენატრება. ახლა ჩვენი შვილი, პატარა დაჩი მარტომ უნდა გავზარდო — დედობაც მე უნდა გავუწიო და მამობაც...

— გეშინია?

— იმის მეშინია, რომ ბესიკი ძალიან მომენატრება... სულ იმას ამბობდა, ჩემი შვილი ჩემებურად უნდა გავზარდოო. ვეცდები, დაჩი ისეთ ვაჟკაცად აღვზარდო, როგორიც მამამისი იყო.

ჩვენი გაცნობიდან 1 კვირაში ერაყში წავიდა. წასვლისას, რომ ვაცილებდი, მითხრა: როცა ჩამოვალ, ცოლად შეგირთავო

ქალბატონი ნინო:

— როცა მამას მოიკითხავს, ვეტყვით, რომ ჯარშია. არ მინდა, ბავშვს ბავშვობა დაუმახინჯდეს. მწარე სიმართლის გაგება მერეც ეყოფა, როცა გაიზრდება, ახლა კი... ელოდოს მამიკოს მოსვლას. გამწარებული და განადგურებული დედა ვარ, მაგრამ ამავე დროს, მეამაყება ჩემი შვილის გმირობა. ყველა იმით მანუგეშებს, რომ სამაგალითო შვილი გავზარდე... ჩემს პატარა შვილიშვილს როგორ ვუყურო თვალებში? *(ტირის).*

მაია:

— მინდა, ყველას მივუსამძიმრო, ვისი ქმარიც, ვისი შვილიც, ვისი მამაც დაიღუპა სამშობლოს დასაცავად გამართულ ბრძოლაში. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. „უ ნას ვეზდე ჩეჩნია“, — ამბობდა თავის დროზე ვლადიმირ პუტინი.

2. „წითელმა ტერორმა“ რუსეთში მილიონ 777 ათასი ადამიანი შეიწირა.

3. „გეორგიევსკის ტრაქტატს“ რუსეთის მხრიდან გენერალმა პაველ პოტიომკინმა მოაწერა ხელი, ქართლ-კახეთის მხრიდან — იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ.

4. „ჩუვაკ ს ბალშმ სლავარნიმ ზაპასომ“ — „მოფერებით“, ასე ეძახიან რუსები ავტომატ „კალაშნიკოვს“.

5. „ატ ლიუბვი დო ნენავისტი ადინ შაგ. ატ ნენავისტი დო ლიუბვი ტოჟე ადინ შაგ. ედინსტვენოე, შტო ვ ჩელოვეკე პოსტოიანო, ეტო სტრახ ი ეტოვო ნიკოგდა ნე იზმენიტ“, — ამბობდა სტალინი.

6. ივანე მრისხანე დარწმუნებული იყო, რომ იგი რუსეთის უკანასკნელი მეფე იყო და მისი გარდაცვალებისთანავე აპოკალიპსი დაიწყებოდა. „ოპრიჩნინის“ განხორციელება განკითხვის დღის ერთგვარი რეპეტიცია გახლდათ.

7. 1914 წლის 31 ივლისს რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა იანუშკევიჩმა იმპერატორისაგან მიიღო ბრძანება საყოველთაო მობილიზაციის შესახებ, რასაც დიდი ხნის განმავლობაში მოუთმენლად ელოდა. საუბრის დასრულების შემდეგ მან ტელეფონი ორთქლის გამათბობლის ბატარეას შეანარცხა და ნამსხვრევებად აქცია იმ ვარაუდით, რომ თუკი იმპერატორი მყისიერად შეცვლიდა გადაწყვეტილებას, გენერლისათვის ხელის შეშლა ველარ მოესწრო.

8. ნაწყვეტი პეტრე I-ის პოლიტიკური ანდერძიდან: „პადერჟივატ გასუდარსტვა როსიი ვ სისტემე ნეპრერიენოი ვოინი, პადერჟივატ ბეზნაჩალიე ვ პოლშე ი ნაკონეც პოლნოსტიუ პაკარიტ. ვმეშივატსა სილოიუ ი ხიტროსტიუ ვო ვსე ევროპეისკიე რასპრი. ვ სუპრუგი რუსკიმ კნიაზიამ იზბირატ ტოლკო გერმანსკიხ პრინცეს. უმნოჟატ სოიუზ დლია უველიჩენია რუსკოვა ვლიანია ვ ეტოი იმპერიი“.

9. „მი ველიკაია სტრანა. ბილი ი ბუდემ ველიკოი სტრანოი, — განაცხადა ერთ-ერთ გამოსვლაში რუსეთის დუმის დეპუტატმა მიტროფანოვმა, — პოკა ნაში რაკეტი დოლეტაიუტ დო ვაშინგტონა, მი ოსტაიომსა ველიკოი სტრანოი“.

10. მოსკოვში სამამულო ომში გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებით ძეგლი უნდა დაედგათ. რუსებს სტალინის გაგონებაც არ სურდათ. ზურაბ წერეთელს უთქვამს, — თუ გინდათ, რუზველტისა და ჩერჩილის ძეგლს გავაკეთებ, მათ გვერდით ცარიელ სკამს დავდგამ და ძეგლს „სტალინის მოლოდინში...“ დავარქვათო.

საომარ მოქმედებებში ჩეჩენი ხალხის მთავარი ჯალათი

გენერალი შამანოვი მონაწილეობდა

ამ დროისთვის კოდორის ხეობაში კვლავ აფხაზური და რუსული ძალები იმყოფებიან. ვრცელდება ინფორმაცია, რომ მათთან ერთად არიან კაზაკებიც. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, მათ ზემო აფხაზეთში გაძარცვეს საცხოვრებელი სახლები, ხოლო იმას, რაც ვერ გააქვთ, ანადგურებენ. არის სახლების გადაწვის ფაქტებიც. რაც შეეხება ზემო აფხაზეთში მყოფ სასულიერო პირებს, აფხაზი მიტროპოლიტი მათ თავისი ეპარქიის დაქვემდებარებაში გადასვლას სთავაზობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტერიტორიის დატოვებას სთხოვს...

ასმათ შამუგია

აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროში, საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (სამხრეთ აფრიკიდან, შვედეთიდან და ჰოლანდიიდან) ინტენსიურად შემოდის მეგობრებისა და პარტნიორების სოლიდარობის წერილები. ისინი გმობენ რუსულ აგრესიას და ქართველებს მხარდაჭერასა და დახმარებას ჰპირდებიან. სამინისტროში საომარი მოქმედებების დაწყების დღიდან შეიქმნა საკოორდინაციო შტაბი, ჩამოყალიბდა ექიმთა მობილური ჯგუფები, რომლებიც დევნილებს სამედიცინო დახმარებას უწევენ და მედიკამენტებით უზრუნველყოფენ. არსებული მონაცემებით, დიდია სტრესული მდგომარეობის ქვეშ მყოფი ადამიანების

ზემო აფხაზეთში საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა გენერალი შამანოვი — ჩეჩენი ხალხის მთავარი ჯალათი

რაოდენობა, რომლებსაც ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება და ზრუნვა ესაჭიროებათ. მედიკოსები რამდენიმე ობიექტზე ერთდროულად მუშაობენ. აქციას ამჟამად თბილისში მყოფი, კოდორის ხეობიდან ჩამოსული ექიმებიც შეუერთდნენ.

ჭუბერიდან ზუგდიდში დევნილთა 90% (1500 ადამიანი) ჩავიდა. მათი იქ ჩაყვანა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ საგანგებო რეჟიმში უზრუნველყო. დევნილები ზუგდიდიდან ქუთაისში გადაიყვანეს, სადაც მათი დაბინავების პრობლემაც გადაწყდა — ისინი როგორც ქალაქში, ისე ქალაქგარეთ არსებულ ყველა თავისუფალ ობიექტსა და შენობაში გადაანაწილეს, სადაც საცხოვრებლად მეტნაკლებად ნორმალური სიტუაციაა. რაც შეეხება დევნილთა კვებას, ამ საკითხის მოგვარებაზე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, მერია და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატიც მუშაობს. დევნილი მოსახლეობა ძირითადად, ე.წ. მშრალი საკვებით მარაგდება. რამდენიმე რაიონიდან შაქარი და ფქვილი, ბათუმიდან კი — 1 თვიდან 1,5 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მეძუძური დედებისთვის საჭირო პროდუქტებიც გაიგზავნა. აღსანიშნავია ისიც, რომ დახმარება, პურის ფქვილის სახით, ქუთაისიდან მესტიის რაიონისკენაც დაიძრა.

ზემო აფხაზეთში საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა გენერალი შამანოვი — ჩეჩენი ხალხის მთავარი ჯალათი, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, უშუალოდ ხელმძღვანელობდა რუსეთის საჰაერო-სადესანტო ბრიგადის ოჩამ-

ჩირეში დესანტირებას. ამ ოპერაციის შედეგად, მდინარე ენგურთან უმძლავრესი სამხედრო დაჯგუფება შეიქმნა: ასეულობით ტანკი, ათი ათასამდე რუსი მედესანტე, „ურაგანისა“ და „გრადის“ ტიპის ზალპური ცეცხლის დანადგარები, თვითმავალი ქვემეხები და ა.შ. გენერალ შამანოვის დაჯგუფებას (ნიშანდობლივია, რომ „ჩეჩნეთის გმირი“ რეზერვიდან სპეციალურად გამოიწვიეს) ზურგს უმაგრებდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სარაკეტო ესკადრა — ფრთოსანი რაკეტებით. აქვე უნდა ითქვას, რომ ბოლო დღეების განმავლობაში, გორი იბომბებოდა არა მხოლოდ თვითმფრინავებიდან, არამედ საშუალო სიშორის ტაქტიკური რაკეტებით (ისინი ჯავის რაიონშია კონცენტრირებული) და საზღვაო ბაზირების

ფრთოსანი რაკეტებით, რომლებიც რელიეფური გზამკვლევებითაა აღჭურვილი. სწორედ ეს ძალა მიადგა სამეგრელოს ქალაქებს — ზუგდიდსა და სენაკს. ეს არის პუტინ-შამანოვის სამხედრო ტაქტიკა, რომელიც ჩეჩნეთის მეორე ომისას გამოიყენებოდა: რუსული არმია მიადგებოდა ქალაქებს, მათ წაუყენებდა ულტიმატუმს დანებების შესახებ და თუ მცირე წინააღმდეგობას მაინც წააწყდებოდა, იწყებდა მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებას საარაკეტო-საარტილერიო და საჰაერო დარტყმებით. შემდეგ, უკვე დანგრეულ, გადამწვარ ქალაქში შედიოდა და ამ ყველაფერს გადარჩენილი, მშვიდობიანი მოსახლეობის ულტას იწყებდა...

ზემო აფხაზეთში არსებულ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე სასულიერო პირებს რუსეთის სამხედრო ძალების წარმომადგენლებმა თავინთი ეკლესიის დაქვემდებარებაში გადასვლა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მონასტრები უნდა დატოვონ. კოდორის ხეობაში არსებული მონასტრები ამჟამად დაცლილია, მხოლოდ სოფელ აჟარის დედათა მონასტერში იმყოფება ორი მონაზონი...

აღსანიშნავია ისიც, რომ 17 აგვისტოს განმუხურში, პატრიოტთა ბანაკის ტერიტორიაზე, რომელიც აფხაზებს აქვთ დაკავებული, აფეთქება მოხდა. დაიღუპა ორი ადამიანი, ორი კი მძიმედ დაიჭრა. აფეთქდა „გაზ-24“-ის მარკის ავტომანქანა, რომლითაც აფხაზებს ბანაკის ტერიტორიაზე ნაღმები შეჰქონდათ...

აღსანიშნავია, რომ ქუთაისში იმყოფება ზემო აფხაზეთიდან დევნილი 724 პირი, ხოლო თბილისში სულ 91 ოჯახია: აქედან 15 (50 ადამიანი) ოჯახებშია გადანაწილებული, ხოლო 76 ოჯახი (230 ადამიანი) კომპაქტურადაა ჩასახლებული შემდეგ მისამართებზე: ნუცუბიძის ქ. №77გ, ყიფშიძის ქ. №36, თევდორე მღვდლის ქ. №13, ვაჟა-ფშაველას III კვ (იუსტიციის სამინისტროს ყოფილი შენობა) და ყოფილი ამიერკავკასიის შტაბის შენობაში. აფხაზეთის მთავრობაში შექმნილია საგანგებო შტაბი და მოქმედებს ცხელი ხაზი, ტელ: 37-14-75; 37-26-33; 31-31-64. ■

ეს არის პუტინ-შამანოვის სამხედრო ტაქტიკა, რომელიც ჩეჩნეთის მეორე ომისას გამოიყენებოდა

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

11. „როგორც ჩანს, რუსეთში მხოლოდ ორი ადამიანი არ იპარავს — მე და თქვენ“, — უთხრა აღშფოთებულმა ნიკოლოზ I-მა თავის შვილს, როდესაც ხაზინიდან უზარმაზარი თანხების დატაცების ფაქტები გამოავლინა.

12. „ასიოდე პრაპორშჩიკს სურს, შეცვალოს რუსეთი...“ — მხრებს იჩეჩდა დეკაბრისტების შემხედვარე, ალექსანდრ გრიბოედოვი.

13. „პირველი ტრაგედია რუსეთისათვის ამ კაცის დაბადება იყო, მეორე ტრაგედია — მისი სიკვდილი“, — ამბობდა უინსტონ ჩერჩილი ლენინის შესახებ.

14. „სტრანა პოტომსტვენიხ ლაბოტრიასოვ!.. გოსუდარსტვო პობედიგშეიე რაზუმ!..“ — ამ სიტყვებით ახასიათებს მიხაილ ზადორნოვი საბჭოთა კავშირს.

15. „გრუზინი, ვი სნარუჟი კრასნიე, ა იზნუტრი ბელიე... იესლი ნე ბუდეტე სებია ხოროშო ვესტი, მი ნა ვას სპუსტიმ აბხაზოვ...“ — თითს უქნევდა ვასილ მჟავანაძეს ბიჭვინთაში დასასვენებლად მყოფი ნიკიტა ხრუშჩოვი.

16. ერთხელ მოლოტოვი და სტალინი დაცვის გარეშე ფეხით მიდიოდნენ სამუშაოზე კრემლში. ჩექმებში, პალტოსა და ქუდში ძნელი იყო მათი ცნობა. გზაში ვიღაც მათხოვარი აეკიდათ: „გოსპოდა ხოროშიე, პოდაიტე მილასტინიუ!“ სტალინმა ათმანეთიანი აჩუქა. მათხოვარი ერთხანს განცვიფრებული დაჰყურებდა ფულს, მერე კი ბოლმიანად ჩაილაპარაკა: „ვო ბურჟუი! კაკ ბოგატო ჟივუტ!“ სტალინმა მხრები აიჩეჩა და მოლოტოვს უთხრა: „ვოტ პოიმი ტეპერ ნაშ ნაროდ, დაშ იმ მალო, პლოხო, დაშ იმ მნოგო — ვსიო რავნო პლოხო“.

17. სტალინის სიკვდილის შემდეგ, ბერიამ პარტიის ყრილობას შესთავაზა, — რესპუბლიკებში ადგილობრივი მოსახლეობიდან ავირჩიოთ ცეკას პირველი მდივანიო, — და ნაციონალური გვარდიების შექმნის იდეით გამოვიდა, რის გამოც, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბევრი წევრი ხრუშჩოვს მიემხრო.

18. გაგრაში სტალინის ცნობილი აგარაკი ბორის ელცინის ნათესავმა, ოლიგარქმა ოლეგ დერიპასკამ 10 მილიონ დოლარად იყიდა. „აჩრდილების არასდროს მშინებია...“ — ძუნწად გადაუგდო ორი სიტყვა ჟურნალისტებს აგარაკის ახალმა მფლობელმა.

19. ყველასათვის ცნობილია ნიკიტა ხრუშჩოვის საქციელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე, როდესაც მან ფეხსაცმელი გაიძრო და პროტესტის ნიშნად, ტრიბუნაზე ურტყა. ამასთან დაკავშირებით, ჟურნალისტებმა ჩერჩილს ჰკითხეს, თუ როგორ შეხვდა ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მომხდარ ფაქტს? „საკმაოდ მშვიდად... რაც შეეხება იმას, რომ იგი სხდომაზე მუქი ლურჯი კოსტიუმითა და ყვითელი ფეხსაცმლით გამოცხადდა, ეს მართლაც საშინელება იყო“.

აფხაზეთიდან დევნილებმა ქუთაისში გაქცევით უშველეს თავს

მიუხედავად იმისა, რომ ომის დაწყების შესაძლებლობის შესახებ სამხედრო ექსპერტებიც და პოლიტოლოგებიც დიდი ხნის წინ გვაფრთხილებდნენ, ის, რაც აგვისტოს დასაწყისში საქართველოში დატრიალდა, ვერც წარმომედგინა და ალბათ, არც მსურდა დამეჯერებინა. ამიტომ ივლისის ბოლოს მშვიდად გავემგზავრე დასასვენებლად ჯერ სვანეთში და ის-ის იყო, რაჭველ ნათესავებთან გადმოვედი, რომ სამაჩაბლოში პირველი ტყვიაც გავარდა და რადგან ორ ცხინვალის მოსაზღვრე რაიონია, შეიძლება ითქვას, რომ ომის ეპიცენტრში თუ არა, ქარცეცხლში მაინც აღმოვჩნდი.

ინგა ჯაყელი

რაჭაში ჯარისკაცები არ შემოსულან, მაგრამ უარესი მოხდა: დღეში რამდენჯერმე რუსული ბომბდამშენები აზანზარებდნენ სოფლებს არა მხოლოდ ონში, არამედ ამბროლაურშიც და ისე დაბლა დაფრინავდნენ, ზოგჯერ გვეგონა, რომ ფრთებით სახლის სახურავებს შეეხებოდნენ. საბედნიეროდ, ამბროლაურში ჭურვი არ ჩამოვარდნილა, სამაგიეროდ — რამდენჯერმე დაიბომბა ონის რაიონის ის სოფლები (წედისი, ირი), რომლებიც როკის გვირაბთანაა ახლოს. დაიღუპა ერთი ქართველი პოლიციელი, ერთიც — იქაური მოსახლე. მხარის გუბერნატორის მიერ გაფრთხილებულმა მოსახლეობამ დროზე დატოვა საცხოვრებელი, ამიტომ როცა ჭურვი რაიონულ ცენტრში განთავსებული კორპუსების მახლობლად ჩამოვარდა, არავინ დაშავებულა. ონიდან ლტოლვილები ამბროლაურის რაიონში გადმოიყვანეს და მართალია, ადგილობრივი მოსახლეობა მათ შეძლებისდაგვარად ეხმარება, კარგი იქნება, თუ უცხოეთიდან შემოსული ჰუმანიტარული ტვირთი მათაც შეხვდებათ. მიუხედავად მძიმე სიტუაციისა, დინჯი რაჭველებისთვის პანიკა არ შემინიშნავს და არც სახლების დატოვება უფიქრიათ იმ იმედით, რომ „ქრისტიანი რუსები“ ბოლომდე ვერ გაიმეტებდნენ ქართველებს...

მე კი შვებულება სასწრაფოდ შევწყვიტე და მშობლიურ ქუთაისში დავბრუნდი, სადაც ყოველ წუთს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სენაკიდან დაძრული რუსული ჯარის ნაწილები იმერეთის დედაქალაქისაკენ მოემართებოდნენ. ვერ ვიტყვი, რომ მსგავს ინფორმაციას ხალხის მხრიდან მღელვარება არ მოჰყოლია, თუმცა პანიკა არც ქუთაისელებისთვის შემიმჩნევია. ალბათ იმიტომაც, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ომის დაწყების პირველსავე დღეებში გაერიდა ქალაქს (ძირითადად, მაღლივი კორპუსების მცხოვრებლები)... განსაკუთრებით, ბავშვების ნაკლებობაა თვალში საცემი, ვერც ერთ ეზოში დღემდე ვერ შევნიშნე მოჟრიამული პატარები (მასალა 17 აგვისტოს იწერება! — ავტ.).

თუ ადგილობრივი მოსახლეობა ქუთაისს გაერიდა, აფხაზეთიდან დევნილებმა სწორედ იმერეთის დედაქალაქში გამოქცევით და შემოსვლით უშველეს თავს: 16 აგვისტოს მონაცემებით, ქუთაისში 1500-ზე მეტი რეგისტრირებული დევნილი იყო, რომლებიც ლიცეუმების, ავტომექანიკური ტექნიკუმის, ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის შენობებში განთავსდნენ და რამდენიმე დღე მთლიანად ადგილობრივი მოსახლეობის შემოწირულობებით გაჰქონდათ თავი. რადგან ქუთაისს საჰაერო გზები მოჭრილი აქვს, სანამ 16 აგვისტოს ღამით თურქეთის ნახევარმთვარის ორგანიზაციამ ტრაილერებით არ შემოიტანა ტვირთი, დევნილებიც და თავად გაჭირვებაში მყოფი ქუთაისელებიც ცუდ დღეში აღმოჩნდნენ. მხარის რწმუნებული მიხეილ ჩოგოვაძე, ასევე ქალაქის მერი ნუგზარ შამუგია სატელევიზიო მიმართვებში მოსახლეობას ისევ და ისევ დახმარებას სთხოვდნენ, განსაკუთრებით — საკვები პროდუქტით...

ქუთაისის საავადმყოფოებშიც შეიფარეს დევნილები, განსაკუთრებით ის კატეგორია, რომელსაც სამედიცინო დახმარებაც სჭირდებოდა. სამედიცინო პერსონალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არა მხოლოდ ავადმყოფობისაგან, არამედ შიმშილისაგანაც იხსნეს ადამიანები, ბევრს ტანსაცმელი და ფული აჩუქეს.

დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრში მძიმედ დაშავებული 14 წლის მოზარდი გიორგი ნასპანი, რომელსაც ხელში საწერი-კალმის მსგავსი ნივთი აუფეთქდა, მრავლობითი დაზიანებით მიიყვანეს — მას რამდენიმე ოპერაცია ჩაუტარდა, მათ შორის, ხელის თითების ამპუტაცია, სახის კუნთის პლასტიკური აღდგენა, თვალის შენარჩუნებისათვის აუცილებელი პროცედურა. იგი თბილისელია და ზემო აფხაზეთში ნათესავებს სტუმრობდა. დედათა და ბავშვთა რეგიონულ ცენტრში კი 8 წლის გოგიტა ბოჯგიანი გულის უმძიმესი შეტევით მიიყვანეს და სიკვდილს ხელიდან ძლივს გამოსტაცეს. ბავშვს შეტევა შიშის ნიადაგზე განუვითარდა. დედის განცხადებით, ისინი სამი დღეღამის განმავლობაში იატაკზე ეყარნენ მშივრები, როცა ხეობაში ინტენსიური საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა...

სამწუხაროდ, ქუთაისს თავისი საწუხარიც დიდი აქვს, რადგან ამ დღეებში ცხინვალსა და აფხაზეთში დაღუპული რამდენიმე ჯარისკაცი ჩამოასვენეს და მათ ოჯახებში სამძიმარზე სრულიად უცნობი ადამიანებიც მიდიოდნენ. ყოველი დაკრძალვა კი საპროტესტო აქციას ჰგავდა, იმ გაუგონარი სისასტიკის წინააღმდეგ, რომელიც რუსებმა ქართველებს აკადრეს...

ამ დღეებში ქუთაისში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა კოალიცია შექმნეს და ისინი აკვირდებიან იმერეთში დევნილების განთავსებას, მათთვის საკვებისა და სხვა პირველადი მოხმარების საგნების დროულ მიწოდებასა და ყურადღების თითოეულ ობიექტზე თანაბრად განაწილებას...

ომში მოხალისედ გაგზავნას 16-17 წლის ბიჭებიც ითხოვდნენ და რადგან ეს, ბუნებრივია, შეუძლებელი იყო, ქუთაისის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტმა ყმაწვილები რეგისტრაციაში გაატარა და ისინი ქალაქში დაასაქმა: ლტოლვილებს მიამაგრა. ამ ყმაწვილების ყურადღებით აღფრთოვანებული ადამიანები, მათ მიმართ მადლიერებას თვალცრემლიანნი გამოხატავენ. ბავშვები (სხვაგვარად ვერ ვუწოდებ მათ) არანაირ საქმეს არ თაკილობენ და თუ აქამდე ვინმეს ეჭვი ეპარებოდა ახალი თაობის მორალურ ღირებულებებში, ყველამ ერთბაშად ირწმუნა, რომ ქართველებს მათი სახით მართლაც ღირსეული და საიმედო მომავალი თაობა ჰყავთ...

ბოლო ინფორმაციით, მთლიანად იმერეთში 12 ათასამდე დევნილია, რომელთა დიდმა ნაწილმა ნათესავებს შეაფარა თავი და სტუმართმოყვარე იმერლები შეეცდებიან, მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინონ მათ მიმართ, თუმცა კი სახელმწიფოს დახმარების გარეშე ძალიან გაუჭირდებათ და იმედია, ეს დახმარება ყველას თანაბრად და დროულად მიეწოდება. ■

ᲥᲝᲠᲬᲔᲚᲘ ᲫᲠᲝᲮᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲐᲓ ᲐᲮᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

ᲔᲗᲝ ᲧᲝᲠᲦᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

კარვების წინ დანაღვლიანებული ლტოლვილები იდგნენ და ერთმანეთის გამხნევებას ცდილობდნენ. პატარა **მეგიმ** *ჯერ სევდიანი ღიმილით შემომჩივლა — ტანსაცმელი სულ გორში დამრჩაო, შემდეგ კი, დედის შეშფოთებული სახის დანახვაზე, თვითონაც შეშფოთდა და დედას საყვედურით მიმართა:*

— დე, მამაზე დარდობ? რატომ მომატყუე, საშიში არაფერიაო?! მომეცი 1 ლარი, სადმე ტელეფონში თანხის ჩასარიცხ აპარატს ვნახავ, მამას დავურეკავ და შევეხვეწები, რომ თვითონაც წამოვიდეს... — ბავშვი ცრემლებს ძლივს იკავებდა.

ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელიც დევნილებს კარვების გაშლაში ეხმარებოდა, დედა-შვილს საკუთარი მობილური ტელეფონით სარგებლობა შესთავაზა, მაგრამ... მეგის მამა ცივ უარზე იდგა — ცოცხალი თავით არ სურდა შავშვებიდან რუსთავში წამოსვლა!

ᲛᲔᲖᲘᲐ, *მეგის დედა, 37 წლის:*

— გორში, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით. როგორც კი რუსების თვითმფრინავებმა ქალაქის დაბომბვა დაიწყო, მე და ჩემი მეუღლე ჩვენს სოფელში — შავშვებში წავედით, ბავშვები კი რუსთავში, ნათესავთან გამოვგზავნეთ. სოფელში სიწყნარე იყო, მაგრამ ახლა სხვა სიტუაციაა: რუსების ტანკებისა და თვითმფრინავების დანახავაზე გული მისკდებოდა — 3 თვითმფრინავი ნადარბაზევის ტბასთან ზის!.. ალბათ, დღეს რაღაც ააფეთქეს — შავშვები იწვის... შემთხვევით შევესწარი, რომ ჩემი ნაცნობი ბიჭი აქეთ წამოსვლას აპირებდა, მანქანაში ჩავუჯექი და გამოვყევი. გზაში, სანამ კასპს გამოვცდით, რუსმა სამხედროებმა ერთი-ორჯერ გაგვაჩერეს, „ბაგაჟნიკი“ გახსნეს, მანქანა გაჩხრიკეს და გამოგვიშვეს. მოგვიანებით, ქმარს დავურეკე და სოფლის დატოვება ვთხოვე, მაგრამ არ მოდის — დედასთან და დასთან ერთად, იქ დარჩა.

მას შემდეგ, რაც რუსებმა ე.წ. გრაკლის ხიდი ააფეთქეს, უფლისციხის მოსახლეობაც პანიკამ მოიცვა. **ᲫᲐᲚᲒᲐᲢᲝᲜᲘ ᲕᲐᲚᲘᲐ** *სახლიდან საშინაო კაბითა და ფეხსაცმლით გამოიქცა:*

— უფლისციხიდან მეუღლესთან ერთად გამოვიქეცი. რაც არეულობა დაიწყო, სახლში იშვიათად შევდიოდით: ხან სად გვეძინა, ხან — სად... ძეგვში, ნათესავთანაც ვიყავით; მერე ვიფიქრეთ, რომ სიტუაცია ჩაწყნარდებოდა, თან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმებას რუსეთმაც მოაწერა ხელი და... ვიცოდით, რომ რუსები ქართველთა სამხედრო ბაზებს განსაკუთრებულად ემუქრებოდნენ, უფლისციხეში კი სამხედრო ბაზაა. ხიდი რომ ააფეთქეს, ძალიან შეგვეშინდა, აფეთქების ხმა ისეთი ძლიერი იყო, რომ მთელი სოფელი პანიკამ მოიცვა. არადა, ჩემი ქმრისთვის ნერვიულობა არ შეიძლება — შაქარი აქვს, ნემსებს იკეთებს, ხშირად კომაში ვარდება... სახლიდან გამოვიქეცით და დოესში (კასპის რაიონი) ჩავედით, საიდანაც „მარშრუტკას“ თბილისისკენ გამოვყევით. დედაქალაქიდან რუსთავში გამოგვგზავნეს — თბილისი ლტოლვილებით ძალიან გადატვირთულიაო... როგორ დაგვამცირეს და გაგვამწარეს რუსებმა?! თავი დაგვანებონ, ბოლოს და ბოლოს!.. ეჰ, ფეხი საშინლად მტკივა — რატომღაც, ძროხამ წიხლი ჩამარტყა.

— **სოფელში?**

— არა, შვილო, აი — პარკში. ერთი კაცი გორის რაიონიდან ფეხით წამოვიდა და რადგან ფული არ ჰქონდა, თან ძროხები წამოიყვანა. მაგ კაცზე უკვე ლეგენდები დადის! ძროხების

ᲑᲔᲕᲠ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲨᲘ ᲰᲒᲝᲜᲐ: ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲓᲒᲘᲜᲐ, ᲗᲣᲙᲘ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲮᲚᲙᲐᲠᲘᲡ �გᲐᲠᲔᲨᲔ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ. ᲠᲣᲡᲘ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲝᲡ ᲓᲐ ᲒᲔᲖᲘ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲐᲘᲦᲚᲝᲡ. ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲕᲡᲝ. ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲛᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲡ ᲨᲔᲐᲤᲐᲠᲐ: ᲖᲝ�გᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ, ᲖᲝ�გᲘ — ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ, ᲖᲝ�გᲘ ᲙᲘ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ �პᲐᲠᲙᲨᲘ �გᲐᲨᲚᲘᲚ ᲙᲐᲠᲕᲔᲑᲨᲘ ᲐᲗᲔᲜᲔᲑᲡ...



გორის სსვადასსვა რაიონის სკოლის მოსწავლეებს შორის კონკურსი ჩაგარდა და ჩემმა ნამუშევარმა – „მწვანე მინდვრები“ პირველ ადგილზე გამიყვანა.

წამოყვანა ან როგორ მოიფიქრა, ან როგორ მოახერხა, ძალიან მიკვირს...

მართლაც, რუსთავის პარკში ძროხები ბალახს მშვიდად ძოვდნენ, მათი პატრონი, 33 წლის ლევანი კი სხვა დევნილებთან ერთად, კარვების უკან იდგა და პლასტმასის ჭიქით ხელში, ქართველების სადღეგრძელოს ამბობდა. მისმა ამბავმა ისე დამაინტერესა, სადღეგრძელოს დასრულებამდე ძლივს მოვითმინე, შემდეგ კი **ლევანს** *ყველაფერი გამოვკითხე.*

— ქორდში ვცხოვრობდი. ვიდრე სახლს მივატოვებდი, მანამდე ცოლ-შვილი გამოვუშვი სამშვიდობოს. მერე მეც წამოვედი. აბა, რა მექნა, თავს რუსებს ხომ არ შევაკლავდი? სამი შვილი მყავს — 11-ის, 10-ის და 4 წლის. ვიფიქრე, შვილები შიმშილით არ დამეხოცოს-მეთქი და ძროხებიც წამოვიყვანე. იგოეთამდე ფეხით ჩავედი. იქ ერთმა კარგმა კაცმა სატვირთო მანქანა გამიჩერა. საქონელი „კუზაოზე“ შევრეკეთ, მანქანაში ჩავსხედით და წამოვედით. შემდეგ იმ კაცს ფული შევთავაზე — ფული არ მქონდა, მაგრამ ზრდილობის გულისთვის ვუთხარი, რადგან მითხრა — არ მინდაო, ავდექი, უცხო ხალხისგან გარკვეული თანხა ვისესხე და ბენზინი ჩავუსხი; მერე ცოლ-შვილის ძებნა დავიწყე. სად იყვნენ, არ ვიცოდი. მათ საპოვნელად ერთი დღე დამჭირდა და ბოლოს, მივაგენი — საბავშო ბაღში, სხვა ლტოლვილებთან ერთად ცხოვრობენ. მე კი კარავში მძინავს... ძროხების მოწვეულის შემდეგ, რძეს მხოლოდ ჩემს შვილებს კი არა, ყველას ვუნაწილებ, ვისაც სჭირდება, ვისაც პატარა ბავშვი ჰყავს... და კიდევ, დაწერე, რომ ჩვენ მასხრად ასაგდები ხალხი არ ვართ!..

— მასხრად ვინ გიგდებთ?

— მე ქვევრში კი არ ვარ გაზრდილი!.. ხალხმა ხომ იცის, რომ კარვებში ვცხოვრობთ? აქ მანქანებს რატომ დააქროლებენ? წეღან ერთი მანქანა შემოვარდა, ჩაიშხუილა და საშინელი ბუღი დააყენა, ჩვენ კი ამ დროს საჭმელს ვჭამდით. ასე როგორ შეიძლება, ხომ უნდა მოგვერიდონ?

15 წლის **ნათიამ**, *როცა გაიგო, რომ ჟურნალისტი ვარ, გამიმხილა — წერა მეც ძალიან მიყვარს და ეს საქმე კარგადაც გამომდისო:*

— ვწერ ყველაფერზე: სიყვარულზე, სამშობლოზე, ადამიანურ ურთიერთობებზე... გორის სხვადასხვა რაიონის სკოლის მოსწავლეებს შორის კონკურსი ჩატარდა და ჩემმა ნამუშევარმა — „მწვანე მინდვრები“ პირველ ადგილზე გამიყვანა. მასში ახალგაზრდა ბიჭის თავგადასავალი მქონდა აღწერილი. მშობლების თხოვნის მიუხედავად, ბიჭი, გაჭირვების გამო, საცხოვრებლად სოფლიდან ქალაქში გადავიდა. ერთ გაზაფხულს, დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ, სოფელს დაუბრუნდა და ძალიან ინანა, რომ მშობლებს არ დაუჯერა და სანამ ცოცხლები იყვნენ, მათ გვერდით არ იმყოფებოდა. სამწუხაროდ, მეც მომიწია ჩემი სოფლისა და მშობლების მიტოვებამ. თავდაპირველად, არ მოვდიოდი და მათ გვერდით ვიყავი, მაგრამ რომ



რომ გავიგეთ, ახალგაზრდა გოგონებს იტაცებენ და ცხინვალში მიჰყავთო, დედ-მამას შეეშინდა და გამომამგზავრა. წინააღმდეგობა ვეღარ გავუწიე (მარჯვნივ – ნათიას მამა)

გავიგეთ, ახალგაზრდა გოგონებს იტაცებენ და ცხინვალში მიჰყავთო, დედ-მამას შეეშინდა და გამომამგზავრა. წინააღმდეგობა ვეღარ გავუწიე.

— მარტო წამოხვედი?

— არა, მეზობელს გამოვყევი. მის ნათესავთან, თბილისში გავჩერდით. შემდეგ სახლი ჩემმა მშობლებმაც მიატოვეს, რადგან რუსეთის ქვეითი ჯარი სოფლებს წვავდა. დედამ და მამამ ვერაფრის წამოღება ვერ მოახერხეს. გზა-დაგზა ბაღ-ბოსტნებში იმალებოდნენ და ისე მოდიოდნენ. გზებზე რუსი სამხედროები იდგნენ. როგორც მამამ მითხრა, ყველას ხოცავდნენ... ჯანმრთელობის მხრივ, დედას პრობლემები აქვს. მან სიარული ვეღარ შეძლო და პატარა გარეჯვარში, ნათესავთან დარჩა. მამა იგოეთამდე ფეხით ჩავიდა, მერე კი მეჯვრისხევის მოსახლეობის მიერ გამოძახებულ ავტობუსს თბილისამდე ჩაჰყვა. ქუჩაში ვიღაც გამვლელს ტელეფონზე დარეკვა სთხოვა, დამირეკა და ჩემი მისამართი გაიგო. კითხვა-კითხვით მომძებნა. ვის ოჯახშიც ვცხოვრობდი, მან გარკვეული თანხა — 10 ლარი მოგვცა, ლტოლვილთა რეგისტრაციის ცენტრში მივსვლა რომ შეგვძლებოდა. თავდაპირველად, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მივედით. იქ რიგი იდგა და ბევრმა დევნილმა რეგისტრაცია ვერ გაიარა. მათ შორის ჩვენც მოვხვდით. შემდეგ, წერეთლის გამზირზე გაგვგზავნეს, მაგრამ იქ მისულებს გამოგვიცხადეს: რეგისტრაცია არ ჩატარდება, ხვალ მობრძანდითო. წასასვლელი არსად გვქონდა. ახლობელთანაც ვეღარ დავრჩებოდით — ოთახნახევრიან ბინაში ორი ოჯახი ცხოვრობდა. იმ დროისთვის 5 ლარიღა გვქონდა დარჩენილი. გადავწყვიტეთ, რომ დიდუბიდან რუსთავის „მარშრუტკას“ გამოვყოლოდით — აქ ბიძა მყავს... მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც ქუჩაში, ტელე-

ფონით ბიძაჩემის ნომერზე ზარის გაშვება ვთხოვე, მათ კი დარეკვის უფლება მომცეს. არც გვითქვამს, რომ ლტოლვილები ვიყავით, ისე გვეხმარებოდნენ, ყველა თბილად გვხვდებოდა.

— **ახლა შენც კარავში ცხოვრობ?**

— არა, მე და მამა ბიძაჩემთან ვცხოვრობთ.

— **აბა, აქ რატომ ხარ?**

— კარავში მცხოვრებლებს ნახევარფაბრიკატები მოუტანეს, რასაც მომზადება სჭირდებოდა, სახლში წავიღეთ, მოვამზადეთ და მოვუტანეთ... ძალიან მინდა საინფორმაციო გამოშვებებს მოვუსმინო, მაგრამ მამა მიშლის — ემოციურად ვერ ვუძლებ და მეტირება ხოლმე... დედა გარეჯვარშია დარჩენილი. დღეს ველაპარაკე. ვერ მოდის, რადგან გზები გადაკეტლია.

საქონელი „კუზაობე“ შევრეკეთ, მანქანაში ჩავსხედით და წამოვედით. შემდეგ იმ კაცს ფული შევთავაზე — ფული არ მქონდა, მაგრამ ბრდილობის გულისთვის ვუთხარი

ᲑᲔᲥᲐ, *11 წლის:*

— კარალეთში ვცხოვრობდი. ომი რომ დაიწყო, კარალეთი რუსებმა დაგვიბომბეს და იძულებული გავხდით, წარმოვსულიყავით. აქ დედიკოსთან და მამიკოსთან ერთად ვარ. ჯერ თბილისში ვიყავით, მაგრამ იქ ბევრი ხალხი იყო, ლტოლვილებისთვის ადგილი აღარ ჰქონდათ და რუსთავში წამოვედით. ახლა კარავში ვცხოვრობთ.

— **ნათესავები არ გყავს?**

— მყავს, მაგრამ რადგან აქ მოვედით, მათთან აღარ მივსულვართ. შემოგვთავაზეს, მაგრამ მაინც კარავში გვძინავს. დღისით ტბაში ვბანაობ ხოლმე, ოღონდ — ღრმად არ შევდივარ, რადგან წყალი „დაქლორილია“ და რომ ჩაგეყლაპოს, მოიწამლები... ეჰ, კარალეთიდან წამოსვლა არ მინდოდა, მაგრამ ჩემი მეზობლის სახლი ჯერ გაძარცვეს, მერე ავტომატით დაცხრილეს, ბოლოს კი — დაწვეს... ჩემი სახლი გადარჩა თუ — არა, არც ვიცი...

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ, *41 წლის:*

— რუსთავში გარეჯვრიდან, ცოლშვილთან ერთად ჩამოვედი. ჩემმა დამ შეგვიფარა, ახლაც მასთან ვცხოვრობთ. გავიგე, რომ ჩემი მეზობლები რუსთავში ჩამოსულან და კარვებში არიან. ამიტომ, მათ დასახმარებლად თითქმის ყოველდღე მოვდივარ, „მაიკები“ და სხვა ტანსაცმელი მომაქვს... გარეჯვარში მოხუცი მამა დავტოვე — რა ვქნა, არაფრის დიდებით არ წამოგვყვა... სოფელს ოსები და კაზაკები ძარცვავენ. რაც შეეხება რუსებს, მათი ტანკები გარეჯვართან ახლოსაა. როცა რუსები სოფელში შემოსვლას დააპირებენ ხოლმე, მოსახლეობა წინ ხვდება და საჭმელ-სასმლით უმასპინძლდება. მათი საქციელი ვინმემ შესაძლოა, დაძრახოს კიდეც, მაგრამ რა ქნან? ასე რომ არ მოიქცნენ, გარეჯვარს რუსები ააწიოკებენ... ერთ-ერთ ფირმაში ვმუშაობდი, რომელიც გორისა და სხვა მიმდებარე სოფლების ფერმერებს შხამ-ქიმიკატებით, სასუქებით ამარაგებდა. ფირმა დაბომბვას გადაურჩა, მაგრამ აღარ ფუნქციონირებს... ჩემი დისშვილები განმუხურის პატრიოტთა ბანაკში იყვნენ წასულები. საბედნიეროდ, ჩამოსვლა მოასწრეს...

35 წლის **ᲜᲐᲢᲝ ᲑᲣᲮᲠᲐᲫᲔ** *მშობლიური სოფლიდან ცოტა ხნით წამოვიდა, მაგრამ დაბრუნება ვეღარ მოახერხა და დღეს ისიც რუსთავის პარკს აფარებს თავს:*

— გორის რაიონიდან, სოფელ ძევერიდან ვარ. ძევერა ცხინვალთან ახლოსაა. სოფელს მთლიანად რუსები განაგებენ, მათი ტანკები დადიან... ორი ქალი გაიტაცეს, ერთი კაცი კი ბაღჩაში იარაღით მოკლული იპოვეს. ვიფიქრე, სოფელს ცოტა ხნით გავეცლები და ვითარება რომ გამოსწორდება, უკან მივბრუნდებიმეთქი. მეგობარ გოგონასთან ერთად წამოვედი, მაგრამ უკან დაბრუნება ვეღარ მოვახერხეთ... გამოსწორების ნაცვლად, ვითარება გაუარესდა. თბილისისკენ ხალხი ჩვენს მეზობელს, რეზო კეჩხუაშვილს მოჰყავდა, რამდენჯერმე უკან დაბრუნებამ მოუწია. მე და ჩემი მეგობარი გოგონა ჯერ ნათესავის ბინაში ვიყავით, მაგრამ ნათესავს ბინა გორელისგან ჰქონია დაქირავებული და რა გასაკვირია, რომ სახლის პატრონი დაბრუნდა? ჰოდა, ღია ცის ქვეშ აღმოვჩნდით. წუხელ მინდორში გვეძინა, დღეს დილით კი აქ მოვედით... ყოველთვის ვოცნებობდი, რომ პატრიოტთა ბანაკში წავსულიყავი და კარავში მეცხოვრა, ახლა კი... ახლა მართლაც პატრიოტი ხალხის ბანაკში ვარ!..

მალე 4 წლის გვანცას ძილის დრო დადგა. გოგონამ კარავი იუცხოვა და ატირდა — სახლში მინდაო! დედამ გულში ჩაიხუტა. შეეცადა, რომ დაემშვიდებინა, ბავშვმა კი ტირილს უფრო უმატა. სასოწარკვეთილმა ქალმა აღარ იცოდა, რა ექნა — სახლში წასვლა მასაც ძალიან უნდოდა, მაგრამ... ■

დასაწყისი იხ. გვ.11

დევიდ მილიბანდი: „პოსტსაბჭოური სივრცე აღარ არსებობს“

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რუსეთს, საქართველოს წინააღმდეგ გამოვლენილ შეუწყნარებელ აგრესიაში დასდო ბრალი. ბი-ბი-სის კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში დევიდ მილიბანდმა აღნიშნა, რომ რუსეთის ქმედებები „XXI საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებისთვის სრულიად მიუღებელია“.

— რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლია ევროკავშირს რუსეთთან მიმართებაში?

— მიზანშეწონილად მიმაჩნია, დაისვას საკითხი, როგორი უნდა იყოს რეგიონში საერთაშორისო ძალების გადანაწილება. 1994 წლიდან (საქართველოს კონფლიქტურ ზონებში) მიღებული შეთანხმებების საფუძველზე, რუსი, ქართველი და ოსი მშვიდობისმყოფლები მოქმედებენ. ჩემი აზრით, ამ საკითხის ორ ძალზე მნიშვნელოვან პუნქტს ნათელი უნდა მოეფინოს. პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს სამხრეთ ოსეთის გახანგრძლივებული კონფლიქტის შესახებ, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ნაწილს. მეორე, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ რუსეთის შეუწყნარებელ აგრესიას. რუსეთის ჯარები მოქმედებენ არა მარტო სამხრეთ ოსეთის საზღვრებს მიღმა და საქართველოს მეორე კონფლიქტურ ზონაში — აფხაზეთში, არამედ საქართველოს საზღვრებს შიგნითაც.

— თქვენ თქვით — შეუწყნარებელი აგრესია...

— დიახ, სწორედაც რომ შეუწყნარებელი აგრესია. მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე მოთარეშე რუსული ტანკების შემხედვარე, ბევრ ადამიანს ზურგზე ცივმა ჟრუანტელმა დაუარა იმიტომ, რომ ეს არა მარტო „ცივი ომის“ პოლიტიკისკენ მიბრუნებას ნიშნავს, არამედ XX საუკუნის პოლიტიკური მეთოდების დაბრუნებაზეც მიუთითებს. ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, როგორც ევროპულ, ასევე გაეროს დონეზე (რომლის როლიც აუცილებლად გაძლიერდება უახლოეს დღეებში, ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მიღებული შეთანხმების შემდეგ) მკაცრად განისაზღვროს, რომ XX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებისთვის მსგავსი ქმედებები მიუღებელია.

— რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას რუსეთისთვის? რა უნდა გაკეთდეს?

— აქ ლაპარაკია 4 სფეროზე. პირველ რიგში, სტატუს-კვოს თაობაზე დაწყებული ლაპარაკის მიუხედავად, საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა სრულად უნდა აღდგეს. მეორე, გადასაწყვეტია დიდი ჰუმანიტარული საკითხი: ათიათასობით ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლი, რუსეთის ჯარების შეტევის საფრთხის წინაშე მყოფი ქვეყანა პანიკამ მოიცვა. მესამე, რუსეთის მეზობელ სხვა სახელმწიფოებს — მაგალითად, უკრაინას ან ბალტიის ქვეყნებს — სურთ იცოდნენ, როგორ დაიცავს მათ უფლებებს საერთაშორისო თანამეგობრობა. და მეოთხე, ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი: როგორ განვითარდება ჩვენი ურთიერთობები რუსეთთან? ევროპისა და „დიდი შვიდეულის“ (რომლის რიგებშიც 1990-იან წლებში რუსეთიც შევიდა და „დიდ რვიანად“ გადაკეთდა) ქვეყნები უნდა დარწმუნდნენ, რომ რუსეთი შეესაბამება ამ ურთიერთობებსა და მოთხოვნებს. როგორც ვიცით, უფლებებთან ერთად, არსებობს ვალდებულებიც და თუკი ეს ვალდებულებები არ სრულდება, ამას აუცილებლად მოჰყვება პოლიტიკური შედეგები. საქართველოზე რუსეთის სამხედრო გამარჯვება ეჭვქვეშ არასოდეს მდგარა: საქართველოს ხომ მხოლოდ 18 ათასი ჯარისკაცი ჰყავს, რუსეთს კი — ასიათასობით! საკითხი სხვაგვარად დგას: საშუალო ხანგრძლივობის პერსპექტივაში რა პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას? აქ ჩვენ მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ ის ზღვარი, რომლის გადალახვაც შეუძლებელია. საერთაშორისო ურთიერთობებში რუსეთი სათანადოდ არ ასრულებს თავის ვალდებულებებს და საკმაოდ დიდი ხანია, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ამას. ცხადია, საქართველოს წინააღმდეგ გამოვლენილი აგრესიის შემდეგ, ეს საკითხი სხვა რანგში უნდა განვიხილოთ. სწორად მიმაჩნია იმის მკაფიოდ დემონსტრირება, რომ მაგალითად, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ „დიდი შვიდიანის“ ფარგლებში, ისევე, როგორც ბოლო დღეების მანძილზე ზოგიერთ საკითხთან მიმართებაში ვაკეთებდით ამას.

— ანუ თქვენ გინდათ თქვათ, რომ სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი შედეგი?

— როგორც ხედავთ, შვიდი ინდუსტრიული ქვეყნისგან შემდგარმა ჯგუფმა რუსეთის გარეშე მუშაობის მზადყოფნა გამოხატა. ეს გახლავთ უპრეცედენტო შემთხვევა, როცა „დიდი რვიანი“ თავისი მერვე წევრის გარეშე შეიკრიბა. ჩემი აზრით, ამან დაანახვა რუსეთს, თუ როგორია მისი პოლიტიკური ქმედებების შედეგი. ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ჩვენი საერთო პოზიცია აიძულებს რუსეთს, მიხვდეს, რომ საყოველთაოდ აღიარებულ წესებს უნდა დაემორჩილოს. ვფიქრობ, რუსებს სურთ გამოიყენონ ე.წ. „პოსტსაბჭოური სივრცის“ კონცეფცია, მაგრამ არ ესმით, რომ რუსეთის მოსაზღვრე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები ამჟამად დამოუკიდებელი ქვეყნები არიან და საკუთარი სუვერენული საზღვრებიც აქვთ.

— თქვენთვის მიუღებელია „პოსტსაბჭოური სივრცის“ კონცეფცია?

— დიახ, მიუღებლად მიმაჩნია. უკრაინა, საქართველო და სხვა ქვეყნები პოსტსაბჭოური სივრცე არ გახლავთ. ისინი დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნები არიან და საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის უფლებაც გარანტირებული აქვთ. ეს ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია. დროა, რუსეთმა თავი დაანებოს იმაზე ფიქრს, რომ ის საბჭოთა კავშირის გადმონაშთია. საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, ისევე, როგორც აღარ არსებობს პოსტსაბჭოური სივრცე. არსებობს აღმოსავლეთ ევროპის ახალი რუკა, რომელზეც ასევე ახალი საზღვრებია აღბეჭდილი და ამ რუკის დაცვა საერთო სტაბილურობისა და უსაფრთხოების ინტერესებში შედის. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთისავე ინტერესებში შედის ახალი საზღვრების არსებობასთან შეგუება და საჭირო არ გახლავთ, საბჭოთა წარსულის გარდასულ დღეთა მოგონებებს მისტიროდეს. ეს ყოველივე უკვე წარსულია და გულწრფელად გითხრათ, კარგია, რომ ასეა.

— მერე, ვინ დაიცავს ამ ახალ საზღვრებს, ნატო?

— საზღვრები დაცული უნდა იყოს როგორც პოლიტიკურად, ასევე სამხედრო თვალსაზრისითაც. ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოსთან ომში რუსეთის გამარჯვება არანაირ ეჭვს არ იწვევდა. თუმცა ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში პოლიტიკური მიდგომა ძალზე მნიშვნელოვანია. რუსეთმა უნდა იცოდეს, რომ XXI საუკუნეში სახელმწიფოს ძლიერებას განსაზღვრავს ეკონომიკა და არა არმია. აბსოლუტურად მკაფიოდ უნდა იქნას დაფიქსირებული, რომ არსებობს ისეთი პრინციპები და ღირებულებები, რომლების დაცვაც აუცილებელია რუსეთის საზღვრებთან მომხდარი წვრილმანი კონფლიქტის შემთხვევაშიც. ■

სტრობ ტელბოტი: „მაპატიე, სერგეი, მაგრამ ჩვენ არც ერთ მხარეზე დადგომას არ ვაპირებთ"

— შესაძლებელია თუ არა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს სამხრეთ ოსეთში ქართული ჯარის შესვლის თაობაზე ისე გაეცა ბრძანება, რომ ამის შესახებ ვაშინგტონში არაფერი სცოდნოდათ?

— ეს კარგი შეკითხვაა და ყველანი, ვინც ამჟამად აღარ ვართ ხელისუფლებაში, ამ კითხვას ვსვამთ. ამასთანავე, მინდა ხაზი გავუსვა, რომ იმ მოვლენების რეალური თანამიმდევრობა, რომლებმაც ამ კრიზისის პროვოცირება გამოიწვია, იდუმალებითაა მოცული. ჯერ კიდევ გასარკვევია ის ფაქტი, თუ რომელმა მხარემ დაიწყო პირველმა. როდესაც მსგავსი კატასტროფა ხდება, ამას ყოველთვის რამდენიმე მიზეზი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის რუსეთის ფედერაციის კეთილისმსურველი გახლდით, სრულიად ცხადია, რომ საკუთარი საპასუხო ქმედებებითა და რეაქციით რუსეთი ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. დაიღუპა უამრავი ადამიანი, მათ შორის, ეთნიკური რუსებიც და რუსეთის მოქალაქეებიც. ჩემთვის ასევე ცნობილია, რუსეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 2 საკითხი: პირველი — „ვინ ვის?" და მეორე — „ვინ არის დამნაშავე?" ვინ ვის მოერია? ძალზე დიდი სახელმწიფო ძალზე პატარა სახელმწიფოს მოერია. ვინ არის დამნაშავე? მიმაჩნია, რომ დიდმა სახელმწიფომ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღოს. რუსეთისთვის არსებობს კიდევ ერთი შეკითხვა — „როგორ მოვიქცეთ?" ამ შეკითხვას მე ასე ვუპასუხებდი: ეს ეპიზოდი უკან მოიტოვეთ, დააბრუნეთ რუსეთის ჯარები იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ 6 აგვისტომდე ეკავათ და დაიწყეთ მშვიდობიანი პროცესი.

— დავუბრუნდეთ პარასკევს, 8 აგვისტოს, საქართველოს ქმედებებს, რომელსაც რუსეთი კონფლიქტის უპირველეს მიზეზად მიიჩნევს.

— ნება მომეცით, შეგაწყვეტინოთ. მართალია, რუსეთი ამას უპირველეს მიზეზად მიიჩნევს, მაგრამ ამერიკას ასე არ მიაჩნია. სხვათა შორის, არც მე და არც დანარჩენ მსოფლიოს ასე არ მიაჩნია. ჩვენ ვრთავთ ტელევიზორებს და ვხედავთ კადრებს, რომლებიც ჩვენს მეხსიერებაში აცოცხლებს — 1956 წლის უნგრეთის, 1968 წლის ჩეხოსლოვაკიისა და 1979 წლის ავღანეთის მოვლენებს. მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის რუსეთის, როგორც ევროპის ნაწილისა და აშშ-ის პარტნიორის მომავალი სულერთი არ გახლავთ; უფრო ნაკლებად მაღელვებს საკითხი, როგორ მოიქცევა მიხეილ სააკაშვილი. საკუთარ თავს ვეკითხები: ღმერთო ჩემო, რატომ უსევს რუსეთი კვლავ საკუთარი ტანკებისა და ბომბდამშენების არმადას მეზობელ ქვეყანას?!.

— რუსეთის მცხოვრებნი საკუთარ ტელეეკრანებზე სრულიად სხვა სურათს ხედავენ. მათ ტელეეკრანებიდან ესმით, რომ საქართველოს პრეზიდენტს ბრალად ედება ოსი ხალხის გენოციდი... თუკი ცხინვალში მომხდარი „სამხედრო დანაშაულის" დამადასტურებელი დოკუმენტები იქნება წარმოდგენილი, მიიღებს თუ არა მას ვაშინგტონი? შეიძლება თუ არა მან სააკაშვილისადმი დამოკიდებულება შეცვალოს?

— დიახ, რა თქმა უნდა! მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთის ხელისუფლებას მხოლოდ სიტყვაზე, ყველაზე მიუკერძოებელი ამერიკელებიც კი არ ენდობიან. ეს ძალზე კონკრეტული საკითხია. ეუთომ თავისი დამკვირვებლები უნდა გაგზავნოს და სწორედ მათ უნდა დაადგინონ ფაქტები.

— პენტაგონი საქართველოს ჰუმანიტარულ დახმარებას უგზავნის, ამერიკული სამხედრო თვითმფრინავები ქართულ აეროდრომებზე არიან, ხოლო აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შესაძლოა, შავ ზღვაში, ქალაქ ფოთთან გამოჩნდეს... ხომ არ შეიძლება, ყოველივე ეს, მეომარი ქვეყნისთვის სამხედრო დახმარებად იყოს აღქმული?

— ეს არ უნდა აღიქვან, როგორც სამხედრო დახმარება. აშშ-ის არა აქვს სამხედრო ხელშეკრულება საქართველოსთან. საქართველო არ გახლავთ ნატოს წევრი სახელმწიფო (და შესაძლოა, სწორედ ესაა კონფლიქტის ნამდვილი მიზეზი...). ჰუმანიტარული დახმარება საჭიროა და ჩემი აზრით, მის გაწევაში გაერომ და ლტოლვილთა საქმეების უზენაესმა კომისარიატმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

> მწერალმა და დიპლომატმა, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილმა მოადგილემ სტრობ ტელბოტმა ინტერვიუ ასევე ბი-ბი-სის მისცა

— ბატონმა ლავროვმა შეერთებულ შტატებს შესთავაზა აერჩიათ, თუ ვის მხარეს დაიჭერდნენ, არჩევანი გაეკეთებინათ ვირტუალურ „პროექტსა" (როგორც მან საქართველოს უწოდა) და მოსკოვთან რეალურ თანამშრომლობას შორის. როგორი იქნება ამ საკითხზე თქვენი კომენტარი?

— მაპატიე, სერგეი, მაგრამ — არა: ჩვენ არც ერთ მხარეზე დადგომას არ ვაპირებთ. სერგეი ლავროვს დიდ პატივს ვცემ, ცოტა ხნის წინ შევხვდი კიდეც მას და გამოჩენილ დიპლომატადაც მივიჩნევ, მაგრამ ჩვენ კვლავაც დემოკრატიული „პროექტის" (როგორც მან ამრეზით მოიხსენია), როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის „დემოკრატიული პროექტის" მხარეზე ვიდგებით. ეს გახლავთ აშშ-ის პოლიტიკის ის ძირითადი კურსი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში (არა აქვს მნიშვნელობა — ობამასა თუ მაკქეინის მოსვლის შემთხვევაშიც) აუცილებლად შენარჩუნდება. ■

ბავშვები ოჯში

ლელა ჭანკოტაძე

6 წლის ილია, სხვა ბავშვების მსგავსად, სექტემბრის დადგომას გულისფანცქალით ელოდება. წელს პირველად უნდა მიუჯდეს მერხს. მშობლებმა უკვე ჩანთაც უყიდეს, ფერადი ფანქრებიც და საანგარიშოც. სულ ცოტაც და, ის უკვე პირველკლასელი გახდება. მერხზე, რომელსაც ილია უნდა მისჯდომოდა და „დედა ენა“ გადაეფურცლა, ახლა ნათიას სძინავს. მას ჩანთაც დაეწვა, ფერადი ფანქრებიც და სახლიც. ფერად სიზმრებსაც ბინდისფერი ენაცვლება. ძილში კრთის, ბორგავს, ხანდახან ყვირის კიდეც. მართალია, ტანით პატარაა, მაგრამ მერხზე მაინც ვერ თავსდება. დედა გვერდით უზის, მისი ხელი უჭირავს, რადგან ბავშვი პატარა თვალებს ხშირ-ხშირად ახელს და დედას ეძებს.

ნანა, მარიკა, დათო, ნათია, გიორგი

ქეთინო ზღულაძე, *ნათიას დედა:*

— მეორე დღეა, ამ მერხზე სძინავს. თავიდან ძალიან გაუჭირდა, არ წვებოდა. ახლა იცის, რომ ეს მისი საწოლია. ჯერ მხოლოდ 7 წლის არის. არადა, რამდენი რამ გადაიტანა. სახლიდან რომ გამოვიქეცით, სოფელში უკვე ტანკები შემოდიოდნენ, ჭურვები სკდებოდა. მეორე შვილი 4 წლის მყავს. ის გულში მყავდა ჩაკრული, ნათია კი ჩემსავით, ფორთხვით მიიწევდა წინ. თავი ტყეს შევაფარეთ. უფროსები ექვსნი ვიყავით. თოთხმეტი ბავშვი მოგვყავდა. გასუსულები იყვნენ. მათი სუნთქვაც კი არ ისმოდა. ორი საათი მაინც ვიფორთხეთ. არც ერთს არ დაუწუწუნია. მერე გზამდე გამოვედით. ბავშვებს წამოდგომის საშუალება არ მივეცით. სამხედრო გზაზე მე და ჩემი მეზობელი გამოვედით. ამ დროს დასავლეთისკენ მიმავალი მანქანა შეგვხვდა. ხელი სანამ დავუქნიეთ, თვითონვე გააჩერა. ბავშვებს დახმარება სჭირდებათ, რა დროს სახლში წასვლაა, გვითხრა. ორი უფროსი და რვა ბავშვი წამოიყვანა. დანარჩენები ისევ გზის პირას დავრჩით. ერთ საათში უკან მობრუნდა. ის კაცი რომ არა, ალბათ, თბილისამდე ვერც ჩამოვაღწევდით. არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ კიდევ ორი ადამიანი დაგვეხმარა. ბაღებში ფორთხვით რომ ვმოძრაობდით, თავს ორი რუსი ჯარისკაცი წამოგვადგა. ბაღში ატამს ჭამდნენ. ვიფიქრე, ჩექმაზე შემოვეხვევი და შევეხვეწები ბავშვები არ დაგვიხოცოთ-მეთქი. მაგრამ მსგავსი რამ აზრადაც არ მოსვლიათ. ხმაურზე ჩვენკენ მოიხედეს, მიწაზე გართხმული ბავშვები შეათვალიერეს, მაგრამ არაფერი დაგვიშავეს.

ნათელა გიუნაშვილი:

— ხეობის დაბომბვა რომ დაიწყო, გვანცა საწოლში იწვა, ყელი სტკიოდა და მაღალი სიცხე ჰქონდა. ვიცოდი, რომ ავადმყოფი ბავშვით სიარული ძალიან გამიჭირდებოდა, მაგრამ სახლებს ცეცხლი ეკიდა და ხეობაში დარჩენა დიდი რისკი იყო. რა უნდა მექნა? ჯიბეში წამლები ჩავიყარე, ბავშვი საბანში გავახვიე და ეზოში გამოვედი. ორი წუთიც არ მივლია, ტრაქტორი წამომეწია. ბავშვებით იყო სავსე. ცხადია, ადგილი არ იყო. მძღოლმა კალთაში ჩაისვა. ტრაქტორი რომ ათუხთუხდა, უკან მივიხედე. ნეტავ, ვინმეს ის სცენა დაეფიქსირებინა, ტრაქტორს უკან გიჟებივით მოსდევდნენ ქალები და მოზრდილი ბავშვები. მეც მათ გავყევი. რამდენჯერაც თვითმფრინავი გადაიფრენდა, იმდენჯერ მიწას გავერთხმებოდით. მაინც ვერ ავცდით მტრის

თავი ტყეს შევაფარეთ. უფროსები ექვსნი ვიყავით. თოთხმეტი ბავშვი მოგვყავდა. გასუსულები იყვნენ. მათი სუნთქვაც კი არ ისმოდა

6 წლის ანა ანესაშვილი, გიორგი ბალიაშვილი, ნინი ანესაშვილი

სამიზნეს. ჭურვი ჩვენს სიახლოვეს აფეთქდა. ორი ბავშვი დაიჭრა. ხმა არ ამოგვიღია. დაჭრილები მივიხუტეთ და გამოვიქეცით. გვეშინოდა, ხმაურზე ტანკი არ წამოგვწეოდა და ერთიანად არ გავეულიტეთ.

— დაჭრილი ბავშვების გადარჩენა მოხერხდა?

— თურმე ძალიან მსუბუქი ჭრილობები ჰქონდათ — მხოლოდ რამდენიმე ადგილას მოხვედრიათ ნამსხვრევები. საავადმყოფოში ჭრილობები დაუმუშავეს და უკან გამოგვატანეს. არავის ვუსურვებ დაჭრილი, სისხლიანი ბავშვის დანახვას. მიკვირს, მათი დედები რომ არ შეიშალნენ. მე ჩემი სიცხიანი შვილიც კი დამავიწყდა. როგორც კი გზამდე გამოვედით, მუნიციპალური ტრანსპორტი იდგა. ხალხს აგროვებდნენ, რომ თბილისში წამოეყვანათ. რადგან ბავშვებს დახმარება სჭირდებოდათ, გორის ჰოსპიტალში ჩაგვიყვანეს. იქიდან კი დედაქალაქში წამოგვიყვანეს.

გვანცა, *11 წლის:*

— არ მახსოვს, სოფლიდან როგორ წამოვედით. მითხრეს, ისეთი მაღალი სიცხე გქონდა, რომ ბოდავდიო. მაგრამ ჩემი მეზობლის სახლი რომ იწვოდა, კარგად დამამახსოვრდა. ჯერ ბოლი ფანჯრებიდან გამოდიოდა. ბებიამ ეს რომ შენიშნა, გაიქცა, კარს შევამტვრევ და რამეს მაინც გადავარჩენო. მაგრამ მარტო ორი სკამისა და ტელევიზორის გამოტანა მოასწრო. ცეცხლი სახლს ძალიან მალე მოედო. მერე ბებიამ იმათი საქონელი ჩვენთან გადმოიყვანა. ჩვენი ძროხების გვერდით დააბა. ჩვენც რომ წამოვედით, ძროხები აუშვა. ვკითხე, რატომ იქცევი ასე, ვინმემ რომ მოიპაროს-მეთქი? არაფერი მიპასუხა. მერე კიდევ რაღაც ვკითხე და ისევ არ მიპასუხა. გუშინ დედამ მითხრა, რომ სანამ სოფლიდან გამოვიდოდით, ბებო უკან გაქცეულა. ჩემს სახლ-კარს ვერ მივატოვებ, ჩემს ეზოში თუ მომკლავენ, ამითიც ბედნიერი ვიქნებიო. ახლა არ ვიცით, ცოცხალია თუ არა. მე რომ ავად არ ვყოფილიყავი, კალთაზე ჩამოვეკიდებოდი და დარჩენის უფლებას მაინც არ მივცემდი.

გვანცას მსგავსად მარიკაც ავად იყო, როცა მისი სოფლის დაბომბვა დაიწყო. ის ახლაც ფერმკრთალია და ძალაგამოლეული. მიუხედავად ავადმყოფობისა, ღამეს მაინც სკოლის მერხთან მიმჯდარი ათევს. მისი ოჯახი მეოთხე საშუალო სკოლაშია შესახლებული. გუშინ იქ მარიკას გამო „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახეს.

ლია, *მარიკას დედა:*

— ბავშვს 5 აგვისტოს გავუკეთეთ აპენდიციტის ოპერაცია. მეორე დღეს საავადმყოფო დაჭრილებით გაივსო, ამიტომ, სახლში გაგვიშვეს. სწორედ მაშინ დაიწყო კარალეთის დაბომბვა. გამოვიქეცით. მარიკა რას ივლიდა, თან ნაკერები სტკიოდა. წარმოიდგინეთ, როგორი გამწარებული ვიქნებოდი, რომ შვილს ძაფები საკუთარი ხელით ამოვუღე. მერე მეზობლის კაცი დამეხმარა. ხელში აიყვანა და სანამ სამშვიდობოს არ გამოვედით, მთელი გზა ხელით ატარა. ბავშვი დაიტანჯა. იმის მაგივრად, რომ წამოწვეს და დაისვენოს, დღე და ღამე სკამზე ზის. დღეს ცუდად გახდა და ვიღაც ღვთისნიერმა „სასწრაფო“ გამოიძახა. ძალიან მეშინია. ჭრილობიდან სითხე სდის. ექიმმა წამლები დაუნიშნა. ამ პირობებში ნაოპერაციებ ბავშვს როგორ მივხედო?

ნეტავ, ვინმეს ის სცენა დაეფიქსირებინა, ტრაქტორს უკან გიჟებივით მოსდევდნენ ქალები და მოზრდილი ბავშვები

მარიკა მესამე „ა“ კლასის ოთახში ცხოვრობს. აქვე არიან მისი ბიძაშვილები, მამიდაშვილები და დეიდაშვილები. სუხიტაშვილებს, ხარიბეგაშვილებსა და გურგენაშვილებს ერთად მოუყრიათ თავი. ნათიას, გიორგის, მარიკას, ნანასა და დათოს ყველაზე მეტად თავ-თავიანთ სახლში დაბრუნება სურთ. ნანა ორი დღეა გაუთავებლად ტირის. ამბობს, სახლში თუ არ დამაბრუნებენ, ყელს გამოვიჭრიო.

3 წლის მაიკო

ვასიკო, *ნანას მამა:*

— ინტენსიური დაბომბვა რომ დაიწყო, სახლები მივატოვეთ და წამოვედით. ჩემი სახლი დაწვეს, არადა, ყველაფერი მძიმე შრომით გვქონდა შეძენილი. ამ ოთახში ათნი ვცხოვრობთ. მშივრები ნამდვილად არ ვართ. ყოველდღე პურს, ძეხვს და პამიდორს გვაძლევენ. წყალიც გვაქვს. მთავარია, ბავშვებს ვაჭამოთ, თორემ მე ძილის წინ ერთ ნაჭერ პურს და ერთ პამიდორს გეახლებით. ამასაც შვილების ხათრით მივირთმევ, რომ ბავშვებმა ხელჩაქნეული და ძალაგამოლეული არ დამინახონ. გული იმაზე გვისკდება, რომ ლოგინები ჯერ ვერ მოგვიტანეს. ბავშვებს მერხებზე ვაძინებთ. კარადა გადმოვაბრუნეთ და ქალები ზედ რიგრიგობით იძინებენ. დღეს ნაყინის გამყიდველმა ქალმა „კარდონები“ მოგვცა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამაღამ მეც შევძლებ დაძინებას. „კარდონებს“ იატაკზე დავაფენ და დავწვები. აბა, რა ვქნათ? ომია. ყველაფერი ცეცხლმა შთანთქა. აღარაფერი დაგვრჩა. პასპორტიც არ მაქვს. პასპორტი ჩემს ცოლს აქვს და ალბათ, რეგისტრაციის გავლასაც შევძლებთ. არც ბავშვების დაბადების მოწმობები გვაქვს. 7 და 9 წლის ბავშვები მყავს. წუხელ მერხები შევატყუპეთ და ისე ეძინათ. ძნელია, ამის გაძლება. ბოშურში, ატენის ხეობაში ჩვენი ნათესავები არიან ჩარჩენილები. იქ ჰუმანიტარული კატასტროფაა. ჩემი და, 2 წლის ბავშვით, იქ დარჩა. გვირეკავს, პურიც კი აღარ გვაქვსო. ამ დროს მე აქ, ამ კარადაზე ვზივარ და არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

მეოთხე საშუალო სკოლაში ყველა კლასი დაკავებულია. თითოეულ საკლასო ოთახში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. უფროსები ტირიან. ბავშვები კი ცელქობასაც ახერხებენ. 5 წლის გოგოს ხელში ჯოხი უჭირავს და ოთახს წმენდს, მის დედიკოს მერხები შეუტყუპებია და პატარა ძმას აძინებს. გვერდით სამასწავლებლოა. აქ გურგენაშვილები ცხოვრობენ. ეს ბავშვები 8 თვის წინ დაობლდნენ. ჯერ მამის უეცარი დაღუპვით გამოწვეული სტრესი არ ჰქონდათ გადატანილი, რომ განგებამ ახალი განსაცდელი მოუვლინა.

მაგდა ნასყიდაშვილი:

— ოთხი შვილის დედა ვარ. ამ

MK

ოთახში კიდევ ჩემი მული ცხოვრობს, თავისი სამი შვილით. თუ საწოლებს მოგვიტანენ, დავიძინებთ, თუ არა და ვისხდებით ასე. მეზობლებს შემოაქვთ შემწვარი კარტოფილი, პური, პამიდორი. ასე რომ, ბავშვები მშივრები არ მყავს, მაგრამ არაფერი გვინდა, ოღონდ, ჩვენს სახლებში დაგვაბრუნონ.

ნინო გურგენაშვილი, *13 წლის:*

— მერვეკლასელი ვარ. თავზე თვითმფრინავმა რომ გადაგვიფრინა და ბომბი ჩამოაგდო, მაშინ მივხვდი, რას ნიშნავდა სიტყვა — „ომი“. საშინელი პანიკა ატყდა, ხალხი აქეთ-იქით გარბოდა. ჩვენ სახლში მარტონი ვიყავით. დილა იყო. საწოლებიდან ვდგებოდით. ჩაცმაც ვერ მოვასწარით, სახლიდან ისე გამოვცვივდით. ყველანი სარდაფში ჩავედით. დედა, რომ მოვიდა, სარდაფში გვიპოვა. ვერაფრის გამოტანა ვერ შევძელით. ტანსაცმელიც კი არ გვაქვს. გორში სწორედ ის ადგილი იბომბებოდა, სადაც ჩვენი სახლია. ამიტომ, ბინაში ვეღარ შევბრუნდით. სულმოუთქმელად მოვრბოდით. დედამ აღარ იცოდა, რომელი ჩვენგანისთვის მოეკიდებინა ხელი. გამოვრბოდით და თან უკან ვიყურებოდით, რომ დაგვენახა, გორიჯვრის სალოცავი ხომ იდგა.

3 თვის მერაბ სუხიტაშვილი

მაგდა ნასყიდაშვილი:

— მერვე თვეა, რაც მეუღლე დამეღუპა. მას გულმა დაარტყა. მინდოდა, ბავშვები სადმე დასასვენებლად გამეგზავნა, მაგრამ სახლს არ ტოვებდნენ. ყველანი ერთად ვიყოთო. ახლაც ერთად ვართ, მაგრამ ჩვენი სახლი მგონი, დავკარგეთ. აფსუს, ჩვენი ლამაზი გორი. რას დაამსგავსეს. ბომბები რომ ჩამოვარდა, მე ბაზარში ვიყავი. ხალხი კიოდა და წიოდა. ყველა იქით გარბოდა, სადაც შვილები ეგულებოდა. ჩემი სახლისკენ რომ წავსულიყავი, ხიდი უნდა გამევლო. თავში პატრული იდგა და ყვიროდა: ხიდს მოსცილდით, საშიშია, ხიდს ააფეთქებენო, მაგრამ შვილები ხიდის იქით მეგულებოდა და რა შემაჩერებდა? რა ვქნათ, ხალხო, უნდა შევეგუოთ, რომ დავკარგეთ ყველაფერი? ქალებისთვის ხომ ძნელია ეს მდგომარეობა, მაგრამ მამაკაცები უფრო საშინელ დღეში არიან. ჩვენ გავალთ, შვილების ჩუმად ვიტირებთ, გულს მოვიოხებთ, მამაკაცები კი ჩაფერფლილები დადიან.

მუსიკალურ ოთახში 6 წლის თორნიკე თავის ძმასთან და დეიდაშვილებთან ერთად ცხოვრობს. თორნიკე ავად არის. გუშინ ძეხვმა აწყინა და ახლა დიეტურ საჭმელს სკოლის სიახლოვეს მცხოვრები კეთილი ადამიანები უზიდავენ. პატარას გამოსაცვლელი ტანსაცმელი არა აქვს. დედამ ერთადერთი საცვალიც გაურეცხა. სახლიდან ვერც სათამაშოების წამოღება მოასწრო. ბომბებს რომ ისროდნენ, არ შემშინებია, — მითხრა, მაგრამ ჩვენი სახლი რომ დაწვეს, იმის მერე აღარ მინდა, ჯარისკაცი გამოვიდეო. მისი დედა მაკა ჩიფჩიური ონკოლოგიური ავადმყოფია.

მაკა ჩიფჩიური, *35 წლის:*

— ჩვენ ძევერიდან ვართ. ჩვენი სახლი დაწვეს. ერთი ხელის მოსმით განადგურდა ყველაფერი, რაც წლების განმავლობაში შეგვიძენია. მე ორი შვილი მყავს — ბექა და თორნიკე. თორნიკე ექვსი წლის არის. მისთვის ამ პირობებში ცხოვრება განსაკუთრებით ძნელია. ის გულით ავადმყოფია. იოლად ცივდება. მეორე დღეა აქ ვართ და უკვე მოიწამლა. მეზობელმა წიწიბურა მოუტანა, ახლა შემპირდა კარტოფილის პიურეს მოგიტანთო. ჩემთვისაც ძალიან ძნელია აქ გაჩერება. ონკოლოგიური ავადმყოფი ვარ. ძუძუზე მაქვს ოპერაცია გაკეთებული. მაგრამ ომია და რა ვქნა, მეტი გზა არ გვაქვს. ბავშვის გამო მიკვდება გული. იქნებ, ვინმემ ძველი საწოლი მოუტანოს. წუხელ მთელი ღამე სკამზე იჯდა. მე და დედაჩემი კი გვერდით ვუსხედით და ვტიროდით. ცრემლიც რომ გაგვიშრება, მერე რაღა ვქნათ?

დევნილები არა მარტო სკოლებში, ბაგა-ბაღებშიც შესახლდნენ. მათი მდგომარეობა შედარებით უკეთესია, რადგან პატარებისთვის საწოლები აქვთ და სათამაშოებიც. ლია ოქროპირიძე საბავშვო ბაგა-ბაღის პატარა ოთახში თავისი სამი შვილით ცხოვრობს. მანონი 12 წლის არის, კესო — 10-ის, ზურიკოს კი ჯერ ერთი წელიც არ შესრულებია. ბავშვებს სახლი აღარა აქვთ, მაგრამ მათი მშობლები გორში დაბრუნებას მაინც აპირებენ. დროებით ნათესავები შეგვიფარებენ, მერე კი ალბათ, სახელმწიფო სახლის აშენებაში დაგვეხმარებაო. 12 წლის მანონი ომს ჩუტყვავილას ადარებს.

მანონი:

— შარშან ჩუტყვავილა მქონდა. ჯერ ერთი წითელი მუწუკი ლოყაზე გამომივიდა, შემდეგ კი მთელ ტანზე მომედო. ძალა გამომაცალა და კინაღამ მომკლა. ხომ ხედავთ, სახეზე რამდენი ნაყვავილარი დამიტოვა. ომი კი პირდაპირ გულზე ტოვებს კვალს. ასე თქვა დედამ. უფროსები ჩვენი თანდასწრებით ტირილს აღარ ერიდებიან. გუშინ მამა ჰყვებოდა, რომ რამდენიმე ადამიანი ისეა დასახიჩრებული, ვეღარავინ ცნობსო. ვთხოვე, გაჩუმდი, ბავშვებთან რას ამბობ-მეთქი. ჩემი და ძალიან მშიშარაა და არ მინდოდა, ეს გაეგონა. მამამ მითხრა: ასე მგონია, გაიზარდეთ, ომმა წლები მოგიმატათო. ომმა ყველას ცრემლი მოგვიტანა. ორი დღე საჭმელი არაფერი გვქონდა. ახლა გვაქვს და დედა მაინც არ ჭამს. სულ არ მინდას გაიძახის. ასე არიან სხვა უფროსებიც. მეც მინდა ტირილი, მაგრამ დედა მეცოდება. ცრემლი რომ დამინახოს, უფრო ცუდად გახდება.

48-ე ბაგა-ბაღში პატარა მაიკოც ცხოვრობს. ის მხოლოდ სამი წლის არის და სიზმარში უკვე თოფიან კაცს ნახულობს. ღამით ვერ იძინებს, სიბ-

— ბავშვს 5 აგვისტოს გავუკეთეთ აპენდიციტის ოპერაცია. მეორე დღეს საავადმყოფო დაჭრილებით გაივსო, ამიტომ, სახლში გაგვიშვეს. სწორედ მაშინ დაიწყო კარალეთის დაბომბვა

MK

ნელე აშინებს. გუშინ დედამ ახალი ფეხსაცმელი უყიდა. თავისი გზაში დაკარგა. ამ ფეხსაცმლით იძინებს, რადგან ჰგონია, რომ თოფიანი კაცი მოვა და წაართმევს. მაიკოს ბებია ლტოლვილობაშია გამობრძმედილი. წლების წინ, ის ომს ცხინვალიდან გამოექცა.

ბაგა-ბაღში რომ შევედით, ცარიელი ოთახი აღარ იყო. დირექტორმა ჩვილი ბავშვით რომ დაგვინახა, სახლში წაგვიყვანა. გვითხრა: ბავშვი დაბანეთ და დააძინეთო

ნანა:

— ამ ოთახში ორი შვილიშვილით ვცხოვრობ. სამი წლის მაიკოს და წლინახევრის ნოდარიკოს სახლი აღარა აქვთ. მაიკო ძალიან განერვიულებულია. აუცილებლად უნდა ვაჩვენო ნევროპათოლოგს. როგორც კი დაბომბვა დაიწყებოდა, ბავშვებს საწოლებიდან ამოვიტაცებდით და „პადვლებში“ გავრბოდით. გულზე მეხუტებოდა და მეკითხებოდა: ბაბო, ბომბი ხომ არ მომხვდებაო? ტირილით იღვიძებს. ახლა ტანსაცმლით წევს. არაფრით გამახდევინა. ჰგონია, რომ ისევ გავიქცევით და ყველაფერს დაკარგავს. არადა, დედამ გუშინ ფეხსაცმელი უყიდა. მე ცხინვალიდან ვარ. იქიდან რომ გამოვიქეცით, ჩემი ბიჭი — ზვიადი მეორე კლასში იყო. გზაში დიდი პრობლემები შეგვექმნა. ოსებმა გაგვაჩერეს. არ გვიშვებდნენ. ბავშვი რომ დამემშვიდებინა, ვუთხარი: ნუ, გეშინია, ზვიად, არაფერს დაგვიშავებენ-მეთქი. მაშინ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო. როგორც კი „ზვიადი“ გაიგონეს, მანქანიდან ითრევდნენ. ისევ ერთი ოსი ქალი დაგვეხმარა: ბავშვია, რას ერჩით, რა მნიშვნელობა აქვს, ვისი სახელი ერქმევაო?!. მაშინდელი იარები განმიახლდა. ახლა ლტოლვილები უკვე ჩემი შვილიშვილები არიან...

48-ე ბაგა-ბაღში ცხოვრობენ სუხიტაშვილები, თავიანთი 3 თვის ბავშვით. პატარა მერაბი ჭირვეულობს, სურდო შეხვდა და მაღალი სიცხე აქვს. მისი ბებია ღმერთის მადლობელია, რომ ცოცხლები გადარჩნენ. მართალია, მათი სახლი დაიწვა, მაგრამ უკან თუ დააბრუნებენ, დროებით ნათესავებთან იცხოვრებენ.

მარი სუხიტაშვილი:

— ჩემი მეხსიერებიდან არასდროს წაიშლება ის დღე, როცა სოფელი აიყარა. ბავშვები ფეხით მოდიოდნენ. დედებს თოთო ბავშვები ხელში ეჭირათ, 2-3 წლის პატარები კი გვერდით მორჩილად მოჰყვებოდნენო. ამ ომში ყველაზე მეტად პატარები დაიჩაგრნენ. ვინ მოთვლის, რამდენი მშიერი, ჭუჭყიანი და ცრემლიანი ბავშვის სახე აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. ბაგა-ბაღში რომ შევედით, ცარიელი ოთახი აღარ იყო. დირექტორმა ჩვილი ბავშვით რომ დაგვინახა, სახლში წაგვიყვანა. გვითხრა: ბავშვი დაბანეთ და დააძინეთო. მერე ადგილი გათავისუფლდა და აქ შემოვედით. ერთ ოთახში 45 დღის ჩვილი ჰყავთ. წუხელის ცუდად გახდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჩვილი ბავშვებისთვის მსგავსი პირობები გაუსაძლისია. ღმერთო, დაიფარე ჩვენი პატარები.

ნინო
გურგენაშვილი

ჩვილი ბავშვები მეხუთე საშუალო სკოლაში შესახლებულ დევნილებსაც ჰყავთ. მათ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას მოსახლეობა იჩენს. სკოლის სიახლოვეს მცხოვრებ ქალებს ბავშვებთან ტანსაცმელიც მოაქვთ და საკვებიც. ერთ მეძუძურ დედას შიშით რძე გაუშრა. ბავშვის გამოკვება მეზობლის ქალმა იკისრა. ის ჯერ დევნილ ჩვილს აწოვებს ძუძუს და შემდეგ — თავისას. სკოლაში ჩვილი ბავშვების სიმრავლეა. მეორე სართულზე ერთ ოთახში შვიდი პატარა ჰყავთ.

სოფო იკრიაშვილი, *21 წლის:*

— ჩვენ გორის რაიონის სოფელ ხელთუბნიდან ვართ. მე, 21 წლის ვარ. ჩემი უმცროსი გოგონა ნინი ანესაშვილი კი ჯერ 3 თვისაც არ არის. იმაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რომ აქ ბავშვს არაფერი აკლია. მართალია, საბავშვო ეტლი მეზობლებმა აჩუქეს, მაგრამ საწოლები არ გვაქვს. მეორე სართულზე ერთ ოთახში 27 ადამინი ვცხოვრობთ, აქედან შვიდი ბავშვია — სამი მათგანი კი ჩვილი. ჩვენ ხუთი დედმამიშვილი ვართ. ყველანი ოჯახებით ერთ ოთახში შევსახლდით. მე ბავშვს ძუძუს ვაჭმევ. ჩემი დისშვილი გიორგი ბაღიაშვილი სამი თვის არის. გიორგის „ჰუმანას“ აჭმევენ. მეზობლებმა მოუტანეს ორი კოლოფი. მესამე ჩვილი ანანო ანესაშვილი ხუთი თვის ხდება. მასაც „ჰუმანას“ აჭმევენ, მაგრამ ხვალ თუ ვინმემ პატარებს საჭმელი არ უყიდა, მშივრები დარჩებიან. სამი ჩვილის მოვლა ძალიან ძნელია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ერთი ეტლი გვაქვს და ბავშვებს მონაცვლეობით ვაძინებთ. ჩემი უფროსი გოგონა ანა 6 წლის არის, მაგრამ უკვე ხვდება, რა უბედურებაც დატრალდა. ყოველდღე მეკითხება — სახლში როდის დავბრუნდებითო?

ანა, 6 წლის:

— მე ვიცი, ომი რა არის. თოფების ხმა გავიგონე. ყველაზე მეტად ჩემი ყულაბა მენანება. შიგ ფულს ვაგროვებდი. ღვთისმშობლის მედალიონი უნდა მეყიდა...

9 წლის ლანას კი ფეხსაცმელი ენანება: მისი ჩაცმაც კი ვერ მოასწრო. წინადღეს დაბადების დღე ჰქონდა. ლამაზი ფეხსაცმელი მაშინ აჩუქეს, მაგრამ ისევე, როგორც უამრავი სხვა ნივთი, სათამაშო თუ წიგნი, ისიც ცეცხლში დაიწვა.

იმედია, სულ მალე ქვეყანა ჩვეული ცხოვრების რიტმს ისევ დაუბრუნდება, სკოლები დევნილებისგან დაიცლება, თბილისელ მოსწავლეებს კი არასდროს დაავიწყდებათ, რომ მერხებზე, რომლებზეც „დედა ენა“ უნდა გადაშალონ, ომის სისასტიკეს გამოქცეულ მათ თანატოლებს ეძინათ. ■

ომისგან დათრგუნვილი მოგაჯადოებს გულისტკივილი

„რუსი ჯარისკაცი მოვკალი, მაგრამ ამას არ ვნანობ“

ლიკა ქაჯაია

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებული ახალგაზრდობა თავად მიკავშირდებოდა და მთხოვდა, მათთვის უფლება მიმეცა, რომ ჩვენი ჟურნალის მეშვეობით, ომის შესახებ საკუთარი მოსაზრება დაეფიქსირებინა: ზოგმა ეს მესიჯის სახით მოახერხა, ზოგს კი თავად დავუკავშირდი და მასთან ინტერვიუ ჩავწერე.

გიო, *22 წლის:*

— მე იქ ვიყავი, სადაც ასობით ჩემი თანამემამულე იდგა. ვიცავდი სამშობლოს და ამით ამაყი გახლდით. მართალია, გორიდან ცოცხალი და უვნებელი ჩამოვედი, მაგრამ არასდროს დამავიწყდება ის, რაც იქ ვნახე. ამდენი სისხლი, ამდენი დაჩეხილი ადამიანი კი არა, ქათმის სისხლიც არასდროს მქონდა ნანახი.

— მერე, სიკვდილის არ გეშინოდა?

— თურმე, ომმა შიში არ იცის. იქ მე თავი გმირი მეგონა და შემეძლო, ყველაზე დიდი სისასტიკეც კი ჩამედინა. არ ვიცი, შეიძლება, ეს არ დაივჯერო, მაგრამ ნებისმიერ რუსს ყელს სიამოვნებით გამოვლადრავდი. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამის შანსი არ მომეცა.

— როცა ცოცხალ არსებას, მით უმეტეს, ადამიანს სასიკვდილოდ იმეტებ, როგორი შეგრძნება გაქვს?

— თავიდან სროლა გამიჭირდა, მაგრამ როცა დავინახე, რომ ჩემი მეგობრები იხოცებოდნენ, მერე აღარაფერზე მიფიქრია, გიჟივით ვისროდი ტყვიებს და თან, მწარედ ვიგინებოდი. ისეთ სიტყვებს გავიძახოდი, დედაჩემს რომ გაეგონა, საწყალ ქალს ინფარქტი დაემართებოდა, მაგრამ მერწმუნეთ, ბრძოლის ველზე თავს ვერ აკონტროლებ.

— ალბათ, ვიღაც შენც დაჭერი...

— დავჭერი კი არა, რუსი ჯარისკაცი მოვკალი კიდეც, მაგრამ ამას არ ვნანობ. მე ვამაყობ იმით, რომ ერთი მოძალადე მაინც გამოვასალმე სიცოცხლეს. ის რომ არ მომეკლა, თავად დამასწრებდა და ვიღაც ჩემიანის ოჯახს აუცილებლად გააუბედურებდა.

— შენც ხომ გააუბედურე იმ ჯარისკაცის ოჯახი...

— ჰო, მაგრამ სიმართლე გითხრა, მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი. ალბათ, საკუთარი ცოდვები ოდესმე მეც მომეკითხება...

— ახლა, როცა უკვე სამშვიდობოზე ხარ, ომის შესახებ რას ფიქრობ?

— ომი საშინელებაა! იქ ადამიანებს ერთმანეთი სძულთ, მაგრამ როცა მშვიდობის დროს ერთმანეთს შეხვდებიან, შეიძლება, ურთიერთს თან გადაჰყვნენ. ომს მოაქვს ზიზღი და სადიზმი. ხვალ ან ზეგ შესაძლოა, იმ ჯარისკაცის ახლობელი გავიცნო, რომელიც სიცოცხლეს გამოვასალმე, მას კი ამის შესახებ ისევე არ ეცოდინება არაფერი, როგორც მე და იქნებ, ერთმანეთს ძმობაც კი შევფიცოთ. არადა, ვინ იცის, როგორ ვეყოლები დაწყევლილი... ომი საჭირო არაა, ყველაფრის მოგვარება სხვანაირადაც შეიძლება, მაგრამ თუ ვინმეს სისხლი მოსწყურდება და ომს გამოგვიცხადებს, მაშინ უკან დახევაც სისულელეა, თავზე გადაგივლიან. სამუდამოდ მონობაში ყოფნას კი მერწმუნეთ, გმირული სიკვდილი სჯობს. იმედია, ამის გაკეთება აღარასდროს დაგვჭირდება და მტრებთანაც გამოვნახავთ საერთო ენას, მაგრამ თუ კიდევ დავჭირდები ჩემს ხალხს, სამშობლოს, უკან არაფერზე დავიხევ!..

მე იქ ვიყავი, სადაც ასობით ჩემი თანამემამულე იდგა. ვიცავდი სამშობლოს და ამით ამაყი გახლდით

ეკა, *18 წლის:*

— არ ვიცი, რა უნდა გითხრა, რადგან ამ ომმა ძალიან დამთრგუნა. ჩემი მეზობელი ბიჭი იყო წასული, რეზერვისტად. ის შინ კი დაბრუნდა, მაგრამ მარცხენა ფეხი აღარ აქვს. საცოდავს ომმა ცხოვრება დაუმახინჯა. რატომ უნდა დახეიბრებულიყო ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მალე ცოლი უნდა მოეყვანა? იმედია, მისი საცოლე ამის გამო არ მიატოვებს, მაგრამ... საერთოდ, რისთვის იყო ეს ყველაფერი საჭირო? ღირდა კი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების მცდელობა ამდენ მსხვერპლად? მგონი, რომ არა!

— შენ ფიქრობ, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე აღარ უნდა იზრუნონ?

— ისეთი შეიარაღებული ძალებით, როგორიც ჩვენ გვყავს, ასეთ მოწინააღმდეგეს ვერ მოერევი. ეს იგივეა, რომ კლდეს ურტყა მუშტი და მისი დანგრევა სცადო. რაღაც სხვა გზები უნდა ვეძებოთ, რათა დავიბრუნოთ ის, რაც ოდითგანვე გვეკუთვნოდა.

— და შენ ასეთ გზად რა მიგაჩნია?

— ეს რომ ვიცოდე, ძალიან მაგარი იქნებოდა და ტერიტორიების დაბრუნების პროგრამას ჩვენს პრეზიდენტსაც შევთავაზებდი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ჩემს ძალებს აღემატება. სამაგიეროდ, ვიცი ის, რომ მეგობრობითა და ტკბილი სიტყვით მეტი რაღაცის მიღწევა შეიძლება, ვიდრე მუქარით. მით უფრო, როცა იცი, რომ ზურგს არავინ გიმაგრებს.

— რატომ, თითქმის ყველა ჩვენ მხარესაა, რუსეთის საქციელს ბევრი ქვეყანა გმობს.

— ჰო, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველის. თუ მაგრები იყვნენ, მანამ უნდა დაგვხმარებოდნენ, ვიდრე ასეთი უბედურება დატრიალდებოდა. ისინი მხოლოდ მორალურად ამოგვიდგნენ მხარში, ეს კი ვერაფერს გვიშველიდა.

— მათ საქართველოს დასახმარებლად თავიანთი ჯარისკაცები უნდა შემოეყვანათ?

— აბა, რა და როცა რუსეთი ამას დაინახავდა, უკან დაიხევდა.

— შენ ამის გჯერა?

— რა თქმა უნდა! აბა, მთელ მსოფლიოს ხომ არ დაუპირისპირდებოდა? ეს იგივეა, ჩვენ რუსეთს მხოლოდ საკუთარი ძალებით რომ დავუპირისპირდეთ.

— შენი მეგობრებიც შენსავით მსჯელობენ?

— არა, სხვადასხვაგვარი მოსაზრება გვაქვს, იქიდან გამომდინარე, რასაც ახლობლებისგან ვისმენთ: ზოგი რუსეთთან მეგობრობას ემხრობა, ზოგი — ამერიკისკენ „იქაჩება“, ზოგს კი ჩემსავით, არც ერთი უნდა და არც — მეორე... ძალიან მინდა, ჩვენს ქვეყანაში სიმშვიდე იყოს და ქართველებს არავინ გვემუქრებოდეს.

წერილები რედაქციას

„ნუთუ, ეს ომი ერასღროს დამთავრდება?“

„18-19 წლის ბავშვებმა სისხლის სუნი იგრძნეს“

ლორელაი, *18 წლის:*

„ლიკ, წინა კვირაში გწერდი, — არსადაც არ წავალ, ჩემს სახლს არ მივატოვებ-მეთქი, მაგრამ იქიდან წამოსვლამ მაინც მომიწია. ჩვენები უკან რომ იხევდნენ, ჩემმა შეყვარებულმა დამირეკა და მითხრა: სოფლიდან სასწრაფოდ გადითო. — არსად არ წავალ-მეთქი, — რომ ვუთხარი, იმხელა იყვირა, სროლის ხმაც კი გადაფარა. ძალიან შემეშინდა. თანაც, იმწამს ბომბი ჩამოაგდეს და დაწექითო, — ბიჭები გააფრთხილა. ტელეფონიდან მესმოდა დაბომბვის, ავტომატების ჯერის ხმა, ჩვენების ყვირილი და დაჭრილების კვნესაც კი, რომლებიც სადღაც, ორმოში იწვნენ. მან ისიც მითხრა, — გთხოვ, სოფლიდან წადი, მაგრამ ტელეფონი არ გათიშო, არ დამეკარგოო. საშინელება იყო... სოფელი გაივსო თბილისისკენ მიმავალი მანქანებით, ჯარისკაცებით. უკვე ღამე იყო, როცა სოფლიდან გამოვედით. გზაზე დიდ მანქანებზე შემოდგმული ბომბდამშენები შევნიშნე. ერთ-ერთი მათგანიდან სწორედ იმ დროს გაისროლეს, როცა ჩვენ გამოვდიოდით. გვეგონა, ჩვენ გვიმიზნებდნენ და პანიკაში ჩავცვივდით. სოფლიდან ძლივს გამოვაღწიეთ, მერე კი მთელი გზა ცას შევყურებდით, ყველგან თვითმფრინავები გველანდებოდა. მეორე ღამემდე წარმოდგენა არ მქონდა, სად იყო ჩემი ჯარისკაცი, ცოცხალი იყო თუ არა. იცით, რა ბედნიერი ვიყავი, როცა დამირეკა. ძალიან მიხარია, რომ არაფერი სჭირს. თვითონ ძალიან სევდიანი და გულჩათხრობილია. ბევრი მეგობარი დაკარგა და უმათობას საოცრად განიცდის... ძალიან მაღიზიანებენ ის არაფრისმცოდნე, მატყუარა და მოლაყბე ადამიანები, რომლებიც შიშისგან სახლებში იმალებოდნენ და ახლა, ენაწაგრძელებულები, იმ მეომრებს აკრიტიკებენ, რომლებიც სამშობლოს დასაცავად გმირულად იდგნენ ბრძოლის ველზე. ასეთ უგუნურ ადამიანებზე ნაწყენი ვარ, რადგან მათ სილაჩრე და სიბრიყვე გამოამჟღავნეს. ქართველებო, არ შეგშვენით ასეთი რამ! იმ ბიჭებით კი, ვინც ბოლომდე იბრძოდა და ერთხელაც არ დაუჩივლია, ვამაყობ. საბედნიეროდ, ვაჟკაცებიც ბევრი გვყავს და ამ უთანასწორო ბრძოლაში ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდა. გმირულად დაღუპული ადამიანების გამო გული ძალიან მტკივა, მათ ოჯახებს ვუსამძიმრებ. ვფიქრობ, მათი ჭირისუფალი მთლიანად საქართველოა. გაუძელი, საქართველოვ! უფალო, დაგვიფარე. P.S. მე ის ვთქვი, რისი თქმაც ძალიან მინდოდა, რაც გულს სტკიოდა და გთხოვ, სრულად დამიბეჭდე“.

დაცემული პატრიოტი:

„აღარ ვიცი, რა ვქნა და ვთქვა. შეიძლება, ამ სიტყვების მერე ბევრმა დამძრახოს, მაგრამ... ამ ყველაფრის მერე, აღარც აფხაზეთი მინდა და აღარც — ოსეთი. ოღონდ მშვიდობა იყოს და ყველაფერზე თანახმა ვარ. ეს დღეები ხომ დაუვიწყარი კოშმარია, ამ თაობისთვის! ნუთუ შეიძლება, XXI საუკუნეშიც სისხლის ღვრა იყოს?“

ლიკა, *18 წლის:*

„საოცარია, მაგრამ მე ამ დღეებში ვნახე მამაცი, ამაყი, საკუთარი სამშობლოსათვის მებრძოლი ჩემი ერი, მაგრამ სამწუხაროდ, ვნახე სულმდაბალი, მაღალ ღირებულებებს მოკლებული ადამიანებიც და გული მეტკინა, რომ მათი კარგად ყოფნისა და მათი მშვიდობიანი ცხოვრების გამო, ჩვენი სამშობლოს მიწა არაერთხელ მოირწყო სისხლით. ერთმა ახალგაზრდამ მითხრა, — მე იმასთან მინდა, ვინც კარგად მაცხოვრებსო. გული ჩამწყდა. ნუთუ, ასეთი ქართველები ჩვენი წინაპრების ოფლით აქამდე მოტანილ მიწაზე ცხოვრების ღირსნი არიან? გრცხვენოდეთ, მშიშრებო! მე კი წვეთ-წვეთად, თანაც, სიამოვნებით გავიღებდი სისხლს იმისათვის, რომ ჩემს სამშობლოს კვლავ საქართველო ერქვას!“

უცნობი:

„თუ გინდა, ნუ დაბეჭდავ, უბრალოდ, მინდოდა, ვიღაცისთვის გამეზიარებინა ჩემი სატკივარი. უფალმა დაგვსაჯა იმ ამპარტავნებისთვის, ბოროტებისთვის, სიძულვილისთვის, რასაც ამ ბოლო დროს ერთმანეთის მიმართ ამჟღავნებდნენ ქართველები. ეს დღეები არასდროს დამავიწყდება. რამდენი სისხლი დაიღვარა, რამდენი ქართველი დაიღუპა. ჩემი საქმრო 3 თვით, სამშვიდობო მისიით ცხინვალთან იმყოფებოდა და როცა ომი დაიწყო, წინა ხაზზე იბრძოდა. ისიც კი ვიფიქრე, თუ ცოცხალი არ დამიბრუნდება, მონასტერში წავალ და მონაზონი გავხდები-მეთქი, მაგრამ უფლის შეწევნით, ცოცხალია. მაგრამ ვინ იცის, რამდენი ქართველი დაიღუპა? მინდა, გარდაცვლილთა ახლობლებს უდიდესი სამძიმარი ვუთხრა და თუ დამიჯერებენ, მეც ისევე მტკივა გული, როგორც მათ. მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, ცრემლი არ შემშრობია. გამაგრდით, ჩემო ძვირფასებო. ღმერთმა გაძლება მოგვცეს, დაგვიფაროს და გაგვაძლიეროს. უზომოდ მიყვარხართ ყველა“.

პარიჟანკა:

„ღმერთო, როდემდე უნდა იღვრებოდეს ქართველთა სისხლი? რამდენი ახალგაზრდის სიცოცხლე შეწყდა? რამდენმა დედამ ჩაიცვა ძაძა? რამდენი შეყვარებული გულის ფეთქვა დასრულდა? იქ ჩემი ასაკის ბიჭებმა სიკვდილს ჩახედეს თვალებში, 18-19 წლის ბავშვებმა სისხლის სუნი იგრძნეს და შინ ცოცხლები, მაგრამ სულდასახიჩრებულები დაბრუნდნენ. გიო, შენ სად ხარ? ჩემი მეგობრის დაბრუნებით გამოწვეულ სიხარულს (თუ ეს სიხარულია), შენზე დარდი აქარწყლებს, ბიჭო. ვლოცულობ შენთვის და შენისთანებისთვის. გელოდები, ძვირფასო ძმაო“.

თინათინი, *20 წლის:*

„მინდა, მეც გამოვთქვა ჩემი აზრი. ღმერთო, რა საშინელება ყოფილა ომი. არ ვიცი, ამ ტკივილს რა დაგვავიწყებს. უძლურების გრძნობამ გამაგიჟა, როცა ვერაფრით ვშველოდი ჩემს ქვეყანას. სისხლი ჩავაბარე, ხალხს ტანსაცმლით დავეხმარე, მაგრამ ეს ხომ ბევრს არაფერს ნიშნავს... ქედს ვიხრი ყველა დაღუპულის, ყველა ჩვენი გმირის წინაშე. ღმერთს ვებარებოდეთ“.

მაესტრო:

„არ ვიცი, ჩემი მესიჯისთვის რამდენად გეცლებათ, მაგრამ მაინც, უნდა ვთქვა ის, რასაც განვიცდი. არც კი ვიცი, ეს ჯალათები როგორი სიტყვებით მოვიხსენიო. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, მხოლოდ უმდაბლესი სულიერი, მორალური და გონებრივი განვითარების საფეხურზე მყოფ ადამიანს შეეძლო გაეკეთებინა. უდანაშაულო მოსახლეობისა და ახალგაზრდა ბიჭების ცოდვის თრევა, რუსეთს მრავალი საუკუნის მანძილზე მოუწევს. ის საშინელება, რაც ამ დღეებში ვნახე, კოშმარშიც არასდროს დამსიზმრებია. ამბობენ, დრო იარებს აშუშებსო. ეს არავინ დაიჯეროს. ამას ის ამბობს, ვისაც ტკივილი, სულის საშინელი ტკივილი არ განუცდია. ათასობით უმწეო ბავშვის, შვილმკვდარი დედის, ქვრივის თუ ნაადრევად სიცოცხლემოსწრაფებული ჯარისკაცის ტკივილით გაჩენილ ცრემლსა და ჭრილობებს პატარა საქართველო ვერასდროს მოიშუშებს. ვიცი, ასეთ მძიმე თემაზე არ უნდა გწერდეთ, მაგრამ ამდენი დარდის ტარება აღარ შემიძლია. ბევრჯერ ჩამიხედავს სიკვდილისთვის თვალებში და ვიცი, ეს რა ჯოჯოხეთიცაა. მინდა, ტკივილი მთელ საქართველოს გავუზიარო, მინდა, თანავუგრძნო ყველა დაღუპულის ოჯახს და მინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადო ჩემი სამშობლოს თითოეულ მოქალაქეს. ყოველთვის ვიამაყებ იმით, რომ მე საქართველოს ამ პატარა მიწაზე მერგო ადგილი. მჯერა, უფალი არასდროს მიგვატოვებს და სადისტი მტერი ვერასდროს გაგვტეხს. ერთმანეთის გადარჩენისთვის ვილოცოთ, ქართველებო. ჩვენი სიყვარული მსოფლიო სიძულვილზე დიდია და აი, სწორედ ეს გადაგვარჩენს. უფლის და გამარჯვების რწმენა იყოს ჩვენი მეგზური. მშვიდობა ჩვენდა“.

„ მართლა რომ ჰყვარებოდი, შენზე ძალას არ იხმარდა“

„გზის“ №33-ში დაიბეჭდა 19 წლის ნათიას მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ შეყვარებულია ბიჭზე, რომელმაც 1 წლის წინ მასზე ძალა იხმარა. გოგონა ამბობდა: „ახლა ორსულად ვარ, მას კი ჩემი ცოლად მოყვანა არ უნდა. მეუბნება, — მუცელი მოიშალეო“. ნათიამ არ იცის, რა ქნას. თან, ამას ისიც ემატება, რომ მამამისს სიმართლეს ვერ უმჟღავნებს, რადგან ჰგონია, ის ვერ გაუგებს და შეიძლება, მოკლას კიდეც (როგორც თავად გვწერს, დედა არ ჰყავს).

„სრული უფლება გაქვს, დედოპის პედნიმრეპა შემიპრძნო“

მაგნოლია:

„ღმერთი არ გაგიწყრეს და აბორტზე არც იფიქრო. ჰო, სანამ მამაშენს ამ ამბავს ეტყვი, ერთ ხელში კატაბალახას ნაყენით სავსე ფლაკონი დაიკავე, მეორეში — კორვალოლი, რა იცი, რა ხდება. ჰო, ისე, უთხარი, რომ შენით უნდა „იამაყოს“, რადგან მრავალტანჯულ საქართველოს უმამოდ გაუზრდი ახალ გმირს... აბა, დედობას წინასწარ გილოცავ, ჩემო კარგო“.

უცნობი:

„ამქვეყნად ყველაზე დიდი ბედნიერება ბავშვია და ამაში თავადაც დარწმუნდები, როცა გეყოლება. ერთი „ესემესით“ ვერ გეტყვი იმას, რისი თქმაც მინდა და ღირებულსაც ვერაფერს გირჩევ. ჰოდა, თუ სურვილი გაგიჩნდება, დამიკავშირდი“.

ჭრიჭინა:

„ოჯახის წევრებისთვის ყველაფერი თავის დროზე რომ გეთქვა, ახლა ასეთ მდგომარეობაში არ იქნებოდი და არც არაკაცის საყვარელი გერქმეოდა. ან მას შემდეგ, რაც მან შენზე ძალა იხმარა, იმ ნაგავთან ურთიერთობა როგორ გააგრძელე? პატარა არავითარ შემთხვევაში არ გაწირო. დამიჯერე, შეიძლება, უიმისობას ერთი წელი გაუძლო, მაგრამ მერე ძებნას დაუწყებ, სულ იმ წამებს გაიხსენებ, როცა გულში პირველად ჩაიხუტე. კარგი იქნებოდა, ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო, მაგრამ გული ნუ დაგწყდება. ხომ იცი, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. მამას უნდა დაელაპარაკო, სხვა გზა არ გაქვს. იმ არაკაცს კი აუცილებლად დაშორდი! გაგვაგებინე, მოვლენები როგორ განვითარდება. ღმერთს ებარებოდე“.

გრუზინკა:

„მამას სიმართლე უნდა უთხრა და ის დაგეხმარება. მართლა ურჩხული ხომ არაა? ან ამ ყველაფერს როდემდე დამალავ? როგორც თვითმკვლელობა, ისე ბავშვის მოკვლაც დიდი ცოდვაა. სიმართლის ნუ გეშინია“.

უცნობი:

„ჩემი რჩევა მიიღე და მუცელი არ მოიშალო, თორემ ძალიან დაიტანჯები; საკუთარ თავს ამ საქციელს ვერასდროს აპატიებ. ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნები. მე შევცდი და ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. წლების წინ მეც შენსავით დამემართა, მაგრამ ძალიან სუსტი აღმოვჩნდი... თუ ქალაქის ნომერი გაქვს, მომწერე და რითიც შევძლებ, დაგეხმარები“.

გამოუსწორებელი რომანტიკოსი:

„ფარ-ხმლის დაყრის უფლება არ გაქვს! ღმერთი თავის შვილებს არ მიატოვებს. საქართველოში არსებობს სათნოების სახლები და დახმარებისთვის მათ მიაკითხე“.

ნინი-კო:

„შენმა წერილმა შემძრა. არა, ნათ, თავის მოკვლაზე არც უნდა გეფიქრა, შენ ხომ ახლა პატარაზეც უნდა იზრუნო. არა მგონია, მამამ ამის გამო მოგკლას. მერწმუნე, ყველა მშობელს ძალიან უყვარს თავისი შვილი. მას დაელაპარაკე, ყველაფერი აუხსენი და აუცილებლად გაგიგებს. აბა, ღმერთი შენკენ და იმ პაწაწუნასკენ, რომელიც მალე დაიბადება!..“

სალუკა:

„ნათი, შენზე ძალიან გავბრაზდი, რადგან იმ ბიჭს, ვინც შენზე ძალა იხმარა, შეყვარებული უწოდე. მას რომ ჰყვარებოდი, ასე არ მოგექცეოდა. მაპატიე, მაგრამ ყველაფერი შენი ბრალია, მისი საყვარელი არ უნდა გამხდარიყავი. მას არ უყვარხარ! ბავშვს არაფერი დაუშავებია და ის აუცილებლად უნდა დაიბადოს! იცოდე, ჩადენილ ცოდვებს კიდევ ერთ დიდ ცოდვას ნუღარ მიუმატებ. გამოფხიზლდი, ეკლესიაში მიდი და იქნებ, ცოდვებით დამძიმებული სული ცოტათი მაინც შეიმსუბუქო. ღმერთი გფარავდეს“.

უცნობი:

„ცოდვას ნუ დაიდებ და მუცელს ნუ მოიშლი. მამაშენს ყველაფერი აუხსენი, იმ ბიჭს კი, ვინც შენზე ძალა იხმარა (თუ ეს სიმართლეა), სასამართლოში უჩივლე და „ვირის აბანოში“ გაუშვებენ. ჰოდა, იქ ისწავლის კაცობას“.

თელაველი:

„კარგო ადამიანო, სასოწარკვეთილებაში ნუ ჩავარდები. ბავშვის მოშორება უდიდესი ცოდვაა, მით უმეტეს, ახლა, როცა საქართველოს თითოეული ახალი სიცოცხლე ასე ძალიან სჭირდება. რაც შეეხება წასასვლელს, მონასტერს შეაფარე თავი. ასე შენც დალოცვილი იქნები და შენი შვილიც. უფალს მიენდე და გადარჩები“.

მარიკო-17:

„მინდა, გაგამხნევო და გითხრა, რომ ბავშვი არავითარ შემთხვევაში არ მოიშორო. მჯერა, შენს ცხოვრებაში გამოჩნდება ისეთი ვინმე, ვინც მხარში ამოგიდგება. თავის მოკვლა კი სისულელეა, სხვა არაფერი. წარმატებებს გისურვებ!“

ქუცქნა, *17 წლის:*

„იმ ბიჭს მართლა რომ ჰყვარებოდი, შენზე ძალას არ იხმარდა და არც ბავშვს გაიმეტებდა სასიკვდილოდ. უნდა გამაგრდე და მუცლის მოშლაზე არც იფიქრო. ღმერთი გადმოგხედავთ შენც და შენს პატარასაც. მამას დაელაპარაკე, იქნებ, გაგიგოს და დაგეხმაროს“.

უცნობი:

„ნათ, შენზე ერთი წლით პატარა გოგო მყავს. ვერ გეტყვი, მსგავს სიტუაციაში რას ვიზამდი, მაგრამ პატარას ნამდვილად არ გავწირავდი. იცოდე, დედასავით მოგივლი, დაგეხმარები“.

ბარტყი, *18 წლის:*

„ჩემი აზრით, იმ ბიჭს არ უყვარხარ. სხვა შემთხვევაში, შენზე ძალას არ იხმარდა. ნუ ნერვიულობ, ნათ. გირჩევ, მამაშენს გულახდილად უამბო ყველაფერი. თუ ადამიანურად მიუდგები, აუცილებლად გაგიგებს. აბა, შენ იცი“.

„ჩემს მეგობარსაც მოუკვდა შეყვარებული და...“

„ტკივილი ორმაგდება, როცა აღმოაჩენ, რომ მეგობრებსაც კარგავ“

„გზის“ №33-ში დაიბეჭდა 18 წლის სევდიანის მესიჯი, სათაურით — „საყვარელ ადამიანებს ყოველთვის ვკარგავ“. გოგონა გვწერდა, რომ რამდენიმე ხნის წინ დაკარგა შეყვარებული (ის ავარიაში დაიღუპა) და ამბობდა: „ყოველდღე ვტირი... უკვე მეგობრებიც თავს მარიდებენ, რადგან აგრესიული გავხდი. გული მტკივა“.

ჭრიჭინა:

„ძვირფასი ადამიანის დაკარგვისას განცდილი ტკივილი ორმაგდება, როცა აღმოაჩენ, რომ ამის შემდეგ მეგობრებსაც კარგავ. დაუბრუნდი ძველებურ ცხოვრებას და მეგობრებიც აუცილებლად გაგიგებენ, მხარში ამოგიდგებიან!“

გრუზინკა:

„სევდიანო, ღმერთის ნების წინაშე ჩვენ უძლურები ვართ. ილოცე საყვარელი ადამიანების სულებისთვის“.

გამოუსწორებელი რომანტიკოსი:

„ყველაფერი უფლის ნებაა. ჩემს მეგობარსაც მოუკვდა შეყვარებული და ამის შემდეგ, ის ამქვეყნიურს აღარ ჰგავდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გაიცნო ადამიანი, რომელმაც თავი შეაყვარა. მათ უკვე ოჯახი შექმნეს და პატარასაც ელოდებიან. გამხნევდი! მერწმუნე, დაღმასვლას ყოველთვის აღმასვლა მოჰყვება, დრო კი ყველა ტკივილს განკურნავს. უფალი არ მიგატოვებს!“

პუკუ:

„შენი ასაკის ვარ და კარგად მესმის შენი, რადგან ახლახან საქმრო ლამის მეც დავკარგე. ბევრი ილოცე მისი სულისთვის, ტირილით კი ვერ გააცოცხლებ. ჩემო კარგო, თავს უნდა მოერიო“.

მის რეალი:

„გენაცვალე, ცხოვრება რთულია. ხანდახან სასოწარკვეთილებაში ვვარდებით, მაგრამ ყველაფერს უნდა გავუძლოთ. სევდიანო, ცხოვრება გამოცდას გვიწყობს — ვინც მას გაუძლებს, ბედნიერებას მოიპოვებს, ვინც ვერა და, უბრალოდ, დაიღუპება... ეცადე, აგრესია შეამცირო და სხვებს სითბო აჩუქო. ვიცი, გამოგივა. თუ გსურს, შემეხმიანე“.

ძუცქნა, *17 წლის:*

„გამაგრდი, ეს ცხოვრება ტანჯვა და გამოცდაა. რაღაცის გამო გული ყველას გვტკივა, მაგრამ როგორმე ყველაფერს უნდა გავუძლოთ. იფიქრე იმაზე, რომ შენი ტანჯვით შენი გარდაცვლილი მეგობარიც იტანჯება და გამაგრდი. სიამოვნებით გაგიცნობდი“.

უცნობი:

„ჩემო კარგო, შენი კარგად მესმის, რადგან მეც დავკარგე ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანები. ერთს გეტყვი, ყველაფერი გაივლის, შენი გულიც დაწყნარდება და იმ ადამიანს სევდანარევი ღიმილით გაიხსენებ“.

„მამაჩემი დაპონკილი ტანისამოსით და დასაბან-დასავარცხნი გამომეცხადა...“

ბარბი, *16 წლის:*

„გამარჯობათ. მინდა, ჩემი გასაჭირის შესახებ გიამბოთ. დედა და მამა სულ ჩხუბობდნენ. მამა ზოგჯერ ისე ცოფდებოდა, რომ დედას საშინლად სცემდა. არ მახსოვს, რატომ ჩხუბობდნენ, რადგან პატარა ვიყავი და ვერაფერს ვხვდებოდი, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ამ კოშმარს თითქმის ყოველდღე, მთელი ბავშვობა ვუყურებდი. ოჯახში ყველაზე პატარა ვარ და ჩემი და-ძმისგან განსხვავებით, მამა მე უფრო მათამამებდა. ამიტომაც, ძალიან მიყვარდა და ყველაფერში მისი იმედი მქონდა. ერთხელაც, მშობლებმა ისე იჩხუბეს, რომ მამა სახლიდან წვიდა. მაშინ 10 წლის ვიყავი. მას მერე მხოლოდ ერთხელ ვნახე, 15 წლის ასაკში. მანამდე ღმერთს აცრემლებული ვევედრებოდი, — მამაჩემს შემახვედრე, ძალიან მომენატრა-მეთქი და ეს ნატვრაც ამისრულდა, მაგრამ რად გინდა (ნეტავ, იმ დღეს მოვმკვდარიყავი)?! მამაჩემი დაკონკილი ტანისამოსით და დასაბან-დასავარცხნი გამომეცხადა. „ბომჟადქცეული“ ძლივს ვიცანი. მიუხედავად ყველაფრისა, მამას ჩავეხუტე, თვითონ კი არც განძრეულა, ცივად მიყურებდა. მივხვდი, მისთვის აღარაფერი ვიყავი. ამ ამბავმა ძალიან დამთრგუნა, მაგრამ ვიცოდი, რომ ვერაფერს შევცვლიდი. ამჟამად, მე და ჩემი და-ძმა დედაჩემით აღფრთოვანებულ კაცთან ვცხოვრობთ. ეს კაცი ყველა სურვილს გვისრულებს: კომპიუტერი, DVD, ტელევიზორი, მობილური ტელეფონები და სახლიც კი გვიყიდა, მაგრამ ასეთი არაფერი მინდა. დედაჩემი ცუდად მექცევა — უკვე 16 წლის ვარ და რამდენიმე დღის წინ, პატარა კამათის გამო, სასტიკად მცემა. მას ჩემი თავი ჩემმა დამ და მეზობლის გოგომ ძლივს გამოჰგლიჯეს ხელიდან. შუაღამე იყო და საშინლად წვიმდა. მიუხედავად ამისა, გადავწყვიტე, სახლიდან წავსულიყავი, მაგრამ როცა დედამ დამამაშვიდებელი აბები დალია, გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი — თავი შევიკავე იმიტომ, რომ უფრო ცუდად არ გამხდარიყო. 2 დღის წინაც პატარა წვრილმანის გამო მცემა. 2 წლის ბავშვი ხომ აღარ ვარ?! ოჯახის წევრებმა სული დამიმახინჯეს. გთხოვთ, მირჩიეთ რამე და მანუგეშეთ, თორემ ამდენს ვეღარ გავუძლებ. კიდევ ერთხელ რომ დამარტყას ხელი ან სახლიდან წავალ, ან თავს მოვიკლავ“.

„მცემდა, მამცირებდა და... არც ორსულს მინდობდა“

უცნობი, *18 წლის:*

„14 წლის ვიყავი, როცა მომიტაცეს. მე სხვა მიყვარდა და ახლაც ის მიყვარს. ქმარი თავიდანვე საშინლად მექცეოდა, მცემდა, მამცირებდა და თქვენ წარმოიდგინეთ, არც ორსულს მინდობდა. მერე წამალზე შეჯდა და ჩემი მდგომარეობა უფრო დამძიმდა. ჰოდა, გავშორდი. მისი მეშინოდა, ნევროზი დამემართა, ამის ნიადაგზე კი თავის მოკვლაც ბევრჯერ ვცადე. ქმარმა გამამწარა, საბოლოოდ გამანადგურა... როცა მეგონა, რომ ჩემი ცხოვრებიდან გაქრა, სხვა გზა არ დამიტოვეს და ისევ შეგვარიგეს. ახლა მასთან ვარ და საშინელ დღეში ვიმყოფები. როცა თვრება, მცემს. აღარ ვიცი, რა ვქნა ან ვის ვუთხრა ჩემი გასაჭირი, რადგან მეგობარიც აღარ შემრჩა. მოკლედ, თქვენს მეტი აღარავინ მყავს და იმედია, არ გამწირავთ. მირჩიეთ, რა ვქნა. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ!“

***P.S.* მაშ ასე, თუ ბარბისა და უცნობის წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.** ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

დაბალი წნევა

„პრესისა თუ ტელევიზიის საშუალებებით ძალიან ხშირად საუბრობენ ხოლმე მაღალ წნევაზე, მაგრამ რა ვქნათ ვისაც დაბალი წნევა გვაწუხებს და ექიმთან მისვლის საშუალება არ გვაქვს?

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია დაბალ წნევაზე. წინასწარ გიხდით მადლობას, ლელა ბეკურაშვილი“.

ქალბატონი ლელა დაბალ წნევაში არტერიულ ჰიპოტენზიას გულისხმობს, რომელიც მამაკაცებსაც აწუხებთ, მაგრამ განსაკუთრებით ხშირად სუსტი სქესის წარმომადგენლები უჩივიან. ახალგაზრდა ქალების უმრავლესობა წნევის დაქვეითებისაკენ არის მიდრეკილი. დაბალი არტერიული წნევა ხშირად აქვთ დიეტაზე მყოფ გოგონებს, ორსულებს, სპორტსმენებს და ასთენიური აღნაგობის — ფაქიზ, გრძელფეხება, ვიწრობეჭება ქალბატონებს.

ჰიპოტენზიის ძირითადი მიზეზი არტერიების დაბალი ტონუსია, რაც მრავალი დაავადების დროს ვითარდება (პირველ რიგში, ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის, ფარისებრი და თირკმელზედა ჯირკვლების დისფუნქციის დროს). ქალებში ხშირად გვხვდება 4 ტიპის — დროებითი, პროფესიონალური, ასაკობრივი და ორთოსტატიკური ჰიპოტენზია და ისინი არანაირად არ უკავშირდება რაიმე დაავადებას.

1. ბევრ მანდილოსანს დროებითი ჰიპოტენზიის შეტევა ეწყება ელექტრომაგნიტური გამოსხივების (მაგნიტური ქარიშხლების დროს), ხანგრძლივი ვიბრაციის (ტრანსპორტში), ხმაურისა და მკვეთრი სუნის გამო.

2. პროფესიული ჰიპოტენზია იმ ქალაბატონების ხვედრია, რომლებიც გადამეტებულ ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვას განიცდიან. წნევის დაქვეითებით ორგანიზმი ცდილობს კონკრეტულ მომენტში გულ-სისხლძარღვთა სისტემის გადაჭარბებული აქტივობა დაარეგულიროს.

3. ასაკობრივი ჰიპოტონია აქვთ გოგონებს გარდატეხის ასაკში, როცა მენსტრუალური ციკლის ჩამოყალიბება ხდება. მათი სისხლძარღვოვანი სისტემა ვერ ახერხებს სწრაფად მზარდი ორგანიზმის მომატებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და ამასთან რეაგირებს ჰორმონული ფონის მკვეთრ ცვლილებაზე.

4. ორთოსტატიური ჰიპოტონია გამოწვეულია სხეულის მდებარეობის მკვეთრი ცვლილებით. უმეტესად გვხვდება ხანში შესულ ქალბატონებში (განსაკუთრებით მათში, ვისი ორგანიზმიც დასუსტებულია ქრონიკული დაავადებებით ან ხშირი ოპერაციებით) და მომავალ დედებში, ორსულობის მეორე ნახევარში. სწრაფი ადგომის ან დახრის დროს მათ უგუბდებათ ყურები, თვალთ უბნელდებათ და გონებაც კი ებინდებათ.

როგორ ვლინდება ჰიპოტენზია

ჰიპოტენზიის კლასიკური სიმპტომებია:

✓სისტოლური (ზემოთა) წნევა 100-ზე დაბალია, დიასტოლური კი — 70-ზე;

✓სისუსტე, თავბრუსხვევა, ადვილად დაღლა, ძილიანობა;

✓ხშირი თავის ტკივილი, პულსის გახშირება, წაბარბაცებისკენ და გულის წასვლისკენ მიდრეკილება;

✓მოუსვენრობა და პერიოდულად შიშის შეგრძნება.

რჩევები

დაბალი წნევის მატარებელების უმეტესობას შემუშავებული აქვს წნევის ნორმალურ ციფრებამდე მომატების ინდივიდუალური მეთოდი. ჩვენ შემოგთავაზებთ 7 უნიკალურ მეთოდს, რომელიც არტერიული ჰიპოტენზიით შეპყრობილი ქალების უმრავლესობას დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში. 5-5 დღე გამოცადეთ საკუთარ თავზე ჩვენ მიერ მოყვანილი თითოეული მეთოდი (თან რეგულარულად გაიზომეთ წნევა, რათა ამ მეთოდის ეფექტურობა დაადგინოთ), შემდეგ კი საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ თქვენთვის ყველაზე ეფექტური:

- 2 ჩ/კ ნედლ, დაქუცმაცებულ უსუპს დაასხით 1 ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1/2 საათი და შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ ყოველ ჯერზე 1/4 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათი ადრე. ჩაიტარეთ 2-კვირიანი მკურნალობის კურსი, შემდეგ დაისვენეთ 1-2 თვე.
- დილით და დღის განმავლობაში კიდევ 1-2-ჯერ დალიეთ მაგარი მწვანე ჩაი.
- 3-4-ჯერ წელიწადში (თუ მკურნალი ექიმი ამის წინააღმდეგი არ იქნება) 21 დღის განმავლობაში მიიღეთ აფთიაქში დამზადებული ჟენშენის ან ევკალიპტის ნაყენი; თუ წნევა ძალიან დაბალი გაქვთ, მაშინ

ლიმონურას მიღებაც შეგიძლიათ (10-20 წვეთი 1/4 ჭ წყალზე საუზმისა და სადილის წინ)

- დილით და ღამით, ძილის წინ 1 საათით ადრე ისეირნეთ სუფთა ჰაერზე.
- კვირაში 2-ჯერ, (უმჯობესია, ყოველ მეორე დღეს) მიიღეთ კონტრასტული შხაპი. თავდაპირველად, 5-7 წუთი იდექით თბილი წყლის ნაკადის ქვეშ; შემდეგ ნელ-ნელა გააცივეთ წყალი, მერე კი ისევ გაათბეთ.
- შეეცადეთ, იკვებოთ ხშირად, მაგრამ მცირე ულუფებით.
- ყოველ დილით საწოლიდან აუდგომლად შეასრულეთ შემდეგი ვარჯიშები:

✓ დაწექით ზურგზე, ხელები ტანის გასწვრივ დააწყვეთ. გააკეთეთ ექვსჯერ ნელი, მშვიდი ჩასუნთქვა ცხვირით და ამოსუნთქვა პირით;

✓ მიაბრუნეთ თავი მარჯვნივ და მარჯვენა ხელისგული გაიტარეთ ქვედა ყბის კუთხიდან ლავიწამდე. შემდეგ მოაბრუნეთ თავი მარცხნივ და იგივე მოძრაობა შეასრულეთ მარცხენა ხელით;

✓ მარჯვენა და მარცხენა ხელი რიგრიგობით (25-25-ჯერ) გაიტარეთ შუბლის შუა ნაწილიდან საფეთქლებისკენ, შემდეგ თითების ბალიშების მსუბუქი დარტყმებით გაიკეთეთ საფეთქლებზე მასაჟი;

✓ მოდუნდით და გააკეთეთ 3 ღრმა ჩასუნთქვ-ამოსუნთქვა;

✓ საჩვენებელი და ცერა თითები დაიდეთ თვალის შიგნითა და გარეთა კუთხეებზე და პერიოდულად აწარმოეთ ზეწოლა შემდეგი სქემით: ძლიერი ზეწოლა (დაითვალეთ 7-მდე) — პაუზა, (დაითვალეთ 15-მდე) — ზეწოლა-პაუზა-სრული მოდუნება;

✓ ორივე ხელის საჩვენებელი თითები დახუჭული თავლების ქუთუთოებზე გაატარეთ რამდენჯერმე შიგნიდან გარეთა მიმართულებით;

✓ რამდენჯერმე გაჭიმეთ ხელები წინ, შემდეგ კი — ზევით;

✓ თავი რამდენჯერმე მიატრიალ-მოატრიალეთ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, შემდეგ კი გადმოწექით ჯერ ერთ, მერე მეორე გვერდზე;

✓ დაწექით მარჯვენა გვერდზე და 5-6-ჯერ ასწიეთ გამართული მარცხენა ფეხი. შემდეგ გადაწექით მარცხენა გვერდზე და იგივე გააკეთეთ მარჯვენა ფეხით;

✓ დაწექით ზურგზე, გაშალეთ ხელები განზე, წამოჯექით, ღრმად ჩაისუნთქეთ, ამოსუნთქვის დროს ნელ-ნელა გადაიხარეთ წინ და თითებით შეეხეთ ტერფებს, ასეთ მდგომარეობაში გაჩერდით რამდენიმე წამი, შემდეგ დაწექით. ეს ვარჯიში გაიმეორეთ 3-4-ჯერ. ■

თავადვე უშველეთ საკუთარ თავს

1. სერიოზული გადაღლა

ზოგ ადამიანს დღის განმავლობაში იმდენად დატვირთული სამუშაო რეჟიმი აქვს, რომ ღამე დაღლილობისგან დაძინებასაც კი ვერ ახერხებს. ბუნებრივია, გამოუძინებელს კი მეორე დღეს სამსახურში წასვლა და სრულფასოვანი მუშაობა ნამდვილად გაუჭირდება. ასეთმა პირებმა „ძილისმომგვრელი“ ბალიშები უნდა შეიკერონ, რაც მეტად მარტივი და იაფი საქმეა და მდგომარეობს ბალიშის პირის ქვეშ არომატული და ფიტონციდური მცენარეების (დაფნა, გვიმრა, თხილი, წიწვი, პიტნა და ვარდის ფურცლები) მოთავსებაში.

2. შეწითლებული თვალები

თვალების სიწითლისა და ქუთუთოების შეშუპების მოხსნის ერთ-ერთი ყველაზე უვნებელი და იოლი მეთოდია ოხრახუშის წვენის საფენების დადება.

მარლისგან შეკერილ პატარა თოფრაკში ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და მოათავსეთ ცხელ წყალში. 15-20 წუთის შემდეგ ამოიღეთ, აცალეთ გაგრილება და 10 წუთის განმავლობაში დაიდეთ თვალებზე.

3. მტკივნეული კბილები

მიხაკის ზეთი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ხსნიან ტკივილსა და კლავენ ბაქტერიებს. დაასველეთ ბამბის ბურთულა ამ ზეთში და დაიდეთ მტკივან კბილზე.

4. სლოკინი

თუ არ გშველით ყველასთვის კარგად ცნობილი საშუალებები, როგორიცაა: ნელ-ნელა, დიდ-დიდი ყლუპებით 1 ჭიქა ცივი წყლის დალევა; ხელების შემოხვევა გულმკერდზე, ღრმად ჩასუნთქვა და სუნთქვის მაქსიმალურად დიდხანს შეკავება, წელში 90 გრადუსით მოხრა და წყლის ნელ-ნელა დალევა, მაშინ, შეეცადეთ, სლოკინს დაფნის ფოთლების ნაყენით გაუმკლავდეთ. ამისათვის დაასხით 3-4 დაფნის ფოთოლს 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 5 წუთით და მიიღეთ 10-15 წვეთი.

5. მუწუკი

თუ მუწუკი გამოგივიდათ, ანტიბაქტერიული მალამოს წასმას უკვე აზრი აღარ აქვს, რადგან ის პროფილაქტიკას ემსახურება და არა მკურნალობას. უმჯობესია, შეიძინოთ ერთი შუშა სალიცილის მჟავა (100 გ), ჩაყაროთ შიგნით 5 აბი დაფხვნილი ლევომიცეტინი. ბამბის ბურთულით დაიდეთ ეს ნაზავი მუწუკზე. ამ ნარევით მთელი სახის გაწმენდა არ შეიძლება, რადგან კანი აგექერცლებათ. ■

სახე დაავადებების სარკეა

სახეზე შეიძლება ამოვიკითხოთ, თუ სად გვაქვს „სუსტი წერტილი“:

- ლურჯი ლაქები თვალების შიდა კიდეებზე — ორგანიზმის სუსტი ადგილი თირკმლებია.
- თვალების ქვემოთ, უპეების შეშუპება — შეიძლება შარდის გამომყოფი სისტემა არ გქონდეთ წესრიგში.
- სახის ქვედა ნაწილის — ტუჩნიკაპის შეფერილობა გვატყობინებს გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის მდგომარეობას.
- კუჭ-ნაწლავთა სისტემის ფუნქციონირებაზე ბევრადაა დამოკიდებული ღაწვებისა და ცხვირის მდგომარეობა.
- თვალების გარშემო კანის მდგომარეობა გვატყობინებს შარდსასქესო სისტემის დაავადებებზე.
- თვალების ირგვლივ მუქი რგოლების არსებობა ზოგჯერ ღვიძლის გადატვირთვაზე მიგვითითებს. თუმცა ეს შეიძლება კანის სითხელითაც იყოს გამოწვეული, რადგან ასეთ შემთხვევაში, მის ქვეშ კაპილარები ჩნდება.
- აქერცლას, განსაკუთრებით



ცხვირის ირგვლივ, რამდენიმე მიზეზი აქვს: შეიძლება გადაგდით ნამზეური; გაქვთ ავიტამინოზი ან ფსორიაზის საშიშროება გემუქრებათ (განსაკუთრებით მამაკაცებს).

● ღაბაბის ნაადრევად გაჩენა და კანის მოდუნება ხშირად ენდოკრინულ პრობლემებზე მეტყველებს.

● ღაწვებთან შეშუპების შემთხვევაში, შესაძლოა, კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის ლიმფურ სისტემაში გქონდეთ დარღვევები. მამაკაცებში ასეთი შეშუპება ალკოჰოლის ხშირ მიღებასაც უკავშირდება.

● საფეთქლებთან გამონაყარი, ნაღვლის ბუშტის პრობლემებზე მეტყველებს.

● ყავისფერი ლაქები — პიგმენტაციას ხშირად იწვევს ულტრაიისფერი სხივები, რომელიც შემდეგ თავისთავად ქრება. მამაკაცებს კი შეიძლება ჰორმონული დისბალანსი აწუხებდეთ.

● წვრილი თეთრი წერტილების გაჩენისას, საეჭვოა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევას არ ჰქონდეს ადგილი. თუმცა, ეს, მეტწილად, შესაძლოა, ცუდად გასუფთავებული კანისა და ფორების დახშობის ბრალი იყოს.

● წითელი უფორმო ლაქები შეიძლება გამოიწვიოს საკვებზე, კოსმეტიკასა ან ტანსაცმელზე ალერგიულმა რეაქციამ, ზოგჯერ კი — ხანგრძლივმა სტრესმა.

● კანის სიყვითლე — თითქმის ყოველთვის მეტყველებს ღვიძლის ან ნაღვლის ბუშტის პრობლემებზე და მოითხოვს ექიმთან დაუყოვნებლივ ვიზიტს.

● წითელი სისხლძარღვოვანი ბადე — ხშირად ეს ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის შედეგია, მაგრამ ზოგჯერ ორგანიზმში სისხლძარღვების ცუდ მდგომარეობაზე მეტყველებს. დააკვირდით არტერიულ წნევას.

● ფერიმჭამელები — ახალგაზრდობაში ასაკობრივი ფერიმჭამელა ჩნდება ენდოკრინული სისტემის მოუმწიფებლობის გამო; ხოლო 25-28 წლის შემდეგ — ცუდად მოვლილი კანის ბრალია. მამაკაცებმა კანში ინფექცია შეიძლება წვერის პარსვის დროს შეიტანონ.

● თეთრი ლაქები — როგორც წესი, ჩნდება სახეზე, ყელზე, მკერდსა და ბეჭებზე და ამას ვიტილიგოს უწოდებენ. საიდან ჩნდება ეს დაავადება და როგორ იკურნება, ექიმებმა ჯერჯერობით ვერ დაადგინეს. თუმცა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ვიტილიგო ნერვიულობის შედეგია.

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

ოჯახის პედიატრი

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაგროვე და აკინძე

ეროვნული



ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო „გზის“ წინა ნომერში „ცხოვრება“ და „გზავნილები“ არ გავიდა. ან რა „გვეგზავნილებოდა“, როცა ქართველები ცხარე ცრემლით ვტიროდით. დავტიროდით ჩვენს დაღუპულ ჯარისკაცებს, დაჭრილი, გულგამოცლილი, „ვენებდაგადხსნილი“ სამშობლოს მიწას... მაგრამ ქართველებს ამაგე მეტისთვისაც გაგვიძლია და ახლაც გმირულად ავიტანთ რუსთა „ურდოს“ შემოტევას. აკი ვიტანთ კიდეც და მათ მიერ დამიზნებულ ტანკის ლულას სამშვიდობო მიტინგებითა და სიმღერით ვხვდებით. ჩემი თვალით ვნახე, როცა მოსახლეობას საკუთარი ავტომობილებით ჭუმანიტარული ტვირთის გადაგზიდვაში დახმარება სთხოვეს, რამდენმა ადამიანმა მოიყარა თავი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წინ. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ 2 ათასამდე ადამიანი იდგა რიგში და ელოდა, როდის ჩაწერდნენ დახმარების მსურველთა სიაში. სიას სამინისტროს VI სართულზე ადგენდნენ. პირველიდან მეექვსე სართულამდე ხალხის უწყვეტი ნაკადი 2 რიგად მიდიოდა. ერთნი ადიოდნენ, მეორენი – ჩამოდიოდნენ. თითქმის მთელი საათი ვიდექი რიგში და ამ ადამიანთა შემართულ სახეებს რომ ვუყურებდი, გული ყელში მეგჯინებოდა და ტირილი მინდოდა. მივხვდი, რომ ვიდრე ქართველები ასე ერთად ვიქნებით, ვერაფერი მოგვერევა. ცხოვრება გრძელდება... ჭირი და ლხინი ძმები არიანო, – ჩვენს წინაპარს უთქვამს. ჰოდა, ჩვენც ვაგრძელებთ ცხოვრებას. ამიტომ, ამ კვირაში ისევ გამოჩნდა, მართალია, მძიმე ამბებით დატვირთული, სევდისა და ცრემლის მომგვრელი ამბებით სავსე, მაგრამ თქვენი საყვარელი და მონატრებული (რომორც თავად მწერდით) „ჟურნალი ჟურნალში“. იმედია, მომავალ კვირაში ერთმანეთს უკეთესი განწყობილებით შევხვდებით.



ქუჩაში მიტოვებული შვილის ამბავი

II ნაწილი

მარი ჯაფარიძე

ამბავი, რომლის ფინალსაც დღეს გაგაცნობთ, 2 კვირის წინ დაიბეჭდა და შეგპირდით, რომ მის გაგრძელებას მომავალ კვირაში შემოგთავაზებდით, მაგრამ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო დანაპირები ვერ შევასრულე. ახლა კი ჯერ ამბის დასაწყისს შემოგთავაზებთ, შემდეგ კი მოვლენათა განვითარებას მივადევნოთ თვალი.

ხევსურეთის ერთ-ერთ სოფელში ახალგაზრდა გოგონამ, ნინომ შვილი გააჩინა, რომლის მამის ვინაობასაც საგულდაგულოდ მალავდა. განრისხებული მშობლები ბავშვის გაშვილებას გეგმავდნენ, მაგრამ ნინომ ჩვილი მოიპარა და თბილისში ჩამოვიდა. 4 წლის განმავლობაში დედაშვილი, ნინო და თამარი ერთად ცხოვრობდნენ, შემდეგ კი ნინომ ბავშვი რუსთაველის გამზირზე, უნივერმაღის წინ დატოვა და გაუჩინარდა. თამარი კეთილმა ქალბატონმა, ქეთევანმა იშვილა და გაზარდა. ის ახლა 35 წლისაა და სულ რამდენიმე თვის წინ წაიკითხა წერილი, რომელიც დედამ ჯიბეში ჩაუდო. იქ მისი მამის ვინაობა და დაბადების ადგილი იყო მითითებული. მე და თამარმა ბატონ გივის მივაკითხეთ. აღმოჩნდა, რომ მან შვილის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. ბატონი გივის დახმარებით თამარის დედის სახელისა და გვარის ქალს მივაკვლიეთ და წინა კვირაში მე და თამარი მას ვესტუმრეთ.

თამარი ძალზე ღელავდა. სახუმარო საქმე ხომ არ არის, ამდენი წლის შემდეგ დედასთან შეხვედრა?

— ისიც კი არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე, რა ვუთხრა? ასე მოულოდნელად რომ დავადგებით თავზე, როგორი რეაქცია ექნება? — წუხდა თამარი.

ნინო ფონიჭალაში, მრავალსართულიან კორპუსში ცხოვრობს. მე-7 სართულზე ფეხით ავედით და კარის წინ შევჩერდით. კარს მივაყურადეთ, იქიდან კი ჩამიჩუმი არ ისმოდა. მე ინიციატივას არ ვიჩენდი — ნინოს ვადროვე. ხელი გაუბედავად ასწია და კარზე დააკაკუნა.

— მობრძანდით, — კარი

სანდომიანმა ქალბატონმა გაგვიღო და არც უკითხავს, ვინ ვიყავით, ისე შეგვიპატიჟა ოთახში. ქალს შევხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ სწორ მისამართზე მოვედით და ეს ქალი ნამდვილად თამარის დედა იყო. დედა-შვილი ერთმანეთს წყლის 2 წვეთივით ჰგავდა. თამარმა მრავლისმეტყველად გამომხედა. ოთახში შესულმა ქალბატონმა ნინომ სათვალე მოირგო და დაგვაკვირდა. ხან მე მიყურებდა, ხან თამარზე გადაჰქონდა მზერა. სახე ჩაეტეტკვა, თვალები ჩაუქრა და შეტორტმანდა. ჩვენ ხელი შევაშველეთ და დივანზე დავსვით. თამარმა სამზარეულოდან ჭიქით წყალი გამოიტანა და ნინოს გულისპირი დაუსველა. ნინო თვალდახუჭული იყო დივანზე მიწოლილი და ვგრძნობდი, რომ თვალის გახელა უჭირდა. თამარი მის თავთან დაიხარა და პულსის გასინჯვა დაიწყო.

— თამარ, — ჩურჩულით ამოთქვა ნინომ შვილის სახელი და თვალებში შეხედა. როგორც ჩანს, რეაქციას აკვირდებოდა.

თამარმა ტირილი დაიწყო.

ცოტა ხნის შემდეგ ორივე დამშვიდდა და თამარმა თავისი ამბის თხრობა დაიწყო.

მას შემდეგ, რაც მან პატარა თამარი მოიპარა და თბილისში ჩამოვიდა, ცხოვრება ძალზე გაუჭირდა. ბავშვის შენახვას ვერ ახერხებდა. თან უნდა ესწავლა, თან — ემუშავა, თან რამდენიმე კვირის პატარისთვის უნდა მოევლო. მეგობრის დედას შეეცოდა და თავისი დის ბინა დაუთმო. თვითონაც ერთი სართულით ზევით ცხოვრობდა და ბავშვის მოვლაში ეხმარებოდა.

— მართალია, ვიღლებოდი, მაგრამ მეტი გზა არ მქონდა. დღისით ვსწავლობდი, საღამოობით კი საკონდიტრო საამქროში ვმუშაობდი. იქ სამცვლიანი სამუშაო იყო. უფროსს ჩემი გასაჭირი ავუხსენი და მხოლოდ მეორე ცვლაში, საღამოს 4-დან ღამის 12 საათამდე მამუშავებდა. ხელფასი კარგი მქონდა. კომუნისტების დროს კი მოგეხსენებათ, 100 მანეთით თავის გატანა შეიძლებოდა.

როდესაც თამარი წამოიზარდა, ნინომ ის ბაგაში მიაბარა. ამასობაში უნივერსიტეტიც დაამთავრა და მუშაობა „სახსტანდარტში“ დაიწყო. იქ „ლევ“ ფულსაც აკეთებდა და ცხოვრება აღარ უჭირდა. ახალგაზრდა, უქმრო ქალს რევიზიის ერთ-ერთმა წევრმა თვალი დაადგა და მანამ არ მოეშვა, ვიდრე ნინო ფიზიკურ ურთიერთობაზე არ დაითანხმა.

— ზაქრო კარგი ადამიანი იყო, თანაც — მდიდარი და ვიფიქრე, რომ მე და თამარს მოგვხედავდა. ამიტომაც გადავდგი ეს ნაბიჯი. ზაქროს უზომოდ ვუყვარდი და ჩვენზე ზრუნავდა კიდეც. პატარა თამარს კარგად ექცეოდა და იმედი მომეცა, რომ როგორც იქნა, პატრონი გამოგვიჩნდა.

ზაქროს და ნინოს რამდენჯერმე ოჯახის შექმნაზეც ჰქონდათ ლაპარაკი, მაგრამ რატომღაც მათი ურთიერთობის ოფიციალურ ჩარჩოში მოქცევა გაჭიანურდა. ერთ მშვენიერ დღეს კი ნინომ აღმოაჩინა, რომ ორსულად იყო და ამის შესახებ ზაქროს შეატყობინა.

— ვუთხარი, რომ თუ ჩემს ცოლად მოყვანას არ აპირებდა, მე წინააღმდეგი არ ვიყავი, რომ ბავშვი მომეშორებინა, მაგრამ ზაქრომ შორს დაიჭირა და ექიმთან წასვლა ამიკრძალა. რამდენიმე კვირაში დავქორწინდებითო, მითხრა და მეც დავმშვიდდი.

ის რამდენიმე კვირაც მალე გავიდა და ერთ საღამოს ზაქრომ ნინოს ულტიმატუმი წაუყენა: — მიყვარხარ და ცოლად სიამოვნებით მოგიყვან, მაგრამ დედაჩემი ვერასოდეს შეეგუება იმას, რომ შვილიან ქალზე დავქორწინდე. ამიტომ ბავშვი გასაზრდელად ვინმეს უნდა დაუტოვო, თანაც ისე, რომ მასთან კავშირი საერთოდ გაწყვიტოო. ნინო თავიდან უარზე დადგა, მაგრამ მერე იძულებული გახდა, მის წინადადებას დასთანხმებოდა, რადგან ბავშვს ველარ მოიცილებდა და აღარ უნდოდა, კიდევ ერთხელ ეჭამა სირცხვილი.

— რას იტყოდა ხალხი? ერთი შვილი უქმროდ გავაჩინე, ახლა მეორეც... კარგა ხანს ვიყოყმანე, მაგრამ ბოლოს გადაწყვეტილება მივიღე.

ნინომ ერთი შვილი ქუჩაში დატოვა, რომ საკუთარი სახელი გადაერჩინა და მეორე შვილისა და საკუთარი თავისთვის ცხოვრება მოეწყო.

— ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. დღედაღამ თამარი მელანდებოდა, მენატრებოდა და თვითმკვლელობაზე ვფიქრობდი. მეორე დღეს გულმა არ მომითმინა და იმ ადგილს მივაკითხე, სადაც თამარი დავტოვე. რა თქმა უნდა, ვიცოდი, იქ აღარ დამხვდებოდა, მაგრამ კარგა ხანს ვიბორიალე, იქნებ რაიმესთვის ყური მომეკრა. ვერაფერი გავიგე, გამყიდველებისთვის კი შეკითხვის დასმა ვერ



გავბედე. იმის მერე თითქმის ყოველდღე დავდიოდი იმ ადგილზე, თვალებით თამარს ვეძებდი და მჯეროდა სასწაულის, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას აუცილებლად ვნახავდი.

ნინოს მეორეც გოგონა შეეძინა, მასაც თამარი დაარქვა. ქმართან ურთიერთობა ვერა და ვერ ააწყო. სიმშვიდე ვერ პოვა და ვერ აპატია, რომ მისი ინიციატივით გადადგა ეს ნაბიჯი. მოქმედების გეგმაც კი ერთად მოიფიქრეს.

— თითქოს ჰიპნოზი გამიკეთა. როგორ მოახერხა ჩემი გადაბირება, ახლაც კი ვერ მოვდივარ აზრზე. ჩემი მეორე თამარი ლამაზი გოგონა გაიზარდა. უამრავი მთხოვნელი ჰყავდა. არჩევანი საუკეთესო ბიჭზე შეაჩერა და გათხოვდა. მაშინ 20 წლის იყო. 21 წლის ასაკში დაფეხმძიმდა და ბავშვზე მშობიარობას გადაჰყვა. მომიკვდა ჩემი თამარი და მივხვდი, რომ ღმერთმა დამსაჯა. ის შვილის გაჩენას შეეწირა და ღმერთმა ამით მაგრძნობინა, რომ ჩემს დანაშაულს ვერაფრით გამოვისყიდდი. ცხედართან გაქვავებული ვიჯექი და ცრემლი უსიტყვოდ მდიოდა. თავს შვილის მკვლელად მივიჩნევდი და საკუთარ თავს შვილის დატირების უფლებას არ ვაძლევდი. გასვენების დღეს, როცა ყველანი წავიდწამოვიდნენ, ზაქრო შინიდან გავაგდე. მანამდე კი კარგად ავუხსენი ჩემი საქციელის მიზეზი. უსიტყვოდ წავიდა. როგორც ჩანს, მასაც ეს აზრი უტრიალებდა თავში.

ამის შემდეგ ნინო მარტო ცხოვრობდა და შინიდან მხოლოდ მაშინ გადიოდა, როცა აუცილებლობა მოითხოვდა. თუ შეიტყობდა, რომ სადმე მიცვალებული იყო, აუცილებლად მიდიოდა და უცნობის ცხედარს ხმამაღლა, მოთქმით დასტიროდა.

— სულ ვფიქრობდი, მჯეროდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად მოხვიდოდი. თან მინდოდა და თან მეშინოდა ამ დღის დადგომის. ყველაფერი გულახდილად გიამბე და ახლა შენ გადაწყვიტე, როგორ მომექცევი...

თამარი გაქვავებული სახით იჯდა და ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ არაფერი ესმოდა. ნინომ თხრობა რომ დაასრულა, ის უსიტყვოდ ადგა და წამოვიდა. მეც უკან მივყევი. დედის სახლი უთქმელად, უკან მოუხედავად დატოვა. აცრემლებული ნინო კართან წამოეწია, შეაჩერა და მუხლებში ჩაუვარდა. პატიებას სთხოვდა და თავს იატაკზე ახლიდა, მაგრამ თამარი შეუვალი იყო. სახეზე ნაკვთიც კი არ შერხევია, ისე მოიშორა დედა და წამოვიდა.

— ვერასოდეს ვაპატიებ ამ საქციელს, ვერ ვაპატიებ, რომ ვიღაც ზაქროს გულისთვის გამწირა. რა იცოდა, ვის ხელში მოვხვდებოდი? იქნებ, ვიღაც ვიგინდარას ქურდად, ყაჩაღად და თაღლითად გავეზარდე? ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ დედა თუ კაცის გამო მიმატოვებდა, ამას — ვერა.

ვცადე, გადამეთქმევინებინა მისთვის თავისი გადაწყვეტილება, მაგრამ ვერაფერს გავხდი.

— მე მხოლოდ მამასთან მექნება ურთიერთობა, დედას კი აღარასოდეს შევხვდები. იცი, რა? ყველაფერს თავისი ფორმა აქვს. ყველაფერს გავუგებდი, რომ გავეშვილებინე, რომ ვინმესთვის ჩავებარებინე და რომ დარწმუნდებოდა, საიმედო ხელში ვიყავი, მერე მივეტოვებინე. ასე, შუა ქუჩაში მიმატოვა და ეს ვაპატიო? არასოდეს!



უარი საკუთარ ბედნიერებაზე

ანუ სხვა ადამიანზე გათხოვილი ცოლის ამბავი

რამდენიმე სატელეფონო შეთანხმების მერე, როგორც იქნა, რედაქციაში მეწვია ჩემი ოხურგეთელი რესპონდენტი და სურვილი გამოთქვა, თავის პრობლემებზე ესაუბრა. ასეა, რას ვიზამთ?! როცა დარდი გულში აღარ ეტევა, გინდა, ვინმეს გაუზიარო, თუნდაც იგი შენთვის უცნობი ჟურნალისტი იყოს...

მისი ამბავი 2004 წლის 7 ივნისს, „ყვირის პალიტრაში" დაიბეჭდა სათაურით – „საკუთარ ბედნიერებაზე ისევ სიყვარულის გამო" ვთქვი უარი"

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი პირველი
ახალი სიყვარული და შოკოვებული ქმრის შურისძიება

16 წლის იყო ნანა, როცა მასზე ათი წლით უფროსმა კაცმა მოიტაცა. ბადრი ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა, ფულიც ჰქონდა და სახელიც, მაგრამ ცოლ-ქმარს შორის ვერა და ვერ გათბა ურთიერთობა. ნანას, მართალია, მანამდე არავინ ჰყვარებია, მაგრამ ვერც ბადრი შეიყვარა — მისგან სიცივისა და უხეშობის გარდა, არაფერი უგრძნია. 23 წლის ნანას უკვე 3 შვილი ჰყავდა. მისთვის ერთადერთი სიხარული მხოლოდ შვილები იყვნენ, სხვა მხრივ, დრო უფერულად გადიოდა. ბადრი შინ ხშირად ნასვამი ბრუნდებოდა, ზოგჯერ სახლში საერთოდაც არ ათევდა ღამეს. ერთხელ, ნანამ ძალა მოიკრიბა და ქმარს უთხრა: ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ან დავშორდეთ, ან რაღაც შევცვალოთ ჩვენს ცხოვრებაშიო. ბადრი არ ელოდა მორჩილი ცოლის ასეთ განცხადებას, გაკვირვებით შეხედა, მერე კი გულგრილად მიუგდო: თუ არ მოგწონს, შეგიძლია მიბრძანდე, ბავშვებს დედაჩემიც მშვენივრად მიხედავსო.



ამონარიდი წერილიდან: „უკან აღარ დავიხიე და მივუგე: შენი უხეშობა როდემდე ავიტანო, ქალი ვარ და შვილების მამისგან სითბო და მეტი ყურადღება მჭირდება-მეთქი. შემომიტია: სწორედ შენზეა ნათქვამი, კვიცი გვარზე ხტისო. მამიდაშენმაც ასე დაანგრია ოჯახი და ვიღაც უჯიშოს გაეკიდა თბილისში, შენც ისე ხარ აჭიკჭიკებული, ვინმე ხომ არ გყავსო? ხმა ვერ ამოვიღე. ცრემლი მომადგა. მამიდის ხსენებამ გული მატკინა. თინა მამიდაც მოიტაცეს, მანაც ვერ ააწყო ცხოვრება. მერე, ერთი თბილისელი კაცი გაიცნო. შეუყვარდათ ერთმანეთი. ადგა და მას გაჰყვა ცოლად. 2 წელი არ ატანდნენ ბავშვს. ბოლოს, დაიბრუნა შვილი და მეორე ქმარს, ორი შვილი კიდევ გაუჩინა. თინა მამიდა ჩემი კერპი იყო. ხშირად ჩავდიოდი თბილისში, მისი ყოველი სიტყვა ჩემთვის კანონი იყო. ეს იცოდა ბადრიმ და ეგონა, მამიდისგან ვიყავი „მომართული".

ამ შელაპარაკების მერე კიდევ უფრო დაიძაბა ურთიერთობა. ნანა იძულებული გახდა, ქმრის ოჯახი დაეტოვებინა და შვილებთან ერთად თავის მშობლებთან დაბრუნებულიყო. მეორე დღესვე თოფით მიუვარდა ბადრი — ახლავე ბავშვები გამოიყვანე, თორემ შენც მოგკლავ და მშობლებსაც ზედ მოგაყოლებო. მამამ ნანას ურჩია: ნუ გაამწვავებ სიტუაციას, გააყოლე ბავშვები, შენ კი დარჩი ჩვენთან, სიბრაზე გაუვლის და შვილებს თავისი ხელით მოგიყვანსო. ნანამ დაუჯერა მამას და ბავშვები გააყოლა.

ამონარიდი წერილიდან: „ერთი კვირა შვილების გარეშე ისე გამიჭირდა, ყოველდღე ცხარე ცრემლით ვტიროდი. მერე მამაჩემი წავიდა სიძესთან მოსალაპარაკებლად. ბადრიმ უთხრა: ეგ მე არ გამიგდია, თვითონ წავიდა, ამიტომ შვილებს არც დავანახვებ. მოსვლა თუ უნდა, მოვიდეს, მაგრამ იცოდეს, კიდევ თუ წავა შინიდან, აღარ ვაპატიებო. მოკლედ, ისე წაიყვანა საქმე, აქეთ მთხოვდა ბოდიშის მოხდას. ბოდიში, რა თქმა უნდა, არ მომიხდია, მაგრამ შვილების სიყვარულმა ქმრის ოჯახში დამაბრუნა".

იმ დღიდან ბადრი ცოლს ზედაც აღარ უყურებდა. კვირა გავიდოდა და შინ არც კი შეიხედავდა. თუკი ადრე ნანას ეს ძალიან ადარდებდა, ახლა პირიქით, უხაროდა კიდეც. სწორედ იმ პერიოდში ნანას მეგობარმა სამსახური უშოვა სკოლაში, გახანგრძლივებულ ჯგუფში მასწავლებლად. მოვლენები კი სწორედ ისე განვითარდა, როგორც ერთ დროს თინა მამიდის პირად ცხოვრებაში. ნანამ ისტორიის მასწავლებელი, კოტე გაიცნო.



მათი ურთიერთობა თანდათანობით დიდ და წრფელ სიყვარულში გადაიზარდა. კოტეს ნანა მთელი გულით, მთელი არსებით უყვარდა და ყველაფრისთვის მზად იყო. ნანას შესთავაზა, თუ ოჯახი არ ენდომებოდა, ბათუმში წასულიყვნენ, ხელიც მოეწერათ და შვილებიც თან წაეყვანა. ნანა ორჭოფობდა. დათანხმდებოდა კიდეც კოტეს წინადადებას, მაგრამ იცოდა, მის ამ ნაბიჯს როგორ მონათლავდნენ და რა მოჰყვებოდა. რჩევისთვის მამიდას მიაკითხა. მამადამ უთხრა: ძნელია ოჯახის საქმეში ჩარევა. გაშორება და ოჯახის დანგრევა როგორ გირჩიო, მაგრამ ბადრისთანა კაცთან ყოფნა სასჯელია. თუ იმ კაცს მართლა უყვარხარ, გაჰყევი. თუმცა, წინააღმდეგობებისთვის ორივე მზად უნდა იყოთო.

ნანა და კოტე ბათუმში წავიდნენ. დაქორწინდნენ და ჯვარიც დაიწერეს. მათი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ბადრიმ მათი ადგილსამყოფელი გაიგო და შავი დღე აყარა ორივეს — კოტე სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში (დაჭრილი იყო), ტვინშერყეული ნანა კი მოსავლელად მშობლებმა წაიყვანეს. ღვთის ნებით კოტე გადარჩა. სამი შვილიდან ბადრიმ მხოლოდ ბიჭი წაიყვანა თავისთან ოჯახში, ჩემი გვარის გამგრძელებელი ჩემთან უნდა იყოსო. თუმცა, ის მალევე დააპატიმრეს და ისიც ნანასთან დაბრუნდა.

ამბავი მეორე

საიდუმლო შეთანხმება

ამ ორომტრიალის მერე საკმაო ხანი გავიდა. ბადრი მალე გათავისუფლდა პატიმრობიდან, რადგან დანაშაულს საფუძვლად ეჭვიანობა დაედო, მისმა ახლობლებმა ცოტა ფულიც დახარჯეს. ერთ მშვენიერ დღეს კი ნანას სტუმარი ეწვია. ეს კოტეს დედა იყო.

ნანა: „ერთმანეთს უკვე ვიცნობდით. თბილად შევხვდი. ის ძალიან კარგი ადამიანია და შვილის არჩევანს თავიდანვე გაგებით შეხვდა. როცა ფეხზე დავდექი, კოტე რამდენჯერმე მოვინახულე, დედამისსაც ბოდიში მოვუხადე, ჩემი ბრალია, რომ ურთიერთობა ასე გამწვავდა და კოტე დაზარალდა, ნეტავ, ეს ნაბიჯი არ გადამედგამეთქი. ის კი აქეთ მამშვიდებდა. მივხვდი, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა. ცოტა ხნის მერე, დიდი გაჭირვებით ამოთქვა: თუ კოტე მართლა გიყვარს, უარი უნდა თქვა მასზე. ვიცი, რომ კოტე შენზე უარს არასოდეს იტყვის, მაგრამ შენ თუ უარყოფ, ძალას აღარ დაგატანს. გავიკითხე შენი ქმრის ამბავი და მითხრეს — თავზე ხელაღებული კაცია, რასაც დაიქადებს, უეჭველად აასრულებს. კოტეს შემოუთვალა, შენ მაინც ჩემი ხელით სიკვდილი გიწერიაო... ისეთი გულდათუთქული მელაპარაკებოდა, შემებრალა. დავპირდი, ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ გინდათ-მეთქი.

საავადმყოფოდან გამოსულ კოტეს ვუთხარი, — ვერ შედგა ჩვენი ოჯახი, ჩვენ-ჩვენი გზით უნდა წავიდეთ-მეთქი.

— **მერედა იოლად დაგთანხმდა ამაზე?**

— რა თქმა უნდა — არა, მაგრამ როცა პირი აღარ ვუჩვენე, სხვა გზა არ ჰქონდა.

— **იცოდა, რომ დედამისმა მოგინახულა?**

— არა, კარგა ხანს არ იცოდა. ეს ამბავი გვიან გაიგო, თავად დედამისმა უთხრა.

— **მიამბეთ, რა მოხდა მას მერე, რაც დაშორდით?**

— ბადრიმ მალევე შეირთო მეორე ცოლი, შვილიც ჰყავს. კოტემ მოგვიანებით შექმნა ოჯახი, ისიც ოჯახის დაუინებული რჩევით. მათ ადგილზე მეც ასევე მოვიქცეოდი... ბადრისთან მხოლოდ შვილები მაკავშირებს. მართალია, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ ოჯახის მთლიანობას საერთო შვილები ვერ შეინარჩუნებს, თუ სიყვარული და სიამტკბილობა არ იქნა.

რაც შეეხება კოტეს, მე იგი დღემდე ძალიან მიყვარს, მაგრამ მას უკვე მეორე ოჯახი აქვს, შვილები ჰყავს... ასე რომ, გამორიცხულია, ვიყო „მესამე“. შარშან კოტე ძალიან ცუდად გამხდარა (კუჭის წყლული აწუხებდა და გაუღიზიანდა), სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა. ჩემი ნახვა უნატრია. არ გამაგებინეს. უთქვამთ, ვერ დავუკავშირდითო. რომ გამოჯანმრთელდა, თავად მომინახულა. სულ აღარ ველოდი, ოდესმე თუ კიდევ ვნახავდი მას და უსაზღვროდ გამიხარდა. სწორედ, მაშინ მითხრა, დედაჩემი გამომიტყდა, რომ მან გთხოვა, ჩემთვის უარი გეთქვა! ახლა უკვე გასაგებია შენი მაშინდელი კატეგორიული უარი. კარგა ხანს ტვინს ვიჭყლეტდი და ვერ ამეხსნა შენი უარის მიზეზიო...



„დედიკომ უარი თქვა ჩემზე... გთხოვთ, გამზარდოთ და შემიყვაროთ"

„...ჩვენთვის „ცხოვრება" იმიტომაც არის საინტერესო, რომ ამ რუბრიკით გამოქვეყნებული ამბები რაღაცით ჩვენსასაც ჰგავს. როცა „მეგობრისთვის ნაჩუქარი შვილი" წავიკითხე, ლამის გული ამომვარდა საგულედან — მწერს ქალბატონი ნათელა სვანაძე ქუთაისიდან და ასეთ ამბავს გვიამბობს:

— ჩემი და უშვილო იყო. უნდოდა, ბავშვი აეყვანა, მაგრამ შიშობდა, ვაითუ, ცუდი ზნის აღმოჩნდესო და ამიტომ თავს იკავებდა. მათი ცოლქმრობის მეთოთხმეტე წელს, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას, სახლის კართან პატარა მოწნულ კალათში ჩაწვენილი ჩვილი დატოვეს. კალათში ბარათიც იდო: „მე კატო მქვია, ჩემმა დედიკომ უარი თქვა ჩემზე. გთხოვთ, გამზარდოთ და შემიყვაროთ".

ისეთი საყვარელი ბავშვი იყო, არ უყოყმანიათ ჩემს დას და სიძეს და იშვილეს. ცხადი იყო, ვიღაცამ იცოდა, რომ ქუთაისში, ერთ-ერთ შეძლებულ ოჯახს შვილი არ ჰყავდა და ამ ძვირფას „ძღვენზე" უარს არ იტყოდა. კატო საოცარი ბავშვი აღმოჩნდა. ბედნიერები იყვნენ ჩემი დაც და სიძეც, ბავშვიც, ჩვენც — მათი ახლობლები, მაგრამ ჩემს დას მუდმივად ჰქონდა შიში — ბავშვი არ წამართვანო... და ეს დღეც დადგა! მათთან მივიდა კარგად ჩაცმულ-დახურული ახალგაზრდა ქალი და ურცხვად გამოუცხადა, ახლა აღარ მიჭირს და ჩემი შვილი მინდა დავიბრუნოო. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დაემართებოდათ ჩემს დას და სიძეს? ბავშვი დაბნეული იყო. თუმცა ვატყობდით, ბიოლოგიური დედისკენ მიუწევდა გული. თან გამზრდელებიც ეცოდებოდა. მოკლედ, ორწყალშუა იყო. ის ქალი ყოველდღე საჩუქრებით ავსებდა გოგონას და საბოლოოდ, მაინც მიაღწია იმას, რომ კატომ გამზრდელები მიატოვა და საცხოვრებლად დედასთან გადავიდა. ისეთი ტირილი და გოდება ჰქონდა ჩემს დას ატეხილი, მის შემყურეს გული მიკვდებოდა. კატომ არ დაუკარგა ამაგი და ხშირად ნახულობს მათ, მაგრამ ფაქტია, რომ ის ახალგაზრდა ქალი დააყენა წინ, რომელმაც ერთ დროს სხვას მიჰგვარა კალათით. ძნელია, ამ წერილში ყველაფერი დაწვრილებით გიამბოთ. იყო ბევრი უსიამოვნება და წინააღმდეგობა, მაგრამ რადგან კატომ ასე გადაწყვიტა, რაღა უნდა ექნათ. კატოს დედას დღემდე გუგულს ვეძახით (ლანძღვა-გინებას ვერ დავუწყებთ, რაც უნდა იყოს მაინც კატოს დედაა), გუგული ხომ იცით, ერთადერთი ფრინველია, რომელიც სხვის ბუდეში დებს კვერცხებს და სხვას აზრდევინებს ბარტყებს. ზუსტად ასე მოიქცა ეს ქალიც. იცით, რა?! მარტო ბავშვის გაჩენა ხომ არ არის მთავარი? მისი აღზრდა, მოვლა-პატრონობა ცოტას ნიშნავს? ამიტომ, ყველამ წინასწარ უნდა აწონ-დაწონოს ყველაფერი და ნაბიჯი ისე გადადგას. ეს ხომ ლეკვის გაჩუქება არაა, საქმე ადამიანს ეხება, რომლის სულიერ სამყაროს გაფრთხილება სჭირდება. თქვენს რესპონდენტს, დიანას კი, თან ვამართლებ, თან — არა. თუკი მადლი გააკეთა, ბოლომდე უნდა შეენარჩუნებინა ამ მადლის შედეგი, თუ არა და, კარგად დაფიქრებულიყო და ამდენი განცდაც ასცდებოდა, არც სხვას ატკენდა გულს. მინდა წარმარტება, სიმშვიდე და ბედნიერება ვუსურვო დიანასა და ფატის ოჯახებს".

„დაფიქრდი, სანამ ამ დაჯშეს შეცდომაა!"

„არ ვამართლებ დიანას. მან ჯერ გადაწყვიტა, მადლი გაეკეთებინა, ახლობლები გაეხარებინა, მერე კი საკუთარი ინტერესები დააყენა ყველაზე წინ. ასე როგორ შეიძლება? თოჯინას ხომ არ აძლევდა მეგობარს და მაზლს? ბავშვებს მოსდით ხოლმე ასეთი რამ. ჯერ ერთმანეთს აჩუქებენ რაიმე ნივთს, წაჩხუბების მერე კი — ართმევენ. დიანა გვიან მიხვდა, დედობრივი გრძნობა მოსვენებას რომ არ მისცემდა. ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შვილი დაებრუნებინა. ბავშვი ახლობლებთან იზრდება და როცა უნდა, მაშინ ნახავს. ჩემი რჩევაა, ნუ დაურღვევს სიმყუდროვეს მეგობრის ოჯახს! **ქეთა, 24 წლის, თბილისი**".

„...შემეცოდა დიანა. მეც დედა ვარ და ვიცი, რას ნიშნავს დედის ემოციები. თუმცა, ფატიც ძალიან მეცოდება. მას ხომ არ უთხოვია დიანასთვის, ბავშვი მომაშვილეო. ეს დიანას იდეა იყო და ახლა ერთი სული რომ აქვს, როდის გააგებინებენ მის გიორგის სიმართლეს, არ მიმაჩნია სწორად. **დ.გ. თბილისი**".

„...ჩემმა ნათესავმა იგივე გააკეთა, რაც დიანამ. ერთი შვილი (ოთხიდან უმცროსი) გააშვილა თავის ნათესავზე, რომელსაც მატერიალურად არ უჭირდა. გავიდა დრო, გაიზარდა გოგონა, გათხოვდა, შვილები გაუჩნდა და მერეღა გაიგო სიმართლე. მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი გამზრდელი მშობლები. როცა ნამდვილ დედას ჰკითხა — რატომ გამაშვილეო? — ჩემმა ნათესავმა უპასუხა: ძალიან მიჭირდა, იძულებული გავხდი, ეს ნაბიჯი გადამედგაო. იცით, რა უპასუხა შვილმა? — ჩემს და-ძმებთან, ნამდვილ მშობლებთან მერჩივნა ყოფნა; დაე, გამჭირვებოდა, ბევრი რამ მომკლებოდა, ოღონდ თქვენთან ვყოფილიყავიო. მან არ მიიღო დედამისი, არ აპატია და არ ურთიერთობდა ნამდვილ მშობლებთან, და-ძმებთან კი მეგობრობდა. **თ.ტ. თელავი**". ●

იქნებ, სხვა გზას დავადგეთ?!

მან წერილის მოწერას პირისპირ საუბარი არჩია... დალი სახოკია ჩემი ძველი რესპონდენტია და მასთან უკვე 8-წლიანი ნაცნობობა მაკავშირებს. როცა აფხაზეთის თემას ვაშუქებდი (2000-2001 წლებში), მაშინ გამომეხმაურა გაგრელი დალიც, რომელმაც თავისი პირადი ცხოვრების შესახებაც მიამბო და გაგრის დატოვების მძიმე ეპიზოდებიც გაიხსენა. ეს 2000 წელს იყო. მას შემდეგ არცთუ იშვიათად მეკონტაქტებოდა, ხშირად ქუჩაშიც მხვდებოდა, რადგან იგი ჩემთან ახლოს, ნუცუბიძის მეოთხე პლატოზე, „გეპეის" საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. დალი შინ მესტუმრა და კარგა ხანს ვისაუბრეთ.



დალი უკვე ბებიაა. როცა გავიცანი, მეუღლე მძიმე მდგომარეობაში ჰყავდა. ფეხზე მიღებული ჭრილობა ვერა და ვერ შეუხორცდა (ლერის გულიც აწუხებდა და დიაბეტიც ჰქონდა). ექიმები იძულებული შეიქნენ, მარჯვენა ფეხის ამპუტაცია გაეკეთებინათ. 45 წლის კაცი დაინვალიდდა და ოჯახის მთელი სიმძიმე დალის დააწვა. მამამისი გაგრაში, საკუთარი სახლის წინ დახვრიტეს ბასაევის ბანდის წევრებმა. დალი თავის შვილებიანად ისევ აფხაზმა გამოიყვანა სამშვიდობოს. მეუღლემ კი გაგრის ბრძოლების მერე სოხუმში გადაინაცვლა და იქ დაიჭრა. დალის უფრო გაუჭირდებოდა, რომ არა მისი მოსკოვში წასული და ბიზნესში ჩართული ძმა. გოჩა ყველანაირად ცდილობდა, დას დახმარებოდა. დედა და უმცროსი ძმა თავისთან ჰყავდა, დალისაც ეპატიჟებოდა, მაგრამ დამ აქ, თბილისში ყოფნა არჩია. მით უფრო, ქმრის საფლავი აქ ეგულებოდა. გოჩამ იმდენი მოახერხა, რომ დას ამ 6 წლის წინ 2-ოთახიანი ბინა აყიდვინა. მაღაზიაში მუშაობდა და შვილებს არაფერს აკლებდა. მერე ბახვამ ნაადრევად მოიყვანა ცოლი და დალი ბებია გახდა. მისი გოგონა, თაკო მეორეკლასელი იყო, როცა თბილისში ჩამოვიდნენ. ახლა იგი დიდი გოგოა და დედის „მარჯვენა ხელი". როგორც ყოველთვის, აგვისტოს დადგომას ელოდნენ, რომ სამივეს ერთად — დალის, თაკოს და პატარა გოჩას (ბიძის სახელი დაარქვა ბახვამ), ქობულეთში დაესვენათ. ბოლოს და ბოლოს, წავიდნენ კიდეც, მაგრამ...

— ვიფიქრე, შვილები გავზარდე, ანი, რაღა მიჭირს-მეთქი, მაგრამ ომმა კვლავ შეგვახსენა თავი და საშინლად დაზაფრული ვარ. აფხაზეთის ომსა და გაგრის დაცემას შეგნებულად არ ვიხსენებდი, რადგან საკმარისი იყო, ჩემი ფიქრი წარსულს გადასწვდომოდა, დეპრესია მიპყრობდა. ქობულეთში ვიყავით, რუსეთი რომ კვლავ თავს დაგვესხა. ის ალბათ, არასოდეს დაგვანებებს თავს, რადგან მისთვის ყოველთვის მსუყე და გემრიელ ლუკმას წარმოვადგენთ. როცა ფოთი დაბომბეს, ქობულეთსა და ბათუმში უმალ გამორთეს შუქი. ვისხედით მე და თაკო ჩაბნელებულ ოთახში და ხმამაღლა ტირილსაც ვერ ვბედავდით, ბავშვი რომ არ შეშინებულიყო. სახლების პატრონებმა ძირითადი ოთახები გამოკეტეს, ჩასხდნენ მანქანაში და სოფელში გაცვივდნენ. რა თქმა უნდა, პანიკა იყო, რადგან რუსისგან ყველაფერია მოსალოდნელი. გვეგონა, ჩვენც დავიბომბებოდით. ჩაცმულები ვისხედით, რათა გათენებისთანავე წამოვსულიყავით თბილისისკენ. ჩვენს მდგომარეობაში რამდენი იყო?! ამიტომ არ გაგვკვირვებია, სამარშრუტო ტაქსებთან რიგი რომ დაგვხვდა... ნერვიულობისგან აღარ მახსოვს, რას ვაკეთებდი, მერე თაკომ მითხრა, ლოცულობდიო. ვისაც თავისი თვალით არ უნახავს და არ განუცდია ომის საშინელება, მან არ თქვას, ვიცი, რას ნიშნავს ომიო. სასწაულებრივად მოვახერხეთ მეექვსე რაფში ჩაჯდომა. ვერ აღგიწერთ, რა დაგვემართა, გორში რომ შემოვედით. ქალაქი ახალი დაბომბილი იყო, შენობები იწვოდა. ბავშვი გულში ჩავიხუტე და ტირილი წამსკდა, რა აღარ გამოვიარე, რა არ ვნახე, რამდენი ახლობელი დავკარგე, ახლა კი ყველაფერი მეორდებოდა. იმედი მაქვს, ჩვენი პრეზიდენტის და მთლიანად ხელისუფლების, რომ დიპლომატიურ ენაზე გააგრძელებს საუბარს, თორემ სხვანაირად მსხვერპლი გაასმაგდება და საბოლოოდ დავმარცხდებით. ჩემი ახლობლის შვილი 10-ში დილით ჩამოასვენეს; მისი ნაწილი თამარაშენში იმყოფებოდა. რა ქნას უბედურმა დედამისმა? გაიძახის, ჩემთვის ომიც დასრულდა და სამყაროცო. ის სოხუმელია. მაშინდელი ომის დროს ოჯახის წევრებიც დაკარგა (მამა, ქმარი, მაზლი) და სხვა ახლობლებიც, მაგრამ 26 წლის შვილის სიკვდილმა ისე გაამწარა, სიცოცხლე აღარ უნდა...

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61ან ელფოსტით: mbabunashvili@mail.ru

საქართველო ისეთი პატარაა, რომ თითოეულ ჩვენგანს ყველა კუთხეში რამდენიმე ახლობელი გვყავს და რაღა თქმა უნდა, ძნელბედობის ჟამს სწორედ მათ ვუკავშირდებით და ამბავს ვკითხულობთ. ომის დაწყების დღიდან ვკონტაქტობდი იმ ახლობლებთან, რომლებიც კონფლიქტის ზონაში ცხოვრობენ... თუ ცხოვრობდნენ... ახლა მათ ნაამბობს თქვენც გადმოგცემთ. პირველ რიგში, იმ მამაკაცის ნაამბობს მოგიყვებით, რომელიც თავად თბილისში ცხოვრობს, მაგრამ მშობლები ტყვიავში ჰყავდა.

კონფლიქტის ზონის შემზარავი ამბები

ღაუვიწყარი კოშმარი

— ზაფხულში ცოლ-შვილი სოფელში გავუშვი დასასვენებლად. როგორც კი ომი დაიწყო, მეორე დღესვე გავემართე მათ ჩამოსაყვანად. საკუთარი მიკროავტობუსი მყავდა და რამდენიმე საათში მათთან გავჩნდი. ეს ის დღე იყო, როცა ცხინვალს ჯერ კიდევ ჩვენი ჯარი აკონტროლებდა. გულგახეთქილი ჩავედი სოფელში. ყველანი კარგად დამხვდნენ. სასწრაფოდ მოვაგროვეთ ბარგი და ცოლ-შვილი და დედა იქურობას გამოვარიდე. მამა კი ვერაფრით დავითანხმე წამოსვლაზე. სახლსა და საქონელს ვერ მივატოვებ, თქვენ წადით, მე კი ჩემს მონაგარს მივხედავო. არავის გვეგონა, რომ ომი ამდენ ხანს გაგრძელდებოდა და ასე გამწვავდებოდა. ამიტომ, მამა დავტოვე.

3 დღის შემდეგ, როცა მივხვდი, რომ მამას საფრთხე ემუქრებოდა, გადავწყვიტე, ისევ წავსულიყავი ტყვიავში და წამომეყვანა. მასთან ერთად კი, თუ სახლში რაიმე ღირებული გვებადა, იმასაც წამოვიღებდი, რომ მაროდიორების ხელში არ ჩავარდნილიყო. მიკროავტობუსიდან სავარძლები ამოვიღე და კონფლიქტის ზონისკენ გავეშურე. დედამ მარტო არ გამიშვა და თვითონაც გამომყვა.

მამა უვნებლად დამხვდა. სასწრაფოდ მოვაგროვეთ საჭირო ნივთები, მიკროავტობუსი დავტვირთეთ და ის იყო, მანქანაში ვსხდებოდით, რომ შეიარაღებული, რამდენიმე ოსი და კაზაკი მამაკაცი თავს წამოგვადგა. ამ დროს მე შინ ვიყავი, ჩემი მშობლები კი მიკროავტობუსთან ტრიალებდნენ. ბლომად იყვნენ და წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. პირველ რიგში, მიკროავტობუსი გაიყვანეს ეზოდან, შემდეგ — მშობლები ჩემ თვალწინ დახვრიტეს. ამის შემხედვარეს, თმა ყალყზე დამიდგა. სახლის უკანა გასასვლელიდან გავიპარე და თავი მეზობლის უკვე გაძარცული და ნახევრად დანგრეული სახლის სარდაფს შევაფარე.

იქ კარგა ხანს დავყავი. ცრემლი ღვარად მდიოდა სახეზე და თვალებიდან დედის მზერა არ მცილდებოდა, რომელიც სიკვდილის წინ თვალებით მეძებდა და მეუბნებოდა, თავს უშველეო. შებინდებისას სარდაფიდან გამოვედი და ტყისკენ წასვლა გადავწყვიტე, მაგრამ მანამდე მეზობლების დაცარიელებულ სახლებში შევიხედე, იქნებ ვინმე დაჭრილია ან ცოცხლად გადარჩენილი და შველა სჭირდებამეთქი. საშინელი სურათი დამხვდა 2 ოჯახში. ერთ-ერთი სახლის ცენტრალურ ოთახში მუცელგაფატრული, ახალგაზრდა ქალი ეგდო, მისგან მოშორებით კი მუცლიდან ამოყვანილი ბავშვის უსულო სხეულიც. ამ ქალში მეზობლის ფეხმძიმე რძალი ამოვიცანი. ბღავილი აღმომხდა. ბავშვის უსულო სხეული დედის გულზე დავაწვინე და წამოვედი. არ ვიცი, როგორი სასტიკი უნდა იყო, ასეთი საშინელება რომ ჩაიდინო. ფეხმძიმე ქალს ალბათ ნადირიც კი დაინდობს.

მეორე სახლში 2 მამაკაცის უსულო სხეული ვნახე. ორივეს ტყვია შუბლში ჰქონდა ნასროლი. მამა-შვილი იყო. ბინდბუნდში ძლივს გავარჩიე, რომ მათ პირში რაღაც ჰქონდათ ჩატენილი. როცა ახლოს მივედი, ვნახე, რომ ორივეს სასქესო ორგანო ჰქონდა მოჭრილი და პირში ჩატენილი. ღმერთო, ამას რას ვხედავ-მეთქი? თავში ხელები წავიშინე. ამის შემდეგ არც ერთ სახლში აღარ შემივლია. გული გახეთქვაზე მქონდა, ასეთი უბედურების ნახვას ველარ გავუძლებდი. მამა-შვილს პირის ღრუ ამოვუსუფთავე და იქვე, ეზოში გათხრილ სანგარში

დავმარხე. ამის შემდეგ ძუნძულით გავწიე ტყისკენ.

3 დღე და ღამე ვიხეტიალე და როგორც იქნა, ქართველ ჯარისკაცებთან აღმოვჩნდი. მათ ჩემი გასაჭირი ვუამბე და დახმარება ვთხოვე. სადღაც დარეკეს და ცოტა ხანში ჯიპი მოვიდა. კონფლიქტის ზონიდან ამ ჯიპით გამომიყვანეს. გზად 4 ჩემნაირი გზააბნეული ადამიანი აიყვანეს, ჩვეულებრივი, მისი ასაკისთვის შესაფერისად განვითარებული აქვს და კარგად ესმოდა, რომ საფრთხე გველოდა. დედა-შვილი იმ ქალაქში დავრჩით, რომელიც წამდაუწუმ იბომბებოდა და იმედად მხოლოდ ღმერთი გვეგულებოდა. ელენე საცოდავი თვალებით მიყურებდა და დუმდა. ჩვენს მეზობლად თითქმის ყველა სახლი დაინგრა, ჩვენ კი გადავრჩით. ომი



გორს გამოგვაცილეს და გზაზე ჩამოგვსვეს. იქიდან კი სატვირთო მანქანას გამოვყევით. ცოლ-შვილს ტანისამოსშემოხეული მივადექი. ჩემი შეშლილი სახის დანახვაზე ყველაფერს ისედაც მიხვდნენ და არაფერი უკითხავთ. რამდენი წელი უნდა ვიცოცხლო, ეს რომ დამავიწყდეს? ღამით კოშმარები მაწუხებს და ალბათ ერთ მშვენიერ დღეს გულიც მიმტყუნებს.

„ივანანა“

ნინო, *35 წლის, გორის მკვიდრი:*

— მარი, საშინელება იყო, რაც გადავიტანე. გორში კერძო სახლში ვცხოვრობ. გარშემო ყველაფერი ინგრეოდა, ბომბების ხმაური თავზარს მცემდა. მარტოხელა დედა ვარ, ქმარი 3 წლის წინ გარდამეცვალა. შინ მხოლოდ მე და ჩემი 12 წლის, ინვალიდი შვილი ვცხოვრობთ. ბავშვს ცერებრალური დამბლა აქვს და ვერ დადის (გაჭირვების გამო ვერც ის მოვახერხე, რომ ეტლი შემეძინა). გოგონას ხელში აყვანა და გამოქცევა ვცადე, მაგრამ ისეთი მძიმე იყო, მიხვდი, დიდხანს ვერ გავუძლებდი. ამიტომ, კართან მისული უკან შევბრუნდი და ელენე ისევ ლოგინში ჩავაწვინე. ბავშვს გონება რომ დაიწყო, პროდუქტის მომარაგება მოვასწარი და საჭმელი გვქონდა. თუმცა, ვიზოგავდი, რადგან არ ვიცოდი, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს ჯოჯოხეთი. მთელი დღეები ელენეს საწოლთან ვიჯექი და „იავნანას“ ვუმღეროდი. ძალიან მეშინოდა სიკვდილის. ვფიქრობდი, რომ თუ სიკვდილი გვეწერა, ერთად მოვმკვდარიყავით. წარმოიდგინეთ, დედა რომ იმაზე ოცნებობს, შვილთან ერთად მოკვდეს. ერთ-ერთის გადარჩენა საშინელება იქნებოდა. თუ ჩემს ელენეს რაიმე დაემართებოდა, რაღად მინდოდა სიცოცხლე? თუ მე მოვკვდებოდი, ელენეს შიმშილსა და ტანჯვაში ამოხდებოდა სული. პროდუქტის მთელი მარაგი საწოლთან მივიტანე და ისე დავაწყვე, რომ ელენეს ხელის გაწვდენა შესძლებოდა. ასე ცოტა ხანს მაინც გაიტანდა თავს და მერე ვინმე მშველელი გამოუჩნდებოდა.

ერთ საღამოს კართან ხმაური გავიგონე. ამ დროს გორში ქართული ჯარი საერთოდ აღარ იყო და მხოლოდ რუსები დათარეშობდნენ. შემეშინდა, ვინ უნდა ყოფილიყო? ვიდრე კართან მივიდოდი, რაღაცის მძიმედ დაცემის ხმა გავიგონე. კარი ფრთხილად გავაღე და უგონო მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სხეული გავარჩიე. რუსი, დაჭრილი ჯარისკაცი იყო. ორივე ხელით ჩავეჭიდე და შინ შემოვათრიე. დენი არ გვქონდა. სანთლის შუქზე დავათვალიერე და ვნახე, რომ ბარძაყში იყო დაჭრილი და სისხლისგან იცლებოდა. სასწრაფოდ დავიწყე მისი დახმარება. წლების წინ საფერშლო ტექნიკუმი დავამთავრე და თუ რაიმე მქონდა ნასწავლი, ყველაფერი გავიხსენე. ცოტა ხანში ჯარისკაცი გონზე მოვიდა. სისხლდენა შეჩერებული ჰქონდა, მკერდზე კი სველი ქსოვილი ჰქონდა დაფენილი. რომ შემომხედა, რაღაცნაირად გამიღიმა. ვუთხარი, რომ დროებითი ღონისძიება მივიღე და ახლა ოპერაცია და ექიმის დახმარება სჭირდებოდა. — ვიცი, მითხრა. ცოტა ხანს გაყურსული იჯდა. მერე კი საჭმელი მთხოვა. ჩემი ხელით ვაჭამე. ჩემს მდგომარეობას შორიდან რომ შევხედე, ის ფილმები გამახსენდა, სამამულო ომის შემდეგ რომ იღებდნენ, სადაც რუსი ქალები დაჭრილი გერმანელის გადარჩენას ცდილობდნენ. ერთი სიტყვით, რუსი ცოტა მოღონიერდა და ტელეფონით სადღაც დარეკა. ცოტა ხანში ჯიპით მოაკითხეს. მე და ჩემი გოგონაც მანქანაში ჩაგვსვეს. არც კი ვიცოდი, სად მივდიოდით. დაჭრილი მედპუნქტში დატოვეს, ჩვენ კი ხაშურამდე ჩამოგვიყვანეს და გამვლელ მანქანას გამოგვაყოლეს. მძღოლს რუსი ჯარისკაცების დანახვაზე ლამის თმა გაუთეთრდა. მათ მშვიდად სთხოვეს, რომ თბილისში ჩამოვყვანეთ, მე და ჩემს გოგონას დაგვმშვიდობნენ და წავიდნენ. ასე აღმოვჩნდი თბილისში. ახლა არ ვიცი, ჩვენი სახლი ისევ „ცოცხალია“ თუ არა. რაც უნდა იყოს, გორში მაინც დავბრუნდები და ჩემს კერიას გავაჩაღებ.

ჩას ფიქრობენ რუსი ჯარისკაცები?

ბჟია, *40 წლის, ხაშურის მკვიდრი:*

— მართალია, ხაშურში ბევრი რუსი ჯარისკაცია და უამრავი ტანკი დაგრუხუნებს ქუჩებში, მაგრამ არავითარ აგრესიას არ ავლენენ. ამას წინათ, ჩემი სახლის წინ მაღაზიაში შემოვიდნენ. ძალიან ზრდილობიანად იყიდეს პური, ძეხვი, პომიდორი, ფულიც გადაიხადეს და მშვიდად გავიდნენ. ჩემს კარის მეზობელს კარზე მიუკაკუნეს და საჭმელი სთხოვეს, — მშივრები ვართ, თუ შეგიძლიათ, საჭმელი გამოგვიტანეთო,

სთხოვეს. მანაც, თუ რამ ჰქონდა სახლში, ყველაფერი გამოუტანა. შინაც შეიპატიჟა, მაგრამ უარი უთხრეს. ასეთი ფაქტი რომ მომრავლდა, ხალხმა ნებით დაიწყო მათთვის საჭმლის შეგროვება. ისინიც, ზრდილობიანად უხდიდნენ მადლობას და ეუბნებოდნენ, რომ მშვიდობიან მოსახლეობას არაფერს ერჩოდნენ. ჩემი მულის უბანში რუს ჯარისკაცებს ცხვარიც კი დაუკლეს. 2 დღის წინ ჩემს სახლთან 3 ჯარისკაცი იყო ჩამომჯდარი და სიგარეტს ეწეოდა. ჭიშკარი რომ გავაღე შემეშინდა. — დეიდა, შეგეშინდაო? — მკითხა ერთმა. — კი-მეთქი, თავი დავუქნიე. — ნუ გეშინია, გამოდი, არაფერს გერჩით, არც სახლში შემოჭრას ვაპირებთო. მათმა მშვიდობიანმა ტონმა გამათამამა და გამოველაპარაკე.

— რატომ არ მიდიხართ თქვენს ქვეყანაში, თქვენმა პრეზიდენტმა შეთანხმებას ხელი ხომ მოაწერა?

— მან კი მოაწერა, მაგრამ ჩვენ ნაბრძანები გვაქვს, რომ ვიდრე თავად არ გვეტყვიან, არ უნდა გავიდეთ. ეს კი მანამ გაგრძელდება, ვიდრე თქვენი პრეზიდენტი არ გადადგება.

— კი, მაგრამ თქვენ ვინ გკითხავთ, ჩვენი პრეზიდენტი ვინ იქნება? ან რატომ არ გიყვართ სააკაშვილი?

— ჩვენთვის სულერთია, ვინ იქნება და არც სააკაშვილის მიმართ გვაქვს რაიმე პრეტენზია. ჩვენს პრეზიდენტს არ უყვარს მიშა და რა ვქნათ?

— რატომ არ უყვარს?

— რა ვიცი, ეგ მას ჰკითხეთ, ჩვენ ჯარისკაცები ვართ და უფროსის ბრძანებას ვემორჩილებით.

— რატომ აწიოკებთ ჩვენს მშვიდობიან მოსახლეობას?

— არც ერთი რუსი ჯარისკაცი არ იქცევა ცუდად და მშვიდობიან მოსახლეობას არ ერჩის. ეგეც ჩვენი მთავრობის ბრალია, რომ ოსების, ჩეჩნებისა და კაზაკების დაჯგუფებები შემოუშვა და ხალხი ააწიოკებინა.

— თქვენ ამართლებთ თქვენს პრეზიდენტს? გგონიათ, რომ ომი მართლა საქართველომ დაიწყო?

— ეგ ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ ბრძანებას ვასრულებთ. თუ მშვიდობიანი მოსახლეობა აგრესიით არ შეგვხვდება, ჩვენ არაფერს დავუშავებთ. ვიცით, რომ შეგეშინდათ და ქალაქში მხოლოდ ასაკოვანი ქალები და მამაკაცები დარჩნენ, ახალგაზრდები და ბავშვები კი გახიზნეთ. ისიც ვიცით, რომ ღამით რამდენიმე მეზობელი იკრიბებით და ერთ-ერთის სარდაფში იძინებთ, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაინტერესებს. შეგიძლიათ, შინ მშვიდად დაიძინოთ, მაგრამ თავად ქმნით პანიკას და ჩვენი ბრალია?

— ეჰ, როცა ავტომატი გიჭირავს ხელში, იოლია ასე ლაპარაკი. ჩვენ არ ვართ შეიარაღებული, თქვენ კი ტანკებით მოდიხართ და არ შეგვეშინდება?

— თქვენი საქმის თქვენ იცით...

შვილობილები

ნინელი, *43 წლის, თბილისის მკვიდრი.*

— ჩემი ქმარი ომის პირველსავე დღიდან ცხინვალის მისადგომებთან იბრძოდა. მადლობა ღმერთს, ცოცხალი დამიბრუნდა. შინ რომ მოვიდა, თან 2 პატარა ბავშვი ახლდა — 5 წლის გოგონა და 8 წლის ბიჭუნა. — ესენი ვინ არიან-მეთქი? — გამიკვირდა. ერთ-ერთი ოსური სოფლიდან წამოყვანილი ბავშვები ყოფილან. მათ მამას ჩემი მეუღლისთვის უთხოვია, მიშველე, აქედან ვერ გავდივარ და შვილები გადამირჩინეო. ამას შეუთავაზებია, რომ ცოლ-ქმარიც წამოსულიყო, მაგრამ უარი



უთქვამთ. ბავშვები 2 დღით უსაფრთხო ადგილზე დაუტოვებია და უკან დაბრუნებულს მათ მშობლებთან შეუვლია. სახლი ცარიელი და დანგრეული დახვდა, ცოლ-ქმარს კი ვერსად მიაგნო. სავარაუდოდ, ისინი დაიხოცნენ. ახლა ეს ბავშვები ჩემთან არიან და არც ის მინდა, რომ სადმე გავუშვა. შესაძლოა, მშობლები სასწაულის ძალით გადარჩნენ და ოდესმე მოიკითხონ შვილები. ჩემს ქმარს მათთვის მისამართი დაუტოვებია. ღმერთმა ქნას, ბავშვები არ დაობლდნენ.

7 ჟესტი, რომელიც შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს

თუ უცხოეთში ერთხელ მაინც ყოფილხარ, გეცოდინება, რა რთულია, სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან საერთო ენის გამონახვა და რა იოლია მათი განაწყენება. ხანდახან შესაძლოა, უწყინარმა ქმედებამ რთულ სიტუაციაშიც კი ჩაგაყენოს. ასე რომ, ვიდრე სამოგზაუროდ წახვალ, კარგად შეისწავლე ჩვენთვის დამახასიათებელი, მაგრამ სხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის შეურაცხმყოფელი ჟესტების ენა და ადგილობრივი წეს-ჩვეულებები.

1. არასოდეს უჩვენო ჟესტი — „ოკ“ ბრაზილიელს. გასული საუკუნის 50-იან წლებში პრეზიდენტმა ნიქსონმა ველური მაიმუნების ქვეყანა მოინახულა. თვითმფრინავის ტრაპზე ჩამოსვლისას, თავისი კეთილგანწყობილების გამოსახატავად, მან ორივე ხელით „ოკ“ უჩვენა. ეს უწყინარი ჟესტი მთელი ქვეყნის მასშტაბით, პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. შემდგომში ნიქსონს ამის გამო ბოდიშის მოხდამ მოუწია.

ბრაზილიაში ეს იმას ნიშნავს, რასაც ზევით აღმართული შუა თითი ჩვენს ქვეყანაში. ჯობს, ეს ჟესტი დაივიწყო, რადგან არასწორად გაგიგებენ და შესაძლოა, პასუხიც გაგებინონ.

2. საბერძნეთში არ ღირს, მადლობის ნიშნად ხელის ზევით აწევა და ხელისგულის ჩვენება. განსაკუთრებით მაშინ, თუ სუფრასთან ზიხარ. შენ ამით გემრიელი კერძის გამო მადლობის გადახდა გინდა, მაგრამ ცდები. ეს ჟესტი იმაზე მიანიშნებს, რომ კერძი კი მოგეწონა, მაგრამ მასპინძელი არ მოგწონს და მზად ხარ, კერძში თავი ჩააყოფინო.

საქმე ის გახლავთ, რომ სებერძნეთში ამ ჟესტს „მუტზას“ უწოდებენ და სათავეს ბიზანტიის იმპერიიდან იღებს, როდესაც დაკავებულ დამნაშავეს ხალხმრავალ ქუჩას შემოატარებდნენ და შესარცხვენად სახეს უთხუპნიდნენ: იღბლიან დამნაშავეს მურით, უიღბლოებს — ექსკრემენტით. ამ განაჩენს მოსამართლე სწორედ ამ ჟესტით გამოიტანდა ხოლმე.

3. თუ ახლო აღმოსავლეთში, აფრიკის დასავლეთში ან სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრები, კმაყოფილება ზევით აწეული ცერა თითით არასოდეს გამოხატო. ამ ჟესტს ათასეული წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებნი შეცდომაში შეჰყავდა. იმავე ჟესტს ისინი ხშირად შეკრული მუშტით გამოხატავდნენ. ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონებში ეს ჟესტი მოსაუბრის მიმართ ძალზე ცუდ დამოკიდებულებას აღნიშნავს.

4. ტაილანდში, ჩინეთსა და ფილიპინებზე, ჭამის შემდეგ თეფშის მოლოკვა აუცილებელია. ყველა ქვეყანაში, დიასახლისი ვალდებულია, სტუმარს გემრიელი კერძით გაუმასპინძლდეს. იქ, სადაც სტეიკი ყველის სოუსით ისევე ძვირია, როგორც ბოლო მოდელის მობილური ტელეფონი, დიასახლისისთვის ყველაზე მთავარია, სტუმარი დანაყრდეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კერძი უზომოდ გეგემრიელა ან მთელი კვირის მშიერი ბრძანდები, ვალდებული ხარ, მცირე ულუფა თეფშზე დატოვო, რომ დიასახლისს აჩვენო, როგორ დანაყრდი. შემდეგ, მისი თხოვნით თეფში უნდა მოლოკო.

ჩინელები არც ისეთი შებოჭილები და კომპლექსიანები არიან, როგორიც ერთი შეხედვით შეიძლება, მოგეჩვენოს.

უცნაურია, მაგრამ იქ მიღებულია საჭმლით გამოტენილი პირით ლაპარაკი და ჭამის შემდეგ — ბოყინი.

5. ღმერთმა დაგიფაროს, რომ საუდის არაბეთში საპირისპირო სქესის წარმომადგენელს მიესალმო. შარიათის თანახმად, საზოგადოებაში ქალს სხვა მამაკაცთან საუბარი და მისალმება ეკრძალება. მას უფლება აქვს, მხოლოდ ქმარს ეკონტაქტოს. 2008 წლის თებერვალში, ამერიკელმა ქალბატონმა არაბ მამაკაცს რაღაც ჰკითხა. ის მაშინვე დააპატიმრეს, გააშიშვლეს და ისე გაჩხრიკეს, შემდეგ კი აიძულეს, „დანაშაული“ ელიარებინა. არაბეთში ქალებს ეკრძალებათ ავტომობილის საჭესთან ჯდომა, არჩევნებში ხმის მიცემა, საკუთარი ბიზნესის წარმოება, სასამართლოში გამოჩენა და ველოსიპედით სიარული.

6. მიუხედავად იმისა, რომ ტუალეტის ქაღალდი თითქმის 1500 წლის წინ გამოიგონეს, ის ბევრ ქვეყანაში დღემდე აკრძალულია — ინდოეთში, შრი-ლანკაზე, აფრიკასა და სამხრეთ აღმოსავლეთის მთელ რეგიონებში. ამ ქვეყნებში ტუალეტის ქაღალდის ფუნქციას მარცხენა ხელი ასრულებს და ამის გამო, ეს ხელი ბინძურად მიიჩნევა. მარცხენა ხელით ჭამა ყველაზე დიდი სიბინძურე და უზრდელობაა. საამისოდ ანტისანიტარია ერთადერთი მიზეზი არ გახლავთ. „ყურანში“ წერია, რომ ალაჰი მარჯვენა ხელით მიირთმევდა, ხოლო სატანა ცაცია იყო.

7. არავითარ შემთხვევაში ჩინელს საათი არ აჩუქო. მათთვის საათი სიკვდილის სინონიმია. არავითარ შემთხვევაში არ გაახვიო საჩუქარი თეთრ ქაღალდში — ესეც სასიკვდილო ნიშანია. ბანგლადეშის მცხოვრებს თეთრი ვარდები არ აჩუქო. ეს იმას მიანიშნებს, რომ სიკვდილამდე მის გვერდით უნდა იყო და რომ მოკვდება, საფლავი უნდა გაუთხარო და მინაც შენ მიაყარო. ●

უცნაური „შეიძლება“



1. თურმე, შეიძლება, სამსახურში პორნოფილმებს უყურო. ესპანეთში, ერთ-ერთი ფირმის თანამშრომელმა სასამართლო პროცესი მოიგო. მას შეფმა იმ დროს მიუსწრო, როცა პორნოფილმის ყურებით იყო გართული. სასამართლომ დაადგინა, რომ ესპანეთის კანონი სამსახურის ინტერნეტის პირადი მიზნებისთვის გამოყენებას არ კრძალავს.

2. თურმე, გინება დაშვებულია. სამხრეთ კორეის უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის პროფესორმა, ტანგუკ სო სან უკმა სახელმძღვანელო გამოუშვა, სახელწოდებით — „რუსული ენა ანეკდოტების მიხედვით“. თუ კორეელი სტუდენტები ამ სახელმძღვანელოს რუსული ენის შესასწავლად გამოიყენებენ, ისინი ნებისმიერ ტაქსის მძღოლს აჯობებენ გინებაში.

3. გერმანიაში, სუპერმარკეტების — „ვალმარტის“ ქსელის თანამშრომლებს სამსახურებრივი რომანის გაბმა შეუძლიათ. სამსახურებრივი ფლირტის აკრძალვა კომპანიის ხელმძღვანელობამ სცადა და საამისოდ სპეციალური წესებიც კი შემოიღო, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი, როგორ უნდა მოექცე სამსახურში საპირისპირო სქესს. თანამშრომლებმა სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და პროცესი მოიგეს.

4. უნგრეთში ბავშვების ექსპლუატაცია დაშვებულია. მათ პატრულირების უფლება აქვთ და მძღოლის მიერ საგზაო წესების დარღვევის შემთხვევაში, ბავშვებს შეუძლიათ, მანქანას დამპალი ლიმონი დაუშინონ, ხოლო თუ მძღოლი მოძრაობის წესებს არ არღვევს, მას გემრიელ ვაშლს სთავაზობენ.

5. რიო-დე-ჟანეიროს საქალაქო საბჭომ, ღამის საათებში მძღოლებს გადაჭარბებული სიჩქარით სიარულის უფლება მისცა მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც რთული კრიმინოგენური სიტუაციაა. გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ ნელა მოძრავ ავტომობილებზე თავდასხმები შეემცირებინათ. ამ დროისთვის რიოში 600-მდე რთული კვარტალი არსებობს.

6. ფინეთში ალკოჰოლური სასმლის მიღება საზოგადოებრივ ადგილებში დაშვებულია. საზოგადოებრივი წესრიგის ახალ კანონში არ იკრძალება სკვერებსა და მოედნებზე ლუდისა და არყის სმა, გონიერების ფარგლებში. მსმელებმა გარშემო მყოფებს დისკომფორტი არ უნდა შეუქმნან. მათ ეკრძალებათ დებოშის ატეხა, ხულიგნობა, სიტყვებითა და ჟესტებით მუქარა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.

7. ჩინელ სტუდენტებს ერთჯერადი სექსის უფლება მისცეს. ამ დრომდე, დაუოჯახებელი ახალგაზრდებისთვის სექსი აკრძალული იყო. ჩინელი სტუდენტების თქმით, კანონი ქორწინების უფლებას მამაკაცებს 22, ხოლო ქალებს 20 წლიდან აძლევს. ამ ასაკის მიღწევის შემდეგ, მათ სრული უფლება ენიჭებათ, სურვილისამებრ მოიქცნენ. მანამდე კი კანონი სექსს კვლავ კრძალავს.

8. ამერიკელ ნუდისტებს თვითმფრინავით შიშვლად ფრენის უფლება მისცეს. თავისუფალი სტილის მოყვარულებს 499 დოლარის გადახდის შემდეგ უფლება ეძლევათ, მაიამიდან მექსიკაში გადაფრინდნენ. თვითმფრინავის ბორტზე ტემპერატურა სპეციალურად შიშველი ადამიანებისთვის რეგულირდება. ფრენის დროს სექსი მკაცრადაა აკრძალული.

9. ირლანდიელებს უფლება აქვთ, ყავაში ცხვრის კურკლი ჩაამატონ. წინათ ეს სასტიკად იყო აკრძალული. რამდენიმე თვის წინ ირლანდიის ხელისუფლებამ ბევრი აბსურდული, არქაული კანონი შეცვალა. ახალი კანონის მიხედვით, ჯადოქრის კოცონზე დაწვაც აიკრძალა.

10. ფინეთში, ახალი კანონის მიხედვით, კატებზე ნადირობა დაშვებულია. როდესაც ფინეთის პარლამენტი განიხილავდა კანონს, დასახლებულ პუნქტებში ძაღლების გასეირნების შესახებ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კატები გარეული ცხოველები არიან და ამ სახეობას გაქრობა არ ემუქრება. ასეთი სახეობის ცხოველებზე კი ფინეთის კანონების მიხედვით, ნადირობა ნებადართულია. ●

ჯოტო, რომელმაც ოკრიოკა ღაკარგა



— ნუ გეშინია, არაფერს გერჩი, შენ ის მითხარი, აქ პუტინი ხომ არ დაგინახავს?

ეს სურათის წარწერის ჩემეული ვარიანტია. მკითხველს ვთხოვთ, თავისი სავარაუდო სახელწოდება მოგვაწოდოს ტელეფონის ნომერზე 877.45.68.61.

ეს ვინ „ქარიზმა“?

სიტყვა „ქარიზმა“, ისევე, როგორც „აურა“, უკვე გაცვეთილია, მაგრამ კვლავაც ბუნდოვანია (სხვათა შორის, ჩემი კომპიუტერისთვისაც, რადგან ვჯიუტად უსვამს ქვეშ წითელ, დაკლაკნილ ხაზს). ძველბერძნულ მითოლოგიაში ქარიტები სილამაზისა და გრაციოზულობის ქალღმერთები იყვნენ, ხოლო ოლიმპზე მცხოვრებთა ენაზე „ქარიზმა“ „საკუთარ თავზე ყურადღების მიპყრობას“ ნიშნავს.

დღესდღეობით ეს განსაკუთრებული თვისებაა, რომელიც ადამიანს ბრბოსგან გამოარჩევს და სხვებზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს. როგორ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, ნებისმიერი, „სტანდარტული“ თვისება შესაძლოა, განსაკუთრებული აღმოჩნდეს — იქნება ეს ლატენტური სექსუალურობა თუ დაუფარავი აგრესია. ქარიზმატულს უწოდებენ ყველას, ვინც საერთო, ნაცრისფერ ფონზე რაღაცით გამოირჩევა.

ერთი სიტყვით, სიტყვა „ქარიზმას“ განსაზღვრული განმარტება აქვს, რომელიც გერმანელმა სოციოლოგმა, ვებერმა ჩამოაყალიბა: „ქარიზმა ეწოდება განსაკუთრებულ პიროვნულ თვისებას, რომელიც ზებუნებრივ, ზეადამიანურ, სპეციფიკურ, განსაკუთრებულ ძალად და თვისებებადაა მიჩნეული და სხვა ადამიანებს ხელი არ მიუწვდებათ“. აი, სწორედ ასე თქვა, მაგრამ არ განმარტა, რას ნიშნავს „განსაკუთრებული პიროვნული თვისებები“. ქარიზმა ნებისყოფა არ არის, არც ტალანტია და არც ბანალური მომხიბვლელობა. ტალანტი შესაძლოა, თაგვსაც ჰქონდეს, მომხიბვლელი კი შეიძლება, ნებისმიერი იყოს. ქარიზმა ადამიანების მიზიდვის არაჩვეულებრივი და იშვიათი ნიჭი და ღვთის წყალობაა.

ადამიანში შეიძლება, ბევრმა რამემ მიგიზიდოს: გარეგნულმა შარმმა, ხასიათის სიმტკიცემ, შინაგანმა კეთილშობილებამ, ინერტულობამ ან ყველაფრის მიმართ გადაჭარბებულმა მგრძნობიარობამ.

ქარიზმატული შესაძლოა იყოს მსახიობი ან თაღლითი, მმართველი ან მეფე — ჩარლი ჩაპლინი, ინდირა განდი, ჩინგისხანი, ნაპოლეონი, ჰიტლერი, მუსოლინი, ლენინი, ოსტაპ ბენდერი, ჰარი პოტერი და შერლოკ ჰოლმსი.

ქარიზმატულობა დამოკიდებული არ არის პიროვნების პროფესიაზე, საქმიანობაზე, მორალურ და ეთიკურ პრინციპებზე. ქარიზმატული შესაძლოა იყოს წმინდანიც და დამნაშავეც. ის არც სქესს ცნობს. ქარიზმატული მამაკაცების სიას თამამად შეიძლება შევმატოთ არაჩვეულებრივი ქალები: სარა ბერნარი, დედა ტერეზა, მატა ჰარი, თოჯინა ბარბი...

ქარიზმატულებად არ იბადებიან — ეს აქსიომაა. ასეთ პიროვნებებად, არამიზანმიმართულად, პირადი ფსიქოლოგის ჩარევის გარეშე ყალიბდებიან. დამალული, პიროვნული ღირსებების წარმოჩინება და განვითარება არც ისე რთულია. ახლა შემოგთავაზებთ რამდენიმე რჩევას, როგორ გახდე ქარიზმატული პიროვნება.

1. ქარიზმატული პოტენციალის მქონე ადამიანები ყოველთვის რაღაცით არიან გატაცებული. ისინი ან ცეკვის წრეზე ეწერებიან და ან დაივინგის კლუბში. თითქმის ზეპირად იციან მსოფლიო კინემატოგრაფის ყველა შედევრი და ვარსკვლავების უამრავი ფოტო აქვთ. ხანდახან გეჩვენება, რომ მათთვის არაფერს წარმოადგენს სახლის გაყიდვა და საცხოვრებლად მარშალის კუნძულებზე გადასვლა. ყოველთვის მზად არიან, გაბედული ნაბიჯი გადადგან. ყველასა და ყველაფერზე საკუთარი შეხედულება აქვთ.

აქედან — დასკვნა: თუ გინდა, გახდე ქარიზმატული, შეგიძლია, ექსპერიმენტები ჩაატარო და იმ საქმეს მოჰკიდო ხელი, რაც გიყვარს და მოგწონს. განსაკუთრებით მომგებიანი იქნება ის სფერო, რომელიც ახლა შემოდის მოდაში: უამრავ ახალ ნაცნობს გაიჩენ და ძველი ნაცნობების აღფრთოვანებას დაიმსახურებ.

2. გამომგონებლობა ქარიზმატული პიროვნების მთავარი თვისებაა. ნებისმიერი ამოცანის შემოქმედებითი ამოხსნა და ნებისმიერი პრობლემის არასტანდარტულად გადაჭრა უნდა შეგეძლოს. ეს ღვთის საჩუქარია, რომელიც ბავშვობაში ყველას ეძლევა, მაგრამ ბოლომდე ცოტა ვინმე თუ ინარჩუნებს. სამწუხაროა... იქნებ ბავშვურობა (სამყაროს ბავშვის თვალებით დანახვა და გულწრფელობა) ქარიზმატულობის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა?

3. ოფისში, პირზე აწებებული, ხელოვნური ღიმილით სიარული აუცილებელი არ არის, მაგრამ შენმა ხალისიანმა განწყობილებამ ყველა კარგ გუნებაზე უნდა დააყენოს, გასაჭირში დაეხმაროს და დადებითი ენერგიით დამუხტოს. უნდა ისწავლო პოზიტიურად აზროვნება და ყველანაირ სიტუაციაში საუკეთესოს დანახვა.

4. უნდა შეგეძლოს ადამიანის დარწმუნება. ზოგიერთი ფსიქოლოგი ირწმუნება: იმისათვის, რომ ქარიზმატული გახდე, უმჯობესია, მოსაუბრის მოსმენა ისწავლო, სხვებს ჭკუის სწავლება არ დაუწყო, საკუთარი უპირატესობა არ აგრძნობინო, შენიშვნები არ მისცე, არ დასცინო, შეცდომები არ ეძებო, პირში არ მიახალო, რომ ტყუის. ეს გახლავთ ტაბუს სტანდარტული ნაკრები, რომელსაც ფსიქოლოგები გთავაზობენ.

5. ქარიზმატულობის დაუწერელი კანონია: უნდა იყო თავდაჯერებული! რა თქმა უნდა, იცი, რომ კომპლექსიანი და საკუთარ სამყაროში ჩაკეტილი ადამიანები არასრულფასოვნებაზე არიან კონცენტრირებული და ყურადღების ცენტრში ვერასოდეს აღმოჩნდებიან. ამიტომ, უნდა შეეგუო საკუთარ ნაკლოვანებებს და ღირსებები აუცილებლად წარმოაჩინო. შეიყვარე საკუთარი თავი. ხალხს უყვარს ასეთ პიროვნებებთან ურთიერთობა. თავად ნახავ, როგორ შემოიკრიბება შენ გარშემო უამრავი ადამიანი და ყველა ერთად აღნიშნავს, რომ ქარიზმატული პიროვნება ხარ.

რა თქმა უნდა, ძნელია, გახდე ქარიზმატული მხოლოდ ამ სტატიის წაკითხვით ან თუნდაც, მრავალტომიანი ენციკლოპედიის დაზეპირებით. გაამახვილე ყურადღება — ვამბობ „ძნელია“, მაგრამ არა — შეუძლებელი. ხშირი ვარჯიში, ცოდნის გაღრმავება და ახალი აღმოჩენები ქარიზმატულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში დაგეხმარება. ●

პუტინის „ფენიალური“ გამოთქვამები



1999 წელს, ასტანაში ვიზიტის დროს, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, ვლადიმირ პუტინმა განაცხადა: „რუსული თვითმფრინავები ტერორისტების ბაზებს გამანადგურებელ დარტყმებს აყენებენ. ჩვენ ტერორისტებს ბოლომდე მივდევთ. მაპატიეთ, მაგრამ თუ საჭირო იქნება, ტუალეტში მივასწრებთ და უნიტაზში თავს ჩავაყოფინებთ. მორჩა, ეს საკითხი ამოწურულია“.

2000 წლის 8 აგვისტო. წყალქვეშა გემის, „კურსკის“ ჩაძირვიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ვლადიმირ პუტინი ლარი კინგმა პირდაპირ ეთერში მიიწვია. „რა დაემართა „კურსკს“?“ — ჰკითხა წამყვანმა. „ჩაიძირა“, — აუღელვებლად უპასუხა პუტინმა.

მწერალი ვიქტორ ეროფეევი ამტკიცებს, რომ პუტინმა რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერს, გენადი ზიუგანოვს ერთხელ უთხრა: „ნა ხერ ნუჟნა ნამ მეკსიკა?“

ჟურნალისტის კითხვაზე — როგორი ტიპის ბომბები იქნა გამოყენებული ჩეჩნეთში, პუტინმა უპასუხა: „თუ გსურს, რომ ისლამური რადიკალი გახდე და მზად ხარ, წინადაცვეთა ჩაიტარო, მაშინ მოსკოვში გეპატიჟები. ჩვენ ამ განხრით კარგი სპეციალისტები გვყავს. მე მათ ვთხოვ, ეს ოპერაცია ისე ჩაგიტარონ, რომ აღარაფერი გაგეზარდოს“.

ბალტიის ქვეყნების მიერ, ტერიტორიების დაბრუნების შესახებ გამოთქმული პრეტენზიების პასუხად, პუტინმა განაცხადა: „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოურ სივრცეში იუგოსლავიური სცენარის განვითარების თავიდან ასაცილებლად, რუსეთმა ისტორიაში არნახული მსხვერპლი გაიღო და რამდენიმე ათასი კვადრატული კილომეტრი საკუთარი ტერიტორია დათმო. კარგია ეს თუ ცუდი, ახლა ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. ეს მოხდა! ახლა არ მსურს იმ ბოდვის მოსმენა, რომ 5 კილომეტრი ვიღაცის მიწა გვმართებს. ფსკოვის ოლქის პიტალოვსკის რაიონი? მკვდარი ვირის ყურებს მიიღებენ და პიტალოვსკის რაიონს — ვერა!“

2002 წლის 10 ოქტომბერს, დრეზდენში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე, ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმეზე, ანგელა მერკელის მიერ გაკეთებულ კომენტარს პუტინმა დაამატა: „ვიმეორებ, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე მისი გავლენა უმნიშვნელო იყო. ეს მკვლელობა რუსეთსა და ჩეჩნეთში (სადაც ის თავის პროფესიულ მოღვაწეობას ეწეოდა) მოქმედ ხელისუფლებას გაცილებით მეტ ზიანსა და ზარალს აყენებს, ვიდრე მისი პუბლიკაციები(?!).

გაზეთ „კომერსანტის“ კორესპონდენტმა აღნიშნა, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრთან, ეჰუდ ოლმერტთან შეხვედრის დროს, პუტინმა ისრაელის პრეზიდენტს გაუპატიურების ბრალდება წაუყენა და უთხრა: „მოკითხვა გადაეცით თქვენს პრეზიდენტს, ის ძალიან მაგარი კაცი აღმოჩნდა. ათეულობით ქალი გააუპატიურა, რასაც მისგან არ მოველოდი. მან ყველანი გაგვაოცა და ყველას გვშურს მისი“.

ჰელსინკიში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე, ალექსანდრე ლიტვინენკოს მიერ სიკვდილის წინ დატოვებული წერილის შესახებ დასმულ კითხვაზე პუტინმა უპასუხა: „დაბოლოს, რაც შეეხება წერილს, თუ ის ბატონი ლიტვინენკოს სიკვდილამდე დაიწერა, რატომ მის სიცოცხლეშივე არ გამოქვეყნდა? ხოლო თუ ის მისი სიკვდილის შემდეგ გამოჩნდა, რა კომენტარის გაკეთება შეიძლება? ის ადამიანები, ვინც ეს გააკეთა, ღმერთები არ არიან, ხოლო ბატონი ლიტვინენკო, სამწუხაროდ, ლაზარე არ გახლავთ და დასანანია, რომ ასეთ ტრაგიკულ მოვლენებს, როგორიც ადამიანის სიკვდილია, პოლიტიკური პროვოკაციებისთვის იყენებენ“.

2007 წლის 1-ელ ივლისს, „დიდი რვიანის“ ქვეყნების ჟურნალისტებთან ჩატარებული პრესკონფერენციის დროს, პუტინმა განაცხადა: „ვარ თუ არა წმინდა წყლის დემოკრატი? რა თქმა უნდა, აბსოლუტურად სუფთა დემოკრატი ვარ, მაგრამ იცით, უბედურება რა არის? უბედურება კი არა, ნამდვილი ტრაგედიაა, რომ ასეთი ერთადერთი ვარ და მსოფლიოში სხვა ჩემნაირი არ არსებობს. ნახეთ, რა ხდება ჩრდილოეთ ამერიკაში. ნამდვილი საშინელებაა: წამება, უსახლკარობა, გუანტანამო, სასამართლოსა და გამოძიების გარეშე დაპატიმრება. ნახეთ, რა ხდება ევროპაში: დემონსტრანტებთან უმოწყალო ანგარიშსწორება, რეზინის ტყვიებისა და ცრემლმდენი აირის გამოყენება ხან ერთ, ხან მეორე დედაქალაქში, დემონსტრანტების მკვლელობა. პოსტსაბჭოურ სივრცეზე საერთოდ აღარაფერს ვამბობ. მაჰათმა განდის მკვლელობის შემდეგ დალაპარაკება აღარავისთან შეიძლება“.

„მათ თავიანთი ჭკუა უნდა შეცვალონ და არა — ჩვენი კონსტიტუცია“ — განაცხადა პუტინმა დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების მისამართით, როდესაც ისინი წინაადადებით გამოვიდნენ, რუსეთის კონსტიტუციაში ცვლილება შეეტანათ ანდრეი ლუგოვოის ექსტრადიციის საქმეში, ლიტვინენკოს მკვლელობის გამო.

2008 წელს, რუსეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე მოწვეული დამკვირვებლების შესახებ პუტინმა განაცხადა: „ჯობს, თავიანთ ცოლებს ბორშჩის გაკეთება ასწავლონ!“

პუტინმა თავისი აზრი კომპიუტერების შესახებაც გამოთქვა: „ვიდრე ბოლომდე არ გაირღვევი, არ ამუშავდება!“

ჟურნალისტის კითხვაზე, რომელიც პუტინის სიმდიდრის შესახებ გავრცელებულ ჭორებს შეეხებოდა, მან განაცხადა: „მე მსოფლიოსა და ევროპაში ყველაზე მდიდარი ადამიანი ვარ. ვაგროვებ ემოციებს და მდიდარი ვარ იმით, რომ რუსმა ხალხმა პრეზიდენტობა 2 ვადით მანდო. ეს ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრეა. რაც შეეხება ჩემი მატერიალური სიმდიდრის შესახებ გავრცელებულ ჭორებს, ეს მხოლოდ ლაყბობაა. ყველაფერი ცხვირიდანაა გამოჩიჩქნილი და ქაღალდზე წასმული“.

„მე ცუდად ვარ განწყობილი იმ ადამიანების მიმართ, ვინც თავისი გრიპოზული ცხვირითა და ეროტიკული ფანტაზიით სხვის ცხოვრებაში ძვრება“. ●

გზავნილები

21.08. - 27.08.2008





ქვეყანაში რუსეთმა თავისი სამხედრო აგრესია განახორციელა, მაგრამ ხალხი, ასე თუ ისე, ცხოვრებას განაგრძობს. ისევ იბადებიან ბავშვები და მტრის ჯიბრზე, ქართველები მაინც გავმრავლდებით. „გზავნილების“ თემად საზაფხულო ამბავი გვქონდა, მაგრამ მესიჯების უმეტესობა ომის თემაზე მოვიდა. ვინაიდან ინტერნეტში საიტების უმეტესობა გათიშულია, „მობილი-ზაციის“ მესიჯების ამოწერა ვერ შევძელი. ამიტომ, ამჯერად ამ რუბრიკაში, უმეტესწილად დღევანდელი სიტუაციის ამსახველ მესიჯებს დავბეჭდავ. როგორც კი საიტი ამუშავდება, თქვენ მიერ გამოგზავნილ მესიჯებს მაშინვე გამოვაქვეყნებ. ახლა კი „გზავნილები“ და თქვენ მიერ მოყოლილი ამბები.

ნისანი, რეიდერი და სანატრელი ანუ სევდანარევი დიმილი „გზავნილებში“

მარი ჯაფარიძე

დაფიქრება გვმართებს

„გამარჯობა. ვარ თსუ-ის II კურსის სტუდენტი, ქამრან მამედოვი. არც სასაცილო ამბავი მაქვს მოსაყოლი და არც რაიმე მსგავსი. მე იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ, აზერბაიჯანელები, ყოველთვის ვიდექით, ვდგავართ და ვიდგებით კიდეც ქართველი ჯარისკაცების გვერდით და დღესაც ზუსტად ვიცი, რომ ალბათ რამდენიმე ასეული ათასი, ეთნიკური აზერბაიჯანელი, მაგრამ საქართველოსთვის თავდადებული ვაჟკაცი არსებობს და იბრძვის. საერთოდ არ მინდოდა ამ თემაზე ხმა ამომეღო, თანაც, შენი მეშვეობით, მარი, მაგრამ ძალიან გამაღიზიანა იმ ფაქტმა, რომ ერთ-ერთმა ქართველმა მომღერალმა განაცხადა, რომ მისი გვარი) „ძე“-ზე მთავრდება და ამიტომაც ქართველ მეომრებს მხარში უდგას. ყველა გარდაცვლილი ადამიანის ოჯახის წევრს ვუსამძიმრებ. გთხოვთ, დაბეჭდოთ, რადგან სხვა არანაირი საშუალება არ მაქვს, თანამემამულეებს რომ მივაწვდინო ჩემი ხმა.“

ვსვამ და არ ვთვრები

„ამას წინათ მამაჩემთან ვიყავი და მან ძველი ამბები გაიხსენა: თურმე, ერთი აჭარელი კაცი (გვარ-სახელს არ დავასახელებ), ბიოლოგიურზე აბარებდა გამოცდას. ლექტორმა აიღო თურმე ჩიტი, კუდის მხრიდან (უკანალიდან) მიუშვირა და ეკითხება — აბა, მითხარი, რომელი სახეობის ჩიტიაო? უყურა, უყურა და ვერ უპასუხა. დაუწერეს ორიანი. მეორე ლექტორმა იკითხა თურმე, რა გვარია ეს ბიჭიო? ამ ბიჭმა გაიგონა, ჩაიძრო შარვალი, მიუბრუნდა და — აბა, ახლა შენ თუ მიხვდები, რა გვარი ვარო? ამაზე ბევრი ვიცინე, მაგრამ რამდენად მართალია, არ ვიცი. თურმე, ბაბუაჩემს სტუმრები რომ ეწვეოდნენ, თავის სანაქებო „ადესას“ ასმევდა. ერთხელ ერთმა კაცმა დაიწუნა: ვსვამ, მაგრამ თავში არ ადისო. ბაბუაჩემს კი უთქვამს — კაცო, ეს ადესა 3-მეტრიან თხმელის ხეზე ადის და შენს თავში რაფერ არ ევიდაო?“

ომი დაიწყო!

„უკვე ერთი თვეა, ულამაზეს ლეჩხუმში ვისვენებ, ჩემს დედულეთში. ტრადიციულად, ყოველ წელს ასეა, იშვიათი გამონაკლისის გარდა. საღამოს ფეხბურთის მატჩები ტარდება. მერე ვაბირჟავებთ. მშვენივრად ვერთობით. ერთმანეთის ჯინაზე 2 თაყვანისმცემელს ვუუუუნებ თვალებს. თავისუფალი ვარ და რა მენაღვლება? ხვამლის ციხეზე შარშანაც ვიყავით და წელსაც ვაპირებთ. ჰო, სერიალები აქაც უყვართ. მაგარია! დღეს როგორც იქნა, მზემ გამონათა. ჩანჩქერზე საბანაოდ ავიბარგეთ და უცებ, ერთმა თქვა — რა დროს ეგაა, ომი დაიწყოო. მართლაც ვღელავ და ახლა ყველა ამაზე ლაპარაკობს. ღმერთმა მშვიდობა ქნას. ჟურნალის წინა ნომერი გამომრჩა, მაგრამ დედამ მიყიდა და ქუთაისში მელოდება. ძალიან მინდა ჩემი ქალაქის მგზავნელთა გაცნობა. მიხარია, რომ „გზა“ ჩემი მესიჯების გარეშე თითქმის აღარ გამოდის. ადრე სხვა სახელით ვწერდი. სვანის ასული“.

სექსყავა

„ჩემს მკერავ ბებიაზე მაგარი „პრიკოლი“ უნდა მოგიყვეთ. პირადად მე, ბევრი ვიცინე. ბებიაჩემთან ახალგაზრდა გოგონები მისულან კაბების შესაკერად და უთქვამთ — ოღონდ კარგი კაბები შეგვიკერე და ნამდვილ „სექსყავას“ დაგალევინებთო. ბებიაჩემს გაჰკვირვებია, ნეტავ, როგორი უნდა იყოს „სექსყავაო“, მაგრამ გაკვირვება არ შეუმჩნევია. გოგონებისთვის ზომები აუღია და მეორე დღისთვის დაუბარებია, მზად იქნებაო. არც „სექსყავა“ დავიწყებია და გოგონებისთვის უთქვამს — რომ წამოხვალთ, „სექსყავაც“ წამომიღეთო (ეს გოგონები თურმე „სექსყავას“ უნალექო ყავას ეძახდნენ). ბებიამ ცდუნებას ვერ გაუძლო და მაღაზიაში შევიდა, რომ „სექსყავა“ ეყიდა, მაგრამ შერცხვა და უკან გამობრუნდა. მეორე დღეს, გოგონები მისულან და ბებიაჩემისთვის უნალექო ყავა მიუტანიათ... აქ კი ბებიაჩემს, თავი ვეღარ შეუკავებია და თავის საქციელზე ბევრი უცინია. ასე მხიარულად შეუკერა ბებომ გოგონებს კაბები. ლუნა“.

ნაბანავები

„წლების წინ სოფელ ლალისყურში ვიყავი სტუმრად. ჰოდა, ერთ დღეს დაბადების დღეზე დამპატიჟეს. გავემზადე და წასვლას რომ ვაპირებდი, დამიძახეს სხვა უბნელებმა — საბანაოდ წამოდიო. ვიფიქრე — ჯერ ადრეა, არ ვიბანავებ, მაგრამ ისე წავალ-მეთქი. რომ მივედით, ამათ გაიხადეს და შევიდნენ წყალში. ერთი გოგო იდგა და არ შედიოდა. გავიქეცი, ხელს ვკრავ-მეთქი. თურმე, ამ გოგომ დამინახა და ხელი რომ უნდა მეკრა, იმ დროს გამერიდა. ჰოდა, გადავხტი ასე, ტანსაცმლიანად წყალში. ასთე დამთავრდა მაი ამბავი. დაბადების დღეზე მაინც წავედი, მაგრამ სანამ გავშრი, დამაგვიანდა. მოკითხვა კახეთს. 9717“.

დამხმარე

„ერთ ზაფხულს, როცა 7 წლის ვიყავი, მამაჩემმა სოფელში ჩამიყვანა დასასვენებლად. მეც შევეჩვიე იქაურობას და ვეხმარებოდი კიდეც ბებია-ბაბუას. ერთხელაც ბებომ სახლის უკან ხმელი ფოთლების, ბალახების, ნაგვის შეგროვება დაიწყო. — ბებო, ამ შეგროვილ ბალახს რა უნდა უქნა-მეთქი? — უნდა დავწვა, შვილო, მითხრა ბებომ, — აი, ასანთი და როცა გეტყვი, ცეცხლი წაუკიდეო. კარგი-მეთქი, ვუთხარი და ბებოს მითითებებს დაველოდე. იქვე, რამდენიმე მეტრში თივის 4 ზვინი იდგა და რადგან მათშიც ბლომად იყო ბალახი, ვიფიქრე, ესეც ნაგავია და უნდა დაიწვას-მეთქი. ბევრი აღარ მიფიქრია, ისე წავუკიდე ოთხივეს ცეცხლი და რამდენიმე წუთში მათგან არაფერი დარჩა. — ბებო, შეხე, რამხელა ცეცხლი დავანთე-მეთქი, „ვახარე“ ბებოს. ამის დანახვაზე ბებომ თავში შემოირტყა ხელი, მაგრამ რას უშველიდა? ჰოდა, იფიქრეს, ეს თუ აქ კიდევ დიდხანს დარჩა, სახლსაც გადაგვიბუგავსო და მეორე დღესვე დამაბრუნეს სახლში. :) აი, ასეთი მხიარული თავგადასავალი მქონდა იმ ზაფხულს. მეგრელი აპოლონი.“

ყარაული

„უი, გამახსენდა! ძროხა რომ ხბოს მოიგებს, მერე ყარაულობენ ხოლმე, რათა მომყოლიც დაბადოს და ძროხამ არ შეჭამოს, თორემ რძეს აღარ მოიწველება. ჰოდა, ეს ჩემი კლასელი ლალი რომ დაბადებულა, მეორე დღეს მამამისი მისულა სამშობიაროში. რთულად უმშობიარია დედამისს, თან პირველი შვილი იყო და ხომ იცით, ამ ფულზე დახარბებული ბებიაქალების ამბავი, ორნი ყოფილან და ერთმანეთს ასწრებდნენ, პირველმა მე ვახაროო (თანაც, 10 წლის უშვილოები იყვნენ). იფიქრეს, გვეშველაო. ერთმა იმარჯვა და ახარა — გოგო გყავთ, ბატონო რეზო, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ბავშვი კარგად არის, დედასაც, მშობიარობის შემდეგ დიდხანს ვყარაულობდითო, თავი შეუქიათ. რეზოს აუხედ-დაუხედავს და უთქვამს — რასა ყარაულობდით, რა, ბუდეს შეჭამდაო? ფული არ ჰქონდა და რა მიეცა?“

დაკარგული

„გოგა იანვარში გავიცანი. ძალიან თბილი და ყურადღებიანი იყო. ყველა ის თვისება ჰქონდა, რასაც მამაკაცში ვაფასებდი. მოკლედ, ერთმანეთი მალე შეგვიყვარდა. დღე არ გავიდოდა, ჩემთვის რაიმე სიურპრიზი არ გაეკეთებინა, მიუხედავად იმისა, რომ ის ძირითადად ლეჩხუმში იმყოფებოდა. მან წარსულის ტკივილები გადამავიწყა. მართალია, თავიდან არ ვენდობოდი, მაგრამ მოგვიანებით მის გულწრფელობაში დავრწმუნდი. მას ჩემი გული ვანდე. ნდობით არასოდეს უსარგებლია. უბედნიერესი ადამიანი ვიყავი და მალე ოჯახის შექმნაც

გადავწყვიტეთ. მამაჩემსაც ესაუბრა, ყველამ იცოდა, რომ ჩემი საქმრო იყო. წინააღმდეგი არც მისი მშობლები იყვნენ. დადგა მაისი. გოგა შეიცვალა, აღარ მეხმიანებოდა, არც მნახულობდა. ვურეკავდი, მაგრამ საქმეს იმიზეზებდა. ასე გაგრძელდა 2 თვე. 1-ელ ივლისს მესიჯი მივიღე: ნინიკო, ცოტა დრო მომეცი, რომ გნახოო; როცა თვალებში ჩაგხედავ, უკეთ აგიხსნი ყველაფერსო. მას შემდეგ არ შემხმიანებია. ახლა ის ლეჩხუმშია და ნახვას ვერ ვახერხებ. ვერ გავიგე, რა მოხდა, გაურკვევლობამ კი დამტანჯა. ყველაზე მძიმე ის არის, რომ ყველაფერი განმეორდა — წლების წინ ზუსტად ასე მომექცა სხვაც. იმავე ტკივილის განცდა კი საშინელებაა. ახლა კი მთავარი: სამშაბათს ოპერაციას ვიკეთებ, ონკოლოგიურში. ალბათ მიხვდით, თუ რა მჭირს. მინდოდა, ამ მძიმე დღეს გოგა ჩემთან ყოფილიყო, მაგრამ ვერაფრით მოვძებნე. ვურეკავ და მეუბნებიან, ცაგერშიაო. როცა „გზის“ ეს ნომერი გამოვა, არ ვიცი, როგორ ვიქნები, მაგრამ მაინც გწერ, მარი. მინდა, გოგამ მნახოს, თუ როგორმე ამას წაიკითხავს. იქნებ, ცოცხალს ჩამომისწროს. გოგა, უბრალოდ ამიხსენი, რა მოხდა, გეფიცები, არ გისაყვედურებ. მარტო ის მინდა ვიცოდე, რა მოხდა. უკანასკნელად შეგავლებ თვალს და... აღარ შეგაწუხებ. გოგა, შენ ხომ იცოდი ჩემი ავადმყოფობის შესახებ და ამანაც ვერ შეგაჩერა. მაინც გიყვარდი და ახლა რა მოხდა?

ჩემს სათქმელს კი ასე დავამთავრებ: მზის სხივივით სწრაფი დრო, ზოგჯერ ზლაზვნით მიიწელება, თითქოს არსად ეჩქარება. მე კი დრო არ დამრჩა. ჩვენი სიყვარული სიხარული იყო, დღეს კი ტკივილია. როგორ მინდოდა, ნაოცნებარ სახლში გვეცხოვრა, მაგრამ მჯერა, დაბრუნდები, მოხვალ (ოდესმე მაინც) და თუ გულით მთხოვ პატიებას, გაპატიებ, თუ უშენობას გავუძელი.“

სევდა

„არ ვიცი, ამ კვირაში რა თემა გაქვს, მარი, მაგრამ ვიცი, რომ „გზავნილებს“ მხიარულების გარდა სევდის დატევაც შეუძლიათ. ჰოდა, მეც ვერ შევიკავე მოზღვავებული სევდა და... მოკლედ, ამის მიზეზი ქართულ-ოსური კონფლიქტია. მეშინია, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, ჩვენ მართლები ვართ, ეს მიწა სულ ჩვენ გვეკუთნოდა, ისინი კი ვერ მოიპოვებენ იმას, რაც არ დაუკარგავთ, ვერ მოიპოვებენ ე.წ. სამხრეთ ოსეთს, სინამდვილეში კი საქართველოს გულს! ვიცი და მაინც მეშინია, იმიტომ, რომ იქ ჩემი ახლობლებიც არიან. ჩემს სიცოცხლეს უყოყმანოდ დავთმობდი, მათსას — ვერა. ღმერთს ვთხოვ, ქართველები დაიფაროს. მალე გამარჯვება მოგველოცოს! დაბეჭდვას არ გთხოვ. გმადლობ, რომ მომისმინე!“

სოფლის ყოფა

„სოფელს თავისი ხიბლი აქვს და ყველა შესაძლო შემთხვევაში იქით გავრბივართ ოჯახის წევრები. სოფელი სერიალებმა „გამოასერიალა“. მორიგი სეანსისას, როცა მეზობლის ქალები — სუ, სუ-ს ძახილით სხვის მოგონილ ტრაგედიაზე აღვარღვარებდნენ ცრემლს, ვიშვიშებდნენ, მთვრალ კაცებს ხვრინვით ეძინათ. ჭამას არ ვიკლებთ. იმდენი ვიკრიბებით, საღამოს პურის ნამცეცუნაც არ გვრჩება. მაშინ ვქეიფობთ კიბის თავზე, ჩუმად, ჩუმად გადანახული ხილის არყით, ვაფრქვევთ ჭორ-მართალს, ვიწყებთ ღრიალს, რომელსაც სიმღერას ვეძახით, მერე კი ნელ-ნელა გვებლიტება თვალები. დილით ისევ თავიდან იწყება ყოველივე: მეზობლების დაპატიჟება თვალის პაჭუნით, ყავის დასალევად და ა.შ. თინეიჯერი შინაბერა“.

ნისანი, რეიდერი და სანატრელი

„ამას წინათ სატელეფონო წიგნი დამჭირდა. საჭირო ნომერი მოვძებნე და ის იყო, დარეკვას ვაპირებდი, რომ იმავე გვერდზე ერთი უცნაური სახელი მომხვდა თვალში — ნისანი. ნისანიოო?! თვალები ლამის შუბლზე ამივიდა. :) მერე ანი-დან ჰაე-მდე დავყევი და ყველა უცნაური სახელი ამოვიწერე. აი, რამდენიმე: რეიდერი, გულსუნდა, სანატრელი, თურუ, ხიხა, დუშა, გუგუნი, ირანი, ყირიმი, ვაგნერი, ფუნთუშა, ლუდუკი, სილიბისტრო, შამილი, პანტუშა, თუკუნი, პაჭუ, ლოჟა, ნაომი. :) გავგიჟდი, კაცო, თურმე, რაული და კაკა სენაკში ცხოვრობენ. :) კიდევ, იცით, რა აღმოვაჩინე? რა და — სენაკში ერთი კაცი ცხოვრობს, გვარად ილინი. :) აფხაზეთის პრინცესა“.

სადისტები

„უსაყვარლესი დეიდა მყავს და უსაზღვროდ მხიარული. როცა მასთან ვარ, სულ ჩემს გახალისებას ცდილობს. ამას წინათ, ღამე ეზოში ვისხედით და უშველებელი კალია ჩამიხტა დეკოლტირებულ მაისურში. დეიდამ ამოიყვანა, ცოტა მოეფერა, მერე „ხელები“ და ფეხები დააგლიჯა და მხოლოდ სასაცილოდ გრძელი წვერებიღა დაუტოვა. კალია მაინც არ ისვენებდა და ხელისგულზე კბენდა. ამისათვის კი დაისაჯა და „ლანდიშის“ საპონი ძალით ვაჭამეთ. მერე ველოდებოდით, ბუშტებს როდის გაბერავდა, მაგრამ ამაოდ... ჩემს დეიდაშვილს ამ საცოდაობის ყურება მოჰბეზრდა და საწყალი კალია მთელი ძალით დააწყვიტა მიწაზე. ყველაზე „პრიკოლი“ ის იყო, რომ მწამებელმა შეწუხებული სახით თქვა, ცოდვა არ იყო, რად მოკალიო? დატირებაც კი ვერ მოვასწარით, წუნკალა ძაღლმა შეჭამა ჩვენი „საცდელი ობიექტი“. არა, რაა, ყველამ თავისი ადგილი იცოდეს, რას ხტუნაობდა ჩემს მაისურში? რა უნდოდა? ყოფილიყო თავისთვის წყნარად და იქნებოდა კახეთში. ახლა კი მიყუროს ზეციდან. კახელო-616“.

გამოცვლილი ასო

„ჩემი ახლობელი შორენა ბანკში მუშაობს, მოლარე-ოპერატორად. ერთხელ თათარი კლიენტი მიუვიდა.

— გენასვალე, ასოს გამომიცვლით? — ჰკითხა.

შორენას ენა დაება. ირგვლივ ყველამ სიცილი დაიწყო. თურმე, გაზის ქვითარში მის გვარში ერთი ასო შეცდომით იყო დაბეჭდილი. ერთმა ქალმა კი მიაწოდა პლასტიკური ბარათი და ჰკითხა:

— ნახეთ, თუ შეიძლება, შიგ მაქვსო (თანხა აინტერესებდა)?

— თან პინკოდს კარნა-ხობდა.

— არ თქვათ, ქალბატონო, ეგ მარტო თქვენ უნდა იცოდეთო, — შეიცხადა შორენამ.

— უიმეე! — შემოიკრა თავში ხელი კლიენტმა, — იმან რომ წაიკითხა?

— ვინ, ქალბატონო?

— ვინ და ბანკომატში რომ ზის...

ვაი, შორენა, ეს რა დღეში ჩაგაგდო ტექნიკურმა რევოლუციამ?! თუ სიცხის ბრალია?

კახელი სალომე“.

კბენამდე და კბენის შემდეგ

„გუშინ აფთიაქში შევედი და ასეთი დიალოგი მოვისმინე: ბიჭი ეუბნება გამყიდველს, დამცავი მომეციო (პრეზერვატივს გულისხმობდა). გამყიდველს კი კოღოსგან დამცავი საშუალება ეგონა და ჰკითხა: — კბენამდე თუ კბენის შემდეგო? დაბნეულმა ბიჭმა ხელები მიიფარა (იმაზე) და გარეთ გავარდა... მე იმდენი ვიცინე, სულ დამავიწყდა, რა წამალი უნდა მეყიდა. გრიმსიკო“.

იეღოველები

„ტოპოლინას მესიჯმა გამახსენა ჩემი დის ბავშვობა. ქუჩაში რომ გავიყვანდით და სადმე აფთიაქზე ჯვარს დაინახავდა მიხატულს, პირჯვარს იწერდა. ერთხელ კი „მარშრუტკაში“ ავედი. იყალთოში მივდიოდი. ერთ-ერთი მგზავრის ტელეფონმა დარეკა. ზარი ძალიან ჰგავდა ეკლესიის ზარს. ერთი კაცი ადგა და პირჯვარი გადაიწერა. ყველამ სიცილი დავიწყეთ, კაცმა კი გაკვირვებულმა შემოგვხედა და თავისთვის ჩაიბუტბუტა — ამ „მარშრუტკაში“ რა სულ იეღოველები მსხდარანო... მის რეალი“.

თანაგრძნობა

„დიდი ხანი არ არის, რაც ტურისტულ კომპანია „მეტრო-გეორგია ტურიზმში“ გამცილებლად დავიწყე მუშაობა, მაგრამ უკვე ათასგვარი ჯურისა და აზროვნების ხალხს შევხვდი. ჩემი მოვალეობაა, ყველას გავუგო, თანავუგრძნო(?!) და ადგილზე მშვიდობით ჩავიყვანო. ერთი შემთხვევის შესახებ მინდა, მოგიყვეთ, რომელიც ყველაზე მეტად დამამახსოვრდა. იქნებ იმიტომ, რომ ის განსაკუთრებული იყო ან იქნებ იმიტომაც, რომ ჩემი „გმირი“ ჩემივე კუთხის შვილია და მისი გასაჭირი უფრო მოვიდა გულთან? მაშ ასე, გაიცანით ნინო, 33 წლის. ის თურქეთში მიდის სამუშაოდ. გზაში გული გადამიშალა: მამაჩემი თავის დროზე მილიონერი იყო, მე და ჩემს და-ძმებს არაფერი გვაკლდა. პირიქით, სასწავლებლები რუსეთში დავამთავრეთ და დიპლომებით ხელდამშვენებულები ჩამოვედით საქართველოში, მაგრამ რად გინდა? მე ეკონომისტი და უცხო ენის სპეციალისტი ვარ, თუმცა, ერთხელ ვიმუშავე



მთარგმნელ-რეფერენტად და იქიდანაც შემცირების გამო წამოვედი. მერე გავთხოვდი, შვილები მეყოლა, ცოტა რომ წამოიზარდნენ, სამსახურის ძებნა დავიწყე, გაზეთებში განცხადებებს არ ვტოვებდი, ყველა მისამართი დავიზეპირე, თუმცა, უშედეგოდ. თითქოს, განგებას არ უნდოდა, რომ მუშაობა დამეწყო. ნელ-ნელა დავიწყე ნივთების გაყიდვა. ჩემი მეუღლე ძალიან წუხდა ცალკე ჩემი, ცალკე — თავისი უმუშევრობით, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო, შვილებს შიმშილით ხომ არ დავხოცავდი? ახლა ბავშვები 4 და 6 წლის არიან, უფროსი წელს მიდის სკოლაში. ჭურჭლის მრეცხავად მოვეწყვე ერთ-ერთ რესტორანში, დღეში 8 ლარს მიხდიდნენ. შემთხვევით საფერფლე გამიტყდა. მეპატრონემ 50-თეთრიან საფერფლეში 2 ლარი გამომიქვითა ხელფასიდან. ველარ მოვითმინე, ის კაცი გამოვლანძღე და წამოვედი. დავრჩი კვლავ უმუშევარი, ღვთის იმედად. ერთმა ახლობელმა მირჩია, თურქეთში მეცადა ბედი. გავრისკე და წამოვედი. ერთ-ერთ ქალაქში, ბავშვის მომვლელად მოვეწყვე. ერთი თვე არ იყო გასული, რაც მუშაობა დავიწყე. ზღვა 50 მეტრში იყო, ჩვენი სახლიდან. ერთ დღეს სახლის დალაგებაში გართულმა, ვერ გავიგე, ბავშვი როგორ გამეპარა ზღვაზე, მეთევზეებთან. მშობლებმა ეს რომ გაიგეს, სახლიდან გამომაგდეს უფულოდ. სასოწარკვეთილი ვიყავი, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ბედად, ერთი რუსი კაცი გამომელაპარაკა. იმ კაცმა ჯერ ჩემი უკვე ყოფილი პატრონები გამოლანძღა, მერე სახლში წამიყვანა თავისთან. შინ ცოლი ჰყავდა. ამ ღვთისნიერმა ცოლ-ქმარმა 3 კვირა შემინახა. სამსახურიც გამომინახეს — მათი ახლობლის ვილას კვირაში ერთხელ ვალაგებდი და ამაში 25 ლირას მიხდიდნენ. ეს ფული მოვაგროვე და როგორღაც საქართველოში დავბრუნდი. ვიჯექი სახლში და იარებს ვიშუშებდი. გული მტკიოდა, მაგრამ საშველი არსაიდან ჩანდა. მერე კვლავ მირჩიეს — მარჯანიშვილზე ძიების ოფისია და აქვე, თბილისში დაგასაქმებენო. რომ გაიგეს, უცხო ენა ვიცოდი, ოფისში მითხრეს, თურქეთში გაგიშვებთ ინგლისელების ოჯახში, საკმაოდ მაღალანაზღაურებად სამუშაოზეო. ისევ სასწორზე

შევდექი. ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, კვლავ გამერისკა. მეუღლე მემუდარა, არ წავსულიყავი, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე წამოსვლა და აი, ახლა აქ ვზივარ, არ ვიცი, რა იქნება, რით დამთავრდება ეს ამბავი. კვლავ რომ არ გამიმართლოს, რა მეშველება?" ნინომ ცრემლიანი თვალები დაბლა დახარა და დამპირდა, დაგიკავშირდებიო. ველი მის ზარს. მათ კი, ვინც ნინოში საკუთარი მეუღლე, დედა ან შვილი ამოიცანით, მოგმართავთ — არ დაკარგოთ მისი იმედი, ის ღირსეული ქართველი ქალია, რომელიც საქართველოს სახელს და ქართულ მანდილს არასოდეს შეარცხვენს. ის ამაყი დაუბრუნდება სამშობლოს და ოჯახს! მანაველი".

მარტოობის დედაც!

„ახლა მოწყენილობით ვკვდები და გადავწყვიტე, მომეწერა. თუმცა, ვინ მომცა მე იმის ბედი, რომ „გზავნილებში" ჩემი მესიჯი გაიჩითოს. იმედია, ახლა გამიმართლებს. მარტოობის დედაც, ჯეკ! სატრფოც წავიდა, ახლა პლაჟზე გოგონებს აბამს. ასეთი ხასიათი აქვს, არც მალავს. მე კიდევ, „გზაში" სუდოკუებს ვავსებ. გაიხარეთ! ყველაზე მარტივსაც კი ნახევარ დღეს ვანდომებ. ასეა... გკოცნით. ანასტასია".

საწყალი კუსა

„დღეს ჩვენი კუსა (ასე ჰქვია ჩვენს ძაღლს, უი, უფრო სწორად, ერქვა) მანქანამ იმსხვერპლა და მისი დაკაწრული ჩემი ბიძაშვილი რაბიოლოგთან გავაქცუნეთ. საავადმყოფოდან დაბრუნებულმა, გაკვირვებულმა იკითხა — კუსას რომ მანქანა დაეჯახა და მე აცრა გამიკეთეთ, თენგოს ბაბუასაც ხომ მანქანა დაეჯახა და თენგო რატომ არ აცერითო? სქიბუ".

ლუდა და ხული

„დაახლოებით 3 წლის წინ, სამეგრელოში, ერთ-ერთ ოჯახს ნათესავები ჩამოუვიდნენ რუსეთიდან და თან 2 მომხიბვლელი დაქალი ჩამოიყვანეს. ოჯახის უფროსის ვაჟს, 25 წლის კაკოს ერთ-ერთი მათგანი, ლუდა მოეწონა და გადაწვყვიტა, მოეხიბლა. მშობლებს უთხრა: — აბა, დაფაცურდით და სანაქებო სუფრა გაშალეთ, მინდა, ლუდას ვასიამოვნოო. მართლაც, სულ ცოტა ხანში სუფრა აივსო ნაირ-ნაირი კერძით, სალათით, ხილითა და ნუგბარით. კაკო გვერდით ეჯდა ლუდას და ყველა კერძზე ინფორმაციას აწვდიდა. როცა სუფრაზე მხალი შემოიტანეს (მეგრულად ხული ჰქვია), კაკომ დიდი მოწიწებით შესთავაზა გოგოს: „კუშაი, ლუდა ხულ, ხაროშაია ბლუდა". აპოლონი".

გახურება

„დღეს მე და ჩემი დაიკო უთოს ვყიდულობდით. გამყიდველმა კაცმა უთო ჩართო, რომ შეემოწმებინა. — გახურდა-მეთქი? ვკითხე. — კი, გახურდაო. — ეგრე არა, მაგრად გაახურე-მეთქი. — ვა, რა გაახურე საქმე, გოგო, მაგრად თუ გავახურე, ხელში როგორ უნდა დაიჭიროო? გვიან შევნიშნე, ქალები როგორ ხითხითებდნენ ჩვენს „გახურებაზე". აბლახანუმი".

მოსაზრებული

„ერთი ბიჭია, ახალციხეში. ფრიად არაორდინარული და „იდეინი". ხანდახან კი ისეთ რამეებს აკეთებს... მაგალითად, ერთხელ ქალის სამოსში გამოეწყო, ქერა პარიკის შოვნა არ გასჭირვებია (თეატრიდან მოატანინა მსახიობ ძმაკაცს) და რომ შეღამდა, იქვე, თავისი კორპუსის წინ, „პანელზე" დადგა. ერთიც ვნახოთ და გაჩერდა მანქანა... მოკლედ, ეს ბიჭი ცოტა ხანში ძმაკაცის მამის გვერდით აღმოჩნდა. კაცს რომ ეგონა, ნაშა ავაგდეო და ხელი წაუღია კოლჰოტებიანი, გრძელი ფეხებისკენ, მაშინ უყვირია — მე ვარ, ბიძიაო და იქ ამბავი დატრიალებულა... კაცმა მანქანიდან გადააგდო, ისე გამწარდა. ამ მესიჯის წამკითხავი ყველა ახალციხელი მიხვდება, ვისზეა ლაპარაკი. ასე რომ, სახელით აღარ მოვიხსენიე. იმედია, არ გეწყინება... ახალციხევ, მომენატრე. დავბრუნდები და თავიდან შეგიყვარდებით! გაკოცეთ. ელისო".

მოტაცება

„ერთხელ ჩემთვის აღმაშენებელზე მივდიოდი და დავინახე, რომ უკნიდან ჯიპი მომყვებოდა. უეცრად ვიღაცამ უკნიდან მომკიდა ხელი და მანქანაში ჩამტენა. მე ვყვიროდი, რა გინდათ-მეთქი? სახეზე რომ შემომხედეს, მკითხეს — მარიამ ჩოლოყაშვილი ხარო? აუ, მგონი შეგვეშალაო, გადაულაპარაკეს ერთმანეთს. — ჰო, შეგეშალათ-მეთქი. სურათი დააძრეს, შემადარეს და თავში წაიშინეს ხელები. მანქანა გააჩერეს, ბოდიში მომიხადეს და სადაც მივდიოდი, იქ მიმიყვანეს. იმ დებილებს ჩემს დაქალში ავერიე".

უცნაური თამადა

„დღეს დაქალის დაბადების დღე იყო. ერთმა ბიჭმა თავი გაიგიჟა, თამადად დამნიშნეთო. ჩვენც, რა გზა გვქონდა? შეუდგა თამადობას. ცოტა ხანში მიცვალებულების სადღეგრძელო თქვა — ყველანი ნათელში და კარგად ამყოფოს ღმერთმა და ჩვენც, მათთან ერთადო. ასე დაგვლოცა ჩვენმა „ძალით" თამადამ. ნამცეცა".

ხუმარა

„ბოროტი საქციელი გამხიარულების მიზნით ჩამიდენია. მაგალითად, ჩემს მეგობარს კედებში კეჩუპი ჩავუსხი. მეორემ კი თეთრი კედი შეიძინა, მე ფეხი დავაბიჯე, მილოცვის ნიშნად. :) ეზოში ძაღლი „სვაბოდაზე" გავუშვი, მან კი ინკასატორს უკბინა. სახლში კატა მომიყვანეს, ყოველდე ვაბანავებდი და მერე ფენით ვაშრობდი. საცოდავი, ჩემს დანახვაზე დეპრესიაში ვარდებოდა. :) ახლა ასეთ რაღაცებს აღარ ვაკეთებ, თუმცა, სახელი მავნე დღემდე შემომრჩა. ჩუპი".

დის მაგივრად

„საზაფხულო თავგადასავალი მაშინ დაიწყო, როცა გიომ გადაწყვიტა, ლიკა მოეტაცებინა. ბევრი იწვალა, ძმაკაცები შეკრიბა და „მერსედესით" გაემართა. ისეთი სიბნელე იყო, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ასე რომ, გართულდა მისამართის მიგნება. თუმცა, ჩვენს ბიჭს რა დაიჭერდა და როგორც იქნა, სახლს მიაგნო. მალე გოგოც წამოჰყვა და... აღმოჩნდა, რომ ლიკას და ჩახტომია მანქანაში გიოს, რადგან ბიჭი გაგიჟებით უყვარდა. მერე კი მთელი ზაფხული გიო ლიკას სიმართლეს უმტკიცებდა. ანანო (ლიკას და) კი თავისას უბერავდა და გიოს უსინდისობას სწამებდა. ივლისში დაწყებული საქმე აგვისტოში ჰეფი ენდით დამთავრდა და ახლა ლიკას და გიოს ტყუპი ჰყავთ, ანანო კი ჯერ კიდევ გასათხოვარია. სესი".

„მთვრალი“ კურიოზი

„სიმთვრალე მრავალ კურიოზს შობს. ჰოდა, ჩემი მეზობლის მთვრალი სიძე სახლში რომ მივიდა, ოთახი შეეშალა და ცოლისდას შეუწვა. ნუ, ეჩალიჩება კაცი, ქალი უარზეა. მოჰბეზრდა სიძეს და რიხიანად შესძახა (თან ისე რიხიანად, მეზობლებმაც გაიგეს) — ასწიე ფეხი, ქალო, პირველია, თუ? ნუ, იქ პონტი აიწიაააა! თუმცა, ეს აღარაა სასაცილო. ჩუპი“.

ჯარის ძმაკაცები

„შარშან ზაფხულს ჩემს მეზობელ ბიჭს ჯარის ძმაკაცები ესტუმრნენ. მამა და ოჯახის სხვა წევრები კი გააცნო და რომ ჰკითხეს, დედა სად არისო, ამანაც უპასუხა, წასულიაო. დადგა მშობლების სადღეგრძელოს დრო და მამა რომ დაულოცეს სტუმრებმა, დედაშენის ხსოვნა-არდავიწყება იყოსო, გაგიუდით, რას ამბობთო? — შეშფოთდა ჯიშო. — ხომ თქვი, წასულიაო? — გაახსენეს ბიჭებმა. ბიჭო, ლილოშია წასული, ხვალ უნდა დაბრუნდესო. ელისო“.

„ვი გრუზინი?“

„არ ვიცი, რა თემაა, რადგან სოფელში ვარ, გურიაში, მეგობართან. აქედან ყოველდღე ზღვაზე დავდივართ, ხან სარფში, ხან ბათუმში, ხან ქობულეთში. ჰოდა, სადაც გაიხედავ, „ეს ინჩა“ ისმის. სომხების ტევა არ არის პლაჟზე, ბულვარში თუ რესტორნებსა და კაფეებში. სომეხი კაცები გრძელი ოქროს ჯაჭვებით ბანაობენ. :) ერთ რესტორანში, სადაც ჩვენ ვიყავით, იმდენი სომეხი იყო, თავი ერევანში მეგონა. ერთმა სომეხმა გოგონამ მკითხა — „ვი გრუზინი?“ რომ გაიგო, ქართველი ვიყავი, ცხვირი აიბზუა. ეკაბეკა“.

სროლა თუ იცით, შვილებო?

„საშინელი განწყობილება მაქვს მეც და მთელ საქართველოსაც. ისეთი უბედურება დაგვატყდა თავს, რომ არა მგონია, ვინმეს სახუმაროდ ეცალოს. ჩვენი რეზერვისტები ისე გაუყენეს ბრძოლის გზას, ერთი არავის უკითხავს, სროლა თუ იცით, შვილებოო? რეზერვისტებიო, რომ გაიძახიან, რამე ასწავლეს, ბავშვებს? უმეტესობამ იარაღის სროლა არ იცის. თვალცრემლიანი ბიჭები გამოყარეს სახლებიდან და აბა, გაგებედა და არ წასულიყავი. მაშინვე სამშობლოს მოღალატედ გამოგაცხადებდნენ. მაინცდამაინც უნდა გაგვწყვიტონ ალბათ, რომ ქართველების სახსენებელი აღარ იყოს. ამ მთავრობის ბინძურ პოლიტიკას ვეწირებით, ხალხო. ვერაფერს იტყვი, შესაშური საზაფხულო თავგადასავლები მოგვიწყვეს. რა სჯობს, ბატონო, გამთლიანებულ საქართველოს, მაგრამ თუ ჩვენი ხალხი ამოწყდა, რა ოხრობად გვინდა ეს დაბრუნებული ტერიტორიები? ახლა გურიაში, კერძოდ კი ლანჩხუთში ვარ. გუშინ ღამით ფოთი და სენაკი რომ დაბომბეს, ჩვენთანაც საშინელება იყო. ახლომახლო ტყეებში ჩამოყარეს ბომბები. ლამის მთელი ქალაქი დაინგრა. განა ხალხის უსაფრთხოებად ღირს რამე ტერიტორია? მუდამ შიშში ვართ, როდის მიიტანენ იერიშს მშვიდობიან მოსახლეობაზე, არავინ იცის. მთელი ღამე არ გვძინავს და დაძაბულები ვუსმენთ, როდის გადაიფრენენ და ჩამოყრიან ჭურვებს. მხოლოდ უფლის იმედი გვაქვს. ის არ გაწირავს ქართველ ხალხს, მაგრამ იმდენჯერ განვარისხეთ უფალი, რომ მხოლოდ ლოცვითა და სინანულით თუ შევძლებთ, ცოდვების გამოსყიდვას. ხალხო, დავდგეთ ერთად, ვილოცოთ ჩვენი ბედკრული საქართველოსთვის და იმ ვაჟკაცებისთვის, ახლა რომ იბრძვიან შიშველი ხელებით, მტრის წინააღმდეგ. არ ვიცი რა მოხდება მომავალში, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, ამ უბედურებაზე მეტი არ გვეწვევა. საკმარისზე მეტი ხალხი დაგვეღუპა, დაჭრილებით სავსეა საავადმყოფოები. მარი, უმორჩილესად გთხოვ, უყურადღებოდ არ დატოვო ჩემი მესიჯი. ახლა ძალიან გვიჭირს ყველას და ეს მცირედი თანადგომაა, რომ ერთმანეთს ხმა მივაწვდინოთ. მთავარია, სულიერად არ გავტყდეთ, ვილოცოთ ჩვენი მამებისთვის, შვილებისთვის, ძმებისთვის, მეგობრებისთვის. უფლისგან დალოცვილები ყოფილიყვნენ. იკუშკები“.

გულისტკივილი

„მარი, გამარჯობა. მე პირველად ვამესიჯებ. მინდა, ერთი ჩემი დიდი გულისტკივილი გაგანდო და შენთან ვიმეგობრო. ცხოვრებაში ბევრი მეგობრით ვერ დავიკვეხნი. ერთი მეგობარი მყავს და ისიც 3 თვის წინ გამითხოვდა. ჩემთან მეგობრობის სურვილი, არასოდეს არავის გამოუხატავს. საზოგადოება უარმყოფს ჩემი სიმსუქნის გამო. ყველა რატომღაც გამირბის. შემხვედრია მსუქნები, რომლებსაც ბევრი მეგობარი ჰყავთ. მე თითქოს გამონაკლისი ვარ. შეიძლება პრობლემა ჩემშიცაა, მაგრამ ფაქტია, რომ მეგობრები ძალიან მჭირდება. სურვილი მაქვს, მგზავნელებთან ვიმეგობრო. მადონა. მგზავნელებო, გთხოვთ, უარი არ მითხრათ. შეხვედრას და ჩემს ნაკლზე ლაპარაკს არ ვაპირებ. უბრალოდ, ვიმეგობროთ. სხვათა შორის, დიდი ფანი ვარ ბოლივუდის. ამიტომ, ნიკად ბოლივუდას ავირჩევ. ბოლივუდა“.

შხაპი

„ერთ სიცხიან ზაფხულს, ტრასაზე, მეზობლის სასადილოს წინ ვისხედით. გაჩერდა თეთრი „ნივა“ და ლუარსაბის პროტოტიპი გადმოვიდა. ხელში მოხარშული სიმინდი ეჭირა. მივიდა წყაროსთან, რომელიც მარტივად, დრეკადი პლასტმასის მილით იყო მოწყობილი, მოჰკიდა შლანგს ხელი, ტაროიანი ხელით კუბოკრული ბრიჯის სათავე წინ გამოსწია და წყლის ჭავლი ჭიპს ქვემოთ მიუშვა. აი, ასეთი უცნაური შხაპი მიიღო პირდაპირ ცენტრალურ მაგისტრალზე. ელისო“.

შეცდომა

„16 წლის ვარ. ერთი ბიჭი მიყვარდა და მასთან ინტიმური ურთიერთობაც მქონდა. ახლა აღარ მიყვარს და ვერ ვშორდები, რადგან მას სიგიჟემდე ვუყვარვარ. თან ვიცი, სხვაც რომ შემიყვარდეს, ის ადამიანი არ მაპატიებს იმას, რომ წინა შეყვარებულთან ვიწექი“.

„გზავნილების“ მომდევნო ნომრისთვის თემად ვაცხადებ — ომის შედეგი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com. „მოკლე ჩართვის“ თემა კი ასეთია — მომავლის პროგნოზი. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ●

უკანასკნელ სანებში მომხდარი ყველაზე აბსურდული სიახლეები

გაქცევა



ტიუმენის ერთ-ერთი საწარმოს დირექტორმა თავისი სიკვდილის ინსცენირება მოახდინა და სოფელში გაიქცა.

ეს ამბავი დიდი ხნის წინ დაიწყო. 2007 წლის ოქტომბერში მილიციაში მივიდა ქალი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ბოიფრენდი, 30 წლის ოლეგ მილევსკი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. გაირკვა, რომ 19 ოქტომბერს, ის ტიუმენის უნივერსიტეტის ეზოდან გავიდა (სადაც იურიდიული ფაკულტეტის ბოლო კურსზე სწავლობდა), რის შემდეგაც არავის უნახავს. 1-ელ ნოემბერს ქალაქიდან 6 კილომეტრის მოშორებით მილევსკის კუთვნილი ავტომობილი იპოვეს, რომელშიც სისხლის ლაქები აღმოაჩინეს. მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

2008 წლის ზაფხულში, სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს, რომ მილევსკი ცოცხალია და ომსკის რაიონში, ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს. დაკითხვის პროცესში „დაზარალებულმა" განაცხადა, რომ 18 ოქტომბერს მან ნაცნობს თაღლითურად გამოსძალა 500 ათასი მანეთი და ფული რომ არ დაებრუნებინა, საკუთარი სიკვდილი გაითამაშა. მანქანა ტყეში შეიყვანა, სისხლი ვენიდან შპრიცით გამოიღო და სალონში დაღვარა. სასამართლომ მას თაღლითობისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ქსელური ტრაგედია

15 ივლისს, ქალაქ სარაპულში (უდმურტეთი) 14 წლის მოზარდმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მიზეზი ის გახლდათ, რომ დედამ ინტერნეტის ჩართვაზე უარი განუცხადა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ვიდრე დედა 15 წუთით საბაზანოში იმყოფებოდა, მოზარდმა თავი თავისი ოთახის ზღურბლზე ჩამოიხრჩო. „ბავშვი დედის ყურადღებით განებივრებული იყო და მოითხოვდა, რომ ყველა მისი კაპრიზი აესრულებინა. უარის შემთხვევაში, ბიჭუნა ჭერზე თოკს კიდებდა და დედას თავის ჩამოხრჩობით ემუქრებოდა.

როდესაც მოზარდს ინტერნეტის სურვილი გაუჩნდა, ის ისევ ძველებურად, დედას დაემუქრა, რომ თავს მოიკლავდა. დედამ აუხსნა, რომ ტელეფონის დადგმა და ინტერნეტის ჩართვა ობიექტური მიზეზების გამო არ შეეძლო და ურჩია, ეს საკითხი მამასთან განეხილა (ის ცალკე ცხოვრობდა). დედამ ბავშვის მუქარა სერიოზულად არ აღიქვა და მიიჩნია, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა. მეორე დღეს ბიჭუნამ თავი ჩამოიხრჩო. დენისმა თავის ყულფში გაყოფამდე კისერზე მაისური შემოიხვია. როგორც ჩანს, ამით ტკივილის შემცირება სურდა და ფიქრობდა, რომ დედა მის გადარჩენას შეძლებდა.

თუთიყუში

აგვისტოს დასაწყისში, ნოვგოროდის პოლიციელებმა ადგილობრივი მცხოვრები დააკავეს, რომელმაც პნევმატური იარაღით 2 თუთიყუში „დახვრიტა".

მამაკაცს ცოლისთვის უთხოვია, რომ მაღაზიიდან ლუდი მოეტანა, რაზეც უარი მიიღო. ქმარი აღშფოთდა ცოლის საქციელით და გადაწყვიტა, ცოლის საყვარელი თუთიყუშები დაეხოცა, რაც უმალვე განახორციელა კიდეც. თუთიყუშები დაიხოცნენ და სამზარეულოს ავეჯიც დაზიანდა. ბოროტმოქმედი დააკავეს და ახლა სასამართლოს გადაწყვეტილებას ელის.

ძალიან მშიერი გამტაცებელი

5 აგვისტოს, ტიუმენელმა ბოროტმოქმედმა ავტომობილი ტრაგიკომიკურად გაიტაცა. ადრე ნასამართლებმა, 20 წლის

ყოფილიყო ვერ შეცვლის ადამიანს მანამ, ვიდრე ოჯახის ხელმძღვანელი სიცოცხლის და შეცდომის მეზობელი ყოფილიყოს გადაშენებულებს ან ისწავლის.

მექანიკოსმა ფირმის გარაჟიდან ავტომობილის მოპარვა გადაწყვიტა (თავად იქ მუშაობდა). ჯერ „ნისანი“ მოიპარა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მასში საწვავის საჭირო რაოდენობა არ იყო. მექანიკოსი უკან დაბრუნდა და „ტოიოტა“ მოიპარა. ერთ-ერთ სოფელში შემოაღამდა და ბოროტმოქმედმა მანქანაში გამოიძინა, დილით კი მისი დაქოქვა ვერ მოახერხა. სოფლის მცხოვრებნი არ დაეხმარნენ და მშიერმა და დაღლილმა მექანიკოსმა მილიცია თავად გამოიძახა. დაკითხვისას კი განაცხადა, რომ ავტომობილი უბრალო ინტერესის გამო გაიტაცა — მას ძვირად ღირებული ავტომობილით თავის მოწონება სურდა.

საშიში ბავშვური თამაშები

4 აგვისტოს, მოსკოვში, 5 წლის გოგონას მეგობარმა გამოყენებული შპრიცით რამდენჯერმე უჩხვლიტა. ბავშვს შიდსი განუვითარდა. 7 წლის გოგონამ მეგობარს 11-ჯერ უჩხვლიტა და ნაპოვნ შპრიცში დარჩენილი სითხე და ჰაერი წინამხრის კანქვეშ შეუყვანა. მეორე დღეს, დაზარალებული გოგონა დედამ გამოკვლევის ჩასატარებლად წაიყვანა. ბავშვს ანტირეტროვირუსული პრეპარატები დაუნიშნეს. აღმოჩნდა, რომ შპრიცი შიდსიანმა ნარკომანმა გადააგდო. მსგავსი შემთხვევა, როდესაც შიდსით გადაგდებული შპრიცით ავადდებიან, ხშირია. მაგალითად, ერთ-ერთმა მოზარდმა გადაგდებულ, შიდსით დაინფიცირებულ შპრიცს ფეხი დაადგა და ნემსი თითში შეერჭო. ტაქსის მძღოლმა კი ავტომობილის ფარების თოვლით გაწმენდა გადაწყვიტა და თოვლში ჩაგდებული შპრიცის მსხვერპლი გახდა.

უარი თქვი საჯაროობაზე

28 ივლისს კრასნოდარის მხარეში მცხოვრებმა ქალბატონმა მილიციას შეატყობინა, რომ მატარებელი, რომლითაც მისი ქმარი მგზავრობდა, დანაღმული იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. როგორც ტრანსპორტის პროკურატურის თანამშრომლები აღნიშნავენ, ქალს ქმართან უსიამოვნება მოუვიდა მისი სოჭში გამგზავრების გამო და გადაწყვიტა, ქმრისთვის შვებულება ნებისმიერი ხერხით ჩაეშალა. მან მობილური ტელეფონით რკინიგზის დეპარტამენტში დარეკა და განაცხადა, რომ მატარებელი დანაღმული იყო. შედეგად — მატარებელი გააჩერეს და გამნაღმველები გამოიძახეს. როდესაც გაირკვა, რომ ცრუგანგაში იყო, ინფორმატორის ვინაობა დაადგინეს და მოზრდილი ჯარიმა დააკისრეს.

ილბლიანი მოხუცის ამბავი

24 ივლისს 80 წლის მოხუცი „კამაზის“ ბორბლებქვეშ ჩავარდა და ტრავმის გარეშე გადარჩა. ინციდენტი დედაქალაქის ცენტრში, გზაჯარედინზე მოხდა. ბაბუა გზის სავალ ნაწილზე სწრაფი ნაბიჯით გადადიოდა. ამ დროს საიდანღაც „კამაზი“ გამოვარდა. მძღოლმა დამუხრუჭება ვერ მოასწრო და მოხუცს დაეჯახა. მან კონცენტრირება მოასწრო და მანქანის ბორბლებშუა დაწვა. ამ დროს გზაზე მეორე „კამაზი“ მოდიოდა, რომლის მძღოლმაც ასფალტზე მწოლიარე მოხუცი შენიშნა და გვერდი აუქცია, თვითონ კი განათების ბოძს შეეჯახა. მძღოლი არ დაზარალებულა, ავტომობილი კი საკმაოდ დაზიანდა. რაც შეეხება „დამნაშავე“ ბაბუს, ის საავადმყოფოში გადაიყვანეს და რამდენიმე წუთის შემდეგ უკან გამოუშვეს.



თუ გაჩერდი შეგრი ვერ ითხოვ, მაგ, შენი ვერ ჯერ ყოდვ მიცურავ.

აზრი იმის შესახებ, რომ მამაკაცები სახეობებად, ტიპებად და კლასებად დაყოს, ადრე თუ გვიან, ყველა ქალს უჩნდება. ისმის კითხვა — რატომ? ალბათ იმიტომ, რომ დაგროვილი ცოდნის მობილიზება, სისტემაში მოყვანა და სამყაროსთან ურთიერთობის გამარტივება მოხდეს. მოცემულ შემთხვევაში — მამაკაცების სამყაროსთან. უნდა ითქვას, რომ ასეთი კლასიფიკაცია მამაკაცებისთვის არცთუ სასიამოვნოა, მაგრამ ჩვენთვის, ქალებისთვისაც არ არის იოლი, საყვარელი არსებების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კლასიფიკაცია სასარგებლო, საინტერესო და სახალისოა. იდეა თავისთავად ცოტა უხერხულობას შეიცავს, რის გამოც, მამაკაცებს წინასწარ ბოდიშს ვუხდი.

არანორმალური მამაკაცი

მას შეუძლია, არაორდინარული და სპონტანური საქციელი ჩაიდინოს. ჩვეულებრივი ქალის რეაქცია მსგავსი ამბის მოსმენისას ასეთია: „რა საშინელებაა!“; „გიჟია, ვიღაცაა!“ თუმცა, ბევრ ქალს მიაჩნია, რომ სწორედ მამაკაცის ასეთი ქმედებაა ვაჟკაცობის გამოვლინება. მაგალითად, არანორმალურ მამაკაცს შეუძლია თავი გადაიპარსოს, თუ საყვარელი ქალი ეტყვის, რომ მისი ახალი ვარცხნილობა არ მოსწონს. თუ მამაკაცის ამ ტიპს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ის ძალზე მგრძნობიარე და ემოციურია. ისინი არ ურთიერთობენ ისეთ ქალებთან, ვისაც მისი საქციელის გაგება უჭირს. მათ ისეთი ქალები მოსწონთ, ვინც გაუგებს და მასავით მოიქცევა.

რაიმეთი გატაცებული მამაკაცები

თითოეულ მამაკაცს უამრავი გატაცება აქვს — ავტომობილები, ელექტროტექნიკა, აზარტული თამაშები, პოლიტიკა, მუსიკა, ფსიქოლოგიური ტესტები, სურათები, ლამაზი ფეხები და მკერდი... გატაცებული — ის ადამიანი გახლავთ, რომელიც დროის 95%-ს თავის გატაცებაზე ფიქრობს.

მამაკაცების კლასიფიკაცია

ასეთი მამაკაცები სწორედ იმით არიან დაკავებული, რითაც — გატაცებული. ამ შემთხვევაში იგულისხმებიან არა მუსიკის ფანები, არამედ — მუსიკოსები; არა ფეხბურთის ფანები, არამედ — ფეხბურთელები. ასეთი ტიპის მამაკაცები ზრუნვასა და გაგებას მოითხოვენ. თუ არ გესმის, რატომ ზის საათობით კომპიუტერთან, როცა ამას არავითარი სარგებელი არ მოაქვს, ასეთი მამაკაცი არ გამოგადგება. რაიმეთი გატაცებული მამაკაცები ძალიან მგრძნობიარენი არიან.

პასუხისმგებლობის მქონე მამაკაცი

ასეთ მამაკაცს შუა ლხინის დროს შეუძლია თქვას: „მორჩა, მე შინ მივდივარ, ცოლი მელოდება და პურიც საყიდელი მაქვს". ამას რამდენჯერმე კი არ გაიმეორებს, ერთხელ იტყვის, ადგება და წავა. თუმცა, პასუხისმგებლობის პათოლოგიური გრძნობა ხშირად სრულ უპასუხისმგებლობაში გადაიზრდება ხოლმე, რადგან თავისი ბუნების გამო ასეთი მამაკაცი ყველას ყველაფერს ჰპირდება და ვერაფერს აკეთებს. თუ შენს საყვარელ მამაკაცს პასუხისმგებლობის გრძნობა ზომიერად აქვს განვითარებული, მაშინ გაგიმართლა, მაგრამ თუ გადაჭარბებულად ახასიათებს, მაშინ ამასთან შეგუება მოგიწევს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა აიძულო, რამეს შეგპირდეს.



დიდი ბავშვი

ეს მამაკაცის ყველაზე გავრცელებული ტიპია. ბავშვურობა თითქმის ყველა მამაკაცისთვის დამახასიათებელი თვისებაა, რომელსაც მხოლოდ ძალზე ახლო ურთიერთობის შემთხვევაში ავლენენ ხოლმე. არ ღირს იმის დავიწყება, რომ ბავშვებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან და ზოგიერთი მათგანი ძალზე პრეტენზიულია. ზოგიერთს — იოლად სწყინს, ზოგიერთი ძალზე უშუალოა და მოძრავი თამაშები უყვარს, მას შეუძლია, მაგიდის ქვეშ შეძვრეს, იატაკზე დაგებული ნოხი აბურდოს და ტუმბო გადააყირავოს. რას იზამ, აქ ყველაფერი გაცილებით მარტივადაა: ასეთი მამაკაცები მოთმინებით სავსე, „დედა-ქალებს" მოსწონთ, რომლებსაც ცელქი, ჭკვიანი და რაღა თქმა უნდა, „დიდი" ბავშვები უყვართ.

გალანტური მამაკაცი

ასეთი მამაკაცი არც ერთ „ქვედაბოლოს" არ გაატარებს. „რა საინტერესოდ მიარხევს თეძოებს"; „აუ, რა მკერდი აქვს?!" ფიქრობს ის რა და ტუჩებს ილოკავს. სხვა გზა არ გაქვს, შენც ისეთივე აზარტით უნდა შეხედო ქალებს, როგორითაც შენი საყვარელი, გალანტური მამაკაცი უყურებს. ეს არც ისე რთულია, რადგან ჩვენი ქალაქის ქუჩებში არც ისე ცოტა მშვენიერი ქალი დადის. გარდა ამისა, თუ გამვლელ ქალს მამაკაცის თვალით შეხედავ, შესაძლოა, ბევრი სასარგებლო რამ აღმოაჩინო: მოდის ტენდენცია, ვარცხნილობა, მაკიაჟი — ყველაფერი ის, რაც მას მოსწონს.

თავისუფალი მამაკაცი

ასეთი მამაკაცი საყვარელ ქალს განცდების შესახებ არასოდეს უყვება და საქმის კურსში არ აყენებს. არაფერს ამბობს იმ პრობლემების შესახებ, რომელიც სამსახურში, მეგობრებთან ან მშობლებთან აქვს. საღამოობით არ ჰყვება, რა მოხდა გასულ დღეს ან რას გეგმავს ხვალისთვის. საამისოდ შესაძლოა, 2 მიზეზი არსებობდეს: ან ამის ღირსად არ მიგიჩნევს, ან უბრალოდ, არ სურს, ვინმე გულთან ახლოს მიუშვას. თუ 2-კვირიანი, ინტენსიური ურთიერთობის შემდეგ სიტუაცია არ შეიცვლება, შენ თვითონ მიიღებ მისი მიტოვების გადაწყვეტილებას.

საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული მამაკაცი

ასეთი ტიპის მამაკაცი ძირითადად, საკუთარი თავითაა დაკავებული: „როგორ გამოვიყურები?" „დღეს ვერ გამოვიძინე", „არ მინდა, გადავიღალო"... ასეთი მამაკაცები ქალს ხშირად ეუბნებიან, რომ გაუმართლა: „იცი, ჩემ გამო რამდენი ქალი იკლავდა თავს?" მათ დიდი ამბიცია აქვთ და ეს ხშირად წარმატების მიღწევაში ეხმარება. წარმატებული მამაკაცის გვერდით ყოფნა კი ყველა ქალს მოსწონს. ამიტომ, თუ გზაზე ასეთი მამაკაცი გადაგეყარა, წინასწარ იცოდე, რომ ბევრი რამის ატანა მოგიწევს. სამაგიეროდ, საყვარელი მამაკაცის წარმატების სიკეთესაც შეიგრძნობ.

საერთოდ, ყველა ქალს რაღაცის მოთმენა უწევს და მას სწორედ ამიტომ უყვარს ძლიერი სქესის წარმომადგენლები, თავისი ინდივიდუალური, უარყოფითი თვისებებით. მამაკაცური სამყარო თავისი შინაარსითა და მრავალფეროვნებით ძალზე შთამბეჭდავია. ქალებს კი შევახსენებ, რომ თითოეული ჩვენგანი იდეალურობისგან შორს დგას.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



• დადუ, შენი გმირული ბუნება დამიმტკიცე! ნამდვილი ვაუკაცი ხარ! ღმერთი გფარავდეს, დადუ, ყველგან და ყოველთვის. მპუა, ყველა ქართველ ვაუკაცს. ღმერთი გფარავდეთ. უკარება.

• ეეჰ მარი, საზაფხულო თავგადასავალი კი არა, აგერ, გაჩაღდა ომი ცხინვალში! ნეტავ იცოდეთ, არც ერთ საინფორმაციოს არ ვტოვებ, იქ ხომ ჩემი კახუჩელა იბრძვის. ვამაყობ მისით!

• მარი, ალბათ ამ კვირაში სულ პოლიტიკურ მესიჯებს მიიღებ. არადა, რა თემა ჩაგივარდა?! :(თუ დაბეჭდავ, გამიხარდება. თეთრი ვარდი, თელავიდან.

• ეჰ, ჩემთან თბილისელი სტუმრები არიან ჩამოსული, მაგრამ რა დასვენება? დილიდან-დაღამებამდე ვერტყვიჭალაში, ტრასაზე ვდგავართ და ჯარს, რომელიც ცხინვალში მიდის, ვამხნევებთ მთელი უბანი. მაგარი დაძაბულები ვართ, მაგრამ „გზა“ მაინც არ დამავიწყდა. ყველა ღმერთს ებარებოდეთ, ჩემი მეუღლის თამადობით, ვინც იბრძვით. ელისო.

• საღამო მშვიდობისა, მარიამულ. კამელიას უნდა, გაგაგებინოს, რომ ახლა ძალიან ცუდადაა. „გზაში“ გასაგზავნი ყველა მესიჯი წავშალე. ჩემი საყვარელი ადამიანები იბრძვიან ცხინვალში და სიკვდილს უმზერენ თვალებში. გავგიჟდები, მათ რამე რომ შეემთხვათ. ზოგიერთის არაფერი ისმის და კიდევ უფრო მტკივნეულია. საშინელება ხდება. მაპატიე, თუ არ დავამესიჯე. ყველანი მიყვარხართ, მაგრამ ჩემი დაღუპულ-დაჭრილი ქართველი ბიჭები მტკივა. მაპატიე და გკოცნი, შენი კამელია.

• ძალიან გთხოვთ, იქნებ რაიმეთი დამეხმაროთ, ჩემი მეუღლე სენაკში მსახურობს და არ ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარი. მიშველეთ!

• მარი, რა მაგარი ხარ, რატომ მბლოკავ, მაგარი გგონია შენი თავი? რა იყო, გრუზინკამ როგორ შეგაყვარა თავი? იცი, რომ „გზა“ უკვე მაკულატურადაც აღარ ვარგა? ნაგავი გახდა შენი და შენნაირი ხალხით. ათენი-23.

• მარი, როგორ ხარ? ძალიან შეშფოთებული ვარ, ცხინვალში დაწყებული ომის გამო. ვაი, იმათ დედებს და იმ ჯარისკაცებს, ვინც იქ იბრძვიან. ყველაზე მეტად, იქ, სამაჩაბლოში მცხოვრები ქართველები და ოსები არიან, საბრალონი. ასეთი წინადადება მაქვს: საქართველოში მცხოვრებმა ყველა ქალმა და დედამ, განურჩევლად ეროვნებისა, ცოცხალი ჯაჭვი შემოვავლოთ თბილისიდან სამაჩაბლოს საზღვრამდე. დავანახვოთ მთელ მსოფლიოს ჩვენი განწყობილება. ღმერთი იყოს საქართველოს მფარველი. ნინო ბურკაძე, თელავის რაიონი, სოფელი რუისპირი.

• ამას წინათ, სოფელში ვიყავი და ჟურნალი რომ ვერ ვიყიდე, კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. ხუთშაბათი „გზის“ გარეშე, ჩემთვის კატასტროფაა. დედაჩემი გიჟს მეძახის, ფურცლები რამ შეგაყვარაო? — ფურცლები კი არა, მე თქვენ მიყვარხართ უსაზღვროდ. მართალია, არც ერთ მგზავნელს არ ვიცნობ, მაგრამ მათ მესიჯებში იმდენი სითბო იგრძნობა, რომ ჩემდა უნებურად შემიყვარდით. მოუთმენლად ველოდები ყოველ ხუთშაბათს, რომ ჟურნალი ვიყიდო და მასში რაიმე ახალი და საინტერესო წავიკითხო. თინკი.

• ამ ჟურნალში არაფერი მაოცებს, შუღამეს თუ მზის სხივი მაკოცებს, აქ ხომ თურმე ლიმონაა უკაცოდ და არ იცის, სად როგორა „იბაზროს“. აქ არ ხარობს თავმდაბლობის ნარგავი, ამ ჟურნალში შეიტანეს ნაგავი. მესიჯები აღარ არის ფერადი, აქ ნიკები გახდა მრავალჯერადი, აქ სიმართლეს ჩაგითვლიან ბოდვაში, აქ ხომ ახლა სიყალბეა მოდაში, აქ გესევა ბოღმის მთელი არმია, აქ ტყუილი უმთავრესი შარმია, აქ უნიჭო „გზავნილები“ — ჰიტია, აქ მართალნი სულ ფეხებზე ჰკიდიათ. აქ პოეტებს გაურბიან მუზები, აქ გესვრიან, თუ არ ჩაიკუზები... ჯაფარიძე მარის არაფერი სჭირდა თქვენი დასაცავი. ეს თქვენ გამოიყენეთ მარი, პიარის გასაკეთებლად. ჰოდა, ღმერთმა შეგარგოთ, ასეთი პიარი. ლიმონა.

• უი, ქართველები რომ დაკარგულ სულიკოს ეძებდნენ, ხომ იცით? მე ვიპოვე! ათენში ჩამოსულა და ბერძენ ბებიას უვლის. გაკოცეთ ყველას. უკარება.

• ვიღაც ბიჭი მაწუხებდა და რომ ვერ მოვიშორე, ვუთხარი, „ლოვე“ მყავს-მეთქი. ნომერი მომეციო. ჰოდა, მივეცი... ოღონდ, მამაჩემის. უჰ, რა მოხდებაააა! სახელს ვამართლებ, რა... ეშმაკუნა.

• გუ-ათენს ვეხმიანები. მეც ათენში ვცხოვრობ და ძალიან მინდა, გაგიცნო და დავმეგობრდეთ. თუ რაიმე საპრეტენზიო არ გაქვს, შენს პასუხს დაველოდები.

• მარი, სიხარულო, თბილი მოკითხვა და სიყვარული, ათენიდან. მაგრად მიყვარხარ.

• აუ, ათენი23-ო, შენ გაიხარე, გაიზარდე, იდღეგრძელე, იბედნიერე და შენ მოგეცა ჩემი ცოდვა... ამ მუსიკებს მთელი სიამოვნებით ვუსმენ, მაგრამ ღამე აღარ მეძინება. ვაი! უკარება.

• ეგოისტკა, რას ამბობ? მართლა ეგოსტკა ხარ, რა! ერ-

თობი, ხალხის ლანძღვით? რას ხედავ ამაში გასართობს? ჩხუბს შენ საინტერესოს ეძახი? ბრავო! ათენი23.

• დადგა სიყვარულის დრო, ომი დაიწყო, ნამდვილი ომი, ხალხო! ახლა არ გვაქვს უფლება, ერთმანეთი არ გვიყვარდეს, ქართველებო! თქვენ შემოგევლეთ, სულყველას. ახლა ისე მტკივა გული, თქვენგან შორს რომ ვარ და უცხო ქვეყნიდან ვადევნებ თვალს მოვლენებს... გამხნევდით!!! ღმერთი თქვენკენ! მარ-ათენი.

• ძალიან მეშინია ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის. უამრავი ჩემი ნაცნობია წასული და... ძაან ვნერვიულობ... მამაჩემიც მიდის... :(

• აცხოვნე უფალო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევა ჯვარითა ბარბაროსთა ზედა, ღვთივ დაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ — უფალო, დიდება შენდა, ამინ!

• იცი, უკვე ათამდე მგზავნელი დამიკავშირდა. ყველა ნერვიულობს. ნონ სტოპი, გიო93 და აფხაზეთის პრინცესა ხომ სენაკში ცხოვრობენ... წეღან ლიმონამ დამირეკა, სამეგრელოში ვარ და ახლა აქ ბომბი ისროლესო... აბეზარა.

• მარი, თემა მაგარი შეარჩიე, მაგრამ ვინ დაგაცადა დასვენება? ჯერ იყო და, ამინდმა ზღვაში არ ჩამიშვა, გამოიდარა და ისე დავიხრუკე, მოხარშული კიბორჩხალა მიმიქარავს. ახლა რუსის რუსომ ბომინდომა საქართველოში გულაობა! ჩვენი ბიჭები არიან ცოდვა, თორემ რა ენაღვლება კოკოითს, პუტინს, საკოს და ბუშს? ისინი საბოლოოდ შეთანხმდებიან და ჩვენ, უბრალო ხალხმა და ჯარმა ვიკითხოთ. ღმერთო, შენ გვიშველე და შეგვეწიე. ეს მაინც დამიბეჭდე, რა, 4 კაცი მყავს ომში. სუხუმსკი.

• მარი, როგორ ხარ? ომმა ხომ არ დაგაზარალა? ძალიან მიყვარხარ და არ მინდა, რამე დაგიშავდეს. ღმერთი გფარავდეს. კახელი სალომე.

• როგორ ხართ? მარი, ნუ მიბლოკავ, რა, მესიჯებს, მიმაწვდენინე ხმა ხონელებისთვის! ხონელი ვარ „კარენიო“, ჩემო კარგებო. ხონსკის მადლობა, მოკითხვისთვის! გუ-ათენი.

• ჩემო საყვარელო ქართველებო, თქვენი ჭირიმე, გამგრდით! საქართველოს ვერავინ წაგვართმევს. ადგილს ვერ ვპოულობ ამ უცხო მიწაზე, როცა ვხედავ ტელევიზიით, თუ როგორ უჭირს ჩვენს საქართველოს. მართალია, ქალი ვარ და ორი შვილი დატოვებული მყავს მანდ, მაგრამ ერთი წუთითაც არ დავიხევ უკან, ჩემს ქვეყანას თუ დავჭირდები. ფეხით რომ დამჭირდეს ჩამოსვლა, მაინც ჩამოვალ. ხალხო, გამაგრდით! უფალი გფარავდეთ, ბიჭებო, არ დაყაროთ ფარ-ხმალი. საქართველო ყოველთვის გამარჯვებული იყო და ახლაც გავიმარჯვებთ! ათენი27.

• ჩვენს პრეზიდენტს მართლაც რომ სჭირდება დასვენება. საწყალს, წუხელ ტელევიზიით ვუყურე და ისეთი შეშლილი სახე ჰქონდა, გული დამეწვა. იმ სიტყვებმა, რაც საქართველოს მოსახლეობის მიმართ წარმოთქვა, მთლად გადამრია და მთელი ღამე ტირილში გავათენე. საქართველოს ყოფნა-არყოფნის დღეა. ქართველებო, ნუ შეშინდებით, ღმერთი თქვენთანაა. ბატონ მიშას კი მინდა ვუსურვო გამძლეობა. აბა, თქვენ იცით, ხალხს თქვენი იმედი აქვს. ღმერთო, დაიფარე საქართველო!

• საქართველოში ომი დაიწყოო და, ლამის გულმა ფეთქვა შეწყვიტა. ღვთისმშობელს ვავედრებ ყველა ვაჟკაცს, ყველა ქართველს, საქართველოს ყოველ მტკაველ მიწას.

• მარი, დიდი მადლობა, ეგრე ზღვა მესიჯს ნუ მიბეჭდავ, რა... რას გეტყვი, იცი? ყელში ამოვიდა შენთან ხვეწნა, მუდარა, ალერსი. გინება დარჩა და მაგასაც არ დაგაკლებ. უკარება.

• მარი, დიდი მადლობა, მესიჯი რომ დამიბეჭდე. გაიხარე ქვეყანაზე. ქართველებო, უფალი გფარავდეთ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე. ლილე.

• წინა ნომერში ვიღაც სესის მესიჯი წავიკითხე და თუ გორი არ მოეწონა, მჯდარიყო სახლში. ქეთათო.

• ბოხო, შემთხვევით ზუგდიდიდან ხომ არ ხარ და თბილისში სწავლობ? ბოდიში, მაგრამ ერთ ბოხოს ვიცნობ და მაინტერესებს, სად გაქრა. ლილე.

• გრუზინკა, მართლა კარგი ადამიანი ჩანხარ და გული დამწყდა, რომ მიდიხარ. დარწმუნებული ვარ, მარტო მე არ ვფიქრობ ასე. იმედია, პირად პრობლემებს მალე მოაგვარებ და დაგვიბრუნდები. სო-ნი.

• ომი დაიწყო... :(მეშინია... :(რუსებს გული არ აქვთ? მშვიდობიან მოსახლეობას მაინც შეეშვან! რამდენი ქართველი დავკარგეთ... :(scorpion girl.

• პრივეტ, ხალხო, როგორ ხართ? ძაან მომენატრეთ. რა არის ახალი? შავტუხა.

• როგორ მოგვენატრე, ნეტავ ეს იცოდე, ეს რომ გაიგო, ალბათ შეგვიცოდებ, ჩვენ კი შეცოდება არაფრად გვჭირდება, უბრალოდ, უშენოდ გაგვიჭირდება. კახა, დაგვიბრუნდი.

• SOS! მარი, არ დამბლოკო! „გზა“ №32-ში, მე-19 ნომერი მამაკაცი, გიო თუ დათო არც ქვრივია, არც მუშაობს და დეპოზიტზე ნადირობს. ფრთხილად, ქალებო!

• გამარჯობა, ხალხო, მე ახალი ვარ. იმედია, მიმიღებთ. ისე, რა გჭირთ? რა კანალიზაციის ვირთხებს დაემსგავსეთ? რა უბედურებაა, ბარემ დაჭამეთ ერთმანეთი და ეგაა.

• საერთოდ, ვცდილობ, ცხოვრებაში გული არავის ვატკინო და მით უმეტეს — უმიზეზოდ. ვცდილობდი, შენი საქციელისთვის გამართლება მომეძებნა ისე, რომ საკუთარი თავი არ მომეთტყუებინა. მოკლედ, შეიძლება მართალიც იყო. თუ ასეა, რა გაპატიო, რაც არ ჩაგიდენია? დამიმესიჯე და შევრიგდეთ. ნეკი ნეკისა, შერიგებისა, ვინც არ შერიგდეს, დედა მოუკვდეს! წესით, ეს სიტყვები შენთვის ბევრს უნდა ნიშნავდეს. დანარჩენი კი შენზეა. დათო. P.S. ეგრე არ დარჩე, გოგონი!

• მიგრაციაც ასეთი უნდაა... თუ კაი საქმეზე მიდიხართ, მეც წამიყვანეთ! ტრიფონა კი არა და... დათო.

• თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა, დარდს ნუ მოიხვევთ თოვლის გუნდებად, რა ვუყოთ, ომში ვინ არ წასულა, მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება?

• ყველა სიკეთე, რაც არსებობს ამ ქვეყანაზე, ეკუთვნის მას, ვინც სიკეთეს, სიკეთეს, სიკეთეს თესავს... ღმერთმა კარგად გამყოფოთ, მგზავნელებო.

• ვესალმები ყველას. კინტინასთან ერთად მოვიკითხავ მთელ სამტრედიას. იყავი, კინტინ, მაგრად და ჩვენი სასტავი გაამაგრე. კ.ს.ე.თ-dolls.

• ხონსკი, შენი სახელი და გვარი მომწერე რა, იქნებ გიცნობ? პატარა მავნევ, სად დაიკარგე, სიხარულო? დაგვიბრუნდი, რა... გკოცნით, თქვენი პრინცესა.

• რატომ ცდილობს ადამიანი უმიზეზოდ ჩემს დაჩაგვრას და გულის ტკენას? ღმერთი მაღალია და ის სამაგიეროს გადაგიხდის, უცნობო. მე კი ამ დღეს დაველოდები, მოთმინებით. გრუზინკა.

• როგორ ხართ? რამდენი ხანია, ჩემი მესიჯები გზაში იკარგება. ნეტავ, სად ქრება? იკუშკები, გურული ხარ, ძამა? მეც. გრუზინკა, გაკოცეო! გკოცნით! crazy girl.

• უნდა გითხრათ, რა გადავიტანე... ორი თვეა, ქობულეთში ვირუჯები. ამ ხუთშაბათს „გზა“ აჭარაში არ შემოსულა. მარი, შენც დაგკარგე და გზაც, თბილისისკენ. ეს წუთია, გრაკალის ხიდის აფეთქება შევიტყვე. უფლისკენ, ქალაქისკენ და შენს „მოკლე ჩართვაში“ დაბრუნებას ვნატრობ და როცა დავბრუნდები, ხმამაღლა ვიყვირებ: გამარჯვებულებო, გაააა... მოოო...დიიით! კლიკი.

• „გზა“ №32-ში გავაზის სასაფლაოს შესახებ გამოქვეყნებული გზავნილი სიმართლეს არ შეესაბამება და გთხოვ, მისი ავტორის ნომერი მითხარი. გავაზელი.

• მარ, შენ ვერ წარმოიდგენ, ისეთი საშინელი ნევროზი მაქვს, ამ რუსების ხელში. გაგონილა, კაცო, წყალტუბოში ჟურნალ-გაზეთების 2 ჯიხური, 1 ყოფილი წიგნების მაღაზია და 1 სურსათის მაღაზიაა. აქედან 3 — ბაზრის ტერიტორიაზეა, 1 ლენინის ქუჩაზე. უი, 1 ტერნალშია და წარმოგიდგენია, „გზა“ არსად აქვთ. არაა, ბატონო გზა, რუსებმა დაკეტეს და რომ გახსნიან, მაშინ იქნება „გზაო“. ეს იყო ხუთშაბათს. პარასკევს ყველა მაღაზია დაიხურა, — რაღა გავყიდოთო? ჩვენ რა ვიკითხოთ? „გზის“ ძველი ნომრები? სუხუმსკი.

• გამარჯობა, მარი. იმედია, კარგად ხარ და „გზა“, რომელიც ამ კვირაში ჩვენამდე ვერ მოვიდა, კიდევ დიდხანს იარსებებს და გაგვახარებს. მინდა, ამ ჟურნალის მეშვეობით ყველა იმ ადამიანს, ყველა ოჯახს სამძიმარი ვუთხრა და მათი მწუხარება გავიზიარო, ვინც ახლობელი დაკარგა. დაე, მუდამ იყოს ზეცა, დაე, მუდამ იყოს მიწა, დაე, მუდამ იყოს დედა, დაე, მუდამ იყოს საქართველო და ქართველები! ჩვენს ერთობას, ჩვენს საქართველოს გაუმარ-ჯოს! გაუმარ-ჯოს! აბლახანუმი.

• მგონი მარტო მე ვარ, ვინც გწერს, რომ ეს ომი არანაირად არ შეეხო, მაგრამ ხომ არ გგონია, მიხარია? დღეს ლუნამ მითხრა, ვშიმშილობთო და გამოდებილებული ვარ, იმის მერე... მაინც რით დავეხმარო? მილიონჯერ მივწერ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ძალიან მიყვარს (თავიდან არ მიყვარდა, მაგრამ მერე შემიყვარდა, შენსავით), მაგრამ ეს კუჭს არ აძღობს და... აუ, მარ, ზუსტად მაშინ მიგვატოვე, როცა შენი გამხნევება ყველაზე მეტად გვჭირდებოდა. ნუ იქნება შენი ჟურნალი მხიარული ფორმატის, ისე დაწერე, ვინ რა მოგწერა, ოღონდ ჩუმად ნუ ხარ, გასკდა გული, მარ! რომ იცოდე, ჩათში რაებს ჰყვებიან, გაგიჟდები. მთელი ზუგდიდი ტყეშია გახიზნული, რადგან ყველას აუპატიურებენ ეს ახვარი რუსები. ერთი გორელი ბიჭია და იმან თქვა, მის თვალწინ 2 „მარშრუტკა“, ბავშვებით და ქალებით სავსე, ნაფლეთებად უქცევია ჭურვს. ტელევიზორში იმის მეასედსაც არ აჩვენებენ, რაც ხდება. მარ, ლუნას ვაი თუ ახლა შია? რა დამპალ ქვეყანაში დავიბადე! ეჰ, გაძლება მოგცეს ღმერთმა, მარ. ეთო.

• მარი, როგორ ხარ? ამ კვირაში „გზავნილები“ რატომ არ იყო? შემდეგ კვირას ხომ იქნება? ახლა რომ ამბავს გწერ, ახალი, რამდენიმე დღის მომხდარია. ამ სოფელში, მე სადაც ვარ, ერთი ჩემსავით „უზაგრო“, თეთრი ავტობუსი (თუ სანდრაბუსი) დადის და ზედ ენტენორმის რეკლამა აქვს დახატული. ჰოდა, გაჩერებაზე ერთმა მკითხა — ბებია, ენტენორმი რომელი სოფელიაო? გკოცნით ყველას, ჩუპი.

• წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო, იხსენ, მტრისაგან საქართველო, იხსენ, უფალო... არ მიგვატოვო ამ საფრთხეში, მოგვეც გაძლება. ნუთუ ეს ომი არასოდეს არ დამთავრდება? დღეს ცოტნეს სისხლი აუყივლდათ ქართველებს ძარღვში, გარდაცვლილ ძმათა წმინდა სულნი ითხოვენ შველას, დღეს საქართველოს სახელისთვის თავდადებულნი, შენში ეძებენ ძალასა და იმედის რწმენას... მაშ, გასწით, ძმებო, არ დაუთმოთ ეს მიწა უცხოს, ჩვენი დაღვრილი ყველა ცრემლი მოვთხოვოთ უღვთოდ, არ შედრკეთ, ძმებო, თქვენთან არის მაღალი ღმერთი, ვანანოთ სისხლის აქ დაღვრილი ყოველი წვეთი... თავს დაგტრიალებთ დედა ღვთისა, ცრემლით და ოხვრით, თვით წმინდა ნინოც გვერდში გვიდგას, დაგვყურებს ლოცვით, ცოტნე დადიანს თავის ცხენი რომ მოჰყავს ჩორთით, ისიც ჩვენთან არს, თავის ხმლითა და ამ თეთრი დროშით. მაშ გასწით, ძმებო, საქართველოსთვის ერთად ვიაროთ, როგორც ყოველთვის, გამარჯვება ჩვენი არს უდავოდ, ისხენ მტრისაგან საქართველო, გვიხსენ, უფალო, წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო. ლიმონა.

• ვიზიარებ ჩემი ქვეყნის დიდ მწუხარებას, რომელმაც ეთხელ კიდევ მრავლად დაკარგა თავისი შვილი დიდ რუსეთთან ბრძოლაში. ვიზიარებ ყველა ოჯახის მწუხარებას. ვწუხვარ ძალიან და თვალზე ცრემლი არ მაშრება.

• წმინდაო მარიამ, დედაო უფლის, წმიდათა წმინდა, ეს სათხოვარი მუხლმოდრეკილს, მე შენთან მინდა: გთხოვ, დაიფარე საქართველო, შენწილხვდომილი, პოვე მშვიდობა და განსაცდელი მოუსპე გზიდან. შენ შეგავედრებ მშობელ მიწას, ძვირფას მთა-გორებს, მრავალგზის ტანჯულს, მაგრამ უტეხ ქართველთა მოდგმას, იმედს ვიტოვებ, რომ შეისმენ ვედრებას ჩემსას, ამქვეყნად მოსპობ აგრესიას, შურსა და ბოღმას. შენ შეგავედრებ, დედაო ღვთისავ, ქვეყანას ჩემსას, გთხოვ, გადმოხედე პატარა ერს მოწყალე თვალით, გადააფარე წყალობის კალთა, სამშობლოს ჩვენსას, ნუ გაახარებ მტერს, მაცქერალს ბოროტის თვალით. წმინდაო მარიამ, ღვთისმშობელო, წმიდათა წმინდა, ქვეყნის ერთობის შევედრება მე შენთვის მინდა. გთხოვ, გადმოხედე მრავალტანჯულს მოწყალე თვალით, განსაცდელი და ბოროტება მოუსპე გზიდან. 9717.

• როცა საქართველოს 9 აპრილის ტრაგედია დაატყდა თავს, მაშინ ბავშვი ვიყავი და ვერ გავაცნობიერე, რა უბედურება შეგვემთხვა, მაგრამ ახლა რაც მოხდა, ეს არის უდიდესი ტრაგედია, არა მარტო ქართველი ერისთვის, არამედ ჩვენთვისაც, საქართველოში მცხოვრები ყოველი არაქართველისთვის. ჩვენ ხომ დაბადებიდან ამ ულამაზესი კუთხის და მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები ვართ. რას გვერჩის ეს „დალოცვილი“ რუსი, ჩვენზე მეტი ტერიტორიაც აქვს, მოსახლეობითაც 4-ჯერ მეტია. რატომ უნდა ჩვენი დაჩაგვრა? რა დავუშავეთ ასეთი, რა ვერ მოუნელებია ამდენი წლის მერეც? საქართველოს ისტორიიდან ვიცით, რომ საქართველოს ომი ჰქონდა თურქეთთან, სპარსეთთან, მაგრამ ამჟამად ამ ქვეყნებთან მეგობრობა გვაკავშირებს. განა ტერიტორიების დაპყრობა ღირს უიარაღო ხალხის ასაწიოკებლად და გასაულეტად, მომავალი თაობის ფსიქიკის დასამახინჯებლად? მართალს წერდნენ პუტინზე, რომ ძალიან მძიმე, ტრაგიკული ბავშვობა ჰქონდა და კავკასიელები არ უყვარსო. ნუ ვეყვარებით, ბატონო, არც ჩვენ გვახატია გულზე, მაგრამ ამის გამო ხომ არ ვაწიოკებთ? უბრალოდ, გაითვალოს: „ეჰეჰი, ბეჰეჰი, შენ შენთვის, მე ჩემთვის“. საქართველოს მოსახლეობას ჩემი ერის სახელით ვუცხადებ სამძიმარს. ღმერთი (ალაჰი) იყოს ჩვენი და სრულიად საქართველოს მფარველი. დაე, ეს იყოს ბოლო ტრაგედია. ამინ. გრუზინკა.

• მე რომ ზაფხული გავა-

ტარე, ნულარ იტყვი, რაა! ჯერ იყო და, ღამის 12 საათზე საკუთარი თვალით ვუყურე ფოთის დაბომბვას და 5 წუთში ჩვენც მოგვაგნეს (განმუხურში ვიყავი, აფხაზეთის საზღვართან). შუქები ჩააქრეს. ღამით მიწაზე ვიწექით, კოტეჯებს შუა. დილით კი 15 წუთით გამოვასწარით და ბანაკი აღგავეს პირისაგან მიწისა. თბილისში ვერ ჩავდიოდით, რადგან არც ფული გვქონდა (ღამით ყველაფერი მოგვპარეს). რიკოთზე გავაჩერეთ მანქანა და ბორჯომამდე ჩაგვიყვანა იმ კაცმა. ბორჯომშიც არ დამაკლდა უბედურება და ღამის 11-ის ნახევარზე ტყეში დავიკარგე. ცოცხალმა კი ჩავაღწიე თბილისამდე, მაგრამ ბებია დამხვდა მკვდარი. არ მეუბნებოდნენ, მატყუებდნენ, ცუდადააო. ახლა კი ძლიერი მოწამვლა მაქვს. მაგარი ზაფხული დამიდგა, რას იტყვით, ჰაა? ashley pod.

• ნეტავი ერთი წამით, სულ ერთი წამით რატომ არ შეიძლება, რომ ნატვრისთვალი ჩამიგდოს ღმერთმა ხელში და ყველა ქართველის ოცნება ამასრულებინოს, ვინც ჩემსავით უყურებს უცხო მიწაზე ტელევიზორს და ხედავს ჩვენს გაჭირვებულ, ღატაკ და გაუხარელ სამშობლოში როგორი მარშით დადიან რუსების ტანკები და ერთი წამით, სულ ერთი წამით მომცეს ღმერთმა ეგ ნატვრისთვალი და მაგათი მარშის შეწყვეტის მეტს არაფერს ვთხოვდი. მერე იმ წუთში მოვმკვდარვარ, თუნდაც. ასე ბედნიერი წავიდოდი იმ ქვეყნად. ამით რუსების არმიას დიდი არაფერი დააკლდება, მაგრამ ხომ შეწყდებოდა მაგათი ნავარდი ჩემს უბედურ სამშობლოში? ცოტას, სულ ცოტას მეც გავიხარებდი და ჩემი ხალხიც. ეჰ, რატომ არ მაქვს ერთი წამით, სულ ერთი წამით, ნატვრისთვალი?

• ომის გამო ლტოლვილად ვიქეცი და ბებიაჩემთან გამოვიხიზნე, მცხეთაში. ჰოდა, რა თქმა უნდა, ამის გამო ძალიან შეშინებული და ნაღვლიანი ვიყავი. ჩამოვედი და პაპას ეძინა. თურმე, ნევროზის გამო მოჩვენებები დაეწყო. ამბობდა, რუსებს ჩემი დაბომბვა უნდოდათ და გორი მიზეზად მოიდესო. ჰოოდა, ბებიაჩემმა დაუსვა დიაგნოზი — ნევროზი. პაპამ კარგად ვერ გაიგო და დანაღვლიანდა. ნიკოლ, ჩემნაირო, ძააან მიყვარხარ. ბაო, გკოცნი. ჩორი და ლიმონ, მენატრებით. ლორელაი.

• ახლა სოფელში ვარ გახიზნული, მაგრამ სენაკში იმდენად არ შემშინებია, რამდენიც ახლა, აქ მეშინია, მაგრამ მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ. შვეულმფრენები წამდაუწუმ დაფრინავენ და დღესაც, ერთმა ძალიან დაბლა გადაიფრინა. შეწუხებულმა ვიყვირე, ჩქარა დაწექით-მეთქი. ჰოდა, ჩემი პატარა ბიძაშვილი საწოლისკენ გაიქცა. ეგონა, ლოგინში უნდა დაწოლილიყო. არტემიდა.

• ჩემს ძმაზე და იმ ბიჭებზე გწერთ, რომლებმაც კოდორიდან თავი დააღწიეს, ახლა მესტიაში არიან და აქეთ წამოსვლას ცდილობენ. ღმერთი გფარავდეთ, ბიჭებო, თქვენს ოჯახებს მშვიდობით დაჰბრუნებოდით. უარავი ადამიანი გელოდებათ. ვლოცულობ თქვენთვის და დაღუპულების სულებისთვის. იმდენი უბედურება ვნახე ამ დღეებში, რომ გული მაქვს მკვდარი. ყველა ძალიან მიყვარხართ და პატივს ვცემ ფორმიანებს. რომ მატყუებ ყველაფერი კარგად არისო, როდის ჩამოხვალ, რომ ჩაგიხუტო და დაგიკოცნო სევდიანი თვალები? ონავარი გოგო.

• როგორ ფიქრობთ, რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული სამხედრო აგრესია ქვეყნის ეკონომიკაზე ხომ არ მოახდენს უარყოფით ზემოქმედებას?

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. როგორ ხარ? ვიცი, შენც ძალიან გტკივა გული იმ სისასტიკის გამო, რასაც რუსეთი ჩვენს ქვეყანას უკეთებს. მაინც, რატომ ვეზიზღებით პუტინს ქართველები? ქუთაისში ხალხს გაღიმებულს ვერ ნახავ, ვგლოვობთ დაღუპულებს. გერასიმე.

• ხალხო, როგორ ხართ? ცოცხლები ხართ? სამწუხაროდ, თემა არ ვიცი. სამეგრელოში ვარ და თუ თბილისამდე ცოცხალმა ჩამოვაღწიე, კარგი იქნება. ყოველ აფეთქებაზე ჩემი „ქათმის ფეხებზე" შემდგარი ქოხი ისე ზანზარებს, რომ 10-ბალიანი მიწისძვრა გეგონება. გუშინ ჩავალაგე ჩემოდანი და თბილისში ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ...

• რას გვიშვრება ეს პუტინი, ხედავ? ესეც ჩვენი ცხელი ზაფხულის ამბავი. იმედია, ღმერთი მაინც არ მიგვატოვებს. უფალი იყოს ჩვენი ქვეყნის მფარველი! ფინტიკოზა.

• სალონიკში შევიკრიბეთ ქართველები და ჩავატარეთ მიტინგი, რუსეთის მიმართ პროტესტის ნიშნად. ერთმა კახელმა თქვა — მუდინი და პეტვეტევი მათხოვრები არიანო. კობრა.

• ჯვარცმული უფლის მადლი გპარავდეთ, გლოცავდეთ მუდამ დედა ქართვლისა, გზას გინათებდეთ ცხოვრების სავალს, შუქი კამკამა, წმინდა სანთლისა. ლილე.



• ვაკო, იცი, როგორ მომენატრე? რამდენი დრო გავიდა, რაც არ მინახავხარ. ვერც ვრეკავ, ვერც გელაპარაკები, მაგრამ ჩემს პატარა დაქალუშკებს ველაპარაკები ხოლმე. ლანუშკი მეუბნება, კისერში მიყვარხარო, ნათუშკი მეუბნება, ჩამოდი ჩემთანო. პატარა სიკალულები არიან. შენი პატარა ეჭვიანი.

• მინდა, თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან კიდევ ერთხელ ვუთხრა ზუგდიდში მცხოვრებ მზისა ჯაჭვლიანს, რომ მე იგი ქვეყნად ყველას მირჩევნია. მზისა, მე შენ მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. ყველაფერი მოგვარდება და სულ მალე გნახავ. ჩვენს სიყვარულს ვერანაირი დაბრკოლება ვერ შეაშინებს. მიყვარხარ და ყოველთვის შენთან მიგულე, სანატრელო. ეს მე ვარ, გოჩა, ახმეტიდან. მალე, სულ მალე ვნახავთ ერთმანეთს. არ ინერვიულო. ღმერთი ჩვენსკენაა. გოჩა.

• შაკო, უზომოდ მიყვარხარ და არასდროს დავივიწყებ იმ ლამაზ დღეებს! მთელი გულით გისურვებ წარმატებას. იბედნიერე უჩემოდ და მინდა იცოდე, დაგელოდები სულ ბოლომდე... 1411.

• ლამაზ სიცოცხლეს დავთმობ შენ გამო და სიგიჟემდე მინდა, რომ გნახო, ლამაზ ფიქრებში მოდიხარ მარტო, შენ აზრზე არ ხარ, მე როგორ გნატრობ. ეძღვნება ჩემს ყველაზე საყვარელ ადამიანს, ოთოს. მინდა ვუთხრა, რომ ჩემი ცხოვრებაა და ყოველთვის მეყვარება. გკოცნი, ჩემო სიხარულო. მარი.

• მამუ, იცი, როგორ მენატრები? დღე და ღამ მაინც შენზე ვფიქრობ. ნუთუ ოდესმე ვიქნებით ერთად? მამუკა მუკბანიანო, როდის განახავ, როდის გათენდება ეგ დღე? ბარტყი.

• შენს სახელს ვამბობ გაცნობის დღიდან, ოღონდ ჩემს გულში ჩუმად და ტკბილად, მინდა გაკოცო, გულში ჩაგიკრა, მაგრამ ამისთვის მანდ ყოფნა მინდა. მამუკას, ბარტყისგან.

• თუ ფიქრობ, რომ არაფერი გამოვა, ნუ იფიქრებ, სიყვარული აღარ მოვა, გადაიღებს მარტოობის ცივი თოვა, დამიჯერე, მალე შენთვის სიყვარულის მზე ამოვა. მიყვარხარ, სვანო. ბარტყი.

• როცა ფიქრებში შენ გეფერები და ჩემი ფუნჯი ხატავს

შენს სახეს, გხატავ შავ-თეთრად, რადგან ფერები არ ეყოფოდა შენს სილამაზეს. შენთან მინდა, მუკბანიანო. ბარტყი.

• მამუკა მუკბანიანო, შენთან შეხვედრას ძალიან ვნატრობ, ძალიან მინდა პირისპირ გნახო, მინდა შენს ღიმილს ვხედავდე ახლოს და არასოდეს დამტოვო მარტო. ბარტყი.

• მამუკა, მენატრები, მენატრები, უსასრულოდ მენატრები, მაგრამ ახლა ყველაფერი ზედმეტია, უბრალოდ თავს ვიტყუებ. ბარტყი.

• 28 აგვისტოს, მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ ჩემს საყვარელ ადამიანს, მარი ბალახაძეს. მრავალს დაესწარი, სიხარულო. წმინდა მარიამი გფარავდეს. გკოცნი ბევრს და მაგრად მენატრები. ლელა.

• თიანეთში, ხატია ლაგაზაურს ვულოცავ დაბადების დღეს! დაგლოცოს სალოცავებმა, მთისა და ბარისამაო, მცხეთაში სვეტიცხოველმა, თბილისში — სამებამაო.

• ჩემს უსაყვარლეს ადამიანს, ათენში მცხოვრებ მზია ჭოხონელიძეს დაბადების დღეს ვულოცავ, 16 აგვისტოს. ჩემო საყვარელო, გილოცავ, გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს, შენს შვილთან ერთად. გისურვებ, ყოველი შენი ჩანაფიქრი და ოცნება აგსრულებოდეს. მადლობელი ვარ უფლის, რომ შენ შეგხვდი და ჩემი მეგობარი ხარ. შენი სიკეთითა და ადამიანობით შემაყვარე თავი. მიყვარხარ, ჩემო სიხარულო, გფარავდეს უფალი, ჩემო ლამაზო პრანჭიკელა. შენი ლელუჩია.

• ათენში, დათო გაბუნიას ვულოცავ დაბადების დღეს, 13 აგვისტოს. ვუსურვებ დიდ სიყვარულს, ლამაზ სიხარულს, ოცნების ახდენას, ვარსკვლავის ანთებას.

• ნათია-ტასო, გილოცავ დაბადების დღეს, 14 აგვისტოს. სიხარული, სიყვარული დაგებედოს დღეს, სიკეთე და ღვთის წყალობა გინათებდეს გზებს. იმედი და უფლის რწმენა არ მოგკლებოდეს. გეფერები და გილოცავ დაბადების დღეს. დიდი სიყვარულით, ინეზა.

• ქუთაისში, ჟანა და მალხაზ გეგუცაძეს ვულოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გამრავლდით და გაიხარეთ. მზია და ძაკო მამასახლისი.

• ათენში, გულთამზე ნიკოლაიშვილ-გიორგაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 27 აგვისტოს. ვუსურვებთ ულევ სიხარულს, სიყვარულს. ყველაფერი აგხდენოდეს, რაც გულით გსურს. წარმატებებს გისურვებთ. მზია და ძაკო.

• საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ დაბადების დღეს, 26 აგვისტოს, ათენში, ლალი ბაგრატაშვილს. სიხარული, სიყვარული, სითბო არ მოგკლებოდეს, შენს ოჯახთან ერთად. მუდამ იყავი ჯანმრთელი, ბედნიერი დედა და მეუღლე. მზია და ძაკო.

• ჩემს სიყვარულს, დათო შავგულიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 12 აგვისტოს. სულ დალოცვილი ყოფილიყავი, მაღალი ღმერთისგან.

• ჩვენს მონატრებულ და უსაყვარლეს მამიკოს, ავთო გოგებაშვილს, 5 აგვისტოს ვულოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი მამიკო, ჩვენთან ერთად.

• ჩემს ძმას, ავთო გოგებაშვილს 5 აგვისტოს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი.

• ვულოცავ ჩემს პატარა დისშვილს, სოფო გიორგაძეს დაბადების დღეს, 11 აგვისტოს. ვუსურვებ წინსვლასა და გახარებას. შენი ლელა დეიდა. ასევე ვულოცავ ნაია და თეკლა ხავთასებს. გაიზარდეთ სასახელო გოგონები.

• ჯონიკო მიქაძე, გილოცავ დაბადების დღეს, 10 აგვისტოს. გისურვებ ჯანმრთელობას და კარგად სწავლას. მიყვარხარ და მენატრები. შენი ბებიკო, დარეჯანი.

• საყვარელ შვილიშვილს არგვეთაში, გუგუნა ფურცხვანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ლამაზ ბავშვობას და დავულოცავ სკოლისკენ მიმავალ გზას. ეთერი ბებო და ბესო ბიძია.

• დუშელებო, გილოცავთ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ყველას ღმერთი გფარავდეთ და ჩვენი თამადობით ყველას ვულოცავ. ლელა.

• ათენში ჩემს ძამიკოს, გიორგი ღარიბაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 28 აგვისტოს და მასთან ერთად მარიამობას. მრავალს დაესწარი ჯანმრთელი და სულ ბედნიერი. ყველაფერს კარგს გისურვებ ცხოვრებაში. შენი დაიკო, ლელა.

• თაკო ნარიმანიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 17 აგვისტოს. გისურვებთ ბედნიერებას და დიდ სიხარულს. შენი დედიკო და მამიკო.

• დათო ნარიმანიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 20 აგვისტოს. გისურვებთ ულევ სიხარულს, შენს ოჯახთან ერთად. შენი დედიკო, მამიკო და დაიკო, თაკო.

• 20 აგვისტოს, დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს შვილს, თეას. უფლის წყალობა ნუ მოჰკლებოდეს და ბედნიერება. დაე, ეცხოვროს მშვიდობიან საქართველოში. ციური. ქობულეთი.

• მინდა გამოვეხმაურო მაია ჯალიაშვილს. რამდენი ხანია, მისი აღარაფერი მესმის. გთხოვთ, დამიბეჭდოთ, იქნებ გავიგო სად არის.

• ვეძებ გოგა კახიაშვილს. 2006 წელს ცხოვრობდა მიქონოში. ცხინვალიდანაა, წარმოშობით. ლ.

ყურადღება!

„მობილიზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **gull** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ „გზა" №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **gull 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მიიღოთ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასი: 50 თეთრი.

რას აქებენ უცხოელები ქართული კერძების შესახებ

ამას წინათ, 2 დღე ფასანაურში ვიყავი. იქ, ერთ-ერთ სახინკლეში უამრავ უცხოელს მოეყარა თავი. რაღა თქმა უნდა, გამოველაპარაკე. აღმოჩნდა, რომ მათი უმეტესობა წლების განმავლობაში, საქართველოში ცხოვრობს და ერთმანეთსაც დიდი ხანია, იცნობს. ახლა ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ. შევეცადე, გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ როცა დიქტოფონში ჩანაწერს მოვუსმინე, აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი და ყველაზე საინტერესოდ მათ ქართულ კერძებზე ილაპარაკეს. ჰოდა, მეც მათ კომენტარს მხოლოდ ამ კუთხით შემოგთავაზებთ. სიმართლე გითხრათ, მათი სახელებისა და გვარების გაშიფვრა ვერ მოვახერხე და ალბათ ეს არც არის მთავარი. მთავარია, რას ფიქრობენ უცხოელები ჩვენი სამზარეულოს შესახებ. შესაძლოა, ბევრის მოსაზრებას არც თქვენ დაეთანხმოთ, მაგრამ მათი აზრის დამახინჯების უფლება არ მაქვს.

მექსიკელი:

— მაღაზიაში გამყიდველები უხეშობენ და ვერაფერს შეეკითხები. რესტორანში ოფიციანტი ქართულად რაღაცას გეკითხება, მაგრამ სახე ჩამოსტირის. ამიტომ, მირჩევნია, მეგობრებთან სტუმრად წავიდე. მათ მიმაჩვიეს ლუდის სმას და შებოლილი თევზის ჭამას. ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს. თავიდან არ მინდოდა გასინჯვა, რადგან თევზს საშინელი სუნი ჰქონდა, მაგრამ მერე გავსინჯე და მომეწონა. თევზის მაგიდაზე დაკაკუნება ძალიან სასაცილოა. ერთ-ერთ რესტორანში გავსინჯე კერძი, რომელსაც „ხორცი ფრანგულად" ჰქვია. მასში სახელწოდების მეტი ფრანგული არაფერი იყო. საფრანგეთში ასეთი კერძი არ მინახავს.

არგენტინელი:

არგენტინაში საერთოდ არ ვსაუზმობთ, ქართველები კი დილით კარგად გამოძღებიან ხოლმე. მათ შეუძლიათ, ნივრით აქოთებული ხორციც კი ჭამონ, რასაც ხაშს ეძახიან. ჩვენთან ამას ღორმუცელობა ჰქვია. ამავე დროს, ჩვენ ძალზე გვიან ვვახშმობთ. თბილისშიც ასეა. საჭმელები ძალიან გემრიელია. განსაკუთრებით — ხინკალი და მწვადი. ხინკალი ძალიან ორიგინალური კერძია. ქართველებს ხორცი გიყვართ და გემრიელადაც ამზადებთ.

ჩილელი:

ქართულ სამზარეულოში ძირითადი ადგილი ხორცს უჭირავს და საქართველო ხორცის დიდ ნაჭერს წააგავს. ყველაზე მეტად მწვადი მომეწონა. ჯანსაღი პროდუქტია. ქართველები ამერიკელებივით ღორმუცელები არ არიან. გამუდმებით ყავას სვამენ. არსად მინახავს, ადამიანები ამდენ ყავას სვამდნენ. ღამის კლუბებშიც კი, ღამის 3 საათზე შეუძლიათ, ყავა შეუკვეთონ. წყალი გემრიელია და სუფთა. ჩვენს ქვეყანაში ონკანის წყალს არ ვსვამთ.

ლათინურამერიკელი:

საქართველოში ყველაზე მეტად ბანანი მენატრება. მართალია, თბილისში ყველა ფეხის ნაბიჯზე ბანანი იყიდება, მაგრამ მას ისეთი გემო არა აქვს, როგორიც ჩვენთან. ჩვენთან უამრავი სახეობის ბანანია: მწვანე, წითელი, პატარა, დიდი... თქვენთან არ არის ლათინურამერიკული რესტორანი და არც ის იცით, როგორ მზადდება ჩვენებური კერძები. თქვენი საცივი რაღაცით მოუხარშავ კერძს მაგონებს, ხიზილალა კი, რომელიც ასე ძვირი ღირს, ძალიან მარილიანია. თბილისში არ იციან ჰოთდოგის მომზადება.

ინგლისელი:

თბილისში ყველაზე მეტად რძის ნაწარმი მომწონს — არაჟანი, მაწონი, ყველი... ხინკალი ყველაზე გემრიელი, სასარგებლო და მაგარია. ასეთი რამ სხვაგან არ მიჭამია. თანაც, იაფი ღირს — 50 თეთრი. რეცეპტი ჩავიწერე და ვცადე, სახლში გამეკეთებინა, მაგრამ არ გამომივიდა. თქვენ წარმოდგენა არ გაქვთ ჯანსაღ საკვებსა და კვებაზე. ყველაფერს ცხარე საწებელსა და სუნელებს უმატებთ. ყველა კერძი კალორიულია. ინგლისელს დილაობით, წლების განმავლობაში ერთი და იგივე, სიმინდის ბურბუშელას ჭამა შეუძლია, თქვენ კი დილაობით სხვადასხვა კერძს მიირთმევთ.

ფრანგი:

რასაც ჩვენ, საფრანგეთში ყოველდღე ვყიდულობთ, ის საქართველოში ფუფუნებად მიიჩნევა. კარგი ყველი, ხორცი და პური მხოლოდ ელიტურ მაღაზიებში იყიდება და ძალზე ძვირი ღირს. სამაგიეროდ, თქვენთან ყველაზე გემრიელი თევზია. საფრანგეთში ზღვის პროდუქტები ძვირია და ხშირად ვერ იყიდი, თქვენთან კი იაფია. ძალიან ბევრ ხორცს ჭამთ, ეს კი ჯანმრთელობისთვის მავნებელია.

გერმანელი:

საქართველოში რძეს ვერ მიეკარები. საშინელი გემო აქვს. ასე მგონია, რომ სულ ახალი მოწველილია და არ გაუფილტრავთ. სამაგიეროდ, ძალიან მომწონს ნიგვზით მომზადებული კერძები. ჩემმა მასპინძელმა უბრალო ბადრიჯანი მოამზადა, მაგრამ ლამის თითები ჩავიკვნიტე. საუზმედ არასოდეს გვაქვს ცხელი კერძი და ომლეტის ჭამაც კი ღორმუცელობად მიიჩნევა. თქვენ კი გემრიელად ნაყრდებით, დილით ზოგიერთს ერთი ქათმის შეჭმაც კი შეუძლია. ქართული შოკოლადიც არ მომწონს. თუმცა, მითხრეს, რომ შოკოლადი სხვა ქვეყნებიდან შემოდის. რამდენჯერაც გავსინჯე, ყოველთვის გაოცებული დავრჩი — როგორ შეიძლება, შოკოლადს შოკოლადის გემო არ ჰქონდეს?

ნიგერიელი:

თბილისში ძალიან გემრიელი ბოსტნეული იყიდება, მაგრამ მაღაზიებში კი არა, ბაზარში, მაგალითად — ვაგზლის ბაზრობაზე. ხშირად დავდივარ იქ პროდუქტის შესაძენად და მერე პირს ვიტკბარუნებ ხოლმე. წიწაკა, პომიდორი, კარტოფილი, ლობიო... სულ სხვა გემო აქვს. ისე კი, თქვენი სამზარეულო სხვა ქვეყნის კერძებისგან არაფრით განსხვავდება.

ფერების ენიგმა



წითელი

წითელი ფერი ადრენალინის გამოყოფასა და ორგანიზმის სტიმულაციას ხელს უწყობს. ეხმარება ადამიანს აპათიის, დეპრესიისა და შიშების დაძლევაში, ძალების მოკრებაში. ააქტიურებს ტვინის მოქმედებას და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხსნის დაღლილობას, ხელს უწყობს ინფორმაციის სწრაფ ათვისებას.

ნაცრისფერი და ცისფერი

ხსნის დაღლილობასა და სტრესს, ამცირებს აგზნებადობას, შველის უძილობას. მორცხვობისა და შიშის დროს ადამიანს ლაპარაკის უნარს ანიჭებს. შეუცვლელი ფერია მედიტაციისთვის. ხანგრძლივი დროით ლურჯი ფერის ყურება სევდიან განწყობილებას იწვევს. ავიწროებს სისხლძარღვებს, ამცირებს ტემპერატურას და ამძაფრებს ინტუიციას. გააჩნია ტკივილგამაყუჩებელი და ანტისეპტიკური მოქმედება. ამცირებს მადას, მაგრამ პუტკუნა ადამიანებს ანიჭებს ფსიქოლოგიურ სიმშვიდეს და განაწყობს დარჩნენ ისეთები, როგორებიც არიან. კლავს დიეტაზე ყოფნის სურვილს.

ბაცვალფე

აახლოებს ადამიანებს, იწვევს ჰარმონიის შეგრძნებას როგორც შინაგანად, ასევე სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას. ადამიანს ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ წონასწორობას უნარჩუნებს. აუმჯობესებს შრომისუნარიანობას. ეხმარება ბრაზის დაძლევაში. ხსნის თავის ტკივილს და ასტაბილურებს წნევას. ფეხმძიმე ქალების სულიერი სიმშვიდის გარანტია.

ყუტიკარუდი ფერი და ფიოდიანი ბეგიტრონტი

ადამიანის განწყობილებაზე მარტო ფერები კი არა, მათი ერთობლიობაც ახდენს ზეგავლენას. მაგალითად, ზოლიანი ტანისამოსი სხეულის ტემპერატურას ამაღლებს და წნევას არეგულირებს. წვრილკოპლებიანი — კი ადამიანს ამშვიდებს. საერთოდ, ნებისმიერი, რიტმულად განმეორებადი ნახატი (ტანისამოსსა თუ საგნებზე) ადამიანზე ნეგატიურად მოქმედებს და აგრესიასა და გაღიზიანებას იწვევს. კუბოკრული ტანისამოსი კი — ბრძოლის სურვილს ბადებს, ააქტიურებს ტვინის იმ ნაწილს, რომელიც შემოქმედებით პროცესზეა „პასუხისმგებელი“.

ყვითელი

ოპტიმისტურად განგაწყობს, აღძრავს მეგობრულ გრძნობებს, აკრძალვებისა და შტამპების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილს.

ქრემისფერი

აღვივებს მატერიალური ფასეულობების მიმართ სიყვარულს, აუმჯობესებს გონების კონცენტრაციას და გულგრილობას განაპირობებს.

ვარდისფერი

აჩენს სიყვარულისა და ურთიერთგაგების მოთხოვნას. აუმჯობესებს ადამიანის განწყობილებას.

ულავისფერი

აღვიძებს პედანტიზმს, მიზნისკენ სწრაფვის სურვილს, იწვევს ახლობლების მიმართ ყურადღების გამძაფრებას, სიახლის მიმართ აგრესიულ გრძნობას.

ფანი

მოსწონთ მდიდარი შინაგანი სამყაროს მქონე ადამიანებს. იწვევს თვითკმაყოფილების შეგრძნებასა და თავის მართლების სურვილს, ფარულ დეპრესიასა და ჩაკეტილობას.

თეთრი

აზრის სისპეტაკისა და უცოდველობის სიმბოლოა, სინამდვილეში რელობიდან მოწყვეტას განაპირობებს.

პირველი მსხვერპლი, ფუჭი გოგბეგი და რუსული „ლამურის“ ორმაგი თამაში

1992 წლის შემდეგ, ქართულ-ოსური კონფლიქტი 16 წლის განმავლობაში იყო დაკონსერვებული. წუხილიც კი წარმავალიაო, — ამბობს ჩვენი ქვეყნის სულიერი მწყემსი და მართლაც, ამ ხნის განმავლობაში, ოსებმა და ქართველებმა წარსულის იარების მოშუშება შეძლეს და კვლავ დამოყვრება დაიწყეს. ქართული მედია არაერთხელ აშუქებდა ქართულ-ოსური ოჯახის შექმნის ფაქტებს, მათ შორის, კონფლიქტურ რეგიონშიც. უკანასკნელმა მოვლენებმა ყველა ჭრილობას გაუხსნა პირი და არავინ იცის, როდის დაისადგურებს ისევ მშვიდობა. რამდენად შორს მიდის ქართულ-ოსური შუღლის ფესვები და არის თუ არა აწმყო, წარსულში დაწყებული მტრობის გამოძახილი? — ამ კითხვებზე პასუხის გაცემა „სახალხო ფრონტის“ ლიდერს, ბატონ ნოდარ ნათაძეს ვთხოვეთ.



ემა ტუხიამვილი

— ბატონო ნოდარ, როგორც ვიცი, 1991-1992 წლებში ცხინვალში მიმდინარე საომარ მოქმედებებში თქვენც მონაწილეობდით. მეტიც, თურმე იარაღით ხელშიც კი იბრძოდით...

— პისტოლეტის გარდა, სხვა იარაღი არ მჭერია, ისიც უსაფრთხოების მიზნით მქონდა. აფხაზეთის ომში კი ნამდვილად ვიბრძოდი.

— იქნებ გიხსენოთ, როგორ დაიწყო კონფლიქტი ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ოსებს შორის და რა იყო ამის მიზეზი?

— საქართველოს უზენაეს საბჭოს, კომუნისტური ეპოქის შემდეგ პირველ და ერთადერთ არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს უფლება არ ჰქონდა, არ გაეუქმებინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ეს სახელი და ადმინისტაციული ერთეული რუსებმა გამოიგონეს. ეს არ გახლავთ ერთი რაიონული ერთეული, არამედ ოთხი პარალელური ხეობის ზემოწელია, რომელიც არ უკავშირდება ერთმანეთს და არაფრით განსხვავდება სხვა პარალელური ხეობებისგან. ამიტომაც, ტერიტორიას, რომელსაც დღეს „სამხრეთ ოსეთად“ მოიხსენიებენ, ისტორიული სახელი არა აქვს. ქსნის ხეობა, მოგეხსენებათ, მთიულეთია; მთიულეთია არაგვის ხეობაც. სამაჩაბლო კი იმ ტერიტორიის მცირედი ნაწილია, რომელიც დიდი და პატარა ლიახვის ზემოწელში და ლიახვის შენაკადის, მდინარე ფაცას ზემოწელში მდებარეობს. კონფლიქტურ რეგიონად წოდებულ ზონაში, შიდა ქართლის ტერიტორიები გაცილებით მეტია, ვიდრე თვით ცხინვალის რაიონი. მოგეხსენებათ, საგანი როდესაც არ არსებობს, სახელიც არა აქვს. სხვათა შორის, რუსებმა ძალიან ადრე გათვალეს, როგორ შეიძლებოდა საქართველოს წინააღმდეგ ოსური ფაქტორის გამოყენება. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ოსები ჯერ კიდევ მეფე ერეკლეს დროს ცხოვრობდნენ. ცხოვრობდნენ მანამდეც, თრუსოს ხეობაში და მაღალმთიან სოფლებში მიმოფანტულნი. ხომ იცით, როგორია სოფელი მთაში — სულ მცირე 3 და ყველაზე მეტი 15 კომლი ცხოვრობს, ამიტომაც საქართველოში დასახლებული ოსები მრავალრიცხოვნობით ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ. მიუხედავად ამისა, როგორც კი 1801 წელს რუსები შემოვიდნენ საქართველოში და არაქართული დასახლება ნახეს, იმ დროს კი ასეთი მხოლოდ ოსური სოფლები იყო, მაშინვე ხელჩასაჭიდ ფაქტორად გამოიყენეს. საქართველოს ანექსიის ერთი თვისთავზე, რუსების მთავარსარდალმა გენერალმა კნორინგმა პირველად გამოიყენა სახელწოდება „ოსეთია“. ეთნიკური ოსებით დასახლებულ სოფლებს რუსები „ოსურ დისტანციებს“ უწოდებდნენ. დისტანცია პატარა ადმინისტრაციული ერთეული გახლდათ. კიდევ ერთი, ძალზე

ამ დადგენილების მიღება მოხდა 1990 წლის 9 მარტს, ხოლო იმავე წლის 29 ივნისს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო ამ დადგენილების დამატებები

მნიშვნელოვანი ფაქტორი ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიაში: 1864 წელს საქართველოში განხორციელდა აგრარული რეფორმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გაუქმდა ბატონყმობა. მემამულე თავადაზნაურებს ჩამოართვეს ყმები, მაგრამ შეუნარჩუნეს მამულები. ამ მამულების დამმუშავებელი კი არავინ იყო. ყოფილი ყმები, მემამულეებისგან, გაწეული სამუშაოს საფასურად ან ძვირს ითხოვდნენ, ან საერთოდ უარს ამბობდნენ დაქირავებულ მუშად მუშაობაზე. სწორედ მაშინ, უყმოდ დარჩენილმა თავადაზნაურებმა, დაიწყეს ოსების გადმოპატიჟება ხიზნებად, კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებიდან. ხიზანი კი გახლავთ უმიწაწყლო გლეხი, რომელიც პატრონის მიწაზე სახლობს და ძალზე შეღავათიან, უფრო მეტიც — კაბალურ პირობებში მუშაობს. ამ გადმოპატიჟების შედეგი კი უკვე 1888-89 წლებში ჩატარებული აღწერის დროს გამოჩნდა, როდესაც ოსურმა მოსახლეობამ საქართველოში ათიათასობით კაცს მიაღწია. მაგრამ საქმეს ის ართულებდა, რომ აგრარულ გარემოში დაბადებულ ადამიანებს საკუთარი ერთი გოჯი მიწაც კი არ ჰქონდათ. ამან გამოიწვია მწვავე კონფლიქტი, რაც ბოლშევიკებმა სათავისოდ გამოიყენეს და 1919 წელს, ოსური მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლები მოაწყვეს. აგრარულ ნიადაგზე დაწყებულ უკმაყოფილებას ბოლშევიკებმა ეროვნული „საღებავი წაუსვეს“ და მონათლეს ოსების ბრძოლად ქართველების წინააღმდეგ. ამ მოვლენებს უსისხლოდ არ ჩაუვლია. ისტორიამ ბარბაროსული ეპიზოდები შემოგვინახა, რომლებიც აღწერილია ისტორიის ინსტიტუტში დაცულ ნაშრომებში. მაგალითად, 1919 წელს ოსებმა მთლიანად გაწყვიტეს ცხინვალში ქართველი მოსახლეობა. ბუნებრივია, შემდეგ, ხელისუფლებამ ეს გამოსვლები ჩაახშო. 1920 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის ბიურომ მი-

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს ერთი დღეც არ უარსებია ისე, რომ იქ რუსული საჯარისო ნაწილები არ ყოფილიყვნენ

მომიტინგეებმაც გეზი ცხინვალისკენ აიღეს, რაც ძალიან სახიფათო იყო. ქალაქის შესასვლელთან ოსი ეროვნების 300-400 ადამიანი დაგეხვდა

იღო დადგენილება, საქართველოში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ, რისი უფლებაც, ბუნებრივია არ ჰქონდა. 1921 წელს, მოგეხსენებათ, განხორციელდა რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსია და 1922 წლის აპრილში, ანექსიიდან 14 თვისთავზე, საქართველოს მთავრობამ — მაშინ მას ცაკ-ი (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) ეწოდებოდა, — სიტყვასიტყვით გაიმეორა კავკასიის ბიუროს დადგენილება და შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამ ადმინისტრაციულ ერთეულში შეიყვანეს 40 ქართული სოფელი. ეთნიკური ოსებით დასახლებული სოფელი გაცილებით ნაკლები იყო და შესაბამისად, მოსახლეობაშიც ქართველები ჭარბობდნენ. ამიტომაც, იმ დროის ცხინვალში რამდენიმე ოსური ოჯახი თუ ცხოვრობდა, მეტწილად იყვნენ ქართველები, სომხები და ებრაელები. ამის შემდეგ, რუსებმა დაიწყეს ოსების მასობრივი ჩამოსახლება ცხინვალში და ეს პროცესი საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში გრძელდებოდა.

— რა მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ?

— ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1989 წელს, ცხინვალის რეგიონში ოსების მხრიდან ქართველების ფიზიკური შევიწროების ფაქტები ფიქსირდებოდა. რუსებმა დაიწყეს ოსური სეპარატიზმის გაღვივება. ამის მიზეზი, ჯერ ცხინვალში სასმელი წყლის დაბინძურება გახდა. იმხანად, ცხინვალის საოლქო კომიტეტის მდივანი, ვინმე სანაკოევი გახლდათ. ქართულ ყოფაში გაზრდილი კაცი იყო, ამიტომ რუსეთმა მისი შეცვლა, ანტიქართული განწყობილების მქონე პირით განიზრახა... 8 ივნისს, ოსი ყაჩაღის, ვინმე ზნაურის, რომელსაც ოსები ბოლშევიკური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნევდნენ, ხსოვნის პატივსაცემად, ცხინვალში მიტინგი გაიმართა. სხვათა შორის, სწორედ მის სახელს ატარებს ზნაურის რაიონი ცხინვალის რეგიონში. მიტინგზე ასე, 2-3 ათასი კაცი თუ იქნებოდა. ქართულად ცოტას ლაპარაკობდნენ, უფრო მეტად რუსულად მიმდინარეობდა გამოსვლები, შიგადაშიგ ოსურადაც მიმართავდნენ გამომსვლელები მიტინგის მონაწილეებს. ოსურ ენაზე წარმოთქმულ სიტყვავს ჩემი თანმხლები მითარგმნიდა. შინაარსით ძალიან აგრესიული მიტინგი იყო.

— მაინც რა გზავნილები ისმოდა სეპარატისტების პირველ მიტინგზე?

— ამბობდნენ, რომ ქართველები მათ ჩაგრავენ, რომ მათ მიწა-წყალზე ცხოვრობენ და რომ ოსებს თავისუფლება უნდათ. მაგრამ განწყობილებით ძალზე „ზარმაცი“ მიტინგი იყო: გამომსვლელებისგან განსხვავებით, მსმენელებში არავითარი ანტიქართული მუხტი არ იგრძნობოდა... იმავე წლის ნოემბერში სეპარატისტებმა, რომლებმაც ადგილობრივ ხელისუფლებაში უმრავლესობა მოიპოვეს, მიიღეს გადაწყვეტილება, ცხინვალის ოლქის რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ. რა თქმა უნდა, ამის უფლება მათ კონსტიტუციის თანახმად არ ჰქონდათ. 1989 წლის 23 ნოემბერს, ეროვნული მოძრაობის მესვეურებმა ცხინვალში მიტინგის მოწყობა გადაწყვიტეს. მინდა იცოდეთ, რომ მე ამის ინიციატორი არ ვყოფილვარ. ხელისუფლებამ ცხინვალში გასამგზავრებლად, დიდი რაოდენობით „იკარუსის“ ტიპის ავტობუსები მოგვცა. „იკარუსებითა“ და მსუბუქი ავტომობილებით თბილისიდან ცხინვალში სულ 7200 კაცი გაემგზავრა.

— ამ მიტინგის მიზანი რა იყო?

— ოსებთან მოლაპარაკება და ცხინვალის ქართველი მოსახლეობისთვის იმის თქმა, — ბიჭებო გამაგრდითო! ვითარება ძალზე დაძაბული იყო, ცხინვალში მიტინგის ჩატარება ძალზე სარისკო გახლდათ, მაგრამ ეს ღონისძიება დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი და მასზე უარის თქმა, პრესტიჟის გამო, არ ივარგებდა.

— ვინ იყვნენ ამ მიტინგის ორგანიზატორები?

— ჩემი და თამრიკო ჩხეიძის გარდა, ეროვნული მოძრაობის ყველა ლიდერი... გადაწყდა, რომ უსაფრთხოების მიზნით, ერგნეთსა და ცხინვალს შორის გზა მძიმე სამხედრო ტექნიკით გადაიკეტებოდა. კარგად მახსოვს, თბილისში დისლოცირებული მერვე პოლკის კუთვნილი ორი „ბეტეერი“ იდგა. ჟინჟღლავდა, საზიზღარი ამინდი იყო. უეცრად, მიტინგის დაწყებიდან ასე, 15 წუთში გზა გაიხსნა, ერთი „ბეტეერი“ წამოვიდა თბილისისკენ, მეორეს ბოლი ასდიოდა და ცხინვალისკენ მიემართებოდა. მომიტინგეებმაც გეზი ცხინვალისკენ აიღეს, რაც ძალიან სახიფათო იყო. ქალაქის შესასვლელთან ოსი ეროვნების 300-400 ადამიანი დაგვხვდა. მათ გვერდით კი, აღმართზე, ბეტონის ფილებით დატვირთული ორი თვითმცლელი იყო გაჩერებული. იოლი მისახვედრი იყო, რომ თუ მსვლელობა ცხინვალისკენ მოეწყობოდა, თვითმცლელები დაგორდებოდა და უზარმაზარ მსხვერპლს ვერ ავიცილებდით თავიდან... მთელი ღამე ცხინვალის შესასვლელთან გავატარეთ. ქართველები ყვიროდნენ: „საქართველო, საქართველო!“ ოსების მხარეს კი ისმოდა შეძახილები: „ირისტონ, ირისტონ“, რაც ოსეთს ნიშნავს. ამის შემდეგ მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. პირველი მსხვერპლი ქართულ-ოსურ კონფლიქტში იყო აკვნის ბავშვი, მამით — ქართველი და დედით — ოსი, რომელიც ოსებმა აკვანში მწოლიარე, სოფელ ოსპირისში მოკლეს. მეორე მსხვერპლი იყო 17 წლის, თამარაშენელი ვეფხია თუთარაშვილი, რომელიც ოსი ეროვნების ასაკოვანმა მამაკაცმა თოფით მოკლა. შემდეგ, ქართული მხრიდან მოხდა ზარბაზნის გასროლა და ოსი ეროვნების ბავშვი დაიღუპა. ამის შემდეგ ოსებმა გადაწვეს ორი ქართული სოფელი — გუჯაბაური და მამისაანთუბანი და ასაკოვანი ქალი, გვარად ბუზალაძე ცოცხლად დაწვეს თავის სახლში. იმ დროიდან მოყოლებული, ქართულ-ოსური კონფლიქტი ასობით მსხვერპლს ითვლის.

— და მაშინ ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული ძალების შეყვანა გადაწყდა?

— ჯერ კიდევ კომუნისტური პარლამენტის დროს, რომლის შემადგენლობაში მეც გახლდით, მიიღეს დადგენილება, რომ საქართველო არის დაპყრობილი და ფაქტობრივად, ანექსირებული ქვეყანა. ამ დადგენილების მიღება მოხდა 1990 წლის 9 მარტს, ხოლო იმავე წლის 29 ივნისს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო ამ დადგენილების დამატებები, სადაც ნათქვამი იყო, რომ ბათილად ჩაითვლებოდა მოსკოვის მიერ საქართველოსთან მიმართებაში მიღებული ყველა საკანონმდებლო აქტი. აქედან გამომდინარე, როდესაც გორბაჩოვმა ჩვენ მიერ გაუქმებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა მოინდომა, ამის იურიდიული უფლება უკვე აღარ ჰქონდა. საქართველომ საბჭოთა კავშირი ისე დატოვა, რომ არავითარი „ოსეთის რესპუბლიკა“ მის შემდგენლობაში არ არსებობდა. მივაღწიეთ იმას, რომ საქართველოსა და რუსეთის მონაწილეობით შეიქმნა ამ კონფლიქტის შემსწავლელი საპარლამენტთაშორისო კომისია, რომლის წევრიც მე გახლდით. კომისიამ მიიღო დადგენილება, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი არ იყო ეთნიკური კონფლიქტი, არამედ მას პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. ეს კი იმით იყო გამოწვეული, რომ წინააღმდეგობა ექმნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევას და განვითარებას. ამის შემდეგ ოსმა სეპარატისტებმა შექმნეს შეიარაღებული ფორმირებები და ჩვენ ცხინვალის ტერიტორიაზე ვეღარ შევდიოდით, რადგან ვერიდებოდით სისხლის ღვრას. კონფლიქტი რომ ძალიან გამწვავდა, უკვე შევარდნაძე გახლდათ ხელისუფლებაში.

— და მაინც, ქართული საჯარისო ნაწილები 1991-92 წლებში კონფლიქტის ზონაში შევიდნენ. ვინ ხელმძღვანელობდა ამ სამხედრო ოპერაციას?

— არავინ არ ხელმძღვანელობდა, სოფელი და სამოქალაქო პირებისგან შექმნილი საძმო პატრულირებდა დასახლებულ პუნქტებში. ეს იყო ფაქტობრივად, პარტიზანული ომი. სადღაც, ტყეში თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს ქართული და ოსური დაჯგუფებები, იქ მართავდნენ ბრძოლას. ოსები უფრო შერჩევით ხოცავდნენ ადამიანებს, ქართველებმა კი ხშირ შემთხვევაში არც კი იცოდნენ, ვის ებრძოდნენ. „კოსტავას საზოგადოება“ აქტიურობდა ყველაზე მეტად ამ კონფლიქტში და ერის ღირსების დამცველთა ასოციაციის, „იმედის“ წევრები. ეს უკანასკნელი ვითომდა სპორტული ასოციაცია იყო, სინამდვილეში კი შეიარაღებულ ფორმირებას წარმოადგენდა. იმ ომში პროფესიონალი არ ჩარეულა. ვერც იმას ვიტყვი, ვის მხარეს იყო ამ ომში გადამწყვეტი უპირატესობა... ამ კონფლიქტის შედეგად, ჩვენი ქვეყნის იურისდიქციის მიღმა აღმოჩნდა: ზნაურის რაიონის 13 სოფელი, ცხინვალი და მიმდებარე რამდენიმე სოფელი. მაშინდელი რუსული პრესა წერდა, რომ 1991-1992 წლებში ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად, 170 ათასი ოსი იქცა დევნილად და უმეტესობამ თავშესაფარი ჩრდილოეთ ოსეთში ითხოვა. სინამდვილეში, 17-21 ათასმა ეთნიკურმა ოსმა დატოვა მაშინ საქართველოს ტერიტორია. საქართველოში სულ 160 ათასი ოსი ცხოვრობს, აქედან 60 ათასი — ცხინვალის რეგიონში, დანარჩენი კი — კახეთში, ქარელსა და საქართველო სხვა რეგიონებშია დასახლებული.

— რუსული სამხედრო შენაერთები რა როლს თამაშობდნენ მაშინდელ კონფლიქტში?

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს ერთი დღეც არ უარსებია ისე, რომ იქ რუსული საჯარისო ნაწილები არ ყოფილიყვნენ. ამ კონფლიქტის დროს, ჩვენი სამხედრო შტაბი სოფელ მეღვრეკისში იყო განლაგებული. რუსული სადესანტო ნაწილი გახლდათ — „ღამურა“ ერქვა, ლაგოდეხში იყო დისლოცირებული და ვიცოდით, რომ შევარდნაძის ოპერატიულ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ამის მიუხედავად, „ღამურა“ მძიმე ტექნიკით დაძრწოდა კონფლიქტის რეგიონში და ფულის სანაცვლოდ, სამსახურს გვთავაზობდა. მართივად რომ ვთქვათ, დაქირავებული სამხედროების როლს თამაშობდნენ. პირდაპირ გეტყვით, ერთხელ ჩემთან მოვიდნენ სამხედრო შტაბში, გვერდზე გამიხმეს და მითხრეს: გინდათ, ოსებს დავარტყათო? რასაკვირველია, უარი ვუთხარი. ამის მიუხედავად, მაინც ესროლეს ცხინვალს ფუჭი ჭურვები ე.წ. „ბალვანკები“ და თავადვე ატეხეს განგაში: ქართველები ცხინვალს ბომბავენო!..

— გამოსავალი, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოების განლაგება იყო?

— შევარდნაძემ და ელცინმა ხელი მოაწერეს დადგენილებას, რომ შექმნილიყო სამშვიდობო ძალები სამი მხარის წარმომადგენლობით: ჩვენი, რუსეთის და ჩრდილო ოსეთის კონტინგენტი. კი, მაგრამ ვინ არის ჩრდილო ოსეთი ამ კონფლიქტში?! სამწუხარო ფაქტია, რომ ამ სამშვიდობო კონტინგენტში ჩვენი ძალები წარმოადგენდნენ მხოლოდ ერთ მესამედს, რაოდენობრივი უპირატესობა კი მტრის მხარეს იყო. შევარდნაძის მხრიდან ეს იყო ყოვლად მიუღებელი კაპიტულაცია, რომ აღარაფერი ვთქვათ მის არალეგიტიმურობაზე. შევარდნაძე თავად გახლდათ არალეგიტიმური, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, ამიტომ მისი ხელმოწერა ამ დოკუმენტზე შეიძლება, უკანონოდ ჩაითვალოს. მან არ მიუთითა დოკუმენტზე სამშვიდო კონტინგენტის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ვადა და რუსების აქ ყოფნა განუსაზღვრელი ვადით დაუშვა. ეს სწორედ ის დოკუმენტია, რომელსაც ახლა ცხვირწინ გვიფრიალებენ ოსები და რუსები. სააკაშვილმა კი ისე დაუშვა თოფის გავარდნა ცხინვალის რეგიონში, რომ არ გააუქმა რუსების სამშვიდობო უფლებამოსილება. ამით რუსს დაუტოვა უფლება, ესროლოს ქართველებს, ჩვენ კი ანალოგიური უფლება არ გვაქვს.

— საქართველო ამ იარას ალბათ დიდხანს ვერ მოიშუშებს, შეეძრება

„მერაბ კოსტავას საზოგადოების“ ლიდერი ვაჟა ადამია კონფლიქტის ზონაში (1990 წელი)

კი რუსების ახლანდელი სისასტიკე მათ მიერ წარსულში ჩადენილს?

— 1956 წლის 9 მარტს თბილისის ქუჩებში რუსმა ჯარისკაცებმა დაახლოებით 500 მშვიდობიანი ქართველი დახვრიტეს. მაშინ 26 წლის ვიყავი და ორივე მსვლელობის მონაწილე გახლდით. ჯერ ყოფილი კავშირგაბმულობის სახლთან დაახალეს მოსახლეობას ტყვიები, შემდეგ კი — სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან. რუს ჯარისკაცებს შორის, ყველა „ჩეკისტი“ და ჯალათი როდი იყო, იყვნენ მერვე პოლკის და საველე ნაწილების ჯარისკაცებიც. მაშინ დავინახე, რომ რუსი ჯარისკაცები ქართველ ხალხს სიამოვნებით ესროდნენ. ეს მათთვის ბრძანება კი არა, ნებართვა იყო... ახლანდელმა მოვლენებმა 1956 წელი გამახსენა. 1992 წელს კი ქართველებსა და ოსებს შორის მსგავსიც არაფერი ყოფილა... ■

ირაკლის ხიდანი

დასაწყისი „გზა“ №24-33

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

რამდენიმე დღე გავიდა. ირაკლი დარწმუნებული იყო, რომ ბოროტმოქმედები აღარ შეეცდებოდნენ ხელახლა თავდასხმას. ამდენი მარცხის შემდეგ? მხოლოდ კამიკაძეებს შეუძლიათ, ასეთ რისკზე წავიდნენ. თუმცა სვანები კამიკაძეებზე ნაკლები არ არიან. ამის გაფიქრებაზე გაეღიმა.

ეს დღეები მისთვის და თაკოსთვის სამოთხეს დაემსგავსა. გოგონას უყვარდა იგი, მერედა, როგორ უყვარდა! მორიგი შემოვლიდან შინ შემობრუნებულს ზედ შეახტებოდა ხოლმე პატარა ბავშვივით და ყელზე ჩამოეკიდებოდა, კისკისებდა და კოცნიდა, უაზროდ ეტიტინებოდა და აღტყინებული ეფერებოდა. ასეთ დროს ჭინკები მხიარულობდნენ პირადი მცველის თვალებში, ყიჟინას სცემდნენ და მალულად ზვერავდნენ ორივეს.

იმას, რაც მათ შორის იყო, არ ერქვა სექსი...

იმას, რაც მათ შორის იყო, სიყვარული ერქვა.

ირაკლის უყვარდა იგი, უყვარდა ისე, როგორც შეიძლება უყვარდეთ ქალი...

იმ საღამოს გიგამ დაურეკა ირაკლის. საბოლოოდ გაირკვა თურმე, რომ აეროპორტის გზაზე აფეთქებისას დაღუპულთა შორის ერთ-ერთი ვიბლიანების უმცროსი ძმა ყოფილა.

— ასე რომ, ორნი დარჩნენ და ისინი ასე ადვილად არ შეეშვებიან ამ საქმეს. ფრთხილად იყავი, — უთხრა გამომძიებელმა.

— ვიცი, ვიცი. სიფრთხილე არ მაკლია, მაგრამ თქვენ რას აკეთებთ ამდენ ხანს? უფრო ოპერატიულად რომ იმოქმედოთ, არ შეიძლება? სანამ უნდა ვიყო აქ, სანამ უნდა დავიცვა ეს ბავშვი, სიცოცხლის ბოლომდე?

— მე მგონი, გსიამოვნებს კიდეც ეგ საქმიანობა, იქნებ მითხრა, რომ ვცდები?

— რას ამბობ, გიგა, საიდან მოიტანე?! — შორს დაიჭირა პირადმა მცველმა, არ ესიამოვნა მეგობრისგან ასეთი მინიშნება.

— ხმები მომდის, ძმაო, ჭურში კი არ ვზივარ. შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ მაინც მეტ სიფრთხილეს გირჩევ. გურამი არ მოგიწონებს ამ საქციელს, ჩემზე უკეთ იცი.

ირაკლის სათქმელი არაფერი ჰქონდა. გიგა მართალი იყო. როგორც ჩანს, გარე დაცვას შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი და თაკოს ურთიერთობა. არც იყო გასაკვირი. თაკო კი არა, ირაკლიც ველარ ერეოდა თავს, თვალებში მოხტუნავე ჭინკები ადვილად გასცემდნენ მის ყველაზე დიდ საიდუმლოს. არა, უნდა უთხრას თაკოს, დროებით თავი შეიკავონ სიახლოვისგან. ასე აჯობებს, თორემ ეს ამბავი თუ გასკდა, კარგი დღე არც ერთს არ დაადგება. მოუწევს სახლის დატოვება, მის ადგილს კი სხვა დაიკავებს.

ყურმილი დაკიდა და ჩაცმას შეუდგა. ქალაქში უნდა გასულიყო სურსათის საყიდლად. თაკომ თხოვნაც კი ვერ გაუბედა, თან გამიყოლეო. ირაკლი ისეთი შეუვალი სახით გაემართა მანქანისკენ, რომ გოგონა მიხვდა — მისი თხოვნა ამაო იქნებოდა.

საყიდლების სია უკვე გამზადებული ჰქონდა, თავად შეადგინა. კეთილსინდისიერად მიუდგა ამ საქმეს: მაცივარი დაათვალიერა, მარაგს გადახედა, შემდეგ სარდაფში ჩავიდა და იქაურობაც მოჩხრიკა. ჩაშუშული საქონლის ხორცის კონსერვები, მთის წყლით სავსე პლასტმასის ბოთლები, წვენები და ალკოჰოლიანი სასმელები ბლომად ელაგა თაროებზე. სხვა რამეები უნდა ეყიდა. ზოგი თვითონ შეარჩია, ზოგიც თაკოს თხოვნით ჩაიწერა და ავტოფარეხისკენ გაემართა მანქანის გამოსაყვანად. ასევე მკაცრად გააფრთხილა გოგონა, რომ მის წუწუნს თან წაყვანის თაობაზე ყურად არ იღებდა. არც უფიქრია თაკოს. იცოდა, მაინც ვერ დაითანხმებდა მორიელს.

ირაკლის წასვლის შემდეგ თაკო სააბაზანოში შევიდა წყლის გადასავლებად.

დიდხანს ინებივრა ქაფით სავსე აბაზანაში. ტკბებოდა თბილი და ცხელი წყლის ჭავლის მონაცვლეობით. მერე თავის დაბანას შეუდგა — ორჯერ შამპუნი და ბოლოს ბალზამი. გაახსენდა, გუშინ საღამოს, როცა ზუსტად ასე იწვა აბაზანაში, როგორ ესტუმრა ირაკლი... წუხელაც ასე გამოიყურებოდა, ვარდისფერ სხეულზე ორთქლი ასდიოდა, თვალები დაეხუჭა და ბალზამწასმულ თმაზე ნაზად ისვამდა თითებს. იმ მომენტში წყალი გადაკეტილი ჰქონდა და ადვილად მისწვდა მის სმენას მამაკაცის ნაბიჯების ხმა. ირაკლი კიბეზე ამოდიოდა.

პირადი მცველი სააბაზანოში შევიდა, თაკოს თვალები არ გაუხელია, ისევ ისე იჯდა და თმაში ბალზამს იზელდა. მხოლოდ ღიმილზე ეტყობოდა, რომ მისი შემოსვლა გაიგო. ქალი ელოდა, რას მოიმოქმედებდა მამაკაცი.

მოულოდნელად მისი ხელები ჰაერში აღმოჩნდა. ირაკლიმ თავისი ძლიერი ხელებით დაუჭირა მაჯები და მის ბალზამიან თითებს ტუჩებით მიეალერსა.

— მალე მორჩები? — უჩურჩულა პრინცესას.

— მიყვარხარ, — იყო პასუხი.

ამის გაფიქრებაზე თაკოს თვალებზე სიხარულის ცრემლი მოადგა. რა ბედნიერია, ირაკლის რომ უყვარს. რა ბედნიერებაა, რომ შეძლო, თავი შეეყვარებინა მისთვის. იმედია, არ მიატოვებს... არც ახლა და არც მერე, როცა ეს ყველაფერი დამთავრდება.

მას არ აქვს ამის უფლება. ყოველი დღე ხომ ისეთი კარგია, ყოველი ღამე ისეთი ლამაზი...

წყალი კვლავ გადაკეტა. წესად აქვს — ბალზამის წასმის შემდეგ სამი წუთი უნდა გავიდეს. პირისახე დაიბანა და თვალები გაახილა.

სწორედ ამ დროს შემოესმა ნაბიჯების ხმა. ის კიბიდან ისმოდა. ნუთუ ირაკლი დაბრუნდა? იქნებ დაცვის რომელიმე თანამშრომელია? არა, მათ არ აქვთ აქ შემოსვლის უფლება, ირაკლის ნებართვის გარეშე. მაგრამ იქნებ მან დაუბარა? მერე თაკო რატომ არ გააფრთხილა?

— ირაკლი? — ხმამაღლა იკითხა და მექანიკურად კედელზე დაკიდებულ ცისფერციფერბლატიან საათს ახედა.

არა, შეუძლებელია, ირაკლი ასე მალე დაბრუნებულიყო. ჯერ ნახევარი საათიც არ გასულა. ნაბიჯების ხმა არც დაცვისას ჰგავდა. აშკარა იყო, ვიღაც ქურდულად მოიპარებოდა მისკენ.

მის სხეულში შიში ტორნადოსავით ჩასახლდა, ბზრიალით დაქროდა შიგნიდან და ისრუტავდა ყველა ორგანოს, რომელსაც ეხებოდა. სუნთქვა შეიკრა დაძაბულმა. შეეცადა, პანიკური შიში დაეძლია და სმენა დაძაბა.

ნაბიჯების ხმა შეწყდა. ვიღაც შეჩერდა და გაირინდა. თაკოც გაირინდა.

ისინი! ისინი მოვიდნენ მის მოსაკლავად! — გაუელვა გონებაში. წამოდგა და აბაზანის კიდეს გადაბიჯა. თმის დაბანის დრო აღარ იყო! თეთრი ხალათი გადაიცვა და თავზე პირსახოცი გაიკრა. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად გამოაღო სააბაზანოს კარი. სად არიან?



სიჩუმე იდგა. თავი გამოყო. არავინ ჩანდა. ნუთუ მოეჩვენა? უფრო ფართოდ გამოაღო კარი. მოულოდნელად ისევ მოესმა ნაბიჯის, მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნაბიჯის ხმა და კიბის საფეხურმა დაიჭრაჭუნა. ეჭვი აღარ იყო — ისინი აქ იყვნენ. რამდენნი არიან? ორნი? სამნი? თუმცა ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს, ერთიც რომ იყოს, იოლად შეძლებს მის მოკვლას. ისევ სააბაზანოში შებრუნდა. იქ ხომ მეორე კარიც არის, რომელიც პირდაპირ მამამისის საძინებელში გადის და რომელიც დაკეტილია მას შემდეგ, რაც გურამი გაემგზავრა. ამ ოთახიდან დერეფანში შეუმჩნევლად გავიდოდა. ასეც მოიქცა. როცა მამის საძინებლიდან დერეფანში გამავალ კარს მიუახლოვდა, გარედან ჩურჩულს მოჰკრა ყური.

— ადი, რაღას ელოდები?..

— ეს კიბე ისე ჭრაჭუნობს... მეშინია, არ გაიგონოს.

— იჭრაჭუნოს მერე, მაგის დედაც!.. მიდი, მალე, დრო ცოტა გვაქვს.

ისევ ჭრიჭინი... ისევ ნაბიჯების ხმა... სავარაუდოდ, ორნი იყვნენ. თაკო კარის სახელურს ჩაებღაუჭა და მოსინჯა, დაკეტილი იყო თუ არა. ამ ოთახში რამდენი ხანია, არ შემოსულა. ახლა მთავარია, აქედან გავიდეს. იმედია, ბანდიტებმა არ იციან მისი სახლის განლაგება. სანამ რამეში გაერკვევიან, უნდა გასხლტეს. ამასობაში დაუპატიჟებელი სტუმრები ირაკლის ოთახს მიადგნენ. ის ღია იყო, ამიტომაც დაუბრკოლებლად შევიდნენ შიგნით. ამით ისარგებლა თაკომ, ჩუმად გადაატრიალა გასაღები, ფეხაკრეფით გამოვიდა საძინებლიდან და დერეფანს კედელ-კედელ გაუყვა. დაბლა ჩასვლის შეეშინდა, იქაც ვინმე არ დამხვდესო. ამიტომაც აივანზე გავიდა და სახურავზე მიდგმული სახანძრო კიბით დაბლა დაეშვა. ის იყო, გადაწყვიტა, ჭიშკრისკენ გაქცეულიყო, სამორიგეოსკენ, რომ იქვე, სახლის წინ ორი მაღალი მამაკაცი დალანდა, რომლებიც სვანურად ლაპარაკობდნენ. ამან თავზარი დასცა. უკან, უკან უნდა გაბრუნდეს, როგორმე სარდაფში ჩაღწიოს! მიწაზე გაწვა და ხოხვით ისევ კიბისკენ წავიდა, სწრაფად ავიდა მეორე სართულზე და აივანზე ჩახტა. შიშველი ფეხები ეტკინა. ბოროტმოქმედები გურამის საძინებელში შესულიყვნენ. ამით დრო იხელთა, თავის ოთახში შევარდა, მობილურს ხელი დასტაცა, ფეხები ფლოსტებში გაუყარა და ბალერინასავით ჰაეროვანი ნაბიჯებით გაირბინა დერეფანი. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, პირველ სართულზე უნდა ჩასულიყო და იქიდან სარდაფში გადაენაცვლა. რისკი დიდი იყო, მაგრამ სხვას ვერაფერს მოიმოქმედებდა. მისთვის ახლა ყოველი წამი ძვირფასი იყო. გაუმართლა, რომ პირველ სართულზე მომხდურებს შუქი ჩაექროთ. ალბათ იმ იმედით, რომ მათი მოძრაობისთვის თვალი ვერავის მიედევნებინა. როგორც ჩანს, სახლის გარეთა დაცვის თანამშრომლები ან ჩახოცეს, ან გაკოჭეს, რადგან გარეთ ორნი თავისუფლად ბაასობდნენ სვანურად. ალბათ იციან, ირაკლი შინ რომ არ არის, თორემ ასე უშიშრად ვერ გაბედავდნენ შემოსვლას. ალბათ დარაჯობდნენ. რა ცუდია, რომ გარეთ ვერ გადის. გამორიცხულია, ეზოს ისეთი გალავანი აქვს, ვერ გადაახტება. ისევ სარდაფში ჯობია დამალვა მერე პირადი მცველიც მოუსწრებს და დაიცავს. მისი მოსვლის შემდეგ აღარაფრის შიში აღარ ექნება...

შემოსასვლელი კარი გამოღებული დახვდა, როგორც ჩანს, იქიდან შემოვიდნენ. კარგად ახსოვს, გასვლის წინ როგორ ჩაკეტა შიგნიდან. ირაკლიმ კი უთხრა, ბოლომდე ჩაკეტეო, მაგრამ თაკომ მხოლოდ ერთხელ გადაატრიალა გასაღები. რა იცოდა, ასე თუ მოხდებოდა?.. ისევ მიუგდო ყური, რა ხდებოდა მაღლა. ხმების მიხედვით თუ იმსჯელებდა, მომხდურები უკვე მის საძინებელში იყვნენ, ზემოდან გაღიზიანებული ხმები ისმოდა. აკანკალებულმა სამზარეულოს გვერდი აუარა და სარდაფის კარს მიადგა. რაც შეიძლებოდა ფრთხილად ჩამოსწია სახელური და სიბნელეში ხის კიბე ფეხის წვერით მოსინჯა. მერე კარი შიგნიდან ჩაკეტა, გასაღები გამოაძრო და ჯიბეში ჩაიდო. რისთვის გააკეთა ეს, თავადაც არ იცოდა. შუქი არ აუნთია, ისე ჩაუყვა საფეხურებს. ხელის ცეცებით ცდილობდა გზის გაკვლევას. თუკი ამ კარსაც გატეხავენ, სხვაგან გასაქცევი აღარ აქვს. მაშინ ყველაფერი დამთავრდება.

ტელეფონი! ახლაღა გაახსენდა, რომ ტელეფონი წამოიღო. როგორც იქნა, ჩაამთავრა კიბე და ცივ კედელს მიეყრდნო. ხელის კანკალით აკრიბა ირაკლის ნომერი, მაგრამ... ჯანდაბას! არ იჭერს! არ იჭერს, ეს ოხერი! ფანჯარას მიუახლოვდა, რომელიც ნახევრად მიწაში იყო ჩატანებული, კვლავ სცადა დარეკვა, მაგრამ უშედეგოდ. კიდევ ერთხელ აკრიბა ნომერი, კიდევ ერთხელ და... გავიდა, როგორც იქნა! თაკომ გაიგონა მისი „ალო“, გაიგონა, მაგრამ რად გინდა... გოგონას ესმოდა ირაკლის ხმა, მას კი არ ესმოდა მისი. დაყვირება არ შეეძლო. მერე 022-ის აკრება სცადა. ესეც ამაოდ, არაფერი გამოუვიდა. ღონემიხდილი იქვე, კედელთან ჩაჯდა. ტელეფონი ჯიბეში ჩაიდო, მუხლები მოიკეცა და თავი ხელებში ჩარგო. რას ნერვიულობს ნეტავი?.. ხომ იცის, რომ ასეთი სიტუაციიდან თავისით ვერ დააღწევს თავს. მოკლავენ, აუცილებლად მოკლავენ. დღეს თუ გადაურჩა, ხვალ მაინც მოვლენ და მოკლავენ. მთელი ცხოვრება ხომ არ დაიცავს ირაკლი, ყოველ წამს მის გვერდით ხომ არ იქნება, როგორც ახლა. ერთხელაც მოჰბეზრდება ასეთი ყოფა და მორჩა!.. ეშინია სიკვდილის. მაგრამ ასეთი ცხოვრება უფრო საშინი არ არის? განა ღირს მისი სიცოცხლე იმად, რომ ასე ჩაებღაუჭოს?!.

სარდაფში ხმები ძლივს ისმოდა, თუმცა ბანდიტები უკვე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ისინი მიხვდნენ, რომ თაკო გაიქცა და ამიტომ ჩურჩულს აზრი არ ჰქონდა.

„ვაითუ, სველი ფეხებით კვალი დავტოვე? მაგრამ მერე ხომ ჩავიცვი ფლოსტები! ნუთუ მიხვდებიან, სარდაფში რომ ვიმალები? იქნებ გამიმართლოს და ვერ მიხვდნენ? იქნებ გამიმართლოს და ირაკლიმ მომისწროს? ისიც რომ მოკლან?.. ღმერთო, შენ გვიშველე!“ — გოგონამ ერთი ყრუდ ამოიკვნესა და თვალები დახუჭა.

მეტი გასაქცევი აღარ აქვს.

და არც არის საჭირო. ბედისწერას ვერსად გაექცევი.

ირაკლიმ ხმა ვერ გაიგონა ტელეფონში, მაგრამ ნომრის მიხედვით მიხვდა, თაკო რომ ურეკავდა. იმასაც მიხვდა, ცუდად რომ იყო საქმე. ნერვიულობისგან სახეზე ნაიარევი აეწვა. ასე იცოდა, როცა რაღაც ძალიან აწუხებდა. მაშინვე გიგასთან დარეკა და ოპერატიული ჯგუფის სასწრაფოდ სახლისკენ მობილიზება სთხოვა. სავსე ცელოფანის პაკეტები მანქანაში შეყარა და დაქოქა. მთელი სისწრაფით მოწყვიტა ჯიპი ადგილიდან. რამდენიმე წუთში მასთან უნდა გაჩნდეს და გადაარჩინოს, სხვანაირად არ შეიძლება... გრძნობდა, რომ ეს რამდენიმე წუთი ძალიან ბევრი იყო იმისთვის, საყვარელი ადამიანი სიკვდილს გადაერჩინა...

...თაკო არ განძრეულა, როცა სარდაფის კარზე ჯაჯგურის ხმა გაიგონა. დაე, შემოვიდნენ, დაე, ესროლონ. არ ღირს, შეეცადოს სიკვდილის მოტყუებას. ეყოფა! ის ამას ვერ შეძლებს. ის მზადაა, მოკვდეს. რაც იქნება, იქნება. იქ დედა ელოდება, საყვარელი დედა, რომელიც თბილად მიიღებს, ჩაიხუტებს, მოეფერება... აქვს კი სულს ხელები, რომ მოეხვიოს? შეიძლება კი სულის სითბოს შეგრძნება? იგრძნობს სიამოვნებას დედის შეხებისას? თუ ყველაფერი უფრო მარტივად ხდება: „გამარჯობა, შვილო, კარგია, რომ მოხვედი, მე გელოდი“, — ეტყვის დედა და ამით დამთავრდება მათი შეხვედრა?

იქნებ წავიდეს და თავად გაუღოს კარი? მოჰბეზრდა სიკვდილის მოლოდინი. გააღებს. დაე, ესროლონ. ძნელია სიკვდილის დალოდება, თანაც საშიში. მოლოდინის უფრო ეშინია, ვიდრე სიკვდილის.

წამოდგა. გრძელი ხალათი მკერდზე გადაეღელა. გაისწორა, ქამარი მჭიდროდ შემოიჭირა და კარისკენ გაემართა. საფეხურებს აუყვა. მიაყურადა... ყურებს არ დაუჯერა... კარს იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ირგვლივ სიწყნარე სუფევდა, სამარისებური სიჩუმე. ნუთუ წავიდნენ? ნუთუ ვერ შეძლეს კარის გაღება?

„ბედისწერას ნუ ემდური, თაკო. შენ ის გიცავს“, — გაახსენდა ირაკლის ნათქვამი.

„ნუთუ ირაკლი მართალი იყო? ნუთუ მართლა იცავს ბედისწერა? იქნებ ვინმემ შეაშინა ისინი? იქნებ დაბრუნდა მორიელი და ამიტომაც გაიქცნენ? ნუთუ რამდენიმე დღით გადადეს ჩემი მოკვლა?“ ჰო, ალბათ ირაკლი დაბრუნდა... მაგრამ გარეთ გამოსვლა მაინც ვერ გაბედა...

და კვლავ სარდაფში ჩაბრუნდა.

ჩაბრუნდა და მწარედ ჩაეცინა: მიწაში ჩატანებულ ფანჯარასთან ორი ადამიანის სილუეტი დალანდა. მინის ჩამსხვრევას რა უნდა? სულ ორი წამი.

როგორ შეცდა ირაკლი, არავითარი ბედი მას არ იცავს. მისი საქმე დამთავრებულია. ბედი ყველას განსხვავებული აქვს. მასაც. ერთი წუთის შემდეგ მისი მკვლელები აქ იქნებიან და ბოლოს მოუღებენ...

მინის ჩამსხვრევის ხმა გაისმა.

არა, ერთი წუთის კი არა, ათი წამის შემდეგ იქნებიან აქ!.. იქვე, კედელთან ჩაჯდა ისევ და ხალათის კალთა თვალებზე აიფარა. მას არ უნდა დაინახოს, როგორ მოკლავენ. „დედა, საყვარელო, მე უკვე მოვდივარ შენთან...“

გარედან მდგომნი ვერაფერს ხედავდნენ ბნელ სარდაფში, მაგრამ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გოგონა იქ იმალებოდა.

ერთ-ერთი მათგანი დაიხარა და ფანჯარაში რაღაც შეაგდო.

— ჰა შენ, საჩუქარი, ლამაზო! — დაიყვირა მან. — მიდი, გაიქეცი კარისკენ, იქ გელოდებით!

და სარდაფის კარზე კვლავ ჯაჯგურის ხმა გაისმა.

თაკომ თავი ასწია. სარდაფის იატაკზე, შუაგულში რაღაც შიშინებდა. გაზის სუნი ეცა. აი, თურმე, რაშია საქმე!.. მისი გაზით მოწამვლა გადაწყვიტეს. ახლა მან, შიშისგან შეძრწუნებულმა, კისრისტეხით უნდა აირბინოს საფეხურები და კარს მიასკდეს... იმისთვის, რომ უფრო ადვილად მოკლან!

„არ გამოგივათ ნომერი, დამპლებო! მირჩევნია, ლამაზად მოვკვდე, ვიდრე შუბლზე მიჭედებული ტყვიით. მე ხომ ირაკლიმ უნდა დამიტიროს. ამ დროს კი ლამაზად უნდა გამოვიყურებოდე. თქვენ ამას ვერ გაიგებთ, მე ხომ ქალი ვარ. ამიტომ მინდა, ლამაზად მოვკვდე“.

არ განძრეულა. იქვე დარჩა, სადაც იჯდა. მხოლოდ ხალათის კალთა აიფარა ისევ სახეზე. ნეტავ რამდენი წამი დარჩა? იქნებ წუთიც?.. კვლავ ამოიღო ტელეფონი და კიდევ ერთხელ დააჭირა ღილაკს თითი. რა თქმა უნდა, მობილური არ იჭერდა. და გოგონა ისე, თავისთვის, ხმამაღლა ალაპარაკდა.

— ირაკლი, მისმენ? დიდი მადლობა ყველაფრისთვის... შენ კარგი ადამიანი ხარ... მიყვარხარ, სიხარულო... მშვიდობით.

იგრძნო, როგორ აეწვა თვალები და დაეხშო ნესტოები. სუნთქვა უკვე აღარ შეიძლებოდა. ცრემლები ღვარად ჩამოედინა ღაწვებზე. ცრემლმდენმა გაზმა თავისი ქნა — ხალათშიც გაატანა. როგორ უნდათ, გამოიტყუონ სარდაფიდან. რომ პანიკაში მყოფი, კარს ეცეს და პირდაპირ მათ ჩაუვარდეს ხელებში. „ვერ მოგართვით! ამას ვერ ეღირსებით, საზიზღრებო!“ არც უცდია წამოდგომა. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა იქნებოდა შემდეგ — თავბრუსხვევა? გულის წასვლა? სიკვდილი? თუ ამისგან არ კვდებიან? ძლიერად დახუჭა თვალები, უფრო მჭიდროდ შემოიხვია სახეზე ხალათის კალთა, ცდილობდა, ღრმად არ ესუნთქა.

მაგრამ როცა ნახავენ, რომ კარიდან არ გამოვა, ფანჯრიდან შემოსვლას არ ეცდებიან? აი, მაშინ კი მართლა ვერსად გაექცევა მკვლელებს...

ცრემლი მეტად მოეძალა, უფრო და უფრო ეწვოდა თვალები, რომელსაც უკვე ვეღარ ახელდა. ან კი რისთვის? დღეს ხომ მისი უკანასკნელი დღეა. მისი ერთადერთი მცველი ირაკლი იყო, რომელიც ახლა სუპერმარკეტში დადის და მისთვის ნაირ-ნაირ საჭმელ-სასმელს ყიდულობს და აზრადაც არ მოუვა, რომ ამაღამ მარტოს მოუწევს ვახშმობა.

თაკოს სუნთქვა აღარ შეეძლო. ძალა არ ჰყოფნიდა, გამკლავებოდა სარდაფში დაგუბებულ აირს. თავბრუ დაეხვა, ყელი და სასუნთქი ორგანოები ეწვოდა. გონება ნელ-ნელა ებინდებოდა. ალბათ ეს სიკვდილის წინა წუთებია... მალე მოკვდება...

და უეცრად დედა დაინახა. მას ხელები შვილისკენ გამოეწვდინა და უღიმოდა. თაკომ თავი მკერდზე მიადო მშობელს. როგორ უნდოდა, ამ წუთებში მოეყოლა მისთვის ყველაფერი, კარგიც და ცუდიც, ირაკლიზე ელაპარაკა, მამაზეც, მაგრამ... მოულოდნელად დედამ ხელი უშვა და განერიდა. მერე კი უბრძანა, თვალები გაეხილა...

— თაკო, გესმის ჩემი? თაკო! გაახილე თვალები!

ვიღაცამ ლოყაზე შემოჰკრა ხელი.

— გთხოვ, შემომხედე! გემუდარები, გაახილე თვალები!

და ისევ შემოჰკრეს სილა. ამჯერად უფრო ძლიერად.

— თაკო! თამარ! გაიღვიძე, უნდა გაიღვიძო, საყვარელო! გესმის ჩემი?!

ეს დედის ხმა არ იყო, ეს ირაკლი იყო.

როგორ, ისიც მოკვდა? — შეეშინდა უცებ.

...ნელ-ნელა გონება დაუბრუნდა. ლაპარაკის ხმები შემოესმა. მერე ისევ მორიელის ყვირილი გაიგონა.

— ვინმეს ნიშადური ხომ არ გაქვთ?

— გაგიჟდი?! საიდან გვექნება, რას ამბობ! — ლამის ზედ ყურთან მოესმა უცნობი ხმა. — „სასწრაფო“ საცაა, მოვა, ისინი მოიტანენ.

— დროზე უნდა მოვიყვანოთ გონს, მიდი, თაკო, მიდი, გაიღვიძე, შემოგევლე!

სინათლემ თვალი მოსჭრა. ყელი და თავი აუტანლად სტკიოდა. ისევ დახუჭა თვალე-

ბი, რომელიც საშინლად ეწვოდა.

— როგორც იქნა! — გახარებულმა შესძახა მამაკაცმა. — ნუ გაახელ თვალებს, არ გინდა. ეცადე, წამოდგე, დაგეხმარები...

უცნაურია... ის ცოცხალია... კი, მაგრამ დედა?.. ის ხომ აქ იყო, მის გვერდით! ნუთუ მართლა ცოცხალია?! ნუთუ არ მოკვდა? ნუთუ მართლა იცავს ბედისწერა?

— ფრთხილად, ნელ-ნელა... აი, ასე... პირველ რიგში, თვალები უნდა დავიბანოთ. „სასწრაფო დახმარება“ ახლავე მოვა, მანამდე კი წყლით მოვიბანოთ, ეს აუცილებელია... წამოდი, პატარავ, წამოდი... — ნერვიული ხმით ლაპარაკობდა ირაკლი და ნაბიჯის გადადგმაში ეხმარებოდა. გოგონას სიარული უჭირდა. მამაკაცმა არ დააყოვნა. ხელში აიტაცა დამძიმებული და სირბილით აუყვა მეორე სართულს.

ცოტა ხანიც და მორიელმა თაკოს სახე მთლიანად ცხელ წყალში ჩააყოფინა, მერე ყელშიც გამოავლებინა, მერე ისევ თვალები მობანა... გააწამა, ბოლომდე გააწამა. გოგონა ფეხზე ძლივს იდგა. სამაგიეროდ, ამ მტანჯველი პროცედურის შემდეგ, თვალის გახელა შეძლო. ცრემლები არ სდიოდა, თუმცა მთლიანად ჰქონდა გუგები ჩაწითლებული. თაკომ სარკეშიც კი დაინახა თავისი თავი...

ნეტავ არ დაენახა! ბალზამწასმული თმა გაშრობოდა და უაზროდ ჰქონდა გაფშეკილი; გასივებული ცხვირი გასწითლებოდა; თვალები ხომ... ერთი სიტყვით, „შესანიშნავი“ სანახავი იყო!

— გმადლობ, ირაკლი, — ჩურჩულით თქვა. როგორ არ უნდოდა, მამაკაცს იგი ასეთ მდგომარეობაში დაენახა! — შეიძლება, წყალი გადავივლო?

ირაკლი წამით ჩაფიქრდა.

— მგონი, უკეთესიც იქნება. გინდა, დაგეხმარო?

— არა, სხვები რას იტყვიან?!.

— ამწუთას ვერავინ ვერაფერს იტყვის, მოდი.

თბილი წყლის ქვეშ სულ რამდენიმე წუთი დაყო. ირაკლი იქვე, გამოღებულ კართან ზურგშექცევით იდგა და დარაჯობდა, რომ სხვებს სალაპარაკო არ მისცემოდათ.

მორიელი ჩაცმაშიც მიეხმარა. გოგონამ ოდნავ მოითქვა სული, გაცილებით უკეთ გახდა. მერე დაბლა ჩავიდნენ ორივენი. თაკო გაოგნდა. სახლი ფორმიანებით გავსებულიყო. მეხანძრეებს ჰგავდნენ. მათ აქ რა უნდათ, სახლს ცეცხლი ხომ არ წაუკიდეს?.. მის გამოჩენაზე ყველა ახმაურდა. ზოგმა დაუსტვინა კიდეც.

— როგორ შეგვაშინე, რომ იცოდე, — თქვა ერთმა, — ჩვენ უკვე ცოცხალი აღარ გვეგონე.

— მეც მეგონა, რომ უკვე მოვკვდი, — გაიღიმა თაკომ, — მაგრამ როგორც ხედავთ, ცოცხალი ვარ... აქ რა, ხანძარი იყო?

— არა, — მხიარულად გამოეპასუხა მეორე, — შენმა პირადმა მცველმა მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა. პოლიცია, სახანძრო, „სასწრაფო“... მაგრამ რად გინდა? პირველები ჩვენ მოვედით. პოლიცია და ექიმები ჯერ კიდევ გზაში არიან.

— დიდი მადლობა ყველას!

— მადლობა იმას უთხარი, ირაკლის. ის რომ არა, ჩვენ ვერაფერს გავხდებოდით. უფრო სწორად, ჩვენ გადაგარჩინეთ, მაგრამ მას რომ არ დაერეკა, დაგვიანებული იქნებოდა. კიდევ კარგი, ჩვენ მაინც მოვაღწიეთ დროზე.

თაკომ ახლაღა შეამჩნია, რომ მეხანძრეებს ხელში თითო ქილა ლუდი ეკავათ. ირაკლის არ დავიწყებია მათი გამასპინძლება.

„სასწრაფო დახმარების“ მანქანა თხუთმეტი წუთის შემდეგ მოვიდა, პოლიციაც ფეხდაფეხ მოჰყვა. ამასობაში თაკომ მეხანძრეებისგან ყველაფერი გაიგო. ისინი მოვიდნენ სახლში, ნახეს, რომ ხანძარი არ იყო, მაგრამ გაბრუნებაზე არ უფიქრიათ. მაინც შემოუარეს სახლს და დაინახეს ჩალეწილი ფანჯარა. ფარანი რომ შეანათეს, იატაკზე გულწასული ქალი შენიშნეს, მაშინვე შეცვივდნენ სახლში. იქვე ოთხი უცხო ადამიანი დალანდეს, რომლებიც მათი გამოჩენისთანავე გაიქცნენ. არ გაჰკიდებიან, ეს მათ მოვალეობაში არ შედიოდა. სარდაფის კარის შემტვრევა გაუჭირდათ, ამიტომაც ისევ ფანჯრიდან არჩიეს გადაძრომა. მერე გაზის სუნი ეცათ. მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე და თაკო სასწრაფოდ გარეთ გამოიყვანეს. მერე ირაკლიც მოვიდა და ყველაფერი მოგვარდა...

მთელი ამ ხნის განმავლობაში ირაკლი უხმოდ იდგა ფანჯარასთან და ღიმილით მისჩერებოდა მოსაუბრეებს. მერე თაკოს მიუახლოვდა და ხმადაბლა უთხრა:

— ხომ გითხარი, ბედისწერა გიცავსმეთქი. შენ კი არ მიჯერებდი.

— არა იმდენად ბედისწერა, რამდენადაც შენ... მადლობა ამისთვის.

— მე რა, — მხრები აიჩეჩა მამაკაცმა, — მე მხოლოდ ბედისწერის იარაღი ვარ, ინსტრუმენტი, ასე ვთქვათ, მის მიერ გამოგზავნილი.

ამ დროს გოგონას „სასწრაფოს“ ექიმი მიუახლოვდა და საუბარი გააწყვეტინა. ირაკლი კი გიგასკენ გაემართა, რომელიც იმწუთას გამოჩნდა ჰოლში.

— როგორ მოახერხეს ხუთი კაცის გაკოჭვა, ვერ წარმომიდგენია, — ქოშინებდა გიგა.

— თვითონ იმათ ჰკითხე, მე რა ვიცი. ეს არის, სპეცრაზმის ბიჭები არიანო?

— ისინიც ოთხნი ყოფილან.

— გასაგებია, მაგრამ ასე როგორ შეიძლება, გიგა? შუაღამე რომ ყოფილიყო, ვიფიქრებდი, ეძინათ და გამოეპარათ-მეთქი. ცხრა საათი იყო, მეტი ხომ არა?

— არ ვიცი, არ ვიცი... ვერც ერთი ხმას ვერ იღებს. იცი, რომ ძლივს ვიპოვეთ?!. გალავნის ბოლოს, თხრილში ჩაუგდიათ ხუთივე. მაგათ მე მივხედავ, ვიცი, რასაც ვიზამ... ქუჩის კუთხეში საბურავების ნაკვალევი შეინიშნება. იქნებ შევძლოთ დადგენა, რა მანქანით იყვნენ.

— რა აზრი აქვს?

— პატრონს თუ დავადგენთ, იქნებ კვალზეც გაგვიყვანოს.

მორიელმა უიმედოდ აიჩეჩა მხრები.

— აბა, სხვა რა გავაკეთოთ, ირაკლი? როგორ დავიცვათ ბავშვი?

პირადმა მცველმა თაკოსკენ გაიხედა. მას ინჰალაციას უტარებდნენ. ექთანი კი ტელეფონზე რეკავდა, ოფთალმოლოგს იძახებდა შემთხვევის ადგილზე.

— რამეს მოვახერხებ. საერთოდ არ გავალ სახლიდან. ბოლოს და ბოლოს, ვიღაცას დავიქირავებ და პროდუქტს იმას მოვატანინებ. კარგი იქნება, თუ გარეთა დაცვას გავაძლიერებთ. ეზოშიც უნდა დავაყენოთ ვინმე. შენ შეგიძლია ამის მოგვარება?

— აბა, რას ვაკეთებ, თუ იცი? რისთვის ვარ აქ?.. ამ ყველაფერზე უკვე ვიზრუნე, მაგრამ... ცოტა ძვირი ჯდება ეგ სიამოვნება.

— მამამისი გადაიხდის, ფულის პრობლემა არ არის. მაგრამ მე მეუხერხულება მასთან ამ თემაზე საუბარი. მე სერიოზულ თანხას მიხდიან.

— შე კაცო, დროზე გეთქვა ეს ყველაფერი და ამ საშინელებასაც ავცდებოდით. რაღაც „კაპიკებზე“ მომუშავე პოლიციას გმირობა რატომ გინდა მოსთხოვო, ვიღაც ცინგლიანი გოგოს გულისთვის?

ირაკლი ჩაფიქრდა.

— მართალი ხარ. ამაზე ადრე არ მიფიქრია. აჯობებს, გიოს დაველაპარაკო, საცაა, მოვა.

ამ დროს კარი გაიღო და გიო შემოვარდა დაფეთებული. ირაკლიმ მისი დამშვიდება სცადა. როცა ამბის მოყოლა დაამთავრა, გიგასთან ნალაპარაკევიც მოაყოლა.

— რაზეა ლაპარაკი?! თუ საჭიროა, გადავიხდით, აბა, რას ვიზამთ. ოღონდ კი თაკოს არაფერი დაემართოს და ნებისმიერ თანხას გავიღებთ. რამდენი კაცია საჭირო?

— ალბათ ოთხი. რაც მეტი, მით უარესი: ერთმანეთის იმედზე იქნებიან და უფრო გააფუჭებენ საქმეს.

— შე კაცო, ხუთნი ყოფილან და ვერ გაუმკლავდნენ...

— იმიტომ, რომ მათ არაფერს უხდიდნენ. თუ გადაუხდით, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქმეს. რასაც ისინი ვერ გასწვდებიან, მე მივხედავ.

წასვლის წინ გიგამ ირაკლი განზე გაიხმო.

— იცოდე, დაჟინებით მოვითხოვ: დღისით კარგად გამოიძინეთ და საქმეს ღამე მიხედეთ. დღე თავდასხმის შანსი ნაკლებია, ჩემგან არ გესწავლება. მერე კიდევ, ღამით შუქი ანთებული არ დატოვოთ არც ერთ ოთახში, ჟალუზები ჩამოუშვით, ბოლოს და ბოლოს. არ გეშინია, რომ გესროლონ? ერთ ღამეს, აქეთ რომ შემოვიარე ბიჭების სანახავად, ფანჯარაზე გქონდა თავი მიდებული. მე თუ დაგინახე, სხვებიც დაგინახავენ, გაუჭირდებათ თუ?! სადმე გასვლას თუ დააპირებ, სიგნალიზაცია აუცილებლად ჩართული დატოვე. ხომ ხედავ, რა ძალიან უნდათ მისი მოკვლა. ამით ყველაზე მეტად შენ დაზარალდები, იცოდე, — ბოლო წინადადება ხმადაბლა ჩაილაპარაკა გიგამ და მრავლისმეტყველი მზერა სტყორცნა მეგობარს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟურნალის საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგიხედეთ თვალი.

1. რა ერქვა ლოდების სატყორცნ მანქანას, რომელსაც ქართველები ბრძოლებში ციხესიმაგრეების დასანგრევად იყენებდნენ?

2. ქალაქ სიდნეის დათვალიერებისას, ავტობუსში მჯდომ ტურისტთა ყურადღების მისაპყრობად, გიდმა ასეთი რამ გამოაცხადა: „ახლა გავივლით ამ გვირაბს და გამოჩნდება სიდნეის ერთ-ერთი უბანი, რომლის უკლებლივ ყველა მობინადრემ თავი დაანება სმასა და სიგარეტის მოწევას!“ ტურისტები ცნობისმოყვარეობისაგან ავტობუსის ფანჯრებს აეკრნენ. რა დაინახეს მათ რამდენიმე წუთში?

3. დაასრულეთ სომხების საყვარელი გამოთქმა: „ხაშს არ უხდება კონიაკი, ქალი და...“

4. პირველი ტანკების ეკიპაჟის წევრებს, შუა საუკუნეების რაინდთა მსგავსად, აბჯარი ეცვათ. რატომ?

5. რამდენი ტყვია ჩადის ავტომატ „კალაშნიკოვის“ მჭიდში?

6. რომელ აღმოსავლელ ტირანს ეკუთვნის ეს სტრიქონები: „თუ არის ღვინო ტკბილ სურნელი, ჰეი, მერიქიფევ, არ დავრჩეთ ერთ წუთს ჩვენ ფხიზელი, ჰეი მერიქიფევ, გაავსე ჯამი, მალე ამქვეყნად აღარ იქნება, აღარც ეს ღვინო, აღარც მსმელი, ჰეი, მერიქიფევ!“

7. სადაური წესია სიკვდილმისჯილისათვის ნაჯახით თავის მოკვეთა?

8. ეს მაფიოზი მარტო არასდროს დადიოდა. მას ამერიკის პრეზიდენტზე უფრო დიდი დაცვა ჰყავდა. დაასახელეთ იგი.

9. დაასახელეთ საყოფაცხოვრებო ნივთი, რომელსაც ფილადელფიაში ძეგლი დაუდგეს.

10. ბეისბოლისტთა რომელი კლუბის მფლობელი იყო ჯორჯ ბუში?

11. რა არის შედლუხი?

12. ცნობილ მათემატიკოს — გეორგ დანციგს სტუდენტობისას ასეთი რამ შეემთხვა: ერთ-ერთი ლექციის დასასრულს, მან პედაგოგის მიერ დაფაზე დაწერილი ამოცანები ჩაიწერა, მეორე დღეს კი სასწავლებელში მისულმა პროფესორს რვეული გაუწოდა და მოუბოდიშა, — ამ რვა ამოცანიდან მხოლოდ ოთხის ამოხსნა შევძელიო. პროფესორმა გაკვირვებისგან პირი დააღო. რა გაუკვირდა პედაგოგს ასე ძალიან?

13. დაასრულეთ ცნობილი რუსული გამონათქვამი: „ნეჩევა პორტიტ ხაროშუიუ ისტორიუ...“

14. რა ნათესაური კავშირი ჰქონდათ ჯუდი გარლანდსა და ლაიზა მინელის?

15. ვის ეძახდა ფროიდი ბნელ კონტინენტს?

„ჯორჯ, მოი ტიბე სოვეტ...“

წინამდებარე მასალა 2006 წლის მაისში (რუბრიკით – „ანტიდეპრესანტი“) გამოქვეყნდა ჩვენს ჟურნალში. დღეს მას უცვლელად ვთავაზობთ მკითხველს

„ერთი კვირის წინ ახლობელმა, ინტერნეტში მოძიებული ვიდეომასალა მომაწოდა, – შენს რუბრიკაში გამოიყენეო, – წერდა მასალის ავტორი. ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ გადავწყვიტე, ამ ერთხელ დამერღვია რუბრიკის ფორმატი და ჩვენი ჟურნალის მკითხველისათვის უცვლელი სახით მიმეწოდებინა ეს მასალა.



მაშ ასე! ბაღდადი. ამერიკა-ერაყის ომი. ერაყელთა მხარდასაჭერად ჩასული და ქალაქის ერთ-ერთ ბუნკერში უშიშრად მოკალათებული, საკუთარი დაცვის წევრებით გარშემორტყმული და არყით გალეშილი ვლადიმირ ჟირინოსვკი „ისტორიულ“ მონოლოგს წარმოთქვამს. კადრები სამოყვარულო კამერითაა გადაღებული. თავად ვიდეორგოლს რომელიღაც არაბული ტელეარხის ლოგო ამშვენებს. მკითხველს წინასწარ ვთხოვ პატიებას, რადგან იმ უცენზურო სიტყვების გამეორება მიხდება, რომლითაც ასე მდიდარია რუსული ენა და ჟირინოვსკის სამეტყველო ლექსიკონი. ახლა კი – სრული სიჩუმე! „ჟირიკის“ ნაბოდვარს მოვუსმინოთ. იგი ჯორჯ ბუშს „ისტორიული სიტყვით“ მიმართავს:

„ნე ნადო შუტიტ ს ვაინოი, ბლიად!.. სდეს დრუგიე რებიატა!.. ეტა ნე გერმანია!.. ნე ავგანისტან!.. ჯორჯ, ტვაიხ სალდატ ზდეს პარვუტ ნა ჩასტი!.. ტი პრედ-

სტავ 250000 ატბორნიხ სალდატ ირაკა, ბლიად!.. ანი ვსიო რაზნისუტ!.. ანი ვსიუ პუსტინიუ პრაიდუტ ზა ადინ ჩას!... ანი ვზარვუტ ვსე ტვაი ესმინცი, ვსეხ ტვაიხ ჟურნალისტოვ, დიპლომატოვ!... ჯორჯ, ტი ჯავბოი!... ტი ასტანავის, ბლიად, ნე ჯანჩაი!.. ტი პატრონი სპრიაჩ პოდალშე ნა სულად!.. ი ზაბუდ პრო სვაევო პაპუ!.. უ ნას ბილ ადინ მუდაკ, ატამსტილ ზა ბრატა, ბლიად, ი რუხნულა ველიკაია რასისკაია იმპერიას!.. ი დრუგოი ჩუდაკ, ბლიად, ზა სვაივო დედუშკუ ატამსტილ, ი რუხნულ სავეტსკი საიუზ!.. ი ტი პავტარიშ ტუჟე აშიბკუ... უ ვას ნიკტო ნე ხოჩეტ ჟიტ ვ ამერიკე, ნიკტო... ეტო ბარახოლკა, ბლიად, ა ნე სტრანა... დოლარ, დოლარ, დოლარ... გრიაზნაია, ზელიონნაია ბუმაშკა... ნი დუში! მუზიკი ნეტ უ ტებია, პისატელეი... ვეს მირ სლუშაეტ ჩაიკოვსკოვო, დოსტოევსკოვო, ბლიად, ფესტივალი... სპორტ... ტოლკო რასსია, ბლიად, ი რასია შას სდეს, ვ ირაკე. ვოტ სდეს ლიუბიატ პრეზიდენტა, ა ტებია პრიზირაიუტ, ბლიად, პრიზირაიუტ... ტვოი პრედშესტვენნიკ, ბლიად, ულინტონ, ბლიად, ემუ შირინკუ რასტიგნული პრიამო ვ რაბოჩემ კაბინეტე, ი სავსემ უჟე ნუჟნა ახუეტ, შტობი კაკაიატა პრასტიტუტკა, ბლიად, ვ კაბინეტე გლავი გოსუდარსტვა ემუ ატსასივალა!... ეტო შტო, ამერიკა, ბლიად? და ვამ პიზდეც დავნო უჟე!.. ვი შტო დელაიტე?!.. მონიკა, ბლიად!.. კაკოი ნა ხუი პრეზიდენტ?! კაკაია ვოინა, ბლიად?! კაკოი ბლიჟნი ვოსტოკ, ბლიად?! მინეტჩიკი ჩორტავი, ბლიად, ანანისტი, პედერასტი, ბლიად!.. ჯორჯ, პასმატრი კავბოისკი ფილმ, პასმატრი, სკოლკო ტრუპოვ, სკოლკო კროვი... ი ტამ უბილი, ი ზდეს უბილი. ია ზდეს ი ია ტებე ზდეს გავარიუ, პასმატრი კაკოე ნებო, ბლიად!.. ბაგდად!.. ბაგდად, ეტო ნე ბერლინ, ეტო ნე ჯაბულ! ტი ნიკაგდა ზდეს ნე დასტიგნუშ პობედი, პატამუ შტო მი ზნაემ ეტოტ ნაროდ, მი ზნაემ ეტოვო პრეზიდენტა, ონ ოდინ ნა ვსიუ პლანეტუ ტებია პოსილაეტ ნა ხუი!... ოდინ! ვსიო ოსტალნოე, ბლიად, ლებესდიატ პერედ ტაბოი!... ვისტრაილის ვ სტროი, შტობი ტებე პოკლონიტსა! ა ონ ადინ, სიდიტ ზდეს 11 ლეტ, 11 ლეტ ტებე საპრატივლაეტსა, ი ტი ტვაეი მოშჩნოი, ხრენოვოი ეკონომიკოი, სო სვაეი მილიონნოი არმიეი, სო სვაიმი ფლატამი, რაკეტამი ნი ხირა ნე მოჟეშ სდელატ. ტი ბომბიშ ეტუ სტრანუ ჯაჟდი დენ, ტი უბივაეშ დეტეი, ა სალდატი ირაკა სედიატ გატოვიე ჯ ბოიუ ი ტი ბაიშსა სიუდა ნაპრავიტ სვაიხ სალდატ, ი ტი ბოიალსა 11 ლეტ ნაზად, ი ტვოი ატეც ბოიალსა, ა იაბლოკო ოტ იაბლონი ნე დალეკო პადაეტ!... ტი ნიკოგდა ნე პობედიშ, ეტო ბუდეტ ტვოიო პოსლედნეიე პორაჟენიე!.. მოი ტებე სავეტ: სადის ნა ჯიპ ი ობიეჟკი სვაი პუსტინნიე ზემლი ი უჩი ისპანსკი იაზიკ, ა ნიუ-იორკ უჟე გავარიტ პო-რუსკი!.. მი ნაპრავიმ ვ ამერიკე ეშჩო 10 მილიონოვ რუსკიხ, ი იზბერიომ ვ ამერიკე სვოევო პრეზიდენტა, ა ტი, ჯორჯ, პოლუჩიშ ხაროშუიუ კამერუ ვ ბუტირკე! ტი პონიალ, ჯორჯ?! ვოვრემია ოსტანავის! ტი ნიკაგდა ნე სმოჟეშ ზდეს დაბიტსა პობედი!... ვსე არაბი მირა, ვსე მუსულმანე მირა, ვსია ვოსტოჩნაია ევროპა პროტივ ტებია! მოსკვა პროტივ ტებია! მოსკვა ნე ხოჩეტ ეტოი ვოინი, ი ტებე ნაშ პრეზიდენტ ეტო იასნა პო-რუსკი სკალ: ნე სმეტ სტრელიატ პო ბაგდადუ, ლუჩშე ვმესტე ებანიომ პო ტბილისი!.. ბაკუ!.. დრუგიე გოროდა!.. მი ნაიდიომ ცელი ნა ეტოი ზემლე! სტოლკო ზემლი, ბლიად!.. ხოჩეშ ავსტრალიუ ნა ხუი აპუსტიმ, ბლიად, ნა დნო ოკეანა? დავაი!.. პოკაზატ ტებე ნაში რაკეტი?!. ბლიად!.. ხოჩეშ, ბლიად?! უ ნას ზდეს ორუჟიე, ბლიად, ნოჩიუ

ნაში უჩონიე ჩუტ-ჩუტ იზმენიატ გრავიტაციონოე პოლე ზემლი ი ტვოია ზემლია ბუდეტ პოდ ვოდოი! 24 ჩასა, ბლიად, ი ვსია სტრანა ტვოია ბუდეტ პოდ ვოდოი, ატლანტიჩესკოვო ი ტიხოვო ოკეანა!.. ტი ს კემ შუტიშ, ბლიად?! ტი პოდუმაი, ბლიად!.. ტი პომნიშ, ჩემ კონჩილ ბონაპარტ?!. ჩემ კონჩილ გიტლერ?!. ვსე ოსტალნიე?! ტი სოვერშიშ ისტორიჩესკუიუ აშიბკუ!.. ტვოი პაპა ტებე ბლაგოდარენ ნე ბუდეტ! ზაბუდ ევო, ტვოევო პაპუ! ტვოი გენერალი ტებე გოვორიატ, ნე ნაჩინაი ვაინუ! ეშჩო ნე პოზდნო! ეშჩო 21 იუნია 1941 გოდა!"

რამე ხომ არ გამომრჩა? ჰო, მართლა, რუსეთის ერთ-ერთმა რადიომ ამ ტექსტის მიხედვით შექმნა სიმღერა, რომელშიც სიტყვები – „ნე სმეტ სტრელიატ პო ბაგდადუ, ლუჩშე ვმესტე ებანიომ პო ტბილისი!.." – მთავარ თემად ტრიალებს. ■

ჟურნალის საკანონმდებლო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ფილაკვანი.
2. ქალაქ სიდნეის უზარმაზარი სასაფლაო.
3. „...გრძელი სადღეგრძელოები".
4. ტანკის ჯავშანი გადაბმის ადგილებში ტყვიებს ატარებდა.
5. 30.
6. შაჰ-აბასს.
7. ძველი რომაული.
8. ალფონსო კაპონე.
9. სარეცხის სამაგრი.
10. ტეხასის „რეინჯერსის".
11. ასე ეძახიან გურიაში თოფის ხშირ, საზეიმო სროლას.
12. საქმე ის არის, რომ პროფესორმა დაფაზე მსოფლიოში ცნობილი რვა მათემატიკური ამოუხსნელი პრობლემა დაწერა. დანციგს ლექციაზე ჩაეძინა, გაღვიძებულმა კი დაფაზე გამოსახული პრობლემები საშინაო დავალებად მიიჩნია.
13. „...პრავდაი".
14. ჯუდი გარლანდი ლაიზა მინელის დედა იყო.
15. ქალებს (ფროიდმა მათ ვერაფერი გაუგო).

მარადიული ახალგაზრდობა რომ შეინარჩუნოთ...

იაპონელები საშუალოდ 79 წელს ცოცხლობენ, ავსტრალიელები, ბერძნები, კანადელები და შვედები — 78 წლამდე; გერმანელები და ამერიკელები დაახლოებით 76 წელს. დანარჩენ ქვეყნებში კი სიცოცხლის ხანგრძლივობა თანდათანობით იკლებს. ექიმების, ფსიქოლოგებისა და დიეტოლოგების საერთაშორისო ჯგუფმა რამდენიმე მეთოდი შეიმუშავა, რომელიც ადამიანებს სიცოცხლეს უხანგრძლივებს და ცხოვრებას უფრო სასიამოვნო ელფერს სძენს.

ზომაზე მეტად ნუ დანაყრდებით

ჩვეული 2500 კალორიის ნაცვლად, 1500 კალორიას დასჯერდით. ნუ იშიმშილებთ, მაგრამ იკვებეთ ზომიერად.

მენიუ ასაკის შესაფერისი უნდა იყოს

30 წელს მიღწეულ ქალბატონებს პირველი ნაოჭები გაცილებით გვიან გაუჩნდებათ, თუ რეგურალურად მირთმევენ ღვიძლს და თხილს. 40 წელს გადაცილებულებს ბეტაკაროტინი ესაჭიროებათ; 50 წლის ზემოთ აუცილებელია კალციუმის დოზის გაზრდა (ძვლებისთვის) და მენიუში მაგნიუმის ჩართვა (გულისთვის).

მოძებნეთ შესაფერისი სამსახური

როგორც ფრანგი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, სამსახური ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად საუკეთესო საშუალებაა. უმუშევარი ადამიანი ასაკთან შედარებით ხუთი წლით ხნიერად გამოიყურება.

იპოვეთ მეორე ნახევარი

სიყვარული ხომ სიბერის დაუძინებელი მტერია. საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნისას, ადამიანის ორგანიზმი გამოიმუშავებს ენდორფინს — ე.წ. ბედნიერების ჰორმონს, რომელიც თავის მხრივ, ახალგაზრდობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

ნუ მიჰყვებით ცხოვრების დინებას პასიურად, თამამად გამოთქვით საკუთარი მოსაზრება

ასეთნაირად გაცილებით იშვიათად ჩავარდებით დეპრესიაში.

იმოძრავეთ

ყოველდღიურად, 10-წუთიანი ვარჯიშიც საკმარისია სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

იძინეთ გრილ ოთახში

ვისაც უმეტესწილად, 17-18 გრადუს ტემპერატურაზე სძინავს, უფრო დიდხანს ინარჩუნებს ახალგაზრდობას. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა და ასაკობრივი თავისებურებების გამოვლენა გარემო ტემპერატურაზეცაა დამოკიდებული.

გულმას გულში ნუ ჩაიხვევთ

ვინც გამუდმებით დაბოღმილია, საკუთარ თავში იკეტება, გარშემო მყოფებთან კამათსაც ერიდება და აქტიურ ურთიერთობასაც, გაცილებით მეტად მიდრეკილია დაავადებებისკენ, მათ შორის — ონკოლოგიურისკენაც. საერთაშორისო ტესტირების თანახმად, სიმსივნით დაავადებულ რესპონდენტთა 64 პროცენტი ბრაზს ყოველთვის გულში იკლავდა.

ავარჯიშეთ გონება

შეავსეთ კროსვორდები, ითამაშეთ კოლექტიური თამაშები — ისეთები, რომლებიც მახვილ გონებასა და სხარტ აზროვნებას მოითხოვს; შეისწავლეთ რომელიმე უცხო ენა; ითვალეთ გონებაშიც და არა მარტო კალკულატორის მეშვეობით. როდესაც ტვინს მუშაობას აიძულებთ, გონებრივი შესაძლებლობების ასაკობრივი დეგრადაციის პროცესს აჩერებთ, ამავდროულად, გულის, სისხლძარღვების და ნივთიერებათა ცვლის პროცესის მუშაობას აქტიურებთ. ■

ბადრიჯნის უხორცო ჩანახი

მასალად საჭიროა:

500 გ ბადრიჯანი;
1 კონა მწვანილი;
500 გ კარტოფილი;
3 თავი ხახვი;
500 გ პომიდორი;
200 გ მცენარეული ზეთი ან სამარხვო კარაქი;
3 კბილი ნიორი;
მარილი — გემოვნებით.

ბადრიჯანი დაჭერით სიგრძეზე, მოაყარეთ მარილი და ნახევარი საათის შემდეგ გაწურეთ ისე, რომ არ დაიჭყლიტოს. ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, წმინდად დაჭრილი ქინძი, ოხრახუში და ნიახური აურიეთ ერთმანეთში, დაუმატეთ წიწაკა. ქვაბის ფსკერზე მოასხით ცხიმი. პირველ ფენად დააწყვეთ სიგრძეზე დაჭრილი კარტოფილი, შემდეგ — ბადრიჯანი, მოაფინეთ ერთმანეთში არეული მწვანილი და ხახვი; შემდეგ — ისევ კარტოფილი, ბადრიჯანი და ა.შ. თან შიგადაშიგ მოაყარეთ მარილი. ბოლოს დაალაგეთ მთელ-მთელი პომიდვრები და დაუმატეთ კარაქი. შუშეთ ნელ ცეცხლზე, ვიდრე კარტოფილი არ მოიხარშება. ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

აგრეთვე ნებისმიერი ხუთი
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

ქ. თბილისი
ოსლების ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

მასაჟები ყელისათვის

კოსმეტიკური თვალსაზრისით, ყელი ადამიანის სხეულის ყველაზე რთულად მოსავლელი ადგილია. ყელზე კანი ძალზე მალე ბერდება. კოსმეტოლოგები ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც სახეზე პირველი ნაოჭი ჩნდება, ყელს უკვე ცხადად ემჩნევა „წრიული რგოლები“.

იმისათვის, რომ ყელის არეში კანი არ მოიმჩვაროს, საჭიროა მისი ყოველდღიური დაზელა გვირილის, ცაცხვის ყვავილის, პიტნის, არყის კვირტების ან სალბის ნახარშით. ამ ნახარშში დასველებული ბამბის ტამპონით უნდა გაიწმინდოთ ყელი, ზევიდან ქვევით მოძრაობით, ნიკაპის ქვეშ კი პირიქით — ქვემოდან ზევით.

ბალახების ნახარშის ნაცვლად, შესაძლებელია, აგრეთვე კიტრის ლოსიონის გამოყენებაც. ქორფა კიტრი გახეხეთ სახეზე. მიღებულ ფაფისებურ მასას დაუმატეთ 20-30 გრამი არაყი და გადაწურეთ. ლოსიონი მაცივარში შეინახეთ. მისი გამოყენება ყოველდღიურად შეგიძლიათ. ლოსიონით გაწმენდის შემდეგ აუცილებელია მკვებავი კრემის წასმა, რომლის მომზადების წესი ასეთია: 1 კვერცხის გული, 1 ჩ/კ თაფლი, 2 ჩ/კ მცენარეული ზეთი, 1 ჩ/კ გვირილის ყვავილის ნაყენი, 15 მლ ქაფურის სპირტი, 15 მლ ლანოლინი ან ვაზელინი უნდა აურიოთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.

ხანგამოშვებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კანი ყელის არეში დამჭკნარია, სასარგებლოა კონტრასტული კომპრესების დადება. ცხელი კომპრესი 1-2 წუთით უნდა გაიჩეროთ ყელზე, ცივი — 5 წუთით. ცხელი კომპრესის გაკეთება უმჯობესია პიტნის ფოთლების ნაყენით ან სალბის ნახარშით. სასარგებლოა აგრეთვე ცხიმოვანი კომპრესები. ყელზე, 20 წუთის განმავლობაში დაიდეთ 40-50 გრადუსამდე გაცხელებული მცენარეული ზეთით გაჟღენთილი ბამბა ან დოლბანდი. სასურველია, კომპრესს ზემოდან პოლიეთილენი დააფინოთ და მარლით შეიხვიოთ.

კვირაში ერთხელ შეიძლება ე.წ. „კლეოპატრას აბაზანის“ მიღებაც: 1 ლ რძე გააცხელეთ, მაგრამ არ აადუღოთ. მეორე ჯამში წყლის ორთქლზე გააცხელეთ 1 ჩ/ჭ თაფლი. თაფლი რძეში კარგად გახსენით და დაუმატეთ 2 ს/კ ნუშის ზეთი. მიღებული ნარევი ჩაასხით წყლით სავსე აბაზანაში. ამგვარი აბაზანის რეგულარული მიღების შემდეგ კანი საოცრად ნაზი, ელასტიკური და გლუვი ხდება. ■

რა ასაკის უნდა იყოს თქვენი რჩეული მამაკაცი

დაოჯახების პრობლემა კვლავაც აქტუალურია და ბედის ჭირვეულობას უამრავი ადამიანი უჩივის. თუმცა ბევრიც არ ეპუება ცხოვრებისეულ სიძნელეებს და მიზანმიმართულად ეძებს ცხოვრების თანამგზავრს. იმ შემთხვევაში კი თუ მიზანი ზუსტი და გარკვეული არ არის, ძიება აზრს კარგავს, რადგან წარმატების მიღწევის შესაძლებლობა ნულამდე დადის. და კიდევ: მტკიცე გადაწყვეტილებების მიღებაში, ზოგს, საზოგადოებაში დამკვიდრებული მითებიც უშლის ხელს.

მამაკაცი მაიმუნზე ოდნავ სიმპათიური უნდა იყოს

ყველამ ვიცით, რომ გარეგნობა ხშირად მაცდურია. ყველაზე თვალსაჩინო სილამაზეც კი დროთა განმავლობაში იკრიცება. გარდა ამისა, საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ მამაკაცის გარეგნობა მთავარი არ არის.

სინამდვილეში: საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების თვალში ფიზიკურად ლამაზი ადამიანები არა მხოლოდ უფრო მიმზიდველები, არამედ უფრო კეთილები, მომხიბვლელები და თქვენ წარმოიდგინეთ, უფრო კომპეტენტურებიც არიან. ეს მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტია. რა თქმა უნდა, არ შეიძლება გადაჭრით უარყოთ ყველა, ვინც ბუნებამ ალენ დელონის გარეგნობით არ დააჯილდოვა, მაგრამ მორიდებულობამ არ უნდა გაიძულოთ, არასასურველ მამაკაცთან ერთად ცხოვრებაზე იფიქროთ.

ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის ადამიანები ერთმანეთს იზიდავენ

ბევრი ქალი დაახლოებით ასე მსჯელობს: „დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება, უმეტესწილად, მიჭირს. ამიტომ გაბედული და შეუპოვარი მამაკაცი მჭირდება გვერდით“; ან „ხშირად ცუდი განწყობილება მეუფლება, ამიტომ ისეთ მამაკაცს ვეძებ, ვინც გამამხიარულებს“.

სინამდვილეში: მსოფლმხედველობის, ინტერესებისა და ცხოვრებაზე შეხედულებების მსგავსება პარტნიორთა სიახლოვის საწინდარია. გაცნობის საწყის ეტაპზე პარტნიორებს შორის ძლიერი კონტრასტი დამაინტრიგებელია, მაგრამ შემდგომში, ხშირად თავს იჩენს კონფლიქტები. მამაკაცი და ქალი ისედაც საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და დამატებითი განსხვავებების ძიება საჭირო არ არის.



მამაკაცი უფროსი უნდა იყოს

„ოჯახის უფროსის“ ტრადიციული როლი გულისხმობს, რომ მამაკაცი ისეთ თვისებებს უნდა ფლობდეს, როგორიცაა სიბრძნე და პასუხისმგებლობა. ეს კი მოწიფულობის ასაკთან ასოცირდება.

სინამდვილეში: ფსიქოლოგები განასხვავებენ „პასპორტის ასაკსა“ და „ფსიქოლოგიურ ასაკს“. ხშირად ახალგაზრდა ადამიანი ასაკოვანს მოგაგონებთ, ასაკოვანი კი — ახალგაზრდასავით იქცევა. პარტნიორის ფსიქოლოგიური წლოვანების განსაზღვრა ძალიან ადვილია: სთხოვეთ, გაიხსენოს მოვლენები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მისი პიროვნება, ცხოვრების სტილი, და ისინი ქაღალდზე წერტილებით აღნიშნოს. იგივე გააკეთეთ თქვენც. შემდეგ წერტილების რაოდენობა შეადარეთ. ვის ფურცელზეც მეტი წერტილი იქნება, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უფროსიც ის არის.

საუკეთესო ვარიანტია, თუკი ერთმანეთს ბედს დაუკავშირებენ ფსიქოლოგიური და არა კალენდარული თანატოლები. ■



ღიღვოროის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

ბოჩა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-33

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ერთთვიანი ცურვის შემდეგ, ალ კაისის ხომალდმა ორმუზში ჩაუშვა ღუზა. აქ ზღვაოსნები და მოგზაურები ერთმანეთს უნდა დამშვიდობებოდნენ. ჰასანსა და მის თანამგზავრებს ქერმენისკენ უნდა გაეგრძელებინათ გზა. ალ კაისი კი თავისი ხომალდით, ბაღდადში უნდა დაბრუნებულიყო.

ბაჰრეინის კუნძულებისკენ ცურვისას ალ კაისის ხომალდმა ახლოს ჩაუარა ორმუზს, მაგრამ შეჩერება არც უცდია. ხომალდზე საკმარისი საკვები და წყლის მარაგი ჰქონდათ. ჰასანი და გუელმო ორმუზში ვაჭრობას არ აპირებდნენ, ამიტომაც განაგრძეს ცურვა. მაგრამ მუროჩიმ მაინც შეძლო ქალაქის შეთვალიერება. ორმუზი კლდოვან და ხრიოკ ნახევარკუნძულზე მდებარეობდა. არსად ჩანდა ამწვანებული ბაღები და ბაღჩები, რომლებსაც ბაღდადში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა. სამაგიეროდ, მრავლად იყო სავაჭრო ფარდული და დახლი. მათ შორის ჭიანჭველებივით ფუსფუსებდნენ ორმუზელები თუ ქალაქის სტუმრები.

— უმდიდრესი ქალაქია ორმუზი, — წამოიწყო ჰასანმა, როცა ქალაქის თვალიერებით გართული გვიდო და მუროჩი შენიშნა, — მთელი ქვეყნიერების სიმდიდრეს აქ მოუყრია თავი. სავაჭრო გზების გადაკვეთაზეა აგებული და ესაა მისი სიმდიდრისა და ძლიერების წყარო. ორმუზში იყრება მისრეთელი, არაბი, ვენეციელი თუ ჰინდი ვაჭრების გზები. მანდ ყველაფერს ყიდიან და ყიდულობენ: ოქრო-ვერცხლს, ძვირფას ქვას, აბრეშუმს, ფაიფურს, სუნელს, ნელსაცხებელს, ცხენს, მონას... ყველაფერს, რაც ადამიანის ხელსა და გონებას შეუქმნია.

— რაში არგიათ მაგ უდაბნოში ეგ სიმდიდრე? ყოველი კუნჭული მოვჩხრიკე და ერთ ხესაც ვერ მოვკარი თვალი, — ჩაურთო გვიდომ.

— დაუკვირვებელია ახალგაზრდის თვალი. ახლოში ეძებს სანახავს, — გაეღიმა ჰასანს, — იმ მწვანე ზოლს თუ ხედავ?

გვიდომ თვალები მოიჩრდილა და მერე უპასუხა:

— ვხედავ.

— როგორ გგონია, რა არის?

— მთის კალთებზე შეფენილი ტყეები უნდა იყოს, — ივარაუდა გვიდომ.

— არა, ცდები, ეგ ბაღებია, რომლებშიც აქაურ დიდებულთა სასახლეები დგას. უმდიდრესი ხალხი ცხოვრობს ორმუზში და მათ თავიანთი ოქროს კარგად მოხმარებაც იციან. ქალაქი უწყლო, ხრიოკი კლდეებისა და უდაბნოს გასაყარზე დგას, მაგრამ გაგაოცებთ ორმუზელთა სასახლეების შადრევნები და აუზები. შრომით, რომელიც აქ ერთი ხის გაზრდას სჭირდება, სხვაგან მთელ ბაღს გაახარებ. ხრიოკი მიწა ძუნწად იძლევა წყალს და ისიც სარწყავად და სასმელად უვარგისს. სწავლულების თქმით, აქაური ზღვა ღრმადაა შეჭრილი მიწის ქვეშ. ამბობენ, ორმუზი შუა ზღვაში დგას და ადრე თუ გვიან, ზღვაში ჩაინთქმებაო!.. არ ვიცი, მართალია ეს თუ არა, მაგრამ ორმუზის შემოგარენში, სადაც უნდა ამოთხარო ჭა, ყველგან მლაშე წყალი ამოდის, ზუსტად ისეთი, რომელზეც ახლა მივცურავთ. ამ წყლით მორწყული მცენარე ნაყოფსაც მლაშეს იძლევა. მიწა ბევრია ორმუზში, მაგრამ მიწათმოქმედებას არავინ მისდევს. აქ მოყვანილი ხორბალი მწარეა. უქონელი და ღატაკიც გაურბის მის ჭამას.

— მაშ, საიდან ის შადრევნები და აუზები, რომლებიც წელან ახსენე? — ჰკითხა მუროჩიმ.

— ეგ ორმუზელთა საიდუმლოა. მცხუნვარე უდაბნოშიც შეიძლება წყლის მოძებნა. ჩანს, მათაც მიაგნეს მტკნარ წყალს, მაგრამ საიდუმლოდ ინახავენ. რაც უნდა იყოს, მაინც ხრიოკი მხარეა. საკმარისი წყალი არ იქნება, აქაურობის ედემად გადასაქცევად. თანაც მიწასაც ხომ ვერ შეცვლიან. რას მოგცემს მტკნარი წყალი, როცა მიწა მარილითაა გაჟღენთილი?! ამიტომაც არ აჩენენ წყლის სათავეს. თანაც, ასე უფრო იმედიანად გრძნობენ თავს. უწყლოობა და უდაბნოს ცხელი ქარი, ორმუზის უხილავი გალავანია. მრავალმა მომხდურმა წააგო თავი მის კედლებთან. ერთი ასეთი ლაშქრობის მონაწილე მეც ვარ. ერთი ხანობა გათამამდა ორმუზის მმართველი და სულთანს ხარკი შეუწყვიტა. არავის უცდია მისი შეგონება. სელჩუკებმა საკადრისი პასუხი გასცეს თავგასულ მმართველს და ორმუზისკენ ლაშქარი დაძრეს. ძალიან ცხელი ზაფხული იდგა იმ წელს. მაშინ სულთნის ცხენოსანთა ასეულს ვმეთაურობდი. ჩვენ სხვებივით არ გაგვჭირვებია უდაბნოში ლაშქრობა. თავად უდაბნოს შვილია არაბული ბედაური. ადვილად იტანს სიცხესა და უწყლოობას, მაგრამ ორმუზის ციხის კედლებთან მაინც დაქანცულებმა მივაღწიეთ. დანარჩენი ლაშქარი კი დაღლილობისგან ფეხზე ვერ იდგა. ასეთი ჯარი ციხეს ვერ გატეხდა და ჩვენმა სარდლებმა ჯარის დასვენება გადაწყვიტეს. მაგრამ როგორ უნდა დაასვენო უწყლოდ დარჩენილი ლაშქარი?.. ჭების ამოთხრა ვცადეთ. მაშინ გავუსინჯე გემო ორმუზის წყალს. წყალს ისე ვამბობ, თორემ იმას, რაც ჭებში ამოვიდა, არაფერი აქვს საერთო ამ მაცოცხლებელ სითხესთან. ეს იყო ამღვრეული მწარე და თბილი ტალახი. იმავე ღამეს კიდევ ერთი უბედურება დაგვატყდა თავს. უდაბნოს ხორშაკი ქარი ამოვარდა. ზღვაოსნები ასეთ ქარს გრიგალს უწოდებენ. ცხოვრებაში არაფერი მინახავს ასეთი საშინელი. ისეთი ცხელი ქარი უბერავდა, თითქოს უზარმაზარ კოცონთან ვმდგარიყავი. ცხელი ქარი სუნთქვას მიკრავდა, თვალებს, ცხვირს, პირს, მხურვალე სილით მიტენიდა. ფილტვებსა და ყელში ჩხვლეტას ვგრძნობდი, თითქოს უდაბნოს ჯინები ჩამძრომოდნენ შიგანში და უთვალავი ნემსით მჩხვლეტდნენ. თანაც, უდაბნოს მცხუნვარე სუნთქვას ვერსად ვემალებოდი. ჩვენი კარვები ქარმა თვალის დახამხამებაში მოგლიჯა და სადღაც გააქანა. რაც ხელში მომხვდა — ხილაბანდი, პირსაბური, ჩალმა... ნებისმიერი ქსოვილი, ყველაფრით ვცადე ცხვირ-პირისა და თვალების დაფარვა, მაგრამ ამაოდ. ქარი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მე. ქარმა ჩვენი ცხენებიც გააშმაგა. ასეთი რამ არასოდეს მინახავს. ბრძოლებში ნაცადი და გაწვრთნილი ბედაურები პატრონებს აღარ ემორჩილებოდნენ, ფლოქვებს გამალებული სცემდნენ მიწას. აწყვეტასა და გაქცევას ლამობდნენ. თითქოს აღსასრულის მოახლოებას გრძნობდნენ და იქაურობას გაცლას ცდილობდნენ. ზოგი ცხენი კი საერთოდ შეიშალა. ვერც პატრონის მარჯვენამ შეაკავა და ვერც ტყავის საბელმა. თავი აიშვეს და ადამიანებს

დაერივნენ. ვინ ფლოქვით გათელეს, ვინ დაკბინეს. ვერც კი წარმოვიდგენდი, ცხენს თუ ასეთი კბენა შეეძლო. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ჩააფრინდა ერთი ბედაური თავის პატრონს და ბეჭიდან ჯაჭვის პერანგიანად ამოაგლიჯა მუჭის ზომი ხორცი. დილამდე გაგრძელდა ეს ჯოჯოხეთი. მზის პირველ სხივებთან ერთად, ქარი ჩადგა და მაშინ ვიხილეთ, რაც დაგვემართა. სულთნის ლაშქარი აღარ არსებობდა. ცოცხლად გადარჩენილები აქეთ-იქით დალასლასებდნენ და სილის გორაკებში ჩამარხულ ამხანაგებს დაეძებდნენ. მრავალი მოლაშქრე მკვდარი ამოთხარეს, მრავალს საერთოდ ვეღარ მიაგნეს. იმ ღამეს უდაბნომ რვა ათასი მეომრის სიცოცხლე მიიტაცა. დავკარგეთ სამი ათასი ცხენი. ზოგი დაიღუპა, ზოგიც უდაბნოში გადაიხვეწა. ასე დამთავრდა ის ლაშქრობა. წელმოწყვეტილებმა გაჭირვებით ჩავაღწიეთ ისპაჰანს. მერე სულთანმა ორმუზი მაინც დალაშქრა და ხარკიც დაუწესა, მაგრამ ის საშინელი ღამე აღარასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან... ხომ საშინელია ზღვის გრიგალი. ყველას გვეგონა, რომ გემიანად ჩაგვყლაპავდა აბობოქრებული წყალი, მაგრამ ის არაფერია უდაბნოს ხორშაკთან. ზღვაზე ადამიანი ხან კარგად გრძნობს თავს, ხან — ცუდად. რამდენი დღე გავატარეთ ხომალდზე?.. ათი... და ამ ათ დღეში ერთი დღე გვანჯღრია გრიგალმა. დანარჩენი ცხრა დღე... მშვენიერი დღეები იყო. ქროდა გრილი ნიავი. ხომალდის ირგვლივ ზღვის არსებები ანცობდნენ. არაფერს შევუწუხებივართ და არც შევუშინებივართ. უდაბნოში ასე არ არის. იქ ყოველთვის ცუდად ხარ, დროდადრო კი უფრო ცუდად გრძნობ თავს. უდაბნოში ვერ მოეშვები, ვერ დატკბები მისი ბინადრების ანცი თამაშით. პირიქით, მუდამ აქეთ-იქით უნდა აცეცო თვალები, რომ რომელიმე შხამიანმა ქმნილებამ არ დაგგესლოს. იქ სიცხით გათანგული ადამიანი მუდამ ჩრდილის ძიებაშია, მაგრამ ის ჩრდილი ხვატზე სახიფათოა. ასევე იქცევა უდაბნოს ყველა ბინადარი. დღისით სიგრილის ძიებაშია. და როგორც ადამიანს, მასაც არ უყვარს დაუპატიჟებელი სტუმარი. ასეთი რამ ძალიან ხშირად ხდება. გამოუცდელი მოგზაური ჩრდილს შეეფარება, დასასვენებლად მოეწყობა და ამ დროს... ან ხიდან დააცხრება შხამიანი ობობა, ან კიდევ, ბუჩქიდან გამომძვრალი გველი თუ მორიელი დაგესლავს. შეიძლება, ცხენს ან აქლემს მიაწვდინოს ნესტარი. ეს იგივე სიკვდილია და ვინ იცის, იქნებ უფრო საშინელიც. უცხენოდ დარჩენილი მოგზაური უდაბნოდან ვეღარ გამოაღწევს და თუ განგებამ სხვა მოგზაური ან ქარავანი არ მოუვლინა მაშველად, წყურვილით დაიღუპება!.. ადამიანს შეუძლია, ბრძოლაში, მტრების გარემოცვასა და ისრის წვიმაში გამოცადოს თავი. შეიძლება, ზღვას ან მთას შეერკინოს, მაგრამ თუ არ შეუშინდა და დაამარცხა უდაბნო, შეუძლია თქვას, რომ ჭეშმარიტი მებრძოლია!.. ხვალ ერთად მოგვიწევს უდაბნოში შებიჯება და ერთ რამეს გეტყვით: მრავალი ადამიანისთვის მიკითხავს — „რა არის ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი და სანუკვარი?..“ პასუხი ყოველთვის ერთი მიმიღია: „ძალაუფლება, ოქრო!..“ თუ გაქვს ძალაუფლება და ოქრო, შეგიძლია, ყველაფერი ინატრო და მერე ნანატრი სინამდვილედ გადააქციო. შეგიძლია ააგო სასახლეები, თავლაში გყავდეს საუკეთესო ბედაურები, ჰარემში — ულამაზესი ხათუნები, საჭურჭლეში — ძვირფასი თვლები, იქონიო ოქროთი მოზარნიშებული აბჯარი. მაგრამ რას გიშველის ეს ყველაფერი, როცა უდაბნოში დარჩენილს წყურვილი ყელში წაგიჭერს ხელს?.. როცა შენ გარშემო ქვიშისა და შხამიანი არსებების მეტს ვერაფერს დაინახავ?.. წყურვილი!.. არ არსებობს ამაზე დიდი სატანჯველი. ალაჰმა დაგიფაროთ ამის გამოცდისგან. ისეთი შეგრძნება გიჩნდება, თითქოს შიგნეულობაში მთელი ტომარა მარილი ჩაგიყარეს. მარილი დნება, მდორედ ედება სხეულს. გეჩვენება, რომ ძარღვებში სისხლის მაგივრად ბერძნული ცეცხლი (*საბრძოლო დანიშნულების აალებადი შემადგენლობა; ბერძნები საიდუმლოდ ინახავდნენ მისი დამზადების წესს. — ავტ.*) დაედინება. ამ დროს ადამიანს გონება ებინდება. წყურვილით ძალაგამოცლილი და გაშმაგებული, ხანჯალს უყრის ცხენს,

ძარღვებს უსერავს და მის სისხლს ეწაფება. კლავს იმ ცხენს, რომელმაც სამშვიდობოს უნდა გაიყვანოს, მაგრამ ამას მერე უფიქრდება — მაშინ, როცა წყურვილს დაიოკებს, ძალას მოიკრებს და გზის გაგრძელებას დააპირებს. მაშინ ხვდება, რომ ცხენს კი არა, საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი!.. გუშინ საშინელი გრიგალი გადავიტანეთ. შეიძლება, ვერც გადავრჩენილიყავით და ზღვის უფსკრულში შეწყვეტილიყო ჩვენი სიცოცხლე, მაგრამ ალაჰმა დაგვიფარა და მოგზაურობის გაგრძელების საშუალება მოგვცა. ამით ჩვენი თავგადასავალი არ დამთავრებულა. ახლა მშვიდად ვაგრძელებთ ცურვას და ზღვის გრილი ნიავით ვტკბებით. ხვალ ისევ შეიცვლება ყველაფერი. ვინ იცის, რა გველის ბაჰრეინის კუნძულებისკენ ცურვისას — გრიგალი თუ მშვიდი ზღვა. რა გველის უკან დაბრუნებისას? მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ორმუზში მობრუნებამდე, ვიცი, რომ ერთად მოგვიწევს უდაბნოში შებიჯება. ორმუზიდან ქერმენში ჩასასვლელად ერთი უდაბნო უნდა გადავლახოთ, მაგრამ ეს გართობად მოგეჩვენებათ შავ უდაბნოსთან შედარებით, რომელიც ქერმენის მერე გველის!..

— ქერმენი?! — გაუკვირდა გუელმოს, რომელიც ყურადღებით ისმენდა მის ყოველ სიტყვას. — აქამდე ქერმენი არ გიხსენებია!

— მაშ, როგორ აპირებდი ცინის ქვეყანაში მოხვედრას, ვენეციის დიდვაჭარო? — გაეცინა ჰასანს.

— ეგ თავიდანვე შენ მოგანდვე, მაგრამ მეგონა, რომ იმ კრაზანათა ბუდეს გვერდს ავუვლიდით.

— ეგ ყველაზე მოკლე გზაა. კრაზანათა ბუდისა კი ნუ შეგეშინდება. ალაჰის მფარველობით, კრაზანები არაფერს დაგვიშავებენ.

— ალაჰი შენ გმფარველობს და არა — ჩვენ! — შენიშნა გუელმომ.

— ნუ ღელავ. მე ალაჰი დამიფარავს, შენ — მამა ღმერთი. ისე კი გონიერი კაცი ხარ, გუელმო, და უნდა იცოდე, რომ ეგ ერთი და იგივეა.

— რაც უნდა იყოს. მე მაინც სხვა გზა მირჩევნია.

— სხვა გზითაც შეგვიძლია წასვლა, მაგრამ სანდო და გამოცდილ მეგზურს ვერ მოვძებნით. ჩვენი ცოდნით კი შორს ვერ წავალთ, გუელმო. ქერმენის მხარეს მეც კარგად ვიცნობ. ბადახშინამდეც ჩავსულვარ ქარავნით. იმის იქით კი ფეხი არ გამიდგამს. მცოდნე გამცილებლის გარეშე, შორს ვერ წავალთ. მარტო გზის ცოდნაშიც არ არის საქმე. ჩვენ ისეთი კაცი გვჭირდება, რომელიც კარგად იცნობს ადგილობრივ ტომთა მეთაურებს.

— და შენ ასეთ კაცს იცნობ?

— ვიცნობ, — თავი დაუქნია ჰასანმა.

— ვინაა ის?

— ქერმენელი ჩაუში (მექარავნეთა მეთაური. — ავტ.), ალ აზიზ ტალიბი. ის სანდო და მცოდნე ადამიანია.

— თუ ასეთი მცოდნეა, სხვა გზაც

ეცოდინება.

— აზიზ ტალიბს მთელი წინა და შუა აზია აქვს მოვლილი. ცინს მიმავალი სხვა გზაც ეცოდინება, მაგრამ არ გამოგვყვება. ათი და თხუთმეტი წლის წინ, ნებისმიერ გზაზე გაგვიწევდა მეგზურობას. ახლა უარს გვეტყვის. მას შემდეგ, რაც ასაკში შევიდა, ქერმენსა და ორმუზს არ შორდება. მარტო მაგ ქალაქებს შორის დაჰყავს ქარავნები. მავანი იტყვის, რომ ქერმენიდან ორმუზში ჩასვლას მექარავნეთა დახმარების გარეშეც შეეძლებო. მრავალს მართლაც უცდია ეს. ზოგს გამართლებია, ზოგს კი... უდაბნოში ახლაც ყრია მათი გამოფიტული ძვლები. ზოგმაც კრაზანათა ბუდეში დაასრულა სიცოცხლე. ორმუზში ბევრ ჩაუშს ვნახავთ, მაგ გზის მცოდნეს, მაგრამ აზიზ ტალიბზე უკეთესს, ვერც ერთს!.. გახსოვს, გუელმო, შენ მაშინაც უარზე იყავი, როცა ბაჰრეინს სამგზავროდ ალ კაისის დაქირავება შემოგთავაზე. მერე კი თავად დარწმუნდი, თუ რა შესძლებიათ მის ხომალდსა და ზღვაოსნებს. ახლა კი გეუბნები, რომ ალ კაისი — ალაჰის მოციქულია ზღვაზე. უდაბნოში კი მოგზაურთა მაშველად, ალაჰმა აზიზ ტალიბი მოავლინა...

— მერედა, სად მოვძებნით იმ ჩაუშს?.. იქნებ საერთოდ აღარ დაჰყავს ქარავანი ან ორმუზში არ არის, — ჰკითხა გუელმომ.

— ქარავანიც დაჰყავს, ორმუზშიცაა და ჩვენს ჩასვლასაც ელოდება.

— როგორ? — გაოცებით ჰკითხა გუელმომ.

— მე თადარიგიანი კაცი ვარ და მეგობრების სიცოცხლესაც ვუფრთხილდები, — ჩაიღიმა ჰასანმა, — როგორც კი პირობა მოგეცი, რომ ცინში გამოგყვებოდი, ორმუზში წერილი ვაფრინე და აზიზ ტალიბს მეგზურობა ვთხოვე. ერთ თვეში მისი პასუხი მივიღე. ტალიბი ცინის საზღვრებამდე მიგვაცილებს. ახლა კი ორმუზშია და ჩვენს ჩასვლას ელის.

— საიდან იცის ჩაუშმა, როდის ჩავალთ ორმუზს?

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ტალიბი ფეხს არ მოიცვლის ორმუზიდან და თუ საჭირო გახდება, მთელ წელს დამელოდება. მან კარგად იცის, რომ ზარალს, რომელიც ჩემი ლოდინისას მიადგება, მთლიანად ავუნაზღაურებ. მარტო ესეც არ არის საქმე. აზიზ ტალიბი მდიდარი ადამიანია. ბაღდადში ბევრს შეშურდებოდა მისი სასახლეები, მაგრამ ის შეშლილი, ხიფათის მაძიებელია და დირჰემიც რომ არ შევთავაზო, მაინც არ იტყვის უარს ჩემს მეგზურობაზე.

— ძნელია შენთან კამათი. ისე გიპასუხებ, როგორც თქვენ, მუსლიმანებს გჩვევიათ: გისმენ და გემორჩილები, — ამოიოხრა გუელმომ, მერე გვიდო თავისთან იხმო და ხომალდის ცხვირისკენ წაიყვანა.

— რას ნიშნავს კრაზანების ბუდე? — იკითხა მურორჩიმ, როგორც კი მამაშვილი დაშორდა.

— გუელმო არ აჭარბებს. მძიმე და სახიფათოა ორმუზიდან ქერმენში მიმავალი გზა. ორი უდაბნო და მთის უღელტეხილის გადალახვა მოგვიწევს. ის უღელტეხილი კი კარანაუსელ ყაჩაღთა საბუდარია, იგივე კრაზანათა ბუდე.

— ის ყაჩაღები აშინებენ გუელმოს? — ჰკითხა მურორჩიმ.

— ისინი უბრალოდ ყაჩაღები არ არიან. კარანაუსებმა ყაჩაღთა სამთავრო შექმნეს. ვერავინ შეძლო მათი მორჯულება.

— სელჩუკთა ყოვლისშემძლე სულთანმაც კი?! — ჩაიცინა მურორჩიმ.

— ნუ გიკვირს. კარანაუსები მიუვალ მთებში ცხოვრობენ. არც ხვნა იციან და არც — თესვა. ანდა რა უნდა მოიყვანონ, თოვლითა და ყინულით დაფარულ კლდეებზე. ძარცვა-რბევის გარდა არაფერი ეხერხებათ. თანაც შემოქმედმა ამისთვის შესაფერისი საცხოვრებლითაც დააჯილდოვა. ისინი ორი უდიდესი სავაჭრო ქალაქის გასაყარზე ცხოვრობენ. ორმუზიდან ქერმენში და პირიქით, მათი სამფლობელოების გაუვლელად მოხვედრა შეუძლებელია. და ისინიც ოქროს სძალავენ მექარავნეებს... სულთანმა რამდენჯერმე სცადა კრაზანათა საბუდრის მოშლა, მაგრამ — ამაოდ. მრავალი მეომარი შეეწირა იმ ლაშქრობებს. კრაზანათა ბუდე კი მაინც ვერ მოიშალა. ჭეშმარიტად, მთის შვილები არიან კარანაუსები. სულთნის ლაშქარი ბარში, დიდ მხედრობად ბრძოლაშია გაწაფული. კარანაუსები კი მცირე გუნდებით ომობენ. უეცრად მიუხტებიან მტერს, დაჰკრავენ და მიუვალ მთებს აფარებენ თავს. თავიდან მათ დევნას ცდილობდა სულთნის ლაშქარი. მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ კარანაუსებიც ამას ცდილობდნენ. უკან დადევნებულ ჯარს უსაფრდებოდნენ და მთის ქარაფებიდან ლოდსა და საგორავს უშენდნენ... თუმცა რისთვის გიყვები ამას. განა ფხოველს ესწავლება მთაში ომის წესი?!

— არა და არც მთის ბაცაცებთან ომის წესი გვესწავლება, — უპასუხა მურორჩიმ.

— მაგით რისი თქმა გინდა?

— შენმა ნაამბობმა ჩვენებური ბაცაცები შემახსენა. დიდო-ძურძუკებზე თუ გსმენია რამე?

— მსმენია, მაგრამ არასოდეს შევხვედრივარ. მე ხომ ყმაწვილი წამომიყვანეს ჰერეთიდან.

— ეგენიც იმ კარანაუსებივით არიან: უეცრად მოცვივდებიან, რასაც ხელს მიაწვდენენ, დაიტაცებენ და მთაში გარბიან. მაგრამ ფხოვში კარგად იციან მათი მორჯულების ილეთები. მრავალმა ბაცაცამ დატოვა თავი და მარჯვენა არდოტში.

— ეგ იმიტომ, რომ თქვენც მთის წესით ეომებით. სელჩუკები კი ბარის მეომრები არიან და სულთანმაც ვერაფერი მოუხერხა მათ საბუდარს. თუმცა კარანაუსებიც ვერ გადარჩნენ სისხლდაუდენლები. იმ ლაშქრობებს მძარცველთა ნახევარი მაინც გადაჰყვა, მაგრამ ამით სულთანს რაიმე შვება არ მიუღია. უღელტეხილის ომებმა ქარავნებსაც გადაუკეტა გზა. ვაჭრობამ იკლო. ხაზინას ოქრო მოაკლდა. კარანაუსები კი უფრო დაუნდობლები გახდნენ. თუ ადრე მექარავნეებისგან მარტო ქრთამს სჯერდებოდნენ, ახლა ძარცვა-რბევასა და მექარავნეთა ხოცვას მიჰყვეს ხელი. როცა ესეც არ ეყოთ, მთის მისადგომებთან მცხოვრებ ტომებს დაერივნენ. ბოლოს სულთანმა ისევ მათთან შერიგება არჩია. კარანაუსელთა ბელადებს სიტყვა მისცა, რომ მათ სამფლობელოებს აღარ დალაშქრავდა, სამაგიეროდ, პირობა ჩამოართვა, რომ ისინიც ხელს აიღებდნენ ქარავნების ძარცვა-რბევაზე და მარტო ქრთამს დასჯერდებოდნენ. ამით ომი შეწყდა. ქარავნებმა ისევ დაიწყეს მიმოსვლა, მაგრამ კარანაუსები უპირო ხალხია. დროდადრო მაინც წასძლევთ ხოლმე სული და ქარავნებს არბევენ. რა თქმა უნდა, გაძარცული ვაჭრები ქერმენისა და ორმუზის მთავრებთან ჩივიან. მათ კი კარგად ახსოვთ, როგორი შურისძიებაც იციან კარანაუსებმა და მათთან ომსა და შეხლა-შემოხლას ისევ ვაჭრების დაშოშმინებასა და ზარალის ანაზღაურებას ირჩევენ. აი, ასეთი „მშვიდობაა“ უღელტეხილზე.

— და იმ კარანაუსებთან შეხვედრას გაურბის გუელმო?

— ისევე, როგორც ყველა ფრთხილი და ანგარიშიანი ვაჭარი. მხოლოდ შეშლილი თუ მოინდომებს მათთან შეხვედრას.

— შენ?

— მე ხომ შეშლილი ვარ! — გაიცინა ჰასანმა. მერე კი დაამატა: — მე მათი სულების გასაღები მაქვს... ადვილი, მთის ველური ბრბოს მოსყიდვა. ცოტა ფერუმარილი და ფარჩა მათი შავტუხა და მურიანი ცოლებისთვის, ცოტა ნუგბარი მათი ცინგლიანი ღლაპებისთვის, მეტი ოქრო მათი ხარბი ბელადებისთვის და გზა ხსნილია. თანაც, ჩვენი მეგზური, აზიზ ტალიბი კარგად იცნობს მათ ბელადებს. მასთან ერთად არაფერი გვემუქრება და ამაში შენც თავადვე დარწმუნდები.

ჰასანისა და გუელმოს რაზმი მოგზაურობისთვის მზად იყო. ცინის ქვეყანაში წასაღები საქონელი ბარდანებში შე-

ფუთული ელაგა. იქვე იყო ბაჰრეინის მარგალიტით სავსე ზარდახშა. მარგალიტი ყველაზე ღირებული ტვირთი იყო და ამიტომაც მას განსაკუთრებით იცავდნენ. ჰასანის ოთხი ღულამი არც დღე და არც ღამე არ შორდებოდა ბარდანას, რომელშიც ინახებოდა ზარდახშა. თუმცა თავად არც კი იცოდნენ, რას დარაჯობდნენ და რატომ ფრთხილობდა ასე მათი ბატონი. ჰასანს თავისი ხალხის ერთგულებაში არასოდეს ეპარებოდა ეჭვი. არაერთხელ ჰქონდა გამოცდილი მათი თავდადება. ფიცხელი ბრძოლისა და ყაჩაღთა თავდასხმებისას არ მიუტოვებიათ მის ღულამებს. მის მხარდამხარ იბრძოდნენ მუდამ და ბევრჯერ მისთვის მოქნეულ ხმალსა და შუბსაც გადაჰფარებიან, მაგრამ ჰასანი მათაც არ ანდობდა მთავარ საგანძურს. ეს იყო მითხაპურის რაჯას საჩუქარი — ერთი მუჭა სისხლისფერი მარგალიტი.

მდიდარი იყო მითხაპურის რაჯა, განუზომლად მდიდარი. ვაჭრობაც უყვარდა, მაგრამ ამას ქონების გასაზრდელად არ აკეთებდა. ვაჭრებთან გარიგებასა და თავის ფასზე დაყოლიებას პაექრობად, ბრძოლად მიიჩნევდა. ეს იგივე იყო მისთვის, რაც ჩატურანგუს (ინდური თამაში, ჭადრაკის წინამორბედი) თამაში. მითხაპურის პატრონი ამ ბრძოლაში იშვიათად მარცხდებოდა. ზოგ ვაჭარს მისი განაწყენება არ სურდა და ამიტომაც თანხმდებოდა მის ფასს. ზოგს მისი გოროზი სახე და უზარმაზარხმლიანი მცველები აფრთხობდნენ, ზოგსაც ვაჭრული ფხა და ალღო არ მოსდევდა. მაგრამ ჰასანი სულ სხვანაირი ადამიანი იყო. მას არც რაჯას განაწყენება აფიქრებდა, არც მისი მცველების წვერმოკაუჭებული ხმლები აფრთხობდა და არც სიჯიუტე აკლდა. დიდხანს ებრძოლა რაჯა და ბოლოს, მაინც მოტყდა და დამარცხება აღიარა. პაექრობაში დამარცხების მიუხედავად, რაჯას წყენა არ ჩაუდვია გულში. ჰასანს გულწრფელად მიულოცა და, თავისი კეთილგანწყობილების დასტურად, ბაჰრეინის კუნძულების მშვენება, სისხლისფერი მარგალიტი შესთავაზა. ჰასანს უკვე უარი ჰქონდა ნათქვამი იშვიათ მარგალიტზე და ეს მოსაჩვენებლად არ გაუკეთებია. მას მართლაც ზედმეტად მიაჩნდა ერთ ან რამდენიმე მარგალიტში ისეთი თანხის გადახდა, რომლითაც რამდენიმე მუჭა ვარდისფერი და ოქროსფერი მარგალიტის ყიდვა შეეძლო. გარდა ამისა, ჰასანს არ სურდა უცხო ქვეყანაში იშვიათი მარგალიტის ჩატანა. კარგად იცოდა ვაჭრობის წესები და ისიც იცოდა, რომ ნებისმიერი ვაჭარი სამომავლოდ, სისხლისფერ მარგალიტს შეუკვეთდა. ის კი ბაჰრეინის კუნძულებისთვისაც იშვიათი ნადავლი იყო. მაშინ რაჯა გამოუტყდა, რომ თავადაც დიდხანს აწვალებდა ცინის ქვეყანაში ქარავნის გაგზავნის აზრი, მაგრამ შორი და უცნობი გზა აფიქრებდა. ჰასანი და მისი მეგობრები კი გზების გაცნობა-შესწავლის საშუალებას აძლევდნენ. რაჯას აზრით, თუ ჰასანი შეძლებდა ცინის ქვეყნამდე ჩაღწევას და უკან დაბრუნებას, მისი ხალხიც მოახერხებდა ამას.

— რატომაც არა, — დაეთანხმა ჰასანი, — ჩემში არაფერია განსაკუთრებული. შეიძლება, სხვაზე უფრო ჯიუტი და თავზე ხელაღებული ვიყო, მაგრამ ბევრიც მინახავს ჩემზე უფრო თავზე ხელაღებული. და შენც არ გაგიჭირდება შენს ქვეშევრდომებში ასეთი ხალხის შერჩევა.

— გზა? — ფრთხილად შეეპარა რაჯამ. მან კარგად იცოდა, რომ მექარავნენი და ვაჭრები საიდუმლოდ ინახავდნენ უცხო ქვეყნებისკენ მიმავალ გზებს.

— ცუდად გიცნივარ. მეგობრებისთვის არაფერი მენანება, — უპასუხა ჰასანმა.

— შენ ცხენებზეც ეგრე მეუბნებოდი, — უკმაყოფილოდ შენიშნა რაჯამ.

— ის ვაჭრობა იყო. ახლა სხვა რამეზე ვლაპარაკობთ.

რაჯამ მოუთმენლად აათამაშა კრიალოსანი, რასაც აღელვებისას აკეთებდა.

— და შენ ცინის ქვეყნიდან მითხაპურს ჩამოხვალ?

— არა... არა... — თავი გაიქნია ჰასანმა. — ასეთი მოგზაურობის მერე გზას აღარ გავიმრუდებ.

— მაშ, როგორ მიამბობ ცინში მიმავალი გზის შესახებ? — გაუკვირდა რაჯას.

— აქაური მარგალიტი სარფიანად თუ გაიყიდა, მეორე გზობაზე გესტუმრები. მარგალიტსაც ვიყიდი და შენს ქარავანსაც ჩავაცილებ ცინში, — პირობა მისცა ჰასანმა.

— მაგას ერთი ან ორი წელი მაინც დასჭირდება, — მოიღრუბლა რაჯა.

— რა გვაქვს საჩქარო?..

— შენი არ ვიცი, მე კი მაგდენ ხანს ვერ მოვიცდი!

— მაშინ თავად გაგზავნე ქარავანი.

— ბრმად ვერავის გავგზავნი. შეიძლება, ხალხიც დავკარგო და საქონელიც, — იუარა რაჯამ.

— ვისაც თევზის დაჭერა უნდა, ფეხის დასველებისაც არ უნდა ეშინოდეს!.. — ირონიულად შენიშნა ჰასანმა. — ისე, ცხოვრებაში ყოველთვის ასე ხდება: ერთი გაკვალავს გზას და მერე ყველა მის კვალს მიუყვება.

— მზამზარეულ გზას არ გთხოვ. ხალხსაც გაგაყოლებ და საქონელსაც გაგატან.

— არა, — იუარა ჰასანმა, — უცხო ხალხს თან ვერ გავიყოლებ!

— ღულამების იმედად აპირებ ცინის ქვეყანაში ჩასვლას? — გაუკვირდა რაჯას.

— არა. ორმუზში ნაცნობი ჩაუში მელოდება. ჩემი ძველი მეგობარია, აღ აზიზ ტალიბი. ცინის საზღვრებამდე ის მიმაცილებს.

— რა დაშავდება, ჩემი ხალხიც რომ გააცილოს მაგ ჩაუშმა? — ჰკითხა რაჯამ.

— აზიზ ტალიბი გამოცდილი ჩაუშია. სახიფათო მოგზაურობაშიც ახლოს არ გაიკარებს ხალხს, რომელსაც არ ენდობა. სხვა ჩაუშს მე ვერ ვენდობი და შენც იმავეს გირჩევ.

— მაშინ სხვა რამეს შემოგთავაზებ... — რაჯა ცოტა ხნით ჩაფიქრდა და მერე დაამატა: — შენ წაიღე ჩემი საქონელი.

— მარგალიტს გულისხმობ? — ჩაეძია ჰასანი.

— ჰო, — თავი დაუქნია რაჯამ, — ჩემს მარგალიტს თუ წაიღებ და ცინიდან მითხაპურს დაბრუნდები, მარგალიტს სამ დირჰემად დაგითმობ და საჩუქრად იმ სისხლისფერ მარგალიტსაც მოგართმევ!..

ჰასანი ჩაფიქრდა, რაჯას წინადადება მართლაც მისაღები იყო. საჩუქარშიც არ იყო საქმე. ის ორჯერ იაფად სთავაზობდა მარგალიტს.

— რას იტყვი, ჰასან? — რაჯას აღარ ეყო მოთმინება.

— კეთილი. წავიღებ შენს საქონელს და ცინის ქვეყნიდან ბაღდადში მითხაპურის გავლით დავბრუნდები, — უყოყმანოდ უპასუხა ჰასანმა.

ასე მოხვდა ჰასანის ქისაში ბაჰრეინის სისხლისფერი მარგალიტი. ეს

MK

სწორედ ის საჩუქარი იყო, რომელიც რაჯამ აღუთქვა. თანაც დაარიგა: მაგ მარგალიტით ცინში ვაჭრობა ნუ დაგაფიქრებს; შენ რომ გიჩვენე, ეგეთი ზარდახშა მრავლად ინახება ჩემს საჭურჭლეში; ჩემი წინაპრები ასწლეულების განმავლობაში აგროვებდნენ იშვიათ მარგალიტს; შეგიძლია, თამამად ივაჭრო და იქაურ ვაჭრებს სამომავლოდ გაურიგდე; თუ კარგ ფასს შემოგვაძლევენ, მარგალიტი არ მოაკლდებათ, შენთვის კი... შენთვის ჩემი საჭურჭლე ცინიდან დაბრუნებისთანავე გაიხსნებაო!.. — თქვა რაჯამ და სიტყვის დასტურად, მსახურს ისევ მოატანინა ზარდახშა და თავად ამოურჩია ჰასანს მთელი ბღუჯა საუკეთესო მარგალიტი.

ალ კაისი მოწყენილი ემშვიდობებოდა ჰასანსა და მის თანამგზავრებს. ცოტაც და მისი ხომალდი იალქნებს აუშვებდა და უკან, ბაღდადში გაბრუნდებოდა. და ვინ იცის, იქნებ ეს მათი ბოლო შეხვედრა ყოფილიყო? ალ კაისისთვის იოლი არ იყო, ბაღდადს დასაბრუნებელი გზის გავლა. ზღვაზე კიდევ შეხვდებოდა გრიგალი. შეიძლება, მეკობრეებსაც გადაჰყროდა. სხვა ხიფათიც მრავალი ახლდა ზღვაოსნობას, მაგრამ მასზე მძიმე გზა ჰასანსა და მის მეგობრებს ელოდათ. მათ ზღვაზე უფრო ვერაგი — უდაბნო უნდა გადაელახათ, სადაც მეკობრეებზე არანაკლებ საშიში ყაჩაღები დათარეშობდნენ.

— მითხარი... მითხარი, როდის მობრუნდებით ორმუზს და ჩემი ხომალდით აქ დაგხვდებით, — მერამდენეჯერ უმეორებდა ჰასანს.

ისიც მრავალჯერ ნათქვამი ფრაზით პასუხობდა:

— აბა, რა გითხრა? შეიძლება, ერთი წლის შემდეგ დავბრუნდეთ, შეიძლება, ორი წელიც დაგვჭირდეს ცინის გასაცნობად, შეიძლება, მეტიც. ამბობენ, უზარმაზარი ქვეყანააო. შეიძლება, საერთოდ აღარ...

— არა... არა!.. — ხელები გაასავსავა ალ კაისმა. — მაგას ნურც გამაგონებ, პირყვითელა ღლაპი ხომ არ ხარ?! უფრო შორეული და საშიში ლაშქრობებიდანაც დაბრუნებულხარ.

— მე არ ვამბობ, რომ ვერ დავბრუნდები. ვინ იცის, იქნებ, ცინთა ხათუნებმა აღარ გამომიშვან?! — გაიცინა ჰასანმა.

— ვერც ერთი ქალი ვერ შეცვლის ბაღდადს, თუნდაც სამოთხის ჰურია (ყურანის მიხედვით, მართლმორწმუნე მუსლიმანს სამოთხეში ულამაზესი ქალები — ჰურიები ელოდებიან. — ავტ.) იყოს. ვერ დარჩები ცინის ქვეყანაში. ყველაფერი რომ დაივიწყო, ბაღდადი, სახლ-კარი, ოჯახი... ქააბას (ტაძარი მექაში; მის კედელში ჩატანებულია მეტეორული წარმოშობის შავი ქვა; ჯერ კიდევ წარმართობის დროიდან, წმინდა ადგილად იყო მიჩნეული; მუსლიმანებს ქააბას პერიოდული მონახულება აუცილებელ ვალდებულებად მიაჩნიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამოთხეში ვერ მოხვდებიან. — ავტ.) მაინც ვერ დაშორდები.

— ქააბას?.. — თავისთვის ჩაილაპარაკა ჰასანმა და მუროჩის გახედა, რომელიც ჩაფიქრებული იდგა.

— ფხოველო, ვხვდები, რასაც ფიქრობ და მეც ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი... ხედავ?.. — ჰასანმა ზღვისკენ გაიშვირა ხელი.

მუროჩიმ ზღვას გახედა. ამომავალი მზე ლამაზად ირეკლებოდა კამკამა ზედაპირზე. მზის თბილი, კამკაშა სხივები ისევ თვალებში ანათებდა, ანარეკლი კი საპირისპირო მხარეს გარბოდა — იქითკენ, საითაც ეგულებოდა მშობლიური ფხოვი. თითქოს ისიც კარნახობდა: ზურგი შეაქციე მზეს, მე გამომყევი და შინ დაგაბრუნებო.

— მეგონა, თავად შემახსენებდი ჩვენს პირობას, მაგრამ რახან დუმხარ, მე ვიტყვი ორივეს სათქმელს, — განაგრძო ჰასანმა, — მე ჰინდის ქვეყანაში გამოყოლა გთხოვე და შენ დამთანხმდი. მეგონა, ამისთვის ერთი წელი დაგვჭირდებოდა, მაგრამ უფრო მალე მოვბრუნდით უკან. ამით ჩვენი გარიგება გასრულდა. ორმუზი გზაჯვარედინია, ფხოველო. მე აქედან სხვა, უფრო შორეული ქვეყნისკენ წავალ, მაგრამ რას იზამ შენ?.. ძალისძალად გეუბნები ამას. არ მინდა, ასე რომ მოხდეს, მაგრამ პირობა — პირობაა... ჩემ წინაშე პირნათელი ხარ. აი, ხომალდი!.. ალ კაისი ბაღდადში ჩაგიყვანს და ჩემს სასახლემდეც მიგაცილებს. თან, ჩემი მსახურთუხუცესისთვის წერილს გაგატან. წერილში ჩემი განკარგულება იქნება. მსახურთუხუცესი ოქროსაც მოგცემს და ჩემს ღულამებთან ერთად, კახეთამდე გამოგყვება. მერე თვითონ მოგიწევს გზის გაგნება.

— მაგის თქმა გიძნელდებოდა? — მცირე ხნის მერე ჰკითხა მუროჩიმ.

— მიძნელდებოდა, — ამოიოხრა ჰასანმა, — შენზე უკეთეს და სანდო თანამგზავრს ვერც კი ვინატრებდი. გუელმო ერთგული კაცია, მაგრამ ის ვაჭარია... გვიდო უღალატო ყმაწვილია, მაგრამ ის ბრძოლასა და ხმალთაკვეთებაში გამოუცდელი ბარტყია. შენ კი... წადი, ფხოველო!.. წადი, ხომ ხედავ, რომ არ მინდა ამაზე ლაპარაკი!

— ესე იგი, წასვლას მთავაზობ?

— ჰო, ასეთი იყო ჩვენი პირობა. არ მინდა, რომ წახვიდე, მაგრამ მაინც გეუბნები. იცოდე, ფხოველო, ჩემთან წამოსული, შეიძლება, ვეღარასოდეს დაბრუნდე შინ და თუ დაბრუნდი, ეს ძალიან დიდი ხნის მერე მოხდება. დაფიქრდი... იმ დროისთვის შეიძლება, ყველამ მიგივიწყოს... შეიძლება, ბევრი ცოცხალიც აღარ დაგხვდეს...

მუროჩიმ ზურგი შეაქცია და ზღვას მიაპყრო მზერა. ისევ თავისკენ მიიზიდა ანარეკლმა. თითქოს ჩურჩულებდა:

„წამოდი... რა დაგრჩენია უცხო მხარეში და უცხოტომელებთან?.. შინ ბერდია, უშიშა.... მთელი არდოტი გელის!“

იმ შეგრძნებამ, რომ მალე შეიძლება, მშობლიური მთის ბილიკებს აჰყოლოდა, ჟრუანტელი მოჰგვარა, მაგრამ მერე...

თვალწინ ბაღდადის სასამართლო დაუდგა. ხმალმოზიდული სელჩუკები გაბმით გაჰყვიროდნენ და ყადისგან მისი სისხლის დაღვრას ითხოვდნენ. სასჯელი კი ერთი ჰქონდათ ბაღდადელებს — ხერხემლის ჩალეწვა და მზის გულზე საწამებლად დატოვება...

მაშინ დარწმუნებული იყო, რომ ცოცხალი ვერ გადაურჩებოდა სელჩუკთა რისხვას. მარტო ერთს ნატრობდა: იქნებ როგორმე ხმალი გამოვტაცო მცველს და მერე გავსწორდეთ, ვნახოთ, პირველი ვინ დაადგება საიქიოს გზასო!..

და ამ დროს გამოჩნდა ქომაგი...

ჰასანი წინ წარდგა, მარჯვენა ხმლის ვადაზე ჩამოიდო და შესძახა:

— ვაგლახ, თქვენ, ბაღდადელებო, რომ მარტო რჯულის გამო გამოგაქვთ მისთვის განაჩენი! დაე, იყოს ასე! მაგ კაცს სიკვდილით ვერ დააშინებთ, მაგრამ იცოდეთ, მასთან ერთად, ჩემი მოკვლაც მოგიწევთ. ვისაც არ სჯერა, ახლავე შეუძლია გამომცადოს!..

ეს თქვა ჰასანმა — მტრად გაცნობილმა და მერე მეგობრად ქცეულმა, გამუსლიმანებულმა ქართველმა... მან, რომელიც ახლა შორეული და სახიფათო მოგზაურობისთვის ემზადებოდა. ამ მოგზაურობაში კი მას თან უნდა ხლებოდა მისი ახალშეძენილი ვენეციელი მეგობარი. კაცი, რომელმაც დაუფიქრებლად ჩაუჩეხა მხარი მის სამტროდ ამხედრებულ სელჩუკს...

და რაღა იყო ახლა საფიქრალი?!

— მე არ დამივიწყებენ! — რწმენით ჩაილაპარაკა მუროჩიმ. — საუკუნეც რომ გავიდეს, არდოტს მაინც ვემახსოვრები!

— რისი თქმა გინდა, ფხოველო?! — დაიბნა ჰასანი.

— თავადაც მიხვდები.

— დაფიქრდი... დრო გავა და მწარედ ინანებ მაგ გადაწყვეტილებას!

— ბევრი რამ მასწავლა მამამ ჩემმა, ბერდია დაიაურმა... მეგობრის ერთგულება, ჭირში გატანა, ძმადნაფიცისთვის სიცოცხლის დათმობა... მაგრამ არ უსწავლებია შიშსა და სინანულში ცხოვრება... მე შენთან ერთად მოვდივარ!.. — ჩაილაპარაკა მუროჩიმ და ზურგი შეაქცია მზის ანარეკლს, რომელიც ასე ძალუმად იზიდავდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„მეტი გამჭვირვალობაა საჭირო და მსჯელობა იმაზე, თუ რა მოგვივიდა“

სახალხო დიპლომატიის ეგიდით, მწერალი გურამ ოდიშარია და მისი მეგობრები 12 წელიწადის განმავლობაში ხვდებოდნენ კავკასიის კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს, მოგზაურობდნენ ქალაქებსა და სოფლებში და ყველაფერს აკეთებდნენ მათ შორის ურთიერთობის დასათბობად. „სახალხო დიპლომატებს თითქოს, ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ურთიერთობა ხელთ ეპყრათ და კარგად იცოდნენ, რომ არც ცხინვალი და არც სოხუმი არ არის დღეს ის, რაც 10, 5 ან თუნდაც, ერთი წლის წინ იყო. უბედურება ის არის, რომ ამ ხალხის გამოცდილება ხელისუფლებამ არ გამოიყენა“, — ამბობს გურამ ოდიშარია და წინა წლების კონფლიქტებთან პარალელის გავლებით, დღევანდელ ომზე ლაპარაკობს.

ირმა ხარშილაძე

— მახსოვს, 1998 წელს გალის ცნობილმა მოვლენებმა, როდესაც ქართველები და აფხაზები კვლავ იარაღით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და რასაც მსხვერპლი მოჰყვა, ჩვენი — სახალხო დიპლომატების კარგად დაწყებული დიალოგი აფხაზებთან ბევრით დახია უკან. თუმცა შემდეგ ურთიერთობა მაინც აღვადგინეთ, და, ალბათ, მხოლოდ იმის წყალობით, რომ საუკუნეების განმავლობაში ერთად ვცხოვრობდით, ვაშენებდით ეკლესია-მონასტრებს, ვენათესავებოდით ერთმანეთს, საერთო ტრადიციები გვქონდა და ა.შ. მიუხედავად ამისა, 2001 წელს ვერ ავიცილეთ თავიდან კოდორის მოვლენები. ამ ომმა კვლავ შეაჩერა ჩვენი დიალოგი, თორემ, დარწმუნებული ვარ, გაცილებით მეტს მივაღწევდით. ახლა რაც მოხდა, ეს უკვე საშინელებაა. ბევრი რამ არ ვიცით ამ ომის შესახებ, ფაქტებიც კი არ გვაქვს. სამდღიანი გლოვა გამოვაცხადეთ, მაგრამ დაღუპული ადამიანების სახელები და გვარებიც კი არ ვიცით. ეს დიდი უბედურებაა. სამწუხაროდ, მასმედია ვერ გვიცხადებს მათ სახელებსა და გვარებს.

— მასმედია ინფორმაციას შესაბამისი უწყებებიდან ელის...

— რა თქმა უნდა. კარგად იცით შემთხვევები, როდესაც თვითმფრინავი კატასტროფას განიცდის და ხალხი იღუპება, იმ ადამიანების სიას ჩამოწერენ ხოლმე და ტელევიზიით მათ გვარებს დღეში რამდენჯერმე იმეორებენ. ჩვენ კი დღეს ვგლოვობთ და არ ვიცით, კონკრეტულად ვის ვგლოვობთ. ისიც არ ვიცით, რამდენი ადამიანი დაიღუპა. ხელისუფლებას შეიძლება ზედმიწევნით ზუსტი ინფორმაცია არ ჰქონდეს, მაგრამ შეუძლებელია, მიახლოებით არ იცოდეს. ვფიქრობ, ეს გამიზნულად კეთდება და ძალიან ცუდია. რა თქმა უნდა, როდესაც რუსული ტანკები იპყრობენ შენს ქვეყანას, ერი და ბერი ერთად უნდა ვიყოთ, მაგრამ ერთად რომ ვიყოთ, მე შენ — ხელისუფლებას უნდა გენდობოდე. რომ გენდო, სიმართლე მაინც ხომ უნდა მითხრა, ჩვენი შვილები სად დაიღუპნენ და დაახლოებით რამდენი დაიღუპა?

ეს ადამიანები ქართველებისადმი კეთილად განწყობილები არიან და ჩვენი შეხვედრებისას ისინიც ეძებდნენ ოსების, ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრების გზებს

— საზოგადოებაც თითქოს პასიურია ამ თვალსაზრისით, დაჟინებით არ მოითხოვს ხელისუფლებისგან ამ კითხვებზე პასუხს...

— ეს კითხვები აუცილებლად უნდა დაისვას დღეს. ახლახან ინტერვიუ აიღეს ჩემგან და ზუსტად ეს ვკითხე ხელისუფლებას.

— მხოლოდ ჭორის დონეზე ვრცელდება ინფორმაციები დაკარგულ მეომრებზე, დაღუპულებზე და ა.შ.

— ოფიციალური ინფორმაცია, რაც კეთდება დაღუპულთა რაოდენობის შესახებ, ყალბია. იმიტომ ვამბობ, ხელისუფლება და ხალხი ერთად რომ დადგეს, ნდობა უნდა იყოს 100%-ით და არა 5-10%-ით. ამ დროს არ შეიძლება ხალხს თვალში ნაცარი შეაყარო. არ შეიძლება, როდესაც ზემო აფხაზეთი იკარგება, კონცერტები გამართო მთავარ მოედანზე და დამარცხება გამარჯვებად გაასაღო. მეტი გამჭვირვალობაა საჭირო და საუბარი, მსჯელობა იმაზე, თუ რა მოგვივიდა.

— თქვენი მეგობარი აფხაზები, ოსები ახლა თუ გიკავშირდებიან და რას გეუბნებიან?

— კიდევაც მირეკავენ და კიდევაც მწერენ. მათთან კამათიც ხშირად მიწევს. ისინი ინფორმაციას, ძირითადად, რუსული საინფორმაციო საშუალებებიდან იღებენ და რასაც ხედავენ, იმას იჯერებენ. არადა, ეს ადამიანები ქართველებისადმი კეთილად განწყობილები არიან და ჩვენი შეხვედრებისას ისინიც ეძებდნენ ოსების, ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრების გზებს. ახლა, რა თქმა უნდა, ძალიან გულგატეხილები არიან. მე ვეუბნები მათ, რომ ჯერ თავად არ ვიცი ფაქტები, ბევრ რამეში ვერ გავრკვეულვარ, ჯერ ჩვენი გარდაცვლილები ვერ დაგვისაფლავებია, აგერ, გორში ვერ შევსულვარ, რომ ჩვენი დაზარალებულები ვნახო, ზუგდიდსა და ფოთში ახლობლებთან მხოლოდ ტელეფონით ვლაპარაკობ. იმედია, რამდენიმე დღეში რუსეთის ჯარი გავა და ობიექტური ანალიზის დროც დადგება. ვფიქრობ, ხელისუფლებას ჩვენი — სახალხო დიპლომატების გამოცდილება თავისი ნაბიჯების გადადგმისას აუცილებლად უნდა გამოეყენებინა. იქ, გადაწყვეტილების მიმღებ ხალხში მე ვერ ვხედავ ადამიანებს, ვინც ძალიან კარ-

გად იცის და ჩართულია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ჭეშმარიტ დიალოგში არა მხოლოდ ხელმძღვანელობასთან, არამედ ხალხთან. ჯერ ის ხალხი უნდა მობრუნდეს შენკენ, აი, მერე ტერიტორიაც მობრუნდება. ჯერ ადამიანი უნდა დაიბრუნო და მერე კვადრატული მეტრებიც წამოვა. ამის პერსპექტივა ნამდვილად იყო და ხელისუფლებას უნდა ეთანამშრომლა სახალხო დიპლომატებთან.

— ისევ ოსებთან თქვენს ამჟამინდელ ურთიერთობას მინდა და-

ვუიქრობ, ხელისუფლებას ჩვენი — სახალხო დიპლომატების გამოცდილება თავისი ნაბიჯების გადადგმისას აუცილებლად უნდა გამოეყენებინა

ვუბრუნდე. კონკრეტულად რას გეუბნებიან?

— ერთმა, ვისიც ძალიან მჯერა და ვინც ოჯახის წევრებთან ერთად ცხინვალის დაბომბვის დროსაც იქ იყო, მომწერა: მე არ ვიცი, რა გახდა წინა პირობა, ალბათ, რუსეთმა დაიწყო ეს ამბავი, პროვოკაციები იყო, რომელსაც წამოვეგეთ თუ — ხაფანგი, რომელზეც ფეხი შევდგით, მაგრამ ღამით, მძინარეები ქართველებმა დაგვბომბეს და ეს დანაშაულია. მე ვპასუხობ, ეგებ რუსები იყვნენ, ხომ უნდა დავადგინოთ-მეთქი. ამიტომ ქართველებმა ოსებს უნდა დავუმტკიცოთ ჩვენი სიმართლე. უნდა დავუმტკიცოთ, რომ ეს რუსმა გააკეთა — ბევრია დაღუპული და იმიტომ.

— მათთან დიდია მსხვერპლი? რას ამბობენ?

— ზუსტად მათაც არ იციან, თუმცა მეუბნებიან, რომ დაახლოებით, 1500-2000 ადამიანია დაღუპული. ეს ჩემი მეგობარიც ჯერ სოფლებს აფარებდა თავს, ბოლოს ჯავაში იყო, იქ სხვა ლტოლვილებს ხვდებოდა და მათგან ისმენდა ამბებს. ხომ იცით, ომს მითოლოგიაც ახასიათებს და შესაბამისად, ბევრი რამ გადაჭარბებითაც ითქმება ხოლმე. ის ოსები ძირითადად, ქართულ მხარეს აბრალებენ, რუსებს კი დამცველებად აღიქვამენ. მე კი ვისურვებდი, რომ თუკი არის საშუალება, გაგვებათილებინა მათი ბრალდება.

— იქით თუ არიან ქართველები გაქცეულები?

— ბევრი შერეული ოჯახია, არაშერეულიც, ვინც ამ ორომტრიალში იქით გაიქცა. ეს ის ქართველები არიან, რომლებმაც გაუძლეს სამხრეთ ოსეთში პირველ კონფლიქტს, ოთხი წლის წინ, საბერძნეთის ოლიმპიადის დაწყებამდე მომხდარ გამწვავებასაც და იქ ცხოვრება გააგრძელეს.

— რას ფიქრობთ, ეს კონფლიქტები მხოლოდ ემთხვევა ოლიმპიადების დაწყებას?

— ამაზე ვერაფერს გეტყვით. ერთს კი ვფიქრობ, რომ მიუხედავად პროვოკაციებისა, ჩემს სამშობლოს უნდა აეცილებინა ასეთი დიდმასშტაბიანი კონფლიქტი. თუ გახსოვთ, ამ ამბებამდე 15-20 დღით ადრე, ხელისუფლების წარმომადგენლებიც ამბობდნენ, რუსეთს სურს, პროვოკაციებით დიდ კონფლიქტში ჩაგვითრიოს, მაგრამ ამას არ ავყვებით, რადგან ეს ჩვენი სიკვდილი, დაღუპვა იქნებაო. მე მახსოვს სახეები, ვინც ამას ამბობდა. მათ შორის ჩვენი პრეზიდენტიც იყო. მე, როგორც საქართველოს მოქალაქე, ვისურვებდი, რომ მათ მართლაც აეცილებინათ ეს ომი.

— კიდევ ერთი ასეთი სისხლიანი დაპირისპირების შემდეგ, ალბათ, გაძნელდება ადამიანებს შორის ურთიერთობის აღდგენა, ან

ქალაქები მართლა რუსებმა დაბომბეს-მეთქი. — მე კი მჯერა შენი, მაგრამ რუსები ყველაფერს სხვაგვარად გვიჩვენებენო, — მიპასუხა.

— თუ მოისურვებენ, ხომ შეუძლიათ, ბი-ბი-სის ან სი-ენ-ენის საშუალებითაც მიიღონ ინფორმაცია?

— საქმე ისაა, რომ ეს ინტელიგენტი კაცი გახლავთ, შესაბამისად, ხელმოკლედ ცხოვრობს და აქვს ტელევიზორი, რომელიც მხოლოდ იქაურ არხებს უჩვენებს. ასეთი ბევრია. ამიტომ მოსახლეობის დიდი ნაწილი უცხოურ ტელეარხებს ვერ უყურებს, ნაწილს არც სჯერა მათი ინფორმაციის და ა.შ. მაგალითად, ჩემი მეგობარი რაულ ჩილაჩავა — უკრაინის ელჩი ლატვიაში, რომელმაც მითხრა, რომ ლატვიის რუსი მოსახლეობა თავის გაზეთებში ქართველებს ფაშისტებად მოიხსენიებს, კიცხავს უკრაინელებს, — რატომ მიჰყიდეთ იარაღი ქართველებს? ახლა იმ იარაღით მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავენო!.. ამიტომ მიმაჩნია, აუცილებელია, დღევანდელი ვითარების შეფასება და ანალიზი. ბევრჯერ მითქვამს, რომ როდესაც აფხაზეთის ომში დავმარცხდით, ვერ გავაკეთეთ სრულფასოვანი ანალიზი, შეიძლებოდა თუ არა იმ ომის თავიდან აცილება. მაშინ სახალხო დიპლომატებმა ჩვენი სათქმელი ვთქვით, მაგრამ ეს უპირველესად სახელმწიფოს უნდა გაეკეთებინა. ბოლოს და ბოლოს, „ვარდების რევოლუციით“ მოსულ ხელისუფლებას მაინც უნდა დაერქმია ყველაფრისთვის თავისი სახელი, ყველაფერი მაღალი დონის

ერთმა აფხაზმა მოსკოვიდან დამირეკა და მკითხა: თქვენ ხომ არ ბომბავთ გორს, ფოთს და სენაკსო?.. გავგიჟდი: საიდან მოიტანე-მეთქი?

იქნებ კარგა ხანს შეუძლებელიც გახდეს?

— ამ ეტაპზე, ვთქვათ, მე და ოსებს, მე და აფხაზებს ცუდად გვესმის ერთმანეთის იმიტომ, რომ ისინი ძალიან აფორიაქებული არიან. რაღაც, რაც მათ იციან, მე არ ვიცი და — პირიქით. მაგალითად, ერთმა აფხაზმა მოსკოვიდან დამირეკა და მკითხა: თქვენ ხომ არ ბომბავთ გორს, ფოთს და სენაკსო?.. გავგიჟდი: საიდან მოიტანე-მეთქი? ხომ გჯერა ჩემი, ეს ექსპერტებს უნდა შეეფასებინათ, მაშინდელი შეცდომები დღეს რომ აღარ გაგვემეორებინა... ახლა მაინც უნდა მოხდეს შეფასება. მე ოპტიმისტი კაცი ვარ და ვიმედოვნებ, რომ ბრძენი და გონიერი, გამოცდილი ადამიანები ჩაერთვებიან ამ საქმეშიც და სახელმწიფოს მართვაშიც, სახალხო დიპლომატების რესურსებსაც გამოიყენებენ და ნელ-ნელა კვლავ აღვადგენთ ქვეყანასაც და ურთიერთობებსაც. ■

რუსული აგრესია ქართველი ემიგრანტების წინააღმდეგ

ანუ „სანამ ცოცხლები ხართ, საქართველოში წაეთრიეთ!..“

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთ-საქართველოს შორის დაწყებულ საომარ მოქმედებებს ლოგიკური განვითარება მოჰყვა — მეზობელ სახელმწიფოში დროებით თუ სამუდამოდ გადასახლებულ ქართველებს რუსებმა „ბუნტოვშჩიკი კავკასიელები“ შეარქვეს. თუ ადრე საბჭოთა კავშირის აღდგენის იდეას მხოლოდ ჟირინოვსკისნაირი იდეოლოგიის მქონე თითო-ოროლა პოლიტიკოსი ახმოვანებდა, ახლა ამ აზრს უბრალო მოსახლეობა, მათ შორის, ახალგაზრდებიც იზიარებენ.

სანქტ-პეტერბურგი „სკინჰედების“ ქალაქია, მათ კი კავკასიელები, განსაკუთრებით – ქართველები სძულთ

ლალი პაპასკირი

ზვიადი, *28 წლის:*

— ცნობილია, რომ სანქტ-პეტერბურგი „სკინჰედების“ ქალაქია, მათ კი კავკასიელები, განსაკუთრებით — ქართველები სძულთ. ამიტომაც, ამ ადამიანებს ყველა თავს არიდებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი შეჩერება სამართალდამცველებმაც არ ან ვერ შეძლეს... რუსებისგან დიდ სიყვარულს ვერასდროს ვგრძნობდით, მაგრამ ვიდრე ეს ომი დაიწყებოდა, უბრალო ადამიანებიც კი საოცრად აგრესიულად გვექცეოდნენ. ზოგიერთი პირდაპირ გვეუბნებოდა, — რას გადაეკიდეთ ამ ამერიკას? ხომ ხედავთ, ჩვენი ხელისუფლება მაინც არ გეშვებათ; თუ ჩვენთან იქნებით, აფხაზეთიც თქვენი იქნება და ოსეთიცო... საქართველოში ჟირინოვსკის დასცინიან, მაგრამ რაც უნდა გასაოცარი იყოს, რუსეთის მოსახლეობის 80% მასავით აზროვნებს. როცა რუსეთმა საქართველოს დაბომბვა დაიწყო, პეტერბურგის ქუჩებში გამოსული ადამიანების სახის გამომეტყველების მიხედვით ვხვდებოდი, მათ შორის ქართველი რომელი იყო. დაზაფრულები დადიოდნენ. ქართული ტელემაუწყებლობები დაბლოკეს, რუსული არხები კი ისეთ საშინელ ინფორმაციებს გადმოსცემდნენ, ასე მეგონა, ჩემს ვერც ერთ ოჯახის წევრს და ახლობელს ცოცხალს ვეღარ ვნახავდი. სატელეფონო ქსელებიც არ მუშაობდა, ვერავის ვუკავშირდებოდი... მართალია, ჩვენ არ გვბომბავდნენ, მაგრამ მაინც, უმძიმესი დღეები გამოვიარეთ. რუსი ხალხი ძალიან პოლიტიზებულია. ისინი გვეუბნებიან, — კავკასიაში მთავარი ბუნტისთავები ყოველთვის თქვენ იყავით და სანამ მთავარ „ბუნტოვშჩიკს“ არ მოიშორებთ (*იგულისხმება პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. — ავტ.*), მშვიდობას ვერც თქვენ და ვერც ჩვენ ვერ ვეღირსებითო. თანდათან ვრწმუნდები, რომ მათ საქართველო რუსეთის შემადგენელი ნაწილი ჰგონიათ.

— **ახალგაზრდებიც ასე აზროვნებენ?**

— ძირითადად, ახალ თაობასთან მაქვს ურთიერთობა. მათ ამერიკის მიმართ პათოლოგიური ზიზღი და შური აქვთ. ომამდე ერთ რუსს ველაპარაკე, რომელიც ბათუმში ისვენებდა და საქართველოდან ომს გამოასწრო. დაბომბვა რომ დაიწყო, ის აჭარას გულშემატკივრობდა. გამიკვირდა კიდეც, ამდენ ფაშისტში ეს ერთი ნორმალური როგორ გამოერია-მეთქი? მაგრამ მან ყველაფერი მალევე „გამიიასნა“, — ბათუმის „პონტებზე“ მწყდება გული. იქაურობა რომ დაბომბონ, შემოდგომამდე მის რესტავრაციას ვერ მოასწრებენ, მე კი „ბარხატნი სეზონზეც“ ვაპირებდი ჩასვლასო... ძალიან მარტივი და საზიზღარი იდელოგია აქვთ: ქართველი, რომელიც ეროვნულად აზროვნებს, ცუდია, რადგან მას რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნება არ სურს. ამ აზრს მხოლოდ ერთეულები არ ეთანხმებიან... ბოლო დროს ხშირად გვეუბნებოდნენ, — სტალინის ხელი გაკლიათ, მან ქართველების ფსიქოლოგია ზედმიწევნით კარგად იცოდა და ამიტომაც ჰყავდით მორჯულებული ან კიდევ, გვაყვედრიდნენ, — აქ მუშაობა და ფული ხომ გინდათ?! ამაყ ქართველებს მელე ისევ რუსები წამოგაჯდებით თავზეო. ქართველმა ბიჭებმა მეტის მოთმენა ვეღარ შეძელით და ვუთხარით: აქამდე რომ მოაღწიეთ, ჩვენნაირების დამსახურებაა, თორემ ჯერ ისედაც რას ჰგავხართ და უჩვენოდ ხომ მთლად პირუტყვები იქნებოდით-თქო. კიდევ რაღაცები ვუთხარით, მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება. ერთი სიტყვით, ძალიან მაგრად ვიჩხუბეთ...

— **ზვიად, როგორც ცნობილია, სანქტ-პეტერბურგი „სკინჰედების“ ქალაქია. ბოლო მოვლენების შემდეგ ისინიც ხომ არ გააქტიურდნენ?**

— რაღაც განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია, მაგრამ ფაქტია, ისინი ყოველთვის აგრესიულები იყვნენ. მათზე თავად რუსები ამბობდნენ, — თავს გაუვიდათო. ამას წინათ, ქალაქის ცენტრში, ლენინის ქუჩაზე მდებარე ღამის ბარის მეპატრონე მოუკლავთ. მათი ადგილობრივებსაც ძალიან ეშინიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, „სკინჰედების“ რიცხვი დღითი დღე მატულობს. იმ დღეებში, როცა საქართველო იბომბებოდა, ქართველ ემიგრანტებს ბელორუსიელები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები და თურქები მხარში გვედგნენ. რამდენიმე რუსმაც გამოგვიცხადა თანაგრძნობა, მაგრამ ამავდროულად, გაოცებას ვერ ფარავდნენ, — ქართველებმა ჩვენი სამხედროებისთვის წინააღმდეგობის გაწევა როგორ გაბედეს? როგორც ჩანს, თქვენს ხელისუფლებას ამერიკამ ისე აურია თავგზა, რომ გამარჯვებაშიც კი დაარწმუნაო. ისინი გაუნათლებლები არ არიან, რაღაცებს კითხულობენ კიდეც, მაგრამ ზოგჯერ მგონია, რომ რეალობას არიან მოწყვეტილნი. ღამის ყველა რუსს ერთი ოცნება აქვს — საბჭოთა კავშირის აღდგენა. ამბობენ, — მაშინ უფრო ძლიერები ვიყავით, ყველანი ბევრად უკეთ ვცხოვრობდითო... საქართველოში დაბრუნება უკვე გადავწყვიტე. სამშობლოში მუშაობას თუ ვერ დავიწყებ, რომელიმე ევროპულ ქვეყანაში წავალ.

ნანა, *48 წლის, სოჭიდან:*

— მთელი ქალაქი სოჭის ოლიმპიადისთვის განკუთვნილი ობიექტების მშენებლობას შეხაროდა. მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგს თუ არ ჩავთვლით, რუსეთის დანარჩენ ქალაქებთან შედარებით, სოჭი სამოთხეა. ბოლო დროს ღამის ყოველდღიურად იხსნებოდა დამატებითი სასადილოები, კაფეები და სასტუმროები. ხალხმა წელიწადის სხვა სეზონზეც დაიწყო რუსეთისა და აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულ მუშებზე ოთახების გაქირავება. როცა რუსეთმა საქართველოში სამხედრო ოპერაციები დაიწყო, იქაურობა რამდენიმე დღეში დაცარიელდა და რა თქმა უნდა, სამუშაოები შეჩერდა, ტრაქტორები, ექსკავატორები გაიყვანეს. რუსი მუშები აფხაზეთის მხარეს დაფეთებულნი იცქირებოდნენ.

— **რატომ?**

— იქიდან საფრთხეს ელოდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთის მოსახლეობაც პანიკაში იყო... როცა სოჭის გავლით, საქართველოს ტერიტორიის მიმართულებით (აფხაზეთს ვგულისხმობ) რუსული სამხედრო ძალების ასობით კოლონა დაიძრა, ადგილობრივი რუსები აღშფოთდნენ, — ეს ყველაფერი, ოლიმპიადას ჩაშლის და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი ომის დაწყება რუსეთსაც საფრთხეს შეუქმნისო. ბოლო დროს საქართველოში განხორციელებულმა მოვლენებმა ხალხი პუტინისადმი აგრესიულად განაწყო. რუსები უახლოეს მომავალში ქვეყნის ეკონომიკის დაღმავლობაზეც ლაპარაკობენ. როგორც მოსალოდნელი იყო, აქ მცხოვრებ ქართველებსაც გადმოგვწვდნენ. გვეუბნებოდნენ, — ნახევარი საქართველო აქ არის, დანარჩენები კი პურს რუსეთიდან გამოგზავნილი ფულით ჭამენ და მაინც ვერ გვიტანთო? მათ ძირითად ნაწილს ჩვენი პრეზიდენტი სძულს. ამბობენ, — ქართველები მსოფლიოში ყველაზე კარგი, თბილი, მებრძოლი, ამაყი ხალხი ხართ და ასეთ უღირს ლიდერს არ იმსახურებთო. მათ ვიღაც ქართველი შეეპასუხა: თქვენ კი საკუთარი ხალხის მკვლელ პრეზიდენტს ნამდვილად იმსახურებთო... იცით, ყველაზე მეტად რა მაოცებს? — ყველა იმას ამბობს: ჩვენ დიდი ქვეყანა ვართ და ანგარიში უნდა გაგვიწიოთო. მათი თქმით, ქართველებს ჭკუა რომ გვქონდეს, სააკაშვილს გადადგომას სასწრაფოდ მოვთხოვდით. — ხომ ნახეთ, სანამ ამერიკამ ხმა ამოიღო, რუსეთმა საქართველოს გადაუარაო, — ამას რაღაცნაირი სიამაყით ამბობდნენ. საქართველო რომ ვითარდება, ეს რუსებს აღიზიანებთ. ურჩევნიათ, ყველანაირად მათზე ვიყოთ დამოკიდებული... მაშინ, როცა რუსული თვითმფრინავები საქართველოს ბომბავდნენ, სოჭში მცხოვრებ ქართველებს ე.წ. „უჩასტკოვებმა“ (უბნის ინსპექტორებმა) ჩამოგვიარეს. მათ რამდენჯერმე დავემალე, მაგრამ საღამოს სახლის ტელეფონზე დამირეკეს და მილიციის რაიონულ განყოფილებაში დამიბარეს. ირონიულად იღიმებოდნენ. გამომკითხეს, — თუ რამდენი ნათესავი მყავს საქართველოში და მთხოვეს, მათი სახელები და გვარები ჩამომეწერა. ასევე მკითხეს, რა სიხშირით ვსტუმრობ სამშობლოს, რა ასაკის შვილები მყავს, სად სწავლობენ და რა საგნებში ემზადებიან, წლის განმავლობაში საშუალოდ, რა თანხას ვგზავნი ნათესავებთან, რამდენი ნათესავი ცხოვრობს რუსეთში და რას საქმიანობენ ისინი და ა.შ. ეს დამამცირებელი პროცედურა რამდენიმე საათს გაგრძელდა. იქიდან გამოსულს დასაკითხავად დაბარებული ქართველების უზარმაზარი რიგი დამხვდა. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩვენი ტელეფონები ისმინებოდა. ბოლო დროს ანონიმური ზარებიც გახშირდა — სახლში ვიღაცები გვირეკავენ და გვემუქრებიან. ბინის კართან ასეთი შინაარსის წერილებიც კი დამხვდა: სანამ ცოცხლები ხართ, საქართველოში წაეთრიეთო!.. ძალიან მეშინია, მაგრამ რა ვქნა, ჩემს ოჯახს მატერიალურად აქედან ვეხმარები და საქართველოში რომ დავბრუნდე, არსებობა ხომ გვინდა?! მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრებაც მომბეზრდა. სანამ ქუჩაში გასული ბავშვები შინ დაბრუნდებიან, გული მისკდება...

ადგილობრივი რუსები აღშფოთდნენ, — ეს ყველაფერი, ოლიმპიადას ჩაშლის და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი ომის დაწყება რუსეთსაც საფრთხეს შეუქმნისო

მთელი ქალაქი სოჭის ოლიმპიადისთვის განკუთვნილი ობიექტების მშენებლობას შეხაროდა...

ქართველები

ხელცარიელები უნდა წავიდეთ აქედანო, — უთქვამს ქაქუცას...

20 ნოემბერს სამშობლოში ჩამოასვენებენ, 21 ნოემბერს ჯი მთაწმინდაზე დაჯრძალავენ საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტს. ფიქრიანი მთაწმინდა გულში ჩაიხუტებს ჯიდევ ერთ ტკივილიან შვილს, რომელსაც უცხოობაში მყოფს, ვინ იცის, რამდენჯერ დაუკვნესია აკაკის დაუვიწყარი სტრიქონები:

„...დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო“...

ეკა ლომიძე

მშობლიურ მიწასთან მიახლებისთანავე, ალბათ, დიდი ქართველის ტანჯული სული ნაწილობრივ დამშვიდდება. მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან საქართველოს მიწა ისევ დაფლეთილი და დანაწევრებულია...

1924 წლის აჯანყების მონაწილეთა დამარცხების შემდეგ, ბოლშევიკები ბევრჯერ ეცადნენ, მეთაური და შეფიცულები ერთმანეთისთვის დაეშორებინათ, მაგრამ ამაოდ. „წითლებმა“ საწადელს ვერ მიაღწიეს და ამბოხებულთა მეთაური, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ვერც ხელში ჩაიგდეს და ვერც შეფიცულებს დააცილეს. გადარჩენილებმა ერთად გაიარეს უმძიმესი გზა სამშობლოდან საფრანგეთამდე, სადაც საქართველოს ნოსტალგიით ჩაფერფლილები, დღეს უკვე ლევილის სასაფლაოზე განისვენებენ.

საფრანგეთში დაბინავებიდან სულ ექვსიოდე წლის შემდეგ, 1924 წლის აჯანყების მონაწილენი მაინც მეთაურის გარეშე დარჩნენ. 1930 წელს, მისმა სიკვდილმა დაამბლა შეფიცულები. მძიმედ დაავადებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი სამშობლოსა და ოჯახზე ფიქრში აღესრულა. უკანასკნელი სიტყვებიც თურმე, საქართველოს ეკუთვნოდა — დამწვით და ისე ჩამიტანეთ საქართველოშიო. იცოდა, რომ აქ მისი ნეშტის ჩამოტანასაც კი არავინ დაუშვებდა და ამის მცდელობას კვლავ სისხლის ღვრა და მსხვერპლი მოჰყვებოდა.

საქართველოდან წასვლამდე, აჯანყებულებს ხალხი უშიშრად მფარველობდა, რითიც შეეძლო, ეხმარებოდა. ამისათვის სიკვდილით დასჯაც არ ასცდა ბევრს, მათ შორის — ვაჟაფშაველას ვაჟს, ლევანს, რომელიც მხოლოდ იმისთვის დახვრიტეს, რომ აჯანყებულები შეიფარა. როდესაც ლევან რაზიკაშვილი დასახვრეტად მიჰყავდათ, სერგო ორჯონიკიძისთვის უთქვამთ — ის ვაჟას შვილიაო. საქართველოს დამაქცევარ სერგოს ამრეზით უპასუხია — მერე რა?! ქაქუცას დახმარებისთვის თვით ვაჟაფშაველასაც დავხვრეტდიო!..

ქაქუცას გარდაცვალების დროისთვის, ჯერაც არ იყო მინავლული 1924 წლის ტრაგიკული დღეების ცეცხლი, აჯანყებულთა მეთაურმა კი, უკვე ეროვნული გმირის სახელით დაიმკვიდრა მყარი ადგილი ეროვნულად მოაზროვნე ქართველთა ცნობიერებაში, რომელთაც წინ საშინელი 1937 წელი ელოდა. არადა, ვერც საქართველოში და ვერც საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებს ვერ წარმოედგინათ, რომ „წითელი ურჩხუ-



ლი“ დღეგრძელი აღმოჩნდებოდა. ქართველმა ემიგრანტებმა, იმ იმედით, რომ დიდი მეთაურის ნეშტს მშობლიურ მიწას ქრისტიანულად მალევე მიაბარებდნენ, არ დაწვეს და ქაქუცა ჯერ სენ-ანტუანის, შემდეგ კი — ლევილის სასაფლაოზე დააბინავეს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი
გენერალ კვინიგაძესთან ერთად

ამბობენ — ეროვნული გმირის საფლავიც კი აძლიერებდა ემიგრანტებს. ყოველი დღე იმის იმედით იწყებოდა, რომ უახლოეს მომავალში სამშობლოში ქაქუცასთან ერთად დაბრუნდებოდნენ და ამით დამთავრდებოდა ის საშინელი გზა, რომელიც 1924 წლის აგვისტოში დაიწყო და ქაქუცას უახლოესი მეგობრის, ალექსანდრე სულხანიშვილის წიგნად ქცეულმა მოგონებებმაც შემოგვინახა...

დამარცხებული აჯანყებულები თურმე, გამუდმებით უტრიალებდნენ თბილისს: სიკვდილს ვეძებდითო, — ამბობდნენ. ბოლშევიკებს შეუთვლიათ ქაქუცასთვის — თქვენ ისე ცოტანი ხართ, რომ შეტაკების შემთხვევაში, ყველანი დაიღუპებით, არც ჩვენ გვინდა ზარალი, წაიყვანე შენი ცოლ-შვილი, შენი ხალხი და აქედან წადი, გზას გაგიხსნით და ხელს არავის ვახლებთო. ქაქუცას მოუთხოვია — ყველა ჩემს თანმხლებსაც უნდა მისცეთ ცოლ-შვილის წაყვანის უფლებაო. უარი უთქვამთ ბოლშევიკებს და ქაქუცას, თანამებრძოლთა სოლიდარობის ნიშნად, გადაუფიქრებია ემიგრაციაში ცოლ-შვილის წაყვანა.

სანამ ის საქართველოში იყო, მისი მცირეწლოვანი ქალიშვილები ჯერ თელავის, შემდეგ კი — მეტეხის ციხეში გამოუმწყვდევიათ „წითლებს“, თანაც დროდადრო თურმე, აჯანყებულებს უთვლიდნენ — დაგვნებდით, თორემ შვილებს დაგიხოცავთო!.. ქაქუცას უპასუხია — თუ ასეთი აკრძალული ხერხებით დაგვიწყებთ ბრძოლას, კახეთში ქვას ქვაზე დავადუღებთო. კახეთზე აქცენტი იმიტომ გაუკეთებია, რომ განსაკუთრებით მათ წინააღმდეგ თელავის კომიტეტი აქტიურობდა.

ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს, თანამებრძოლებს შეუთავაზებიათ მეთაურისთვის: საქართველოს ბანკებში არსებული ფული ბოლშევიკებს რჩებათ, მოდი, გავტეხოთ ბანკები და ფული თან წავიღოთო. შეწუხებულა ქაქუცა: ეს რამ გაფიქრებინათ?! ისედაც ბანდიტებს

ქაქუცა
ჩოლოყაშვილი

გვეძახიან და ასე ხომ მართლა მივცემთ სათქმელს; სულაც ხელცარიელები უნდა წავიდეთ აქედანო... მართლაც, თურქეთში გადასულებს, ცხენებისა და უნაგირების გარდა, არაფერი ებადათ; როცა ძლიერ გასჭირვებიათ, ეს, უკანასკნელი ქონებაც გაუყიდიათ და ამით არსებობდნენ თურმე, ერთხანს...

„წითლებს“ დანაპირები არ შეუსრულებიათ: თურქეთში გადასვლამდეც, უამრავი ხიფათი შეუქმნიათ დევნილთათვის. მოუსყიდიათ თურქებიც, რომ ქაქუცა და მისი ხალხი დაეპატიმრებინათ და ბოლშევიკებისთვის გადაეცათ. საქმეში გათურქებული, გავლენიანი ქართველები ჩარეულან და საფრთხე აუცილებიათ თანამოძმეებისთვის. მერე დაწყებულა გოლგოთასავით მძიმე გზა, გემით ევროპისაკენ. კიდევ ერთხელ შეუთავაზებიათ ბოლშევიკებს ქაქუცასთვის — შენ დაბრუნდი, მიგიღებთ, შეფიცულებმა კი ლათინური ამერიკისკენ გასწიონო. გმი-

სერგო
ორჯონიკიძე

მე-11 არმია თბილისში
1921 წლის 25 თებერვალს

ქაქუცას საფლავი ლევილში

რი რა გმირი იქნებოდა უკეთურთა ზრახვებს რომ დანებებოდა?!

...საფრანგეთში, პარიზთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქში სახლი ჰქონიათ ქართველებს. ცდილობდნენ, ერთმანეთთან ახლოს ყოფილიყვნენ. ზოგს მუშაობა დაუწყია, სხვადასხვა ხელობა შეუსწავლია. ქაქუცა ძალიან მალე გამხდარა ავად. აღმოჩნდა, რომ ფილტვების სიმსივნე ჰქონდა. სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები ეხმარებოდნენ თურმე, მატერიალურად. ფილტვებით დაავადებულთა საავადმყოფოში დაუწვენიათ. ერთხანს, მდგომარეობა გაუმჯობესებულა, გამოუყვანიათ კიდეც საავადმყოფოდან, მაგრამ მალევე ისევ გაუარესებია ჯანმრთელობა და დაუბრუნებიათ. იქვე გარდაცვლილა კიდეც.

...მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, თუ რა შავ დღეში ჩააყენებდნენ საქართველოში უმწეოდ დარჩენილ მის ცოლ-შვილს, თურმე, არასდროს იმჩნევდა მწუხარებას. აქ კი ქაქუცას წასვლის შემდეგ, მის ქალიშვილებს სწავლის საშუალებასაც არ აძლევდნენ, რის გამოც, გოგონებს სკოლიდან სკოლაში მოგზაურობა უწევდათ. დირექტორები რამდენიმე თვით თუ გაბედავდნენ მათ მიღებას... არც დასაქმების საშუალება ეძლეოდათ და თავი გაჭირვებით გაჰქონდათ. მაგრამ ყველაფერს იტანდნენ, რადგან საბედნიეროდ, ბოლშევიკებს მათი დატუსაღება ან გადასახლება არ მოსვლიათ თავში, 1942 წლამდე.

ერთ დღეს, ჩოლოყაშვილების ოჯახს უცხოეთიდან ჩამოსული ორი ქართველი მისდგომია. მათი ვინაობა დღემდე უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ ისინი გერმანიაში, ნაცისტებთან ერთად მებრძოლი, ქართველთა ლეგიონის წევრები ყოფილან. ქაქუცას ცოლ-შვილისთვის უთქვამთ — ჩვენ ქაქუცას მეგობრები ვართ და აქ კონკრეტულ პიროვნებებთან ურთიერთობის დასამყარებლად, თქვენი დახმარება გვჭირდებაო... ჩოლოყაშვილებს ცივი უარით გამოუსტუმრებიათ: ისედაც ბევრი ვიტანჯეთ და კიდევ პრობლემები არ გვინდაო. მაგრამ ეს არ დაიჯერა სუკმა, რომელიც ჩოლოყაშვილთა სტუმრებს უთვალთვალებდა და ქაქუცას ოჯახს ყაზახეთში გადასახლება და სატუსაღო მაინც არ ასცდა. რამდენიმე წლის შემდეგ, კომუნისტებს ჩოლოყაშვილები შეუწყალებიათ.

დღეს უკვე არც მეუღლე და არც ქალიშვილები ცოცხლები აღარ არიან. იმ ქვეყნად გაიყოლეს უამრავი ტკივილი და შეურაცხყოფა, რომელიც მხოლოდ იმისთვის მიიღეს, რომ გმირის ოჯახის წევრები იყვნენ.

გმირი კი დღეს, სამშობლოში ბრუნდება. ბევრ ადამიანს სურს, რომ ქაქუცას ნეშტის გადმოსვენებაშიც რაღაც კარგი ნიშანი დაინახოს. ეს განსაკუთრებით იმ ქართველთა შთამომავლებში იგრძნობა, რომელთაც თავის დროზე, „წითელი ურჩხულის“ გამო დატოვეს სამშობლო...

20 ნოემბერს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტს, შვილიშვილთან და შვილთაშვილთან ერთად, მისი თანამებრძოლების შვილებიც ჩამოაცილებენ საფრანგეთიდან. იქნებ, ეს მართლაც, დიდი დაბრუნების დასაწყისია — მოვლენისა, რომელშიც მარტო ადამიანთა დაბრუნება არ იგულისხმება...

(„გზა“, 20005 წლის ნოემბერი)

■



შეურაცხადი რძალი დედამთილის მოკვლას ჯაყვით შეეცადა

„...მოსიყვარულე დედას ხელში საჩუქარი ექნებოდა და არა დანა, რომლითაც ჩვენს მოკვლას ცდილობდა...“

სამართალდამცველები ამბობენ, რომ მკვლელობის მზაკვრული ჩანაფიქრი ოჯახში ქონების გაყოფასთან დაკავშირებულ, მრავალწლიან დავას მოჰყვა. რძალმა მოხუცი დედამთილი სასიკვდილოდ გაიმეტა და შემზარავი დანაშაულის ჩადენას საკუთარი შვილებისა და მამამთილის თვალწინ შეეცადა... გაირკვა ისიც, რომ ოჯახში არსებული უთანხმოების შესახებ მთელმა სანათესავომ და სამეზობლომ იცოდა, მაგრამ დავა თუ სასტიკ დანაშაულში გადაიზრდებოდა, არავინ ელოდა.

39 წლის სოფიო კაკაბაძის (გვარები შეცვლილია) შეურაცხადობის ცნობაც ასევე მოულოდნელობა აღმოჩნდა ბევრისთვის. ექსპერტებმა ისიც გაარკვიეს, რომ კაკაბაძეს დაავადება ბაბუისგან გენეტიკურად ერგო „მემკვიდრეობით“, ფსიქიკურად შეშლილმა ბაბუამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, თუმცა არც ამის და არც დაავადების შესახებ რძალს ქმრისა და მისი ოჯახის წევრებისთვის არაფერი გაუმხელია.

როცა დანაშაული მოხდა, სოფიო კაკაბაძე უკვე ცალკე ცხოვრობდა. შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრე, ის ქმარს ოფიციალურად გაეყარა. არასრულწლოვანი შვილები ყოფილი ქმრის ოჯახში — ბებიასთან და ბაბუასთან იზრდებოდნენ. როგორც საქმის მასალებში არსებულ ჩვენებებშია აღნიშნული (მათ შორის, თავად კაკაბაძის ჩვენებაში), დედამ შვილების მონახულება გადაწყვიტა და ამ მიზნით, დედამთილის სახლისკენ გასწია, ისე, რომ ოჯახის წევრები ამის თაობაზე არ გაუფრთხილებია. დაზარალებულთა დაკითხვის ოქმებში კი ვკითხულობთ, რომ სინამდვილეში, კაკაბაძეს დედამთილსა და მამამთილზე შურისძიება ჰქონდა განზრახული და სპეციალურად ამისთვის — ჯაყვის ტიპის დანაც მომზადებული...

კარი გაუღეს თუ არა, დანა მან დედამთილს მოუქნია... ნაზი შაქარაშვილი ბეჭში დაიჭრა და გულწასული იქვე, კარის ზღურბლთან დაეცა. ხმაურზე გამოვარდნილმა მამამთილმა — რობერტ შაქარაშვილმა დანამომარჯვებული რძალი რომ დაინახა, მეზობლების გასაგონად, ყვირილი ატეხა — მიშველეთო, თან სოფიო კაკაბაძის განიარაღებას შეეცადა. ჭიდილის დროს, მას დანამ ხელები დაუსერა, მაგრამ გამხეცებული ქალისთვის იარაღის წართმევა მაინც მოახერხა. ყვირილზე გამოსულმა მეზობლებმა სოფიო კაკაბაძე იქაურობას გაარიდეს და ეზოში გაიყვანეს, მაგრამ გააფთრებული ქალი მაინც არ ჩერდებოდა. მეზობლებს ის იქვე, სადარბაზოსთან ნაპოვნი რკინის ძელით იგერიებდა და ისევ დედამთილისა და მამამთილის სახლისკენ მიიწევდა. მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, ის ყვიროდა, რომ მას შვილების ნახვას უკრძალავდნენ და ამას არავის აპატიებდა.

„...ჩვენს გასამწარებლად მოვიდა, ჩემთვის და ჩემი მეუღლისთვის სიცოცხლის მოსასპობად. ეს განზრახვა რომ ჰქონდა, ამას ადასტურებს საქმეში არსებული მტკიცებულებები, ჩვენებები და ნივთმტკიცებებიც — დანა და რკინის უზარმაზარი ძელი, რომელიც პოლიციამ იმავე დღეს, შემთხვევის ადგილიდან ამოიღო... მეზობლები ამბობენ, რომ სოფიოს არანორმალური ძალა ჰქონდა, მის შეჩერებას ათამდე ადამიანიც ვერ ახერხებდა, ისე იყო თურმე ჩვენს მოსაკლავად შემართული... ცოლი რომ კართან უგონოდ დაგდებული დავინახე, არ ვიცი, როგორ, მაგრამ მაშინვე გავაცნობიერე, რაც უნდა მომემოქმედებინა. სოფიოს ხელები გავუკავე და დანა წავართვი. ეს ასე სწრაფად რომ არ გამეკეთებინა, ალბათ, მერე ამას ვეღარ შევძლებდი, წინააღმდეგობას ვერც მე გავუწევდი და შესაძლოა, ნამდვილი უბედურება დატრიალებულიყო. ის ორივეს იქვე მოგვკლავდა... თავზარდაცემული ბავშვები — ჩემი შვილიშვილები შიშისგან ღრიალებდნენ, მეზობლებიც გამოცვივდნენ... ჩემი ცოლი მოასულიერეს და ამის შემდეგ პირველი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ „სასწრაფო დახმარებასა“ და პოლიციას დავურეკე...“ — წერს ჩვენებაში **რობერტ შაქარაშვილი**.

სოფიო კაკაბაძე სამართალდამცველებმა იმავე დღეს დააკავეს. საქმეზე სისხლის სამართლის საქმე დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით აღიძრა. დაკავებულმა დანაშაული არ აღიარა — თქვა, რომ დედამთილი და მამამთილი, პირიქით, მას დაესხნენ თავს და შვილების წართმევა დაუპირეს. ბრალდებულად დაკითხვის ოქმში კი აღნიშნავს, რომ იმ დღეს რა მოხდა, დეტალურად არ ახსოვს. სოფიო კაკაბაძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევის საკითხი ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების ეტაპზე დასვა. ექსპერტებმა სოფიო კაკაბაძე შეურაცხადად ცნეს და მისი მკურნალობის აუცილებლობაზე გამოძიებას ოფიციალურად მიმართეს. ამას დაზარალებული მხარე — შაქარაშვილები არ დაეთანხმნენ...

„ეს მხოლოდ იმისთვის მოიგონეს, რომ პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლონ. უკვე მრავალი წელია, რაც მას ჩვენი გამწარება სურს, ლამის იმ დღიდან, რაც ჩვენს ოჯახში შემოვიდა. გიჟის არაფერი ეტყობოდა, უბრალოდ, პრეტენზიული და ეგოისტური ბუნების ადამიანია, რომელიც თავისი მიზნების მისაღწევად უკან არაფერზე იხევდა და როცა დაინახა, რომ ჩხუბითა და სკანდალებით მიზანს ვერ აღწევდა, მკვლელობაზე გადავიდა. სიცრუეა ის, რომ საკუთარ შვილებზე ზრუნავდა და იმ დღესაც, მათზე მონატრებული მოგვადგა სახლში. ასე რომ ყოფილიყო, მოსიყვარულე დედას ხელში საჩუქარი ექნებოდა და არა დანა, რომლითაც ჩვენს მოკვლას ცდილობდა... ერთადერთი, რაც სურდა, ჩვენი ქონება იყო. მოითხოვდა, ბინა დაგვეტოვებინა და საცხოვრებლად რაიონში გადავსულიყავით. მე და ჩემმა მეუღლემ მთელი ცხოვრება ამ სახლში გავატარეთ, შვილები აქ გავზარდეთ, ეს იყო ჩვენი კერა და მას ვერ მივატოვებდით. რძალი ჩვენთან სისტემატურად არ ცხოვრობდა, ძირითადად მშობლებთან იყო, ამის მიზეზი ნაწილობრივ ისიც გახლდათ, რომ ჩემი ვაჟი — სოსო შაქარაშვილი 11 წელია, რაც ესპანეთში ცხოვრობს. საზღვარგარეთ სამუშაოდ ის სწორედ ცოლის — სოფიო კაკაბაძის დაჟინებული მოთხოვნით გაემგზავრა. ჩვენ და ბავშვებს ყოველთვიურად ფულს გვიგზავნიდა; გარკვეულ თანხას ცოლსაც უგზავნიდა, ოღონდ ცალკე, რადგან მისი ხასიათი კარგად იცოდა. დაახლოებით ორი წლის წინ, ჩემმა მეუღლემ ახლობლისგან შეიტყო, რომ სოსო იქ სხვა ქალთან ერთად ცხოვრობდა. ამ ამბავმა დიდი დარტყმა მოგვაყენა, თუმცა ყველანი ვგრძნობდით, რომ ადრე თუ გვიან, ეს გარდაუვალი იქნებოდა. ნაზიმ სოსოს დაურეკა და მანაც დაუდასტურა. ამის გამო რძალმა ოჯახში არაერთი სკანდალი მოაწყო, მისი მშობლები და დაც მოგვიცვივდნენ და რატომღაც ყველაფერში ჩვენ დაგვადანაშაულეს. ცოლი რომ ოდნავ მაინც დაეშოშმინებინა, ჩემმა შვილმა ესპანეთიდან ფული გამოგზავნა და სოფიოს ურჩია, ამ თანხით თავისთვის ბინა ეყიდა, რათა განქორწინების შემთხვევაში, თავშესაფარი ჰქონოდა. ცოტა ხნით, მართლაც დაწყნარდა. ნაძალადევის რაიონში ოროთახიანი ბინა იყიდა და განქორწინების ოფიციალურად გასაფორმებლად, საბუთების მომზადებაც დაიწყო. ჩვენ ის სახლიდან არ გაგვიგდია, თვითონ ერჩივნა

ცალკე ცხოვრება და არც ბავშვებთან დაშორება აღელვებდა. რამდენიმე კვირა ისე გავიდოდა, რომ მათ ამბავს არც იკითხავდა. ჩემი შვილიშვილები ძალიან განიცდიდნენ ამას, მაგრამ დედის ნერვიული ბუნების შესახებ იცოდნენ და ცდილობდნენ, ყველაფერი აეტანათ. ბავშვებისთვის დედასთან ცხოვრება ჩვენ არ აგვიკრძალავს, მათ თავად ერჩივნათ ჩვენთან ყოფნა და ამას ყოველთვის, სხვების თანდასწრებითაც აღნიშნავდნენ... ბინა შეიძინა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყო. სახლში მოდიოდა და გვეჩხუბებოდა, ხან ჩვენი ბინის გაყიდვას, ხანაც იქაურობის დატოვებას გვთხოვდა. ფანჯარაში გადადგებოდა ხოლმე და ყველას გასაგონად ყვიროდა, გვლანძღავდა და ბინძური სიტყვებით გვაგინებდა. რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს ამტვრევდა. ეს ყველაფერი ბავშვებზე ძალიან მოქმედებდა, ისინი საკუთარი დედისგან მუდმივ ტერორში იმყოფებოდნენ და სწორედ ამის გამო, ვთხოვდი, თავი დაენებებინა ჩვენი ოჯახის აწიოკებისთვის. ამ სიტყვებს დღეს უკან მიბრუნებს და ირწმუნება, თითქოს ოჯახში გაჩერებისა და ბავშვებთან ურთიერთობის საშუალებას არ ვაძლევდი... ყვირილით რომ ვერაფერს მიაღწია, ქურდობა დაიწყო. ერთ დღეს, სრულიად შემთხვევით, აღმოვაჩინე, რომ ბინიდან საბუთები გაქრა. არსად ჩანდა არც ჩემი და არც ჩემი მეუღლის პირადობის და დაბადების მოწმობები, ქვითრები, ბინის დოკუმენტაცია, ანდერძი, რომელიც მე დავწერე ადრე... ეჭვი, რა თქმა უნდა, რძალზე მივიტანეთ, რადგან სხვა ამის გამკეთებელი არავინ იყო. უჯრაში, სადაც ამ დოკუმენტაციას ვინახავდით, სხვა ყველაფერი ხელუხლებლად იდო, მხოლოდ ეს საბუთები იყო წაღებული. რძალს დავურეკეთ და საქმის კურსში მისი ოჯახის წევრებიც ჩავაყენეთ, მაგრამ მათ ყველაფერი უარყვეს... ამის შემდეგ სოფიო ჩვენს სიახლოვეს კარგა ხანს აღარ გამოჩენილა, მე და ჩემმა მეუღლემ კი საბუთების კეთება თავიდან დავიწყეთ... არ ვიცი, ალბათ, ამის შესახებ რამე შეიტყო და ჩვენი დახოცვა ამიტომაც გადაწყვიტა. ახლა მის გამართლებას შეურაცხადობით ცდილობენ, მაგრამ ეს ასე არ არის, ყოველი მისი მოქმედება წინასწარ დაგეგმილი და ძალიან კარგად გააზრებული იყო. ამის დამამტკიცებელი საბუთი გამოძიებას მრავლად აქვს. ის ზუსტად ისე უნდა დაისაჯოს, როგორც საშიში დამნაშავეები ისჯებიან“, — აღნიშნავს დაზარალებული **როზერტ შაქარაშვილი**.

მართალია, დაზარალებული მხარე სოფიო კაკაბაძის ჯანმრთელობის შესახებ ექსპერტების დასკვნას არ დაეთანხმა და ბოლომდე ამ პოზიციაზე დარჩა, მაგრამ მათივე ჩვენებიდანაც ნათლად იკვეთება, რომ ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობა წლების მანძილზე მართლაც საეჭვო შთაბეჭდილებას ტოვებდა. გადაჭარბებული ნერვიულობა, გამაღიზიანებელი ქცევა, აგრესიულობა — ყოველივე ეს, ექსპერტების თქმით, სწორედ დაავადების სიმპტომებია. კაკაბაძის ოჯახის წევრების დაკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ბრალდებული ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში ადრეც მკურნალობდა. ამის შესახებ გამოძიებამ ოფიციალური ცნობებიც მოიპოვა. საქმეში არსებობს ექიმის ცნობა, რომელიც კაკაბაძის მკურნალობის ფაქტს ადასტურებს. ცნობის თანახმად, კაკაბაძეს ჰალუცინატორულ-პარანოიდული სინდრომი აღენიშნებოდა, რაც თავის ტვინის დისფუნქციით გამოწვეულ ფსიქიკურ აშლილობას ნიშნავს. ექიმმა მაშინ პაციენტის სახლის პირობებში მკურნალობა დასაშვებად მიიჩნია, იმ შემთხვევაში, თუკი ის დანიშნულ პრეპარატებს მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, დროულად და სისტემატურად მიიღებდა. ექიმების ვარაუდით, სწორედ ამ რეჟიმის დარღვევამ გამოიწვია მდგომარეობის გაუარესება. მათი თქმით, ოჯახის წევრები პაციენტის გაკონტროლებას ვერ ახერხებდნენ და ამის საშუალებას მათ თავად ავადმყოფი არ აძლევდა, რადგან არავის ენდობოდა, ყველაში მტერს ხედავდა და მათ რჩევას, ბუნებრივია, არ ითვალისწინებდა...

სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ბრალდებულზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ მას აღენიშნებოდა ჰალუცინაციებისა და ბოდვის სიმპტომები, კონფლიქტური და გაქცევის მიმართ მიდრეკილი იყო; არ ჰქონდა კრიტიკის უნარი, უარყოფითად იყო განწყობილი როგორც მკურნალობის, ასევე საავადმყოფოს რეჟიმისა და მედპერსონალის მიმართაც. ყოველივე აქედან გამომდინარე, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ სამკურნალო დაწესებულების გარეთ მისი ყოფნა საზოგადოებას ხიფათს უქმნიდა და რომ მისი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იძულებითი მკურნალობა აუცილებელი იყო. ექსპერტების თქმით: „დანაშაულის ჩადენის მომენტში კაკაბაძეს არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და ეხელმძღვანელა მისთვის“. ეს პოზიცია სასამართლომაც გაითვალისწინა. განაჩენით უკმაყოფილო დაზარალებულმა მხარემ საჩივარი სააპელაციო სასამართლოში შეიტანა, თუმცა საბოლოო შედეგს ვერც ამით მიაღწია. საკასაციო წესით განაჩენი მათ აღარ გასაჩივრებიათ. ■

ერთი კვირის მანძილზე 47 კანონდარღვევის ფაქტი გამოვლინდა

სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, მარტო ერთი კვირის განმავლობაში — 29 ივლისიდან 4 აგვისტომდე მესაზღვრეებმა კანონდარღვევის 47 ფაქტი დააფიქსირეს. სწორედ ამ პერიოდში შს სამინისტროს მიერ ძებნილი 5 პირია დაკავებული; სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე კი 6 მოქალაქეა აყვანილი, მათ შორის, 5 საქართველოს, ხოლო ერთი, რუსეთის მკვიდრია. სავიზო რეჟიმის დარღვევისთვის, ამავე პერიოდში, 36 პირი დააჯარიმეს. მათგან 29 რუსეთის, 2 — საბერძნეთის, დანარჩენი 5 კი — ისრაელის, ჩინეთის, ნიდერლანდების, ბრაზილიის და ავსტრიის მოქალაქეები არიან. ამ ხნის მანძილზე, საქართველოში დეპორტირებულია 16 პირი, მათ შორის 8 — რუსეთიდან. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სავიზო რეჟიმის დარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმების რაოდენობამ აღნიშნულ პერიოდში 10.620 ლარი შეადგინა. ■

„ისინი მკაცრად დაისჯებიან" – იუსტიციის მინისტრი გაქცეულ პატიმრებს ნებაყოფლობით ჩაბარებას ურჩევს

ხონის №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მომხდარი ინციდენტის შედეგად გაქცეული პატიმრებისგან ამ დროისთვის 73 მსჯავრდადებულია დაკავებული — ასეთ ცნობას იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს. სამინისტროს ინფორმაციით, ამ პატიმართაგან 4 საკუთარი ნებით ჩაჰბარდა სამართალდამცველებს. ნაპოვნია მასობრივი გაქცევისას დაღუპული მეორე პატიმრის გვამიც. იუსტიციის მინისტრი — ნიკა გვარამია კვლავ მოუწოდებს გაქცეულ პატიმრებს, ნებაყოფლობით ჩაჰბარდნენ სამართალდამცავ სტრუქტურებს, რაც მისივე თქმით, გათვალისწინებული იქნება მათი სასჯელის შემსუბუქებისას. შეგახსენებთ, რომ 12 აგვისტოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №9 ხონის საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან 152 პატიმარი გაიქცა. მინისტრის თქმით, ინსპირირებული იყო მასობრივი არეულობა, რის შედეგადაც პატიმრებმა მოახერხეს შემაკავებელი კომუნიკაციების გარღვევა და გაქცევა. იმ მომენტისთვის, ქვეყანაში არსებული დაძაბული ვითარებიდან გამომდინარე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოხსნილი იყო სპეცდანიშნულების რაზმები. ისინი ფრონტის ხაზზე იყვნენ გადაყვანილები, რითაც, როგორც ჩანს, პატიმრებმა ისარგებლეს. მინისტრის თქმით, გაქცეულთა ძებნა ინტენსიურად მიმდინარეობს და ისინი, ვინც ნებაყოფლობით არ ჩაჰბარდებიან სამართალდამცველებს, კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან. *„არავის მიეცემა საშუალება, ვითარება კიდევ უფრო დაძაბოს და გაართულოს კრიმინოგენური ფონი ქვეყანაში. ყველა მსგავსი მცდელობისა და ფაქტის მისამართით კანონი მთელი სიმკაცრით იმოქმედებს“*, — **აცხადებს ნიკა გვარამია**. ■

"ნეზავისიმაია გაზეთას" რედაქტორი გაასამართლეს

რუსი ჟურნალისტები მთავრობას კრიტიკის შეზღუდვის მცდელობაში ადანაშაულებენ

„ნეზავისიმაია გაზეთას“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ საბოლოო განაჩენი გამოუტანა და ის დიდი რაოდენობით თანხის გამოძალვასა და ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო შენახვაში დამნაშავედ ცნო. სასამართლომ ბორის ზემცოვს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

ბორის ზემცოვი რუსმა სამართალდამცველებმა 2007 წლის სექტემბერში, დანაშაულის ფაქტზე დააკავეს. საქმის მასალების მიხედვით, მილიციის თანამშრომლები მას იმ მომენტში დაადგნენ თავს, როცა რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილისგან — ანას ნურუტდინოვისგან შანტაჟის შედეგად გამოძალულ თანხას იღებდა. გამოძიების მასალებში არის ცნობები იმის შესახებაც, რომ ჟურნალისტი ფულს თავად მინისტრსაც სძალავდა და მას „ნეზავისიმაია გაზეთას“ ფურცლებზე მაკომპრომეტირებელი მასალის გამოქვეყნებით ემუქრებოდა. მინისტრისა და მისი თანაშემწის ჩვენების მიხედვით, თანხა, რომელსაც „სიჩუმის“ სანაცვლოდ გაზეთის რედაქტორის მოადგილე მოითხოვდა, ზუსტად არ ყოფილა განსაზღვრული, მაგრამ საბოლოო ჯამში, კოლოსალურ რიცხვს აღწევდა. *„თავდაპირველად, ის ყოველთვიურად 30 ათასი დოლარის გადახდას მოითხოვდა. რამდენი ხნის მანძილზე უნდა გაგრძელებულიყო ასე, მას არ დაუკონკრეტებია. საუბრიდან ჩანდა, რომ დასასრული ამას არ ექნებოდა“*, — წერს ჩვენებაში **ნურუტდინოვი**. ბრალდების თანახმად, ზემცოვი იმუქრებოდა, რომ როგორც კი მისთვის თანხის მიწოდებას შეწყვეტდნენ, მის ხელთ არსებულ მასალას მყისვე გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნებდა. საქმის მასალების მიხედვით, შანტაჟს შედეგი მალე არ მოჰყოლია, ამიტომაც მოთმინებადაკარგული ზემცოვი მინისტრის მოადგილეს დაუკავშირდა და მას ყოველთვიური „გადასახადის“ განახევრებას შეჰპირდა.

თავდაპირველად, სამართალდამცველების ხელში ჩავარდნილი ზემცოვი, კატეგორიულად უარყოფდა დანაშაულს და თავს პროვოკაციის მსხვერპლს უწოდებდა. სასამართლო პროცესის მსვლელობისას კი ვითარება შეიცვალა და განსასჯელმა ბრალი ნაწილობრივ აღიარა, მაგრამ ნარკოტიკების შენახვა მაინც არ დაადასტურა. მისი თქმით, პროკურატურამ მისი ბრალის დამძიმებაზე „იზრუნა“ და ნარკოტიკი სწორედ ამ მიზნით, განგებ „ჩაუდო“. რაც შეეხება თავად „ნეზავისიმაია გაზეთას“ პოზიციას, გამოცემის მთავარი რედაქტორის — კონსტანტინ რემჩუკოვის თქმით, მას თანამშრომლის უდანაშაულობაში ეჭვი არ ეპარება. *„ზემცოვის დაპატიმრება აშკარა შურისძიებაა იმ პუბლიკაციებისთვის, რაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდებოდა. ამასთან, მისი დაკავებით მთავრობა და პროკურატურა ჩვენს გაზეთზე ზეგავლენის მოხდენას შეეცადა“*, — აღნიშნა **რემჩუკოვმა**. აღსანიშნავია, რომ გაზეთის სხვა თანამშრომლები ზემცოვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის შეხვედრას არ უარყოფენ, მაგრამ მათი თქმით, შეხვედრის მიზანი არა გამოძალვა და შანტაჟი, არამედ რედაქციის სამომავლო გეგმები და ურთიერთთანამშრომლობა იყო. ისინი თავიანთი კოლეგის გასამართლებას მთავრობის მიმართ კრიტიკის შეზღუდვის მცდელობად აფასებენ. მსჯავრდადებულის მხარე გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრებას აპირებს.

■

ოსი მოსამართლის ცოლმა ძმრის მკვლელობაში არასრულწლოვანი შვილიც ჩართო

ჩრდილოეთ ოსეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის — ვლადიმირ ალბეგოვის ყოფილ ცოლს საბოლოო განაჩენი გამოუტანეს და მას საკუთარი მეუღლის მკვლელობის ორგანიზებისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მკვლელობის შემსრულებელს — ანდრეი კოლომიცს (რომელიც საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდადებულთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა) 13-წლიანი პატიმრობა მიესაჯა. გასამართლდა ასევე ალბეგოვის 14 წლის ვაჟიშვილიც. მას დანაშაულის ხელშეწყობა დაუმტკიცდა, რისთვისაც სასჯელის ზომად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

ვლადიმირ ალბეგოვის ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილული გვამი 2007 წლის 20 თებერვალს, მისივე ავტომობილის უკანა სავარძელზე იპოვეს. მანქანა ვლადიკავკაზიდან 20 კილომეტრის მოშორებით იყო გაჩერებული. გამოძიებამ მკვლელობის მოტივიც დაადგინა — ზალინა ჩეჯემოვამ ქმარზე შურისძიება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ამ უკანასკნელმა განქორწინების თაობაზე განცხადება შეიტანა. ქმრის ასეთი გადაწყვეტილებით გაბრაზებული ქალი პირველად თავის საყვარელს — კოლომიცს გამოუტყდა მკვლელობის განზრახვაში და უფრო მეტიც, დახმარება სწორედ მას სთხოვა. ჩვენებების თანახმად, ჩეჯემოვა კოლომიცს არწმუნებდა, რომ ქმარი მათ პირადი ცხოვრების მოწყობაში ხელს უშლიდა და მას ფიზიკური განადგურებითაც ემუქრებოდა. იარაღის შესაძენად ჩეჯემოვმა კოლომიცს 20 ათასი რუბლი მისცა. ამ ფასად მათ „პეემემ“-ის სისტემის პისტოლეტი შეიძინეს. ამ სიტუაციაში ყველაზე საშინელი ის გახლავთ, რომ განზრახვის განხორციელება უფრო რომ გაადვილებოდათ, საქმეში ქალმა თავისი არასრულწლოვანი ვაჟიშვილიც ჩართო.

საქმის მასალების მიხედვით, 2007 წლის 17 თებერვალს, დედის დავალებით, ბიჭმა მამას ქალაქგარეთ წაყვანა და ბუნებაში გასეირნება სთხოვა. ალბეგოვის ავტომობილს უკან, სხვა მანქანით, კოლომიცი გაჰყვა. როდესაც მამა-შვილი ავტომანქანიდან გადმოვიდა, კოლომიცი ალბეგოვს მიუახლოვდა და პისტოლეტიდან ცხრაჯერ ესროლა. ახლო მანძილიდან გასროლილი ცხრავე ტყვია ალბეგოვს სხეულის სხვადასხვა ადგილზე მოხვდა და ადგილზევე გარდაიცვალა. კოლომიცმა, მოკლულის ვაჟის დახმარებით, გვამი ისევ ალბეგოვის მანქანაში, უკანა სავარძელზე მოათავსა. თავად, წინა სავარძლებზე მოთავსდნენ (კოლომიცი საჭეს მიუჯდა), გვამი სოფელ ძუარიხაუს მიმდებარე ტერიტორიაზე გაიტანეს და იქვე დატოვეს. ამის შემდეგ კი ორივენი ერთად, ვლადიკავკაზში დაბრუნდნენ.

მოკლულის ყოფილმა ცოლმა სასამართლოს აღიარებითი ჩვენება მისცა და დანაშაული დეტალურად აღწერა.

■

ყველაზე ახალგაზრდა ისლამისტი ექსტრემისტი სასამართლის წინაშე წარდგება

რამდენიმე დღის წინ, დიდ ბრიტანეთში, ყველაზე ახალგაზრდა ისლამისტი ექსტრემისტი — 18 წლის ჰამაად მუშნი დააკავეს. მოზარდს ბრალი იმაში დასდეს, რომ ის მუსლიმანი ტერორისტებისთვის „საჭირო“ პირთა სიების შედგენაში მონაწილეობდა. დაკავებული ერთ თვეს იზოლატორში გაატარებს, შემდეგ კი სასამართლოს წინაშე წარდგება.

აღსანიშნავია, რომ ჰამაად მუშნი ისლამურ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი შეიხისა და ისლამის შემსწავლელი ბრიტანული ინსტიტუტის პრეზიდენტის — იაკუბ მუშნის შვილიშვილი გახლავთ. როგორც ამბობენ, მოზარდი ტერორისტთა წრეში თავისმა ბიძამ — სულთან უჰამადოვმა შეიყვანა. ამ დროიდან მოყოლებული, ჰამაად მუშნი, ფაქტობრივად, ორმაგ ცხოვრებას ეწეოდა, რადგან ტერორისტებთან გაერთიანების ფაქტი, ისევე, როგორც ბიძამისმა, მან ოჯახის წევრებს არ გაუმხილა. გამოძიების მასალების თანახმად, მოზარდი, თანამზრახველებთან ერთად, ექსტრემისტული იდეების ინტერნეტპროპაგანდით იყო დაკავებული. ამ იდეების გავრცელებას ისინი ახალგაზრდა ბრიტანელებს შორის ცდილობდნენ. ჰამაად მუშნის დაკავებისას ჯიბეში ასაფეთქებელი ნივთიერება უპოვეს, მისი ბინის ჩხრეკისას კი საწოლის ქვეშ სხვადასხვა პროპაგანდისტული ლიტერატურა და მკვლელობებისა და აფეთქებების ამსახველი დისკები აღმოაჩინეს. დადასტურებულია ისიც, რომ ჰამაად მუშნი ონ-ლაინ მაღაზიის მფლობელიც იყო და დანებსა და ისლამურ დროშებს ყიდდა.

რუბრიკა მოამზადა
მეგი ცანავამ

საქართველოში განვითარებულმა მძიმე მოვლენებმა ქართველი ხალხი შოკში ჩააგდო, თუმცა საბედნიეროდ, ქართველებს საბრძოლო განწყობილება არც ამჟამად დაუკარგავთ. თითოეული მოქალაქე ქვეყნის საკეთილდღეოდ საკუთარი წვლილის შეტანას თავისებურად ცდილობდა. მომღერალ ანრი ჯოხაძის დედამ, კომპოზიტორმა რუსუდან ჩხაიძემ ამ მოვლენებს სიმღერა მიუძღვნა, რომელიც 44-მა ქართველმა მომღერალმა შეასრულა და კლიპიც გადაიღეს. ვიდეორგოლი მაყურებელმა ტელეეთერის საშუალებით უკვე იხილა. თუ როგორ და რა ვითარებაში დაიწერა სიმღერა, რომელსაც „გამარჯვება მშვიდობისათვის“ ჰქვია, ამაზე თავად ავტორი და მომღერალი ანრი ჯოხაძე გვესაუბრებიან.

ერთ ღამეში დაწერილი პატრიოტული სიმღერა და ერთ მუშტად შეკრული 44 ქართველი მომღერალი

მაია ღუღუნიშვილი

ანრი ჯოხაძე:

— ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, ცხადია, ნებისმიერ ჩვენგანს განსაკუთრებულად მძაფრი ემოცია გაგვიჩინა. ომი, რომ დაიწყო, იმ დღეს ჩემთან მომღერალი კაკი ბოლქვაძე მოვიდა, რომელმაც იდეა მომაწოდა — ხომ არ გააკეთებდი რაიმე პატრიოტული ხასიათის სიმღერას, რომლის შინაარსიც დღევანდელობას ასახავდაო. თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, ოდითგანვე, ქართველი კაცი ომში სიმღერით მიდიოდა. ამიტომ, მიზნად დავისახე, შევჭიდებოდი ისეთ პროექტს, რომელიც ჩვენს მებრძოლებსა და ხალხს გაამხნევებდა. როდესაც დედას გავანდვე ჩემი გეგმების შესახებ, მას თურმე თავისთვის ახალი სიმღერის ფრაგმენტი მოხაზული ჰქონდა. ღამის 11 საათზე დავსხედით პიანინოსთან და სიმღერაზე დავიწყეთ მუშაობა. თემურ ჯანგულაშვილის არაჩვეულებრივი ლექსიდან ორი სტროფი გამოვიყენეთ, რამდენიმე ფრაზა მე დავამატე. დილას კი სიმღერა უკვე მზად გვქონდა. მთელი ღამე ინსტრუმენტთან გავათენეთ. შინაარსი ასახავს ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობას, ეს ტექსტი ერთგვარად გამამხნევებელი და იმედისმომცემია ქართველებისთვის. სიმღერის ჩაწერის წინადღეს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ მიმიღო. მისმა უწმინდესობამ დამლოცა და ჯვარი მაჩუქა. პატრიარქთან შეხვედრამ ძალიან დიდი ძალა მომცა. მისი ლოცვა-კურთხევით ამ მძიმე პერიოდში, საქმეს ადვილად გავართვი თავი.

რუსუდან ჩხაიძე, *სიმღერის ავტორი:*

— ძალიან მიყვარს პატრიოტული თემატიკის სიმღერების წერა. ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ერთი მელოდია ამეკვიატა, რომელიც მოვინიშნე. ეტყობა, რაღაც წინათგრძნობა მქონდა. მძაფრმა ემოციამ კი ერთი ამოსუნთქვით დამაწერინა ის სიმღერა,

რომელსაც „გამარჯვება მშვიდობისათვის“ დავარქვით. მერე უკვე მთელი ღამე მის დახვეწაზე ვმუშაობდით. სახლში ორი მომღერალი მყავდა — ანრი და კაკი. მე ვწერდი, ისინი მღეროდნენ. გაგანია ომის დროს, ჩვენ დიდ შემოქმედებით წვაში გახლდით. ანრიმ დრო არ დაკარგა და დილით ხმის ჩამწერ სტუდიაში არანჟირების ჩასაწერად წავიდა. ჩაწერის პროცესს არ დავსწრებივარ, ვინაიდან შვილი პროფესიონალი მუსიკოსი მყავს, მას ბოლომდე ვენდე და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სიმღერას ხარისხიანად ჩაწერდნენ.

— ანრი, ამ სიმღერის ჩაწერის შესახებ პირველად, ვარდების მოედანზე შეკრებილთა აქციაზე, „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში თქვი, სადაც ლექს-სენმა თავისი ფრაზაც კი წაიმღერა. ეს მისი დაწერილი ფრაგმენტი იყო თუ შენი?

ᲐᲜᲠᲘ:

— ის მისი ფრაზა გახლავთ. მე ლექსოს კომპეტენციაში ვერ შევიჭრებოდი. უბრალოდ, ის ადგილი ცოტა უფრო მწვავედ ჰქონდა დაწერილი, სადაც უხამსი ფრაზებიც კი იყო. მართალია, ჩვენი მეზობლები, რომლებმაც ბოლო დღეებში, უდიდესი ზიანი მოგვაყენეს, ასეთ შეურაცხოფას იმსახურებდნენ, მაინც მოვერიდეთ სიმღერაში მსგავსი ფრაზების გამოყენებას. ცხადია, რუსების სისასტიკის მიმართ ყველა ჩვენგანს აგრესია ჰქონდა, მათ შორის ლექსოსაც.

— ომის დროს სიმღერის ჩაწერაზე მომღერლების დაყოლიება არ გაგიჭირდა?

— დამეთანხმები, არ გამიჭირდებოდა, ეს სიმღერა მარტოს ჩამეწერა, მაგრამ ისეთ დროს, როცა გინდა, შენი ქვეყანა და ხალხი ანუგეშო, სულიერად არ დაეცეს, ამისთვის მხოლოდ ერთი ხმა საკმარისი არ არის. სიმღერა 44-მა მომღერალმა ჩავწერეთ. არც ერთ მათგანს, სიმღერის შესრულებაზე უარი არ უთქვამს. მუშაობა ძალიან რთულ სიტუაციაში მიმდინარეობდა. ქვეყანაში შექმნილი დაძაბული ვითარება სისტემატურად იცვლებოდა და ის დროდადრო უფრო კრიტიკული ხდებოდა. უბედნიერესი ვიყავი, როდესაც სტუდიის კარი ქალბატონმა ნანი ბრეგვაძემ







შემოაღო. მისი მონაწილეობა ამ პროექტში მნიშვნელოვანია. ქალბატონ ნანისა და დანარჩენ 42 მომღერალს უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ნდობისათვის. არ შემხვედრია ადამიანი, ვინც ეს კლიპი ემოციის გარეშე იხილა. ძნელია, ეს კადრები იხილო, ასეთი სიტყვები მოისმინო და მან ადამიანში მძაფრი ემოცია არ აღძრას.

— სიმღერაც რეკორდულად მცირე დროში ჩაწერეთ და კლიპიც ძალიან მალე დაამზადეთ. ამ საქმეში ვინ დაგეხმარათ?

— უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც აბსოლუტურად უსასყიდლოდ დაგვიდგნენ გვერდით. სიმღერა „სანო-სტუდიაში“ ჩავწერეთ. ხმის რეჟისორმა გიორგი ქუთათელაძემ და კომპოზიტორმა ჭაბუკა ამირანაშვილმა სტუდიაში ჩემთან ერთად გაათენეს. ქალბატონმა ნაზი ალასანიამ სურვილი გამოთქვა, ჩვენთვის დახმარება გაეწია. მომღერალ ნინო ჩხეიძის მეუღლემ არაჩვეულებრივი ოპერატორი და რეჟისორი მოგვიყვანა, რომლებმაც კლიპი დაამზადეს. რაც შეეხება იმ კადრებს, რომლებიც ომისა და მიმდინარე მოვლენების ფრაგმენტებს ასახავს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა მოგვაწოდა. მუშაობის პროცესში გვერდიდან არ მოგვშორებიან — დათო ოქიტაშვილი და მაკა საჯაია, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ერთი რამ: ეს კლიპი არავის დაკვეთა არ ყოფილა. არაერთხელ გაიჟღერა ფრაზამ — თითქოს ეს სიმღერა ხელისუფლების დაკვეთით დაიწერა. ასე არ ყოფილა და უკვე გიამბეთ, თუ რა ვითარებაში და როგორ შეიქმნა იგი. სამწუხაროდ, ბევრმა საკმაოდ უარყოფითად შეაფასა ეს ნამუშევარი. გული მწყდება, რომ სიმღერის შინაარსს არ ჩაუკვირდნენ და მასში არ ამოიკითხეს აზრი: — „საქართველოვ, ჭირსა შიგან გამაგრდი... მთის მწვერვალზე აიტანე შენი სული ამაყი...“ როგორ შეიძლება, ამ სიტყვებმა არ აგაღელვოს?! თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ქართული პატრიოტული სულისკვეთების გამოძახილია. ■

ჩოცა ჯაჯს მილეა ოქია...

თითქმის ნამდვილი ამბავი

ლეა ცუცქირიძე

ბატონი რევაზი დაიღალა, რეზიკოდ მოუნდა გადაქცევა, მაგრამ მხოლოდ ჰალსტუხის ოდნავ მოშვება მოახერხა. როცა კარს მიღმა ომია, არც ბატონ რევაზს ეკუთვნის რეზიკოობა. სამუშაო დღის დასასრულს, მთელი დღის განმავლობაში ჭიანჭველების ბუდესავით მოფუთფუთე შენობაში მის გარდა მხოლოდ ბატონი ლევანი და მანანა დარჩნენ. ბედს შეეგუა, კომპიუტერის ეკრანზე, ერთ-ერთ საქაღალდეში გამზადებული მასალები ჩამოშალა, ჰალსტუხი მონდომებით შეისწორა და მიძინებული მარაგიდან სასწაულის ძალით ამოქაჩული ენერგიით მუშაობას შეუდგა.

ერთი საათი წიკწიკით გავიდა. მერე დრო არ აჩქარებულა, მაგრამ მეორე და მესამე, შემდეგ, მეოთხე საათი აჩქარების გარეშეც ერთმანეთს მშვენივრად მიება. კომპიუტერის ეკრანზე ერთმანეთის მიყოლებით ჩამოშლილი გვერდები გაივსო, გაიბერა... მერე მათმა შემქმნელმა ამ ფურცლებს საკუთარი წარმოსახვითი ოფლი და მტვერი მოაცილა, გადააპრიალა, ნამდვილ, ხელშესახებ ქაღალდზე ამობეჭდა და საათს კმაყოფილმა დახედა. — თბილისის დროით 22 საათია, „უთხრა“ საათმა. გაეღიმა, რადგან როდესაც რეზიკო იყო, „22 საათი“ ასე ჟღერდა — „ათი საათი“.

ბატონი რევაზი შავი, მოხერხებული საოფისე სავარძლის საზურგეს გადააწვა და თვალები მილულა. ისევ ჰალსტუხის მოშვება მოუნდა; ალერსიანი შემოხედვაც, მაგრამ რადგან ამ შენობაში ალერსით არავინ შეხედავდა, ის ადამიანი გაახსენდა, რომელიც მოწიწებით მაინც მიაპყრობდა მზერას. მა-ნა-ნა! დამარცვლით გასძახა მდივანს. მანანა დაძახებისთანავე შემოვიდა ოთახში და ზუსტად ისე დადგა, როგორც ბატონი რევაზის მდივანს შეეფერებოდა — მორჩილად.

— დაჯექი, — იქვე მდგარ სკამზე მიანიშნა კართან ატუზულ ქალს. მანანას მდივნობის ხანგრძლივ პერიოდში ასეთი შეთავაზება ნაკლებად ჰქონდა და ამიტომ ოდნავ დაიბნა, მაგრამ უფროსის მითითება შეასრულა და კიდეზე თითქმის სიმბოლურად ჩამოჯდა — სკამის ერთ მესამედზე.

— ჩათაობდი? — თვალებში ჩახედა მდივანს.

ქალს მოულოდნელობისგან სახე მოებრიცა, მაგრამ უფროსმა არ შეიმჩნია.

— ჰო, ჩათაობდი. ვისთან? — გააგრძელა კვლევა.

მანანამ ოც წელიწადს იმუშავა შვიდი სხვადასხვა ადამიანის მდივნად და ერთი გაკვეთილი კარგად შეითვისა: როდესაც უფროსი კითხვას სვამს, დამაჯერებლად და სწრაფად უნდა უპასუხოს.

— დიახ, ბატონო რევაზ, საქმე აღარ მქონდა და სანამ ბატონი ლევანი დაგიძახებდათ, გადავწყვიტე ამერიკაში, მეგობართან მესაუბრა.

— მეგობართან, ამერიკაშიიი?! — გააგრძელა რევაზმა, მაგრამ ეს კითხვა არ იყო. მან მანანას ცრუფრაზიდან მხოლოდ კვანძური სიტყვები გაიმეორა. — დღეს დილით, როდესაც სამსახურში მოვდიოდი, ტროტუარზე ჩამომჯდარ ორ გლეხის ქალს მოვკარი თვალი. ყველს ყიდდნენ. ორივე ყურადღებით შევათვალიერე. კი არ შევათვალიერე, დავაკვირდი კიდეც. საუზმისთვის ემზადებოდნენ. ერთ-ერთი აფუებულ, ოხშივარადენილ ცხელ პურს პირდაპირ საკუთარ კალთაში ჭრიდა დიდრონ ნაჭრებად. ასე ბებიაჩემი გვიჭრიდა ხოლმე პურს. სოფელში თუ გყავდა ბებია, მანანა?

— დიახ.

— კარგია! მაშინ შენც გექნება ნაჭამი ასეთ სქლად დაჭრილ პურზე გადასმული შინაური კარაქი. ჰოდა, ისხდნენ ეს ქალები, საუზმისთვის ემზადებოდნენ და მოხუცებს ჰგავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი არ იყო შენზე უფროსი.

მანანა ისევ აილეწა. ორმოცი ახლახან შეუსრულდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ არ ეტყობოდა... ნეტავ, რა ბზიკმა უკბინა ბატონ რევაზს?

— ბატონი ლევანი იგვიანებს, იქნებ ყავის დალევა მოასწროთ? მოგიდუღებთ, — ქალმა სკამიდან წამოიწია და შვება იგრძნო, რადგან ძალიან მოუხერხებლად იჯდა.

— არა, კონიაკი და ორი ჭიქა მოიტანე და წესიერად დაჯექი.

მანანამ „სარაჯიშვილი“ და ორი ჭიქა შემოიტანა სინით და ბატონი რევაზის წინ დადგა. უფროსმა ჭიქები შეავსო, მერე ერთი ჭიქა აიღო და მდივანს გაუწოდა. ოცწლიანმა სტაჟმა თავისი ქნა, მდივანი სკამზე მოხერხებულად დაჯდა, ჭიქა ჩამოართვა უფროსს და უთქმელად გამოცალა. როგორც ჩანს, ახლა ბატონი რევაზის გაოცების ჟამი დადგა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. მხოლოდ საუბარი გააგრძელა.

— ჰო, არც ერთი არ იყო ორმოცზე მეტის, მაგრამ იცი, რა ეწერათ სახეზე? — დანებება! ეს გლეხის ქალები დანებებულები იყვნენ. ასაკს კი არა, ცხოვრებას დანებებულები. გესმის, ეს რას ნიშნავს?

მანანამ ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა და მხრები აიჩეჩა.

— ყოველთვის ვიცოდი, რომ მდივნები გაზეპირებული ფრაზებით გვესაუბრებიან. კითხვას იმიტომ გისვამ, რომ საკუთარი აზრი მითხრა და არა — ფორმულა. მით უფრო, არ მსურს, მხრები აიჩეჩო. შენ ხომ ჩემი ბუღალტერი არ ხარ, რომლისთვისაც სამყაროში მთავარი მოვლენა ციფრების „გაპრავებაა“?

ბატონმა რევაზმა ცარიელი ჭიქები ისევ შეავსო. მანანამ კი შიშის მიუხედავად, მის ტონში ადამიანური ნოტი დაიჭირა და ალბათ, ამან გააბედვინა — ჭიქა თვითნებურად აიღო, გამოცალა და საკუთარი აზრი მჟავე კიტრივით დააყოლა.

— ცხოვრებას დანებება იმას ნიშნავს, რომ აღარც სარკეში ჩაიხედავ და აღარც აღარავის გაეპრანჭები.

— ეგ ფორმულაა, — უფროსმა მკაცრი სახე მიიღო, გასწორდა, მდივანს თვალებში ჩახედა და წყნარად გააგრძელა:

— ეგ ქალური ფორმულაა, მე კი ადამიანური გთხოვე.

— ამდენი არ ვიცი, ბატონო რევაზ, — აღიარა მდივანმა და არ გაუპროტესტებია, რომ ქალები და ადამიანები ახლახან მის თვალწინ ორ განსხვავებულ ფენომენად გამოიყვანეს.

— ჰო, არაფერი იცი, მაგრამ პირველყოფილი ქალის ინტუიცია გაქვს და ამიტომაც ცოცხლობ.

მანანა მიხვდა: იმის მიუხედავად, რომ ამ ფრაზიდან, რომელიც გაკილვით — „არაფერი იცი“ — იწყებოდა, მთავარი სხვა იყო — ალბათ, მისი შეშურდათ.

ჭიქები ისევ სავსე იყო.

— ლაოსში გადახვეწილ ქართველს ვეჩათავებოდი, — რატომღაც

„აღიარებითი ჩვენება“ გააკეთა მანანამ და ისევ გამოყლურწა კონიაკი.

— ყოჩაღ! — შეაქო რევაზმა, მაგრამ ეს შექება ლაოსში ქართველის აღმოჩენის გამო დაიმსახურა თუ სასმლის თვალის დაუხამხამებლად გადაკვრისთვის, მანანამ ვერ გაიგო.

— დაიქსაქსა ქართველობა, — გული დასწყდა უცბად რევაზს.

— დიახ, ბატონო რევაზ, იცით, რა გულთბილი ადამიანია? სასტიკად დარდობს საქართველოზე.

ჰო, ეს სიტყვები აშკარად გრადუსმა ათქმევინა.

— ჰოდა, იმას გეუბნებოდი, რომ ის ქალები, პურს ბებიაჩემივით რომ ჭრიდნენ დიდრონ ნაწილებად, დანებებულები იყვნენ, შეგუებულები სახეზე — ნაოჭებს, სახლში — მუქთახორა ქმრებს, ქუჩაში — ბინძურ ტროტუარზე ჯდომას, ძროხის ფუნის სუნს, ტელევიზორში — პოლიტიკანების ლაყბობას, სიცრუეს, სიძულვილს, უპერსპექტივობას, ჰო, ბუზებსაც, მაგრამ ამ პურის ჩეხის რიტუალში კიდევ რაღაც დავინახე — უფრო მთავარი, ვიდრე მათი დანებება: სიცოცხლის გაუაზრებელი სიყვარული... ეს პური მათ ხელში მართლაც იყო პური არსობისა. გააზრებული დანებება და გაუაზრებელი სიყვარული. გაიგე რამე?

— მე პურს საერთოდ არ ვჭამ, — თქვა მანანამ.

— ძალიან კარგი! — შეაქო რევაზმა, წამოდგა, პიჯაკი გაიხადა, ჰალსტუხი შეიხსნა, პერანგზე ბოლო ორი ღილი შეიხსნა და ასე შარფივით ჩამოკონწიალებული ჰალსტუხით და მკერდგაღეღილი, ტახტზე გადაჯდა.

„რა სიმპათიური კაცია“, — გაიფიქრა მანანამ და რადგან რევაზი ზურგს უკან მიუჯდა, მისკენ შეტრიალდა. ქვედაკაბა ოდნავ წამოწია მუხლზე. „მე კი — ლამაზი ქალი“, — გააგრძელა შეწყვეტილი ფიქრი და საუბარი ისე განაგრძო, კაბა არ შეუსწორებია.

— იცით, რა უცნაურია, ბატონო რევაზ? ჩვენი კურიერი მაკარონსაც პურს ატანს. არადა, როგორი გამხდარია?! მე კი, საკმარისია ერთი ლუკმა პური გავსინჯო, მაშინვე მერგება. ახლა, საკვები აშკარად რომ შემცირდა მაღაზიებში, მაინც არ ვეკარები.

არა, მანანა საინტერესო მოსაუბრე ვერ იყო.

— ღარიბების საჭმელია პური და მაკარონი. ვინ არის ჩვენი კურიერი?

— ნელიკო, ბატონო რევაზ.

— ჰო, ნელიკო.

რევაზი მოითენთა და მანანა მიხვდა, რომ იმ სასიამოვნო მუხტს კარგავდა, რომელიც მათ შორის ძალდაუტანებლად შეიქმნა.

— ცისფერი თვალები რომ აქვს.

— ცისფერი?

— დიახ, ხანაც — მწვანე, ოღონდ მზერა სულ დახრილი აქვს, მორიდებული გოგოა.

— კარგი, ჩემთან გადმოჯექი, სანამ ბატონი ლევანი დაგვიძახებს. თან ტელევიზორს აუწიე, ბოლო საინფორმაციო ჩართვაა.

მანანამ ტელევიზორს ხმა აუწია, ჭიქები შეავსო, უფროსს გვერდით მიუჯდა და მოიწყინა. უჩვეულო სიტუაციაში გაიბლანდა და ველარ გაიგო, როგორ მოქცეულიყო. ცოტა ხანს მდუმარედ ისხდნენ. რევაზი ტელევიზორს მაიშტერდა და მანანას ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ მარტო დარჩა. ოჰ, ეს სიმარტოვის განცდა! ახლა ბატონი ლევანი დაურეკავს შიდა ტელეფონზე, ბატონი რევაზი დღის ანგარიშს ორი სიტყვით ჩააბარებს და მანანას სხვა გზა აღარ დარჩება, გარდა იმისა, რომ სახლში წავიდეს. იქ ცარიელი კედლები და წინა კვირას გამომცხვარი ნამცხვრის ნაჭერი დახვდება. მერე სააბაზანოში შევა, საკუთარ სხეულს მიეფერება გასაპნული ხელით, მკვებავ კრემს სახეზეც წაისვამს, ფეხებზეც და საგულდაგულოდ გასწორებულ საწოლში თითქმის ჩაცმულ-დახურული დაიძინებს. ეს ბოლო დღეებია, ასე იძინებს. გასაქცევად რომ გაუხდეს საქმე, შიშველი ხომ არ

გავარდება ქუჩაში?

— გელოდები, — უთხრა უეცრად უფროსმა.

— მე მელოდებით? — გაიოცა მანანამ.

— ჰო, გელოდები, როდის დაბრუნდები ფიქრებიდან. კარგი, ჩემი ბრალია, მაპატიე. ლევანი არ ჩქარობს, შენ კი ალბათ, სახლში გელიან, ნერვიულობენ. ასეთ დროს ახლობლებთან უნდა იყო. თუ გინდა, წადი.

მანანას მოერიდა ეთქვა, რომ არავინ ელოდა, მაგრამ სახლში წასვლის იდეა სასტიკად გააპროტესტა:

— არა, მე თქვენი მდივანი ვარ და არ მიგატოვებთ!

„არ მიგატოვებთ“ მაამებლურადაც ჟღერდა და თითქოს, ცოტა სიყვარულიც ერია.

— ძალიან კარგი, — თქვა რევაზმა, — დავიღალე ბოლო დღეებში, დავიქანცე. შეიძლება ითქვას — გავითანგე და გამოვლასლასდი თუ გადავლასლასდი?

— ბატონო რევაზ, სამსახურის საათებში კი ვარ თქვენი მდივანი, მაგრამ როდესაც სამსახური მთავრდება, ვინ ვარ თქვენთვის?

დიალოგიდან ამოვარდნილი ეს კითხვა ქვეტექსტს შეიცავდა და მიუხედავად იმისა, რომ რელსებიდან გადააგდეს, რევაზმა მარტივად იპოვა პასუხი:

— ლამაზი ქალი. შენ ჩემი ლამაზი და ჭკვიანი მდივანი ხარ.

— მაშინ, გამოდის, რომ თქვენი დაღლილობაც შემიძლია გავფანტო. თუ სასიამოვნო არაფერი გახსენდებათ, შეგვიძლია, არც ვისაუბროთ, ან ომზე არ ვიფიქროთ, ან იმაზე ვიფიქროთ, რაც ჯერ არ მომხდარა.

— ჰოოოო, ეგ თამაშს ჰგავს, — დაფიქრდა რევაზი, — მაგრამ იმაზე საუბარი და ფიქრი, რაც არ მომხდარა, ქალებს უფრო გეხერხებათ. თუმცა, არ არის ურიგო წინადადება.

— ვცადოთ?

განცდა, რომ მსგავსი სიტუაცია აღარასდროს განმეორდებოდა, იმ წუთიდან არ ტოვებდა მანანას, როცა მისმა უფროსმა სკამი შესთავაზა, კითხვით წამოწითლებული თვალებიდან სათვალე მოიხსნა და ინტერესით დააცქერდა მასაც და მის მოშიშვლებულ მუხლისთავსაც.

მანანას ირგვლივ გამუდმებით ირეოდნენ მამაკაცები, კარგ სიტყვებსაც ეუბნებოდნენ, მაგრამ იმ პირველი უფროსიდან მოყოლებული, ვისი მდივანიც ძალიან ახალგაზრდა გახდა, მხოლოდ ასეთ ჰალსტუხიან და სათვალიან კაცებზე ოცნებობდა. არა, იმიტომ კი არა, რომ ამბიციები აწუხებდა, — ბატონ რევაზს, ბატონ ლევანს და კიდევ სხვა მათ მსგავს ბატონებს რაღაც ისეთი ჰქონდათ, რაც მისმა ნაცნობმა თაყვანისმცემლებმა არც იცოდნენ, რა იყო.

— თქვენ სხივებს ისვრით, ბატონო რევაზ.

ეს ფრაზაც არ იყო მათი საუბრის ლოგიკური გაგრძელება, მაგრამ მანანამ გააგრძელა:

— სხივებს იმიტომ ისვრით, რომ აქ, ჩვენ გვერდით ცხოვრობთ, მაგრამ მაინც სხვაგან ხართ.

ამ სიტყვებზე, რომელსაც სხვა, მანანაზე ოდნავ განათლებული ქალი ასე იტყოდა: თქვენ რეალობაზე მაღლა დგახართო, მანანა თავადვე შეცბა. მსგავსი სიტყვათაშეთანხმება, რომელიც უფრო ღრმა ქვეტექსტს შეიცავდა, მას არასდროს გამოუთქვამს.

— ამის მიზეზი ვიცი: ყოველ საღამოს, შინ მიმავალი, საკუთარ ჯიბეში ფულს ვითვლი და ვანაწილებ. ახლაც, რუსული ბომბდამშენების მოლოდინში მაღლა ყურებას რომ შევეჩვიე, მაინც იმავეს ვაკეთებ. ჰოდა, ყოველ დილით სარკეში ვიყურები, ვატყობ, რომ ვერები. თქვენ კი ჩემი ფიქრები არ იცით და უარესშიც უკეთესს ეძებთ — დანებებაში — სიყვარულს, სიძულვილში — იმედს... მე თუ მკითხავთ, პურის ჭრის რიტუალში თქვენ რომ სიცოცხლის გაუაზრებელი სიყვარული აღმოაჩინეთ, ეს მხოლოდ ჩვეულებრივი... ღმერთო, როგორ ვთქვა?.. ველური... არა, პირველყოფილი — არა... სიტყვას ვერ ვიხსენებ...

— გინდა მითხრა, რომ პურის ჭრის

რიტუალს სიცოცხლის სიყვარული კი არა, მუცლის ამოვსების ცერემონია ვუწოდო? გინდა თქვა, რომ ჩვენ რეფლექსებით ვცხოვრობთ ანუ პირველყოფილობამდე დავედით? ამას მიმტკიცებ და თან მეუბნები, რომ კარგზე უნდა ვიფიქრო? იმ კარგზე, ჯერ რომ არ მომხდარა და არც შეიძლება, რომ მოხდეს? გინდა გითხრა, დღევანდელი დღის გაგრძელება?

გრძელი ტირადა გამოვიდა, მკაცრიც, მაგრამ მანანას იმის მაგივრად, რომ საკუთარი მოსაზრების განმტკიცებაზე ეზრუნა, გული აუჩუყდა და ისევ ასცდა თემას:

— იცით, თქვენგან მეც გადმომედო ციმციმი... ამიტომაც, მარტო დავრჩი.

მარტო ანუ გაუთხოვარი, რევაზის და მისნაირების გამო დარჩა. რევაზთან დილა „დილა მშვიდობისათი“ იწყებოდა და ღამე ზრდილობიანი დამშვიდობებით მთავრდებოდა. მანანა ყოველთვის იღებდა მადლობას, როდესაც უფროსს ყავას ან ცივ მინერალურ წყალს მიართმევდა. ბატონ რევაზს ყოველთვის კარგი სუნამო ეპკურა და აზრად არ მოსდიოდა, რომ მანანასთვის ასე მიემართა: — მანანა, რა ლამაზი ხარ, ქალო!..

ღმერთო, როგორ სძულდა, როცა ამას ეუბნებოდნენ, რადგან ამ სიტყვების უკან ყოველთვის მოიაზრებოდა სიტყვა — „მსურხარ“. მსურხარ ვნების დასაკმაყოფილებლად და არა იმიტომ, რომ მიყვარხარ...

არა, მიყვარხარო, ესეც უთქვამთ მანანასთვის, მაგრამ ასეთი „მიყვარხარ“ ყოველთვის ახსენებდა სიმღერის ფრაზას: „სახლი არა მაქვს, რომ წაგიყვანო, მაგრამ მაინც წამოდიოოოო!“ მოკლედ, ძალიანაც რომ არ დაგაბნიოთ, მანანას კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ისეთ მამაკაცს იპოვიდა, რომელთანაც სიმშვიდეს პოვებდა. რა თქმა უნდა, ვნებიანი ალერსის თანხლებით.

— ასე არ არის, — ჩაერთო მანანას ფიქრებში რევაზი.

— რა, ბატონო რევაზ?

— გვეშლება რაღაცები. მთავარი შეცდომა კი ისაა, რომ დროს ვკლავთ. ახლა შეფი დარეკავს ან ყუმბარა მოხვდება ჩვენს შენობას, საუბრის შეწყვეტა მოგვიწევს და მიხვდები, რომ ამაოებაზე ვსაუბრობდით.

ღმერთო, აბა რას ამბობდა მანანა! არა, კი არ ამბობდა, ფიქრობდა, რომ ბატონი რევაზი მართლაც არ ჰგავს იმ უფერულ მასას, თავს კაცებს რომ უწოდებენ. არა, არა, რაიმე ჭკვიანური უნდა თქვას. შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს, გული უნდა აუჩუყოს, თავი უნდა მოაწონოს ამ არაჩვეულებრივ, არაორდინარულ, არანაცრისფერ მამაკაცს. მაგრამ — რა?

— ომს აუცილებლად მოვიგებთ! — თქვა მანანამ, რაც მოახერხა და მაშინვე ინანა, რადგან მიხვდა, ამ ფრაზით შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა.

— დაივიწყე. აჯობებს, ჩემთან გადმოჯდე და ჭიქა მომიჭახუნო.

ბატონი რევაზის გვერდით რბილ ტახტზე ჯდომა სასიამოვნო აღმოჩნდა. მეტიც, მანანას მოეჩვენა, რომ ეს მომენტი ყველაზე მეტად ინტიმური იყო მთელ მის ცხოვრებაში. გულისძგერამ იმატა და მანანამ იგრძნო, რომ იქითა მხარესაც რაღაც მსგავსი ხდებოდა.

— ბავშვობაში დედა რეზიკოს მეძახდა... — თქვა რევაზმა.

— მართლა? — რატომღაც გაუკვირდა მანანას.

— კარგი, ვითამაშოთ. მოგიყვები, როგორ გაგრძელდება დღევანდელი ღამე, ოღონდ დავლიოთ.

მწარე კონიაკმა რევაზის გვერდით განსხვავებული არომატი შეიძინა და მანანას მოეჩვენა, რომ რევაზის შეგრძნებები გადმოედო. კარგი განცდა იყო.

— რა მოხდება და შეფი მიგვიხმობს, მანქანებში ჩავსხდებით და ჩვენ-ჩვენს სახლებში წავალთ დასაძინებლად.

მანანას იმედგაცრუება გამოეხატა სახეზე.

— არ მოგეწონა? მაშინ ვრცელ ვარიანტს მოგიყვები. ხედავ ჩემს მაგიდაზე შავ ტელეფონს? ის ტელეფონი ცივი ხმით დარეკავს, მე და შენ ავიბარგებით, ამ გრძელ, გრილ დერეფანს ერთად გავივლით და ჩვენი კონდიცირებული შენობიდან თონესავით გახურებულ, ლამპიონებით განათებულ ქალაქში გავალთ. სიცხე და მტვერი სახეზე მოგვეწებება, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით... მანამ აჩქარებული ნაბიჯებით ჩემს მანქანასთან მივალ. ის, დამჯერი და მორჩილი, ერთი გადაკვრით დაიქოქება, კონდიციონერი ორ წამში გრილი ჰაერის ნაკადს ამოუშვებს და მაშინვე დამავიწყდება, რომ შუშის იქით აუტანლად ცხელა. აგრილდება თუ არა, მანქანას ნელა დავძრავ, ჩავივლი ჩვენს თავდაღმართს და რუსთაველს გავუყვები. კანტიკუნტად მოძრავ მანქანებში, ყვითელშუქდაღვრილი რუსთაველის შემხედვარეს სითბო ჩამეღვრება გულში. რადიოთი ამ დროს უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემენ ომის შესახებ. მერე ავუხვევ, ჩავუხვევ და ჩემი სახლისკენ მიმავალ, შედარებით პატარა ქუჩაზე გავალ. ახლა არც იქ ბნელა ღამღამობით. მაინც ფრთხილად ვივლი, რომ სიცხისა და შიშისგან გარეთ უამრავი ადამიანია გამოსული. ერთი ასახ-



ვევიც და სახლში ვარ. ეზოსთან გავჩერდები და მეზობლებს მივესალმები. იქიდან ერთი-ორი აღარც მელაპარაკება, რადგან ჯერ კიდევ მშვიდობის დროს სამსახური მთხოვეს და ვერ ვუშოვე. მერე სახლში ავალ და კარის გაღებამდე ისევ მექნება შეგრძნება, რომ მტვერი, სიცხე და მტრის ბოღმა ერთდროულადაა „აწეპებული“ ჩემს სახეს. წყალს გადავივლებ, დავწვები და დილით აღმოვაჩენ, რომ ტელევიზორი უჩემოდ გამოირთო. აი, სულ ეს არის. მითხარი, ეს გინდოდა?

— სასმელმა მომადუნა და ახლა მხოლოდ ის მინდა, რომ რაღაც საიმედოს თავი მივადო და გავიყურსო, — მანანამ ის თქვა, რაც იგრძნო.

— მოდი ჩემთან, მე ვარ საიმედო.

რევაზის ხმაში ამჯერადაც არ ერია სიყალბე. მანანამ ჭიქა გამოცალა, უფროსისკენ მიიჩოჩა, მხარზე თავი მიადო და გაინაბა. იმან ხელი მოხვია, მიიხუტა და შუბლზე აკოცა. მერე ოდნავ ქვემოთ, ღაწვზე ეამბორა. მანანა მიხვდა, რომ ახლა უფროსი მის ტუჩებსაც იპოვიდა და მოლოდინად გადაიქცა.

— მოდი ჩემთან, — ისევ მოულოდნელად უთხრა ისევ უფროსმა, მაგრამ მანანა უკვე მასთან იყო. მდივანი მიხვდა, რომ დღეს სახლში დაბრუნებულს, ორი ცარიელი ოთახი და ცივი საწოლი სასჯელად აღარ მოეჩვენებოდა...

ერთი საათი ისევ წიკწიკით გავიდა. მანანამ რევაზის სააბაზანოში საგულდაგულოდ დაივარცხნა აწეწილი თმა, ბედნიერმა გაუღიმა საკუთარ თავს და ოთახში შებრუნდა.

— ცუდი ინფორმაციებია გორიდან, წავედით, — მოკლედ მოჭრა რევაზმა.

ლიფტი მათ სართულზე იდგა და მაშინვე გაიღო. ლიფტში არ ულაპარაკიათ, არც მანანას სახლისკენ მიმავალ გზაზე. სამაგიეროდ, რადიო არ გაჩუმებულა. მხოლოდ ერთხელ დარეკა მობილურმა — რევაზი სახლიდან მოიკითხეს.

— აი, აქ ვცხოვრობ, — თქვა მანანამ, მაგრამ სიტყვა „გამიჩერე“ ვერ დაამატა, რადგან ეს „თქვენობითი“ ფორმით უნდა გაეკეთებინა თუ „შენობითით“, ვერ მიხვდა. ამავე მიზეზით არ გადაიხადა მადლობაც... მანქანიდან ისე გადავიდა, აღარც ელოდა, რომ რევაზი რამეს ეტყოდა, მაგრამ ბოლო წუთს მაინც უთხრა:

— სასტიკად ვიყავი დაღლილი და გათანგული. გმადლობთ, რომ ჩემ გვერდით იყავი.

დილით, სამსახურის გზაზე მიმავალმა, ტროტუარზე ჩამომჯდარ ორ გლეხის ქალს მოჰკრა თვალი. ცხელ, ოხშივარადენილ პურს დიდრონ ნაჭრებად ჭრიდნენ. არც ერთი არ იყო მანანაზე უფროსი, მაგრამ ის მათთან შედარებით გოგონას ჰგავდა.

— სადაური ყველია? — ჰკითხა ერთერთს.

— შინდისისა, — უპასუხეს ერთდროულად.

— თქვენია?

— ჰო, აბა?!

— მერე, თქვენ რომ აქ ზიხართ დილიდან საღამომდე, ძროხებს ვინღა უვლის?

— ჩაეძია მანანა.

— ჩემსას — ჩემი ქმარი, ამისას კიდევ — ბიჭი.

ბიჭში ალბათ შვილი იგულისხმებოდა. ე.ი. ქმრებიცა ჰყავთ და მოზრდილი შვილებიც.

— აგიწონო, გოგონი? — ჩაეკითხა ერთი.

გოგონიიიოოო?! ასეა, მანანამ მიმართვა — „გოგონი“ — დაიმსახურა, ამათ კიდევ — ქმარ-შვილი...

— ჰო, ამიწონე ერთი თავი, ოღონდ — პატარა. ეს მითხარით, ქმარ-შვილი ომში არ გაიწვიეს?

— წაიყვანეს პატარა, მაგრამ მერე უკან მომიბრუნეს.

— ჩემი ქმარი კიდევ, „დაბრაკეს“ — კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ ბრძოლა არ იციო. არადა, აფხაზეთში იბრძოდა.

— კმაყოფილი ხართ თუ უკმაყოფილო, ეს ვარ გავიგე.

— რატომ უნდა ვიყო უკმაყოფილო? — გაოცდა ის ქალი, რომელიც ყველს ასაწონად ვარდისფერ პარკში დებდა.

— რა ვიცი... ომია, ცხოვრების მძიმე პირობები...

მძიმე პირობებში მანანამ რევაზის ნათქვამი ბუზები და დანებება იგულისხმა.

— აჰა, კილო და სამასია. გინდა, გაგასინჯო? — ქალმა კითხვაზე პასუხი არ გასცა.

მანანამ ფული გადაიხადა და გაეცალა. იქვე, მაღაზიაში, ვარდებიანი პარკი იყიდა, ნავაჭრი შიგ ჩადო და გზა ისე გააგრძელა. რევაზის მანქანა უკვე სამსახურის სადგომზე იდგა.

კიბეს სირბილით აუყვა, ლიფტში თანამშრომლებს მიესალმა, ვიღაცას გაუღიმა, ვიღაცა გადაკოცნა, ვიღაცამ მიატირა, ვიღაცას თანაუგრძნო... არა, სახეზე ნამდვილად არ ეწერა, რაც გუშინ შეემთხვა. მაგიდაზე უამრავი გაუხსნელი კონვერტი დახვდა. გადაარჩია, გახსნა, დაახარისხა, მერე ყავა მოადუღა და როგორც მშვიდობის დროს სჩვეოდა, ბატონ რევაზს ტელეფონით დაურეკა.

— ბატონო რევაზ, ყავას დალევთ?

მერე ყავის ჭიქითა და გახსნილი კონვერტებით ხელში უფროსის ოთახის კარი შეაღო. ჭიქა მაგიდაზე უთქმელად დადგა, მადლობა და მისალმებაც მიიღო და უკან გამოვიდა. ხუთ წუთში ახლა რევაზმა დაურეკა და რაღაც საბუთები სთხოვა. მანანამ ადვილად იპოვა ყველაფერი და ისევ შებრუნდა იმ კაბინეტში, სადაც გუშინ საოცარი საღამო გაატარა.

საღამომდე არაფერი შეცვლილა იმის გარდა, რომ ბოლო ხმაზე აწეულმა ტელევიზორებმა თავი აატკივა. მერე ისევე, როგორც გუშინ, შენობიდან ნელ-ნელა ყველა სათითაოდ გაიკრიფა. ბატონმა ლევანმაც დარეკა და ბატონ რევაზთან ერთად სადღაც სასწრაფოდ წავიდა. მანანა ქუჩაში მარტო გამოვიდა. ოდნავ შეეშინდა. განათებული ქუჩა გადაჭრა, თავისი ქუჩის კუთხემდე მისვლას 15 წუთი მოანდომა და ბნელ შესახვევში შეუხვია. სახლთან მანქანა დაინახა. გულმა გამალებით დაუწყო ძგერა. ნუთუ, რევაზმა მოაკითხა? ნუთუ ზუსტად ისე მოხდა, როგორც ფილმებში ხდება? ნუთუ ეს შეცდომა კი არა, რაღაც ლამაზის დასაწყისი იყო? ლამაზის დასაწყისი — ამ ამაზრზენი ომის ფონზე?! ნაბიჯს აუჩქარა. არა, თითქმის აირბინა აღმართი...

სხვა იყო. სხვა კი არა, ახალი ლტოლვილები იდგნენ იმ სკოლის წინ, სადაც დროებითი თავშესაფარი მისცეს... რატომღაც თავი დამნაშავედ იგრძნო. თავდახრილმა ჩაუარა, შევიდა სახლში, ტანსაცმელი მიყარა, სასაცილო შორტი ამოიცვა და თმის შეღებვას შეუდგა.

მტრის ჯინაზე არ დანებდება! არც ომის შეეშინდება და არც მარტოსული მშვიდობის. დამთავრდება ომი, აბა, რა იქნება?! მას კი, ყველას ჯინაზე, კიდევ დიდხანს დაუძახებენ „გოგონას“, კიდევ დიდხანს იქნება მომხიბვლელი და ჯანმრთელი და ლამაზი შვილების გაჩენასაც შეძლებს. XXI საუკუნე რომაა, ეს რუსებს არ ესმით, თორემ მანანამ იცის, რომ ცივილიზაცია და განვითარებული ტექნოლოგიები ადამიანებმა სიხარულისთვის მოიგონეს და არა — ერთმანეთის გასაჟუჟად. მანანასაც ცოტა ესმის და გუშინ, ნასვამს და შეშინებულს, ერთი ჩვეულებრივი დაღლილი კაცი მოციმციმე ვარსკვლავად მოეჩვენა. არა, მასზე არ ბრაზობს, თავად მიუხოხდა უზნეო ბავშვივით. გუშინ ხომ იყო ბედნიერი?!

კარზე ზარი დარეკეს. ალბათ მეზობელია. კართან ფეხშიშველი მივიდა. იქ მართლაც მეზობელი იდგა, ორ ქალბატონთან ერთად. მანანა მიხვდა, ლტოლვილები იყვნენ. ყველი მაქვს და პური, — სიხარულით გაიფიქრა მანანამ, მაგრამ ქალებმა არ ისურვეს ვახშმობა — ვიბანავებთო, — ითხოვეს. მანანამ საძინებლიდან პირსახოცები გამოარბენინა. უამრავი პირსახოცი აქვს კარადაში. ისე, ორიც ეყოფოდა, მაგრამ ქალია და აქვს!.. ჰო, ხალათებიც აქვს ზედა თაროზე, ოღონდ მაღლა უნდა აძვრეს. აძვრა კიდეც, აბრეშუმის ქსოვილი ხელის მოფათურებით ამოიცნო და გამოქაჩა. თაროდან ზრიალით გადმოიყარა ყველაფერი და მანანაც თან გადმოიყოლა. ძირს დაყრილი გროვიდან საჭირო ნივთები ამოარჩია, სხვები საწოლზე მიყარა და მისაღებში გამოვიდა. ამ ქალბატონებიდან ერთ-ერთს სავარძელში ეძინა, მეორე კი რევაზს ესაუბრებოდა.

— შეიძლება, ალბათ, არა? — მანანას მოუბრუნდა რევაზი და რაღაც კითხვისმაგვარი დაუსვა.

— სად იყავი აქამდე? — კითხვითვე მიუგო მანანამ.

ნუთუ ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ფილმებში ხდება?..

„რადგან გარეთ ისევ ომია, ალბათ, ნაწილობრივ“... — გაიფიქრა სიხარულისგან აციმციმებულმა მანანამ და მხოლოდ თმიდან საღებავის ჩამობანის შემდეგ მოახერხა, ყელზე მოხვეოდა დაბნეულ რეზიკოს. ფილმებში ასე არ იწელება ხოლმე ეს მომენტი, მაგრამ მთავარი ხომ ეს არ არის... ■

სკოლარი: „ინგლისის ნაკრებს ტერიმ უნდა უკაპიტნოს“

ლონდონის „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელი, ლუის ფელიპე სკოლარი დარწმუნებულია, რომ სწორედ მისი გუნდის მოთამაშე უნდა იყოს ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტანი. ადრე ალბიონელთა კაპიტანი „არისტოკრატთა“ მცველი, ჯონ ტერი იყო, მაგრამ ამჟამინდელ ფაბიო კაპელოს ჯერაც არ გადაუწყვეტია, თუ ვის დააკისროს ეს საპასუხისმგებლო მისია და რომელ ფეხბურთელზე შეაჩეროს არჩევანი: ტერიზე, ფერდინანდზე თუ ჯერარდზე. „ტერი ნაკრებისთვის ფანტასტიკური არჩევანი იქნებოდა. ის „ჩელსის“ კაპიტანია და ვფიქრობ, ნაკრების კაპიტანიც უნდა გახდეს. მას დახმარების გაწევა შეუძლია როგორც მწვრთნელისთვის, ასევე პარტნიორებისთვის, რომლებსაც ნებისმიერ მომენტში საჭირო სიტყვებს ეტყვის“, — განაცხადა ფეხბურთის ბრაზილიელმა სპეციალისტმა. ■

ვენგერი მოედანზე კორექტულობის მომხრეა

არსენ ვენგერმა საკუთარი მოსაზრება გამოთქვა მსაჯებისადმი დამოკიდებულების შესახებ. ჯერ კიდევ გასული სეზონის მიწურულს, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ წამოიწყო კამპანია, რომელმაც ფეხბურთელები არბიტრებისადმი უფრო მეტი პატივისცემით უნდა განაწყოს. შესაბამისად, მოთამაშეებმა თავი უნდა შეიკავონ მსაჯების მისამართით უცენზურო გამონათქვამებისა და არაეთიკური ჟესტებისაგან. *„თქვენ მზად ხართ, მატჩში გამარჯვების მისაღწევად ვინმე მოკლათ? არა, იმიტომ, რომ წესებსა და კანონებს პატივს სცემთ, მათ შორის, ფეხბურთის წესებსაც. თამაშის სილამაზე იმაში მდგომარეობს, რომ სამართლიანად უნდა მოიგო. შეძლებს კი გუნდი ჩემპიონატში გამარჯვებას ყოველგვარი წესის დაცვით? რაღაც, ამის ნაკლებად მჯერა“*, — ამბობს არსენ ვენგერი, რომელიც იმედოვნებს, რომ უკვე პირველსავე მატჩებიდან მოთამაშეები პატივისცემით მოეპყრობიან არა მარტო მსაჯებს, არამედ მეტოქეებსაც, რათა შემცირდეს ტრავმები. ■

მოცურავემ ავსტრალიელების ნაწილი აღაშფოთა

ცნობილი ავსტრალიელი მოცურავე, 19 წლის სტეფანი რისი კვლავ გამოჩნდა პოპულარული გამოცემის გარეკანზე. ამჯერად სურათები პროფესიონალმა ფოტოგრაფმა ავსტრალიური ჟურნალის — FHM — ბოლო ნომრისთვის გადაიღო. მიმდინარე წლის აპრილში კი ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე მისი ეროტიკული ფოტოები გამოქვეყნდა. ამ ინფორმაციას გაზეთი The Daily Telegraph ავრცელებს. რისი პეკინის ოლიმპიადაში მონაწილეობდა, ამიტომ ავსტრალიის საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენელთა ნაწილი მისი ფოტოების გამო მეტისმეტად უკმაყოფილო დარჩა. ნიჭიერი სპორტსმენი ბევრმა საჯარო სტრიპტიზში დაადანაშაულა. *„ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ მდაბიო ფოტოების გამოქვეყნებით, რისი რისკის ქვეშ აყენებს თავის სპორტულ ავტორიტეტს“*, — წერს „დეილი ტელეგრაფი“. ■

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
საagენტო
ელვა

ქ. თბილისი
თოსლების ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

1 ქვეყანა ცენტრალურ ამერიკაში
2 მალტის დედაქალაქი
3 ასი კილოგრამი
4 დიდი ციმბირული ირემი
5 თურქული აბანო
6 ენერგიის ერთ-ერთი სახეობა
7 დაფქული მარცვლეულის ნარჩენი
8 მაღალყელიანი კალოში
9 პლანეტის თანამგზავრი
10 „ტოიოტას“ მოდელი
11 მდინარე აზიაში
12 ბუნების დამნგრეველი მოვლენა
13 ალკოჰოლი
14 ადამიანებით ვაჭრობა
15 ცხოველი, რომელსაც თაფლს სცემენ
16 ინდიელთა ნავი
17 კურდღლის ნაშიერი
18 კატის ნაშიერი
19 ბრი, ჩანაფიქრი
20 გერმანელი მწერალი
21 მარცვლეული კულტურა
22 ქართველი ფერმწერი
23 ინგლისის ფეხბურთის გუნდი
24 რაიმე გამოცემის ცალკე წიგნი
25 სილამაზის ქალღმერთი რომ. მით.
26 სელაპის სახეობა
27 ეგვიპტის დედოფალი
28 თავისუფალი ფორმის ნარკვევი
29 ქვეყანა აზიაში
30 ამერიკული ავტომობილი
31 ოპტიკური ხელსაწყო
32 მაგნიტი
33 გადამდნარი კარაქი
34 სკანდინავიური თქმულება
35 ციებ-ცხელება
36 XX ს. ქართველი მწერალი
37 .. პაჩინო

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. პატისონი; 2. პაპარაცი; 3. არაქისი; 4. სედანი; 5. ნადალი; 6. აქ; 7. მიამიტი; 8. კრიმინალი; 9. ეპილაცია; 10. ჩაი; 11. საფარი; 12. ასპირინი; 13. ეპიკური; 14. მესტია; 15. პასატი; 16. ალენი; 17. ტატაში; 18. აპათია; 19. კოპალა; 20. ფილა; 21. კროლი; 22. ოქტეტი; 23. ტოფობა; 24. ანანასი; 25. ტოგო; 26. რუ; 27. თითა; 28. რეფერი; 29. მეი; 30. გრინგო; 31. გალიერა; 32. ალერსი; 33. გინეა; 34. ჯიქი; 35. ფედერაცია; 36. სტელა; 37. სიქა; 38. რული; 39. აბისინია.

სურათებზე: პად დიდი, ჯენიფერ ლოპესი.

„თხელკანიანი“ ხართ თუ „სქელკანიანი“?

ადამიანის დახასიათება უამრავი კლასიფიკაციის მიხედვით შეიძლება. მაგალითად, არსებობენ „სქელკანიანი“ და „თხელკანიანი“ (ანუ მგრძნობიარე ადამიანები). ფსიქოლოგებმა დაამკვიდრეს ახალი ცნება — „ფსიქიკის საზღვრები“ საზღვრები, რომლითაც ადამიანი გარე სამყაროს ემიჯნება, შესაძლოა, იყოს თხელი ან სქელი. სხვა ადამიანებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში ჩვენ მუდმივად გადავაადგილებთ ამ საზღვრებს: პარტნიორთან რაღაც გარკვეულ დისტანციას ვინარჩუნებთ ან უფრო ახლოს ვუშვებთ მას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფსიქიკური საზღვრები ჩვენს ფსიქიკას ასევე იცავს უსულო საგნების ზემოქმედებისა და გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენებისაგან. ადამიანები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავ-თავიანთი დამცავი ბარიერის სისქით. ზოგიერთს ძალზე თხელი, იოლად გამტარი ბარიერი აქვს, ზოგს კი — კედელივით განიერი. სხვათა შორის, ეს ეხება გრძნობათა ორგანოებიდან მომდინარე იმპულსების აღქმასაც. მაგალითად, მათ, ვისაც თხელი ფსიქოლოგიური საზღვარი აქვთ, უფრო ხშირად იტანჯებიან ხმამაღალი ბგერებისა და მკვეთრი სინათლის გამო. როგორც წესი, მამაკაცებს უფრო მყარი, დაცული ფსიქიკა აქვთ, ვიდრე ქალებს. თხელი ფსიქიკური ბარიერის მქონე ადამიანები უფრო ეჭვიანები არიან და მათ უფრო ხშირად ესიზმრებათ საინტერესო, შთამბეჭდავი და მკვეთრი ფერის სიზმრები. სქელი ფსიქიკური საზღვრების მქონე ადამიანები კი მართალია, უფრო იოლად დგამენ ნაბიჯს ოჯახის შესაქმნელად, მაგრამ ხორციელი სიამოვნებებისაგან ტკბობის უნარს შედარებით მოკლებულნი არიან. ასაკის მატებასთან ერთად, ნებისმიერ ჩვენგანს „კანი“ სულ უფრო და უფრო „უსქელდება“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკუთარი უპირატესობა აქვთ „თხელკანიანებსაც“ და „სქელკანიანებსაც“, ხოლო თუკი ადამიანი ამ ასპექტში რაიმის შეცვლას მოინდომებს, მას ეს ხელეწიფება, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ამ თავისებურებებს საკმაოდ მცირე (3-4 წლის) ასაკში ავლენს.

თქვენი პასუხები შემდეგნაირად უნდა შეაფასოთ: „მტკნარი სისულელეა“ — 1 ქულა; „უფრო არასწორია, ვიდრე სწორი“ — 2 ქულა; „ზოგჯერ ასეა“ — 3 ქულა; „უფრო სწორია, ვიდრე არასწორი“ — 4 ქულა; „ყოველივე ეს, ჩემზეა ზედგამოჭრილი“ — 5 ქულა.

1. ჩემი გრძნობები შეუმჩნევლად გადის ერთიმეორეში.

2. ბავშვობისდროინდელი გრძნობების გახსენებას ძალზე იოლად ვახერხებ.

3. ჩემი განაწყენება ან შეურაცხყოფა ძალზე იოლია.

4. საკმაოდ დიდ დროს ვუთმობ ოცნებასა და ფანტაზიას.

5. ნებისმიერ შემთხვევაში, უპირატესობას ვანიჭებ მკაფიო სიუჟეტის მქონე ლიტერატურულ ნაწარმოებს, ფილმსა თუ სპექტაკლს, როდესაც მასში ნათლადაა გამოხატული დასაწყისიც, სიუჟეტის განვითარებაც და ფინალიც.

6. კარგი დაწესებულება შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ისეთ ორგანიზაციას, სადაც ყველას მკაფიო წარმოდგენა აქვს საკუთარ მოვალეობებზე და ნათელია, თუ ვინ რაზე არის პასუხისმგებელი.

7. ყველაფერს თავისი მკაფიოდ განსაზღვრული ადგილი აქვს, ამიტომ ადამიანმა ყველაფერს თავისი ადგილი უნდა მიუჩინოს.

8. ზოგჯერ, სხვა ადამიანებთან მეტისმეტად სიახლოვე მაფრთხობს.

9. კარგი მშობლები — ყოველთვის ცოტათი ბავშვები არიან.

10. ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს საკუთარი თავის რომელიმე ცხოველად წარმოდგენა.

11. როცა ჩემს ახლობელს ან მეგობარს რაიმე შეემთხვევა ხოლმე, ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ეს ყოველივე მე შემემთხვა.

12. არ მიყვარს წინასწარ შედგენილი გეგმით თავის შეზღუდვა, როცა რაიმე საქმეს ვკიდებ ხელს, რადგან ბევრ რამეში საკუთარ ინტუიციას ვენდობი ხოლმე.

13. ჩემი სიზმრისეული პერსონაჟები ხშირად ერწყმიან ერთმანეთს და სხვა ადამიანად წარმომიდგებიან.

14. ხშირად მეჩვენება, რომ იდუმალი, გარეშე ძალები ჩემზე ზემოქმედებას ახდენენ.

15. შეუძლებელია მკაფიო საზღვრის გავლება ნორმალურ და ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებს შორის, ნევროტიკებსა და უბრალოდ შეშლილებს შორის.

16. საკმაოდ მიწიერი, პრაქტიკული და რეალისტი ადამიანი ვარ.

17. ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, იოლად შემეძლო გავმხდარიყავი პოეტი, მხატვარი, მსახიობი.

18. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ვიღაც მეძახის, მაგრამ როცა მოვიხედავ, ხელში არავინ შემრჩება.

დაავჯამეთ ქულები: იმისთვის, რომ თქვენი ფსიქიკური საზღვრის მდგომარეობა განსაზღვროთ, მარტივი გამოანგარიშება დაგჭირდებათ. 18 მოცემული პუნქტის ქულები დაავჯამეთ ზემოთ მოცემული შეფასებების სქემის მიხედვით, გარდა 5, 6, 7 და 16 პუნქტებისა. ამ ოთხი შეკითხვის ქულები შეაფასეთ პირიქით: 1 ქულა — 5 ქულად, 2 — 4-ად, 5 — 1-ად. ამგვარი გადატრიალების დროს 3 ქულა, როგორც შეფასების სკალის შუა წერტილი, კვლავინდებურად 3 ქულად დარჩება.

ტესტის შედეგები

ჩვეულებრივ, საშუალო ადამიანი 35 ქულას აგროვებს. თუკი თქვენ 50 ან უფრო მეტი ქულა გაქვთ — ძალზე თხელი ფსიქიკური საზღვრის მქონე ადამიანი ბრძანდებით; ხოლო თუკი 20 ან უფრო ნაკლები ქულა მოაგროვეთ, მეტისმეტად სქელი ფსიქიკური საზღვრის მქონე ადამიანი ხართ.

ჰოროსკოპი

(21 - 27 აგვისტო)

ვერძი

გამოიჩინეთ ინიციატივა და ხორცი შეასხით ჩანაფიქრს. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა ენერგიასა და ხალისს შეგმატებთ. უმჯობესია, ახალი საქმის წამოწყებაზე უარი თქვათ — არ არის გამორიცხული, კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდეთ. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ ჯანმრთელობას.

ჯუჯი

ერიდეთ სარისკო ქმედებებს, რადგან წარუმატებლობამ შესაძლოა, ხანგრძლივი დეპრესია და ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვიოს. დიდ სიამოვნებას მოგიტანთ საოჯახო საქმეების შესრულება. ფარული სიმპათია შესაძლოა დიდ გრძნობაში გადაიზარდოს. კარგი დროა საქმიანი კავშირების დასამყარებლად.

ტყუპი

იღბლიანი პერიოდია ჟურნალისტური და საგამომცემლო საქმიანობისთვის. ასევე, წარმატებას მოგიტანთ ახალი საქმიანი ურთიერთობები. გაუფრთხილდით ფინანსებს — ეცადეთ, ფული ტყუილუბრალოდ არ გაფლანგოთ. კარგი იქნება, თუ რომანტიკულ ურთიერთობებსა და სამუშაოს რაციონალურად შეუთავსებთ ერთმანეთს.

კიბორჩხალა

ოჯახის წევრების მეშვეობით ფინანსურ პრობლემებს მოაგვარებთ. მეგობრული კავშირები და შეხვედრები ახალ სასიყვარულო ურთიერთობას ჩაუყრის საფუძველს, რომელიც ყველასგან ფარულად განვითარდება. პერიოდულად, გააკონტროლეთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. კარგი იქნება, თუ დროდადრო საქმეებს გადადებთ და ბუნებაში გაისეირნებთ.

ლომი

დრო უფრო რაციონალურად გამოიყენეთ და ნაკლები იოცნებეთ. ამ პერიოდში წარმატებული იქნება საშუამავლო ოპერაციები. შესაძლებელია ახალი საქმიანი შემოთავაზებებიც მიიღოთ. არ არის გამორიცხული, თავი შეგახსენოთ ძველმა სიყვარულმა. ჯანმრთელობის მხრივ, საწუწუნო არაფერი გექნებათ.

ქალწული

თქვენი შორსმჭვრეტელობის უნარი ფინანსური სტაბილურობის მოპოვებასა და სასიყვარულო ურთიერთობის სურვილისამებრ წარმართვაში დაგეხმარებათ. შესაძლოა, საკუთარ თავზე ჭორებიც გაიგოთ. მარტოობა და სიმშვიდე ადვილად აღგიდგენთ წონასწორობას და დახარჯულ ენერგიას.

სასწორი

ფარული სასიყვარულო ურთიერთობა საქმიანი ჩანაფიქრის განხორციელების სტიმული გახდება. მატერიალური პრობლემების მოგვარებაში უცხოელი პარტნიორები დაგეხმარებიან — მათგან მიღებული ახალი ინფორმაცია საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში შეგიწყობთ ხელს. საყვარელ ადამიანთან შეხვედრა დადებითი ენერგიით აგავსებთ.

ღრიანცელი

მიზნის მიღწევისას შესაძლოა, საქმიან პარტნიორებს დაუპირისპირდეთ. ყველაფერი ნინასწარ გაიაზრეთ და არ აჩქარდეთ. კარგი დროა ახალი ნივთების შესაძენად. შესაძლოა, თქვენს რჩეულთან ურთიერთობის გარკვევა მოგიხდეთ. კვირის ბოლოს სისუსტეს იგრძნობთ, ამიტომ ეს პერიოდი დასვენებისათვის გამოიყენეთ.

ეშვიდგოლსანი

წარმატება გელით ყველა იმ სფეროში, რომელსაც ხელს მოჰკიდებთ. უამრავი სიახლე და სასიყვარულო თავგადასავალი გელით. ოღონდ, ეცადეთ, დაივიწყოთ მავნე ჩვევები და ყურადღება გააორმაგოთ, რათა რთულ სიტუაციაში არ ჩაიგდოთ თავი.

თხიანი ციკა

საქმიან პარტნიორებთან წარმატების მისაღწევად, თავშეკავება, ცივი გონება და გარკვეული რისკის გაწევა დაგჭირდებათ. ცვლილებების სურვილი ახალ სიყვარულს მოგიტანთ. სამსახურებრივი რომანტიკული კავშირი ფარულ გრძნობაში გადაიზრდება. ეცადეთ, სიფრთხილე გამოიჩინოთ გადაადგილებისას, რადგან დიდია ავარიებისა და ტრავმების ალბათობა.

ბეჭედი

ხელმძღვანელი პირები თქვენს გულისხმიერ შრომას დააფასებენ და შესაძლოა, კარგი გასამრჯელოც მიიღოთ. ასევე მოსალოდნელია ფულადი დახმარების მიღება ნათესავებისაგან. პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში ნუ აჩქარდებით და ნებისმიერი გაუგებრობა მოლაპარაკებით მოაგვარეთ. მიღებული ინფორმაცია გაგახალისებთ და სამომავლო სტიმულს მოგცემთ.

თევზები

კარჩაკეტილი ცხოვრება დეპრესიისაკენ გიბიძგებთ, ამიტომ მეტი დრო გაატარეთ თანამოაზრეებისა და მეგობრების წრეში. ახალს ნურაფერს წამოიწყებთ, ეცადეთ, შემოიფარგლოთ ყოველდღიური საქმიანობით. თუ სადმე მარტო გაემგზავრებით, შესაძლოა ახალ სასიყვარულო რომანსაც ჩაუყაროთ საფუძველი, რომელიც მოგვიანებით ქორწინებით დასრულდება. ეს პერიოდი კარგ განწყობილებასა და დიდ სიყვარულს გპირდებათ.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

7	4	6	8	1	5	9	2	3
8	5	3	7	9	2	1	6	4
1	9	2	4	6	3	5	7	8
3	6	9	2	5	1	4	8	7
4	8	5	3	7	9	6	1	2
2	7	1	6	8	4	3	9	5
5	2	8	9	4	6	7	3	1
9	3	4	1	2	7	8	5	6
6	1	7	5	3	8	2	4	9

1	7	8	2	3	6	5	9	4
9	3	4	5	1	7	2	8	6
6	5	2	8	4	9	7	3	1
4	8	3	6	2	5	1	7	9
2	9	6	1	7	8	3	4	5
7	1	5	4	9	3	6	2	8
8	4	1	3	6	2	9	5	7
3	6	9	7	5	4	8	1	2
5	2	7	9	8	1	4	6	3

4	6	8	2	9	1	3	5	7
3	2	7	6	5	4	1	9	8
5	1	9	3	8	7	4	6	2
9	5	3	1	4	2	7	8	6
2	8	4	7	6	5	9	1	3
6	7	1	8	3	9	2	4	5
8	4	2	9	7	6	5	3	1
7	9	6	5	1	3	8	2	4
1	3	5	4	2	8	6	7	9

* მარტივი

3			2				7	
7		4		5		3		1
		8	4	3			9	
5				8		4		
8		3		9		5		6
		2	7		5			3
	3			2	8	7		
9		6		7		1		2
	5				1			8

** საშუალო

5		8	1				3	6
	7		2			4		
6			5		9			8
	4	9		1	2	6		
1				6				2
		3			7	9	8	
4			3		8			7
		6			1		2	
9	3				5	8		4

*** რთული

9			8			3		
					6			9
1					2			6
	7		3	5				4
	2		9				1	
5					1		8	
7			5					8
8			6					
		4			7			5

ფოტოკოლიაჟები

LG ის IT ტექნოლოგიების ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში

კომპანია ალგორითმი

ლენინგრადის №21
ტელ: 98 50 85 / 92 09 78

ALGORITHM

პეკინის №245
ტელ: 37 89 89 / 37 89 99